საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№40 (227)

30 ოქტომბერი – 5 ნოემბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

9 აშშ უპილოტო თვითმფრინავები – უმოწყალო მკვლელები

## მისი აღმატებულება პლასტილინი და ასე ნანატრი სტაბილურობა 3



2 რა უხარიათ რესპუბლიკელებს

5 ურემი თუ გადაბრუნდა, გზა რატომ არ გამოჩნდა?

11 НЕЗВАНЫЙ ГОСТЬ ХУЖЕ ТАТАРИНА!

«საქართველოდან იარაღი სირიაში ჩადიოდა... იარაღი კიდეც გადაჰქონდათ და შესყიდვა-გაყიდვის ოპერაციებსაც ატარებდნენ» 7



«ბევრი ტანჯვა-წვალება დასჭირდათ მერაბიშვილსა და ადეიშვილს, სანამ ამერიკელები მოსასმენ სპეცაპარატურას გადმოსცემდნენ» 8

„მეცინება ხოლმე, როცა ამბობენ, რომ, თუ სიმბარათს ამოიღებ, საუბრის მოსმენა არ შეუძლიათ“

12 «ფაქტობრივად, იმის ილუსტრირება მოხდა, რომ თითქოს «ნაცმოძრაობა» ძირითადად დემოკრატიის მშენებლობით იყო დაკავებული...»

**ხურჩა – ტერორისტული აქტი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ** 10





26 მაისს დაღუპული სულიკო ასათიანის საქმის დღემდე უცნობი დეტალები 6

13 «ვაკაბიზმიდან» სეპარატიზმამდე, ანუ დააბრუნეთ ჩახალიანი ციხეში!

15 მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქართველოლოგია დაივიწყა?

როდის დაისჯებიან არჩევნების გამყალბებლები? 4

რევაზ ბულია: სამეგრელოში «ტყავგამოცვლილი ნაციონალები» იყვნენ ძირითადად «ქართული ოცნების» სახელით საარჩევნო კომისიებში 2

WELCOME ციხის ბიბლიოთეკაში 5

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაცები“ და რესპუბლიკელები ერთმანეთის ტყავს არ დახევენ და მხოლოდ სხვადასხვა სახელები ჰქვიათ, თორემ იდეოლოგია ერთი და იგივე აქვთ. აბა, სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც ლევან ბერძენიშვილი ასეთი აღფრთოვანებით საუბრობს „ნაცების“ მეორე ადგილზე, სლოგანზე, რომელიც მათ ჰქონდათ, რომ ერთად უნდა აკონტროლონ მთავრობა...**

# რა უხარიათ რესპუბლიკელებს

**საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებმა ქართველებისთვის უჩვეულოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. მნიშვნელოვანი იყო ის დეტალიც, რომ ერთი წლის წინ „ნაცების“ გადაგდებით აღტკინებული ქართველი ხალხის 54%-მა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო. ფსიქოლოგები ამას სხვადასხვაგვარად ხსნიან, ზოგი ამბობს, რომ ნიჰილიზმით იყო გამოწვეული, ზოგი ამბობს, რომ დაიღალნენ, ხოლო „ოცნება“ ხალხის სიმშვიდესა და ბედნიერებაზე საუბრობს. სინამდვილეში კი შევარდნაძეს თავის დროზე საარჩევნო კანონში ცვლილება რომ არ შეეტანა, უკანასკნელი არჩევნები საქართველოში ჩატარებულად არ ჩაითვლებოდა.**



მოკლედ, არჩევნები ჩატარდა. შედეგიც თითქოს არ იყო მიუღებელი და მოულოდნელი, მაგრამ „ნაციონალების“ 20 პროცენტმა მაინც გამოიწვია საზოგადოების გაღიზიანება. ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიური და ხშირი სჯა-ბაასი მიმდინარეობს და უამრავი აზრიც გამოითქვა, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის რესპუბლიკელმა წევრმა ლევან ბერძენიშვილმა „ნაცების“ 20% გადაცემაში „სუბიექტური აზრი“ ყველაზე საინტერესოდ ახსნა. მან კიდევ ერთხელ დაგვანახა „ნაცების“ დიდი წვლილი და როლი რესპუბლიკელების ოცნების ასრულებაში. აი, როგორ გვიხსნის დამსახურებულ მეორე ადგილს ლევან ბერძენიშვილი:

„ოცი პროცენტი ის ხალხია, რომელთაც გამარჯვება უნდა მივულოცოთ, **მათ ის მიიღეს, რაც თავისთვის საჭიროდ ჩათვალეს.** მეორე ადგილზე გასული იბრძოდა იმისთვის, რომ, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა, დაფიქსირებულიყო, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ კუთხით მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. რაც მოხდა, შეიძლება ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას — არა, ზოგი იმასაც ამბობდა, თუ ეს მოხდა, საქართველოს მივაფურთხებო, საქართველოს მიმფურთხებელი ბევრი არ დაბადებულა და ამის უფლებას ნუ მისცემენ საკუთარ თავს. საქმე ისაა, რომ ქართველი ხალხის ნებას პატივისცემა სჭირდება. **„ნაციონელების“ ეს პროცენტი არ გამკვირვებია, ნამდვილად ვიცოდი, მეორე ადგილზე ვინც გავიდოდა.**

მათ ჰქონდათ სწორი მართვის სლოგანი: „ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა“, მათ ქვეყნის პულსზე ხელი უდევთ. **დავით ბაქრაძის დაფიქსირებას ოპოზიციურ პარტიასთან ერთად კარგად ვხედავ. დღეს ორპარტიულობის, მრავალპარტიულობის დრო იწყება.**

**ამ არჩევნებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განლაგებას,** მნიშვნელობა ჰქონდა, რა რეალობა დადგებოდა, იქნებოდა მეორე ტური, ძლივს გაიმარჯვებდა თუ არა. **ასეთი რეალობა რომ არ დამდგარიყო და „ნაციონალებს“ არ გაემარჯვათ, პარლამენტის ლეგიტიმაციის საკითხი დადგებოდა,** იტყოდნენ, რომ „ნაციონალები“ მეორე ადგილზე ვერ გავიდნენ, გავიდნენ მესამე, მეშვიდე ადგილზე, მათ გაასწრო ყველამ — კობა დავითაშვილმა, შალვა ნათელაშვილმა. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია, ყველა გამარჯვებული, ანუ მეორე ადგილზე გასული იტყოდა, რომ მთავარი ოპოზიცია ჩვენ ვართ, არადა, მათ პარლამენტში ორმოცპროცენტიანი წარმომადგენლობა ჰყავთ, ამის უფლება კი არ აქვთ, პარლამენტი ქართველი ამომრჩევლის ნებას არ ასახავსო. **დღეს კი ამ საკითხის დაყენება უხერხული იქნება, ასეთი საფუძველი არ არსებობს. ვადამდელი არჩევნების საკითხი მოიხსნა.“**

გადაცემის დასასრულს, ბერძენიშვილმა სააკაშვილზეც ისაუბრა და თქვა:

„რაც შეეხება სააკაშვილს, თუ მას უვიცად, პოლიტიკურად უნიჭოდ, დეგენერატად გამოვაცხადებთ, მაშინ მასზე გამარჯვების ფასი არაფერია. **მიხეილ სააკაშვილს ტალანტი რომ ჰქონდა, იმით დამტკიცდა, რომ მან მოახდინა საქართველოს ორგანიზება საიმისოდ, რომ რეფორმები განხორციელებულიყო. მან ერთ საპრეზიდენტო ვადაში წარმატებას მიაღწია. სააკაშვილმა აჭარის საკითხი დადებითად გადაწყვიტა.**

მერე რაღაც რომ მოხდა, ვიღაცას ჰგონია, რომ დადებითი აღარ უნდა დავინახოთ. თავადვე თქვა, ამდენს ნუ მაგინებთ, რომ წავალ, თან ხომ არ წავიღებ ჩემს გაკეთებულსო?! რა, რომ წავა, ხომ ვერ წაიღებს ბათუმში დაგებულ გზებს?“

**ბერძენიშვილმა, სანამ სააკაშვილზე საუბარს დაიწყებდა, ესქილეს ტრაგედია გაიხსენა, ის, თუ როგორ ტიროდნენ ბერძნები, როდესაც უძლიერესი მტერი, სპარსეთი, დაამარცხეს.**

ამაზე უკეთეს ახსნას, ალბათ, ვერც მოვისმენდით, ყველაფერი გასაგებია.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საერთაშორისო ორგანიზაციები NDI და IRI საპრეზიდენტო კანდიდატების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ შეხვედრიდან კულუარული ინფორმაცია გამოვიდა და არჩევნების შედეგების ზუსტი ციფრები დასახელდა, რაც არავინ დაიჯერა. **ხალხს სხვა მოლოდინი მაინც ჰქონდა, ყველას ეგონა, რომ „ნაციონალები“ ამ არჩევნების შემდეგ პოლიტიკური არენიდან თუ კობა დავითაშვილივით არ გაქრებოდნენ, 5%-იან ბარიერს ძლივს გადალახავდნენ.**

ლევან ბერძენიშვილის „სუბიექტურ აზრში“ გამოსვლამ და ახსნა-განმარტებამ ყველა ჭორი თუ მართალი დაადასტურა. ის, რომ **„ნაცები“ და რესპუბლიკელები ერთმანეთის ტყავს არ დახევენ და მხოლოდ სხვადასხვა სახელები ჰქვიათ, თორემ იდეოლოგია ერთი და იგივე აქვთ და ა.შ. აბა, სხვა რა უნდა იფიქრო, როდესაც ლევან ბერძენიშვილი ასეთი აღფრთოვანებით საუბრობს „ნაცების“ მეორე ადგილზე, სლოგანზე, რომელიც მათ ჰქონდათ, რომ ერთად უნდა აკონტროლონ მთავრობა და მართლაც რესპუბლიკელებს ახალ ხელისუფლებაში, მხოლოდ მაკონტროლებლის ფუნქცია აქვთ, ისინი არამც და არამც არ დაუშვებენ იმას, რომ საქართველომ სწორი და ხალხისთვის სასიკეთო ნაბიჯები გადადგას.**

ბერძენიშვილი ორპარტიულობაზე საუბრობს და ასეთ შემთხვევაში, „ნაცებზე“ უკეთეს მეორე პარტიას ვერც ინატრებენ. რესპუბლიკელები, ისევე, როგორც „ნაციონალები“, ნორლანდის სიტყვიდან გადახვევას არასდროს დაუშვებენ. ბერძენიშვილის საუბარი ძალიან ჰგავდა „ნაცების“ საუბარს, როდესაც ამბობდა, რომ მთელმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საპრეზიდენტო არჩევნები ქართველი ხალხის ერთ-ერთ წარმატებად ჩათვალესო, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში თუ ახსოვს ვინმეს, რომ უცხოეთს ეთქვას, ეს რა ჩაიდინეთ და როგორ გააყალბეთო?!

**ბერძენიშვილი არც მალავს და უკვე აღარც სჭირდება ეს, რომ „ნაცების“ მეორე ადგილმა არალეგიტიმური პარლამენტი „გააპრავა“.**

**მართალია, როდესაც ამბობს, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი დადგებოდაო, ხალხი ამას აუცილებლად მოითხოვდა და მაშინ მართლაც დაიღუპებოდნენ „ნაცებიც“ და რესპუბლიკელებიც, მათ შორის, უფრო მეტად რესპუბლიკელები, რადგან ბიძინა ივანიშვილი აღარ ეყოლებოდათ და თავად კი 1% პროცენტსაც ვერ აიღებდნენ** (როგორც ყოველთვის), **რასაც ვერ ვიტყვით „ნაცებზე“, რადგან მათი იელოველებივით „ერთგული“ მხარდამჭერები ბარიერის გადალახვას მაინც მოახერხებინებდნენ.**

ბერძენიშვილი ასევე, საუბრობს ხალხის ნებაზე, მაგრამ საეჭვოა, რომ ხალხის ნება იცოდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ეცოდინებოდა, რომ არც მათ რესპუბლიკელებს და არც „ნაცებს“ ამ ქვეყანაში, რეალური არჩევნების პირობებში, მომავალი არ ექნებოდათ. **ხალხის ნება იყო სწორედ ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე 54% პროცენტმა მონაწილეობა არ მიიღო. თუ ბატონი ბერძენიშვილი კარგად დაფიქრდება, უნიჭო კაცი არ არის და მიხვდება, რომ ამით საქართველოს მოსახლეობამ თავისი აზრი ნათლად დააფიქსირა.**

**საპრეზიდენტო არჩევნები ზუსტად ისე ჩატარდა, რომ ერთი პროცენტითაც არ გაცრუებიათ იმედი: ამერიკის ელჩ რიჩარდ ნორლანდს, რესპუბლიკურ პარტიას და „ნაცებს“.**

**ეკა ნასყიდაშვილი**

## რევაზ ბულია: სამეგრელოში «ტყავგამოცვლილი ნაციონალები» იყვნენ ძირითადად «ქართული ოცნების» სახელით საარჩევნო კომისიებში

**საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან, ამომრჩეველთა პასიურობასთან და სამეგრელოს რეგიონში „ნაციონალების“ მაღალ პროცენტულ მაჩვენებლებთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს ყოფილი პოლიტპატიმარი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე რევაზ ბულია.**

— საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები არის დასახვეწი და ამის შესახებ მე წერილით მივმართე საქართველოს პრემიერმინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. **არ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტს ირჩევდეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50%-ზე ნაკლები. სხვა ლოგიკით, გამოდის, არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს ამომრჩეველთა უფრო დიდი ნაწილი.** ასევე არ უნდა დავუშვათ ის, რომ საპრეზიდენტო თუ სხვა დონის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მივცეთ ყველას, ვისაც თავი „მსუბუქი“ აქვს ან მოურჩენელი ამბიციები ახრჩობს. კანდიდატს, რომელიც არჩევნებში მიიღებს საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებისთვის წარმოდგენილ ხელმომწერებზე ნაკლებ ხმას, დაჯარიმდეს სოლიდური თანხით და აეკრძალოს მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა. საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ მოულოდნელი გამარჯვებით შექმნილმა რეალობამ გვიჩვენა, რომ ქვეყანაში ყველა დონის არჩევნები უნდა ჩატარდეს ან ერთდროულად, ან საპარლამენტო არჩევნებიდან არა უგვიანეს ოთხი თვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის მივიღებთ ისეთ საბოტაჟს, როგორიც გვაქვს თბილისის მერიაში, სხვადასხვა დონის საკრებულოებსა და გამგეობებში მოკალათებული „ნაციონალების“ მხრიდან.

**— ბატონო რევაზ, სამეგრელოში „ნაციონალების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გიორგი მარგველაშვილს, ზოგიერთ უბნებზე მოუგო კიდეც, ეს მაშინ, როდესაც ის მეგრელებს „კანიბალებთან მიახლოებულ ეთნოსს“ უწოდებს. რამ განაპირობა „ნაციონალების“ ესოდენ დიდი წარმატება და ამომრჩეველთა პასიურობა სამეგრელოს რეგიონში?**

— ყველაფერი განაპირობა საარჩევნო კომისიების არასწორად დაკომპლექტებამ. ყველა დონის საარჩევნო კომისიები უნდა გავხადოთ პროფესიული, აქ დანიშნულ მოქალაქეებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იყვნენ მაღალი პროფესიული მომზადებით, უნდა აეკრძალოთ პოლიტიკურ გაერთიანებებში ყოფნა. ამასთანავე, უკანონო ქმედების გამოაშკარავების შემთხვევაში, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ, თორემ დღეს არსებული მიდგომით მივიღებთ იმას, რაც ჩემს საარჩევნო უბანში მოხდა. **ერთი „მამალი ნაციონალების“ ოჯახის დიასახლისი ათი წელი იყო კომისიის თავმჯდომარე, თან როგორი თავმჯდომარე — თავისი აქტივისტებისა და კომისიის წევრების მეშვეობით, ქალაქიდან გასახლებით რომ ემუქრებოდა „ქართული ოცნების“ მომხრე მეზობლებს. 27 ოქტომბერს ცოლი ქმარმა შეცვალა, ოღონდ უკვე „ქართული ოცნების“ სახელით.** შედეგად რასაც მივიღებდით, თქვენთვის ნათელი უნდა იყოს. ამასთან, რომელი თავმოყვარე ამომრჩეველი მივა ასეთ საარჩევნო უბანში? ამიტომაც არის, რომ **სამეგრელოში, სადაც „ტყავგამოცვლილი ნაციონალები“ იყვნენ „ქართული ოცნების“ სახელით ძირითადად კომისიებში, თავმოყვარე ამომრჩეველთა 60%-ზე მეტი არ მივიდა ხმის მისაცემად.** აი, ეს არის მეგრელების პასიურობის მთავარი მიზეზი და ამასთანავე, რა თქმა უნდა, დეგენერატი ბაქრაძის ნაბოდვარიც.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

**ივანიშვილის სრული დომინირება ქართულ პოლიტიკაზე ეჭვქვეშ აღარ დგას. თითქმის ყველასთვის აშკარაა, რომ ეს სიტუაცია წლების, თუ არა ათწლეულების, განმავლობაში არ შეიცვლება, თუ ახალი ხელისუფლება ძალიან უხეშ შეცდომებს არ დაუშვებს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მისი აღმატებულება პლასტილინი და ასე ნანატრი სტაბილურობა

**გვეღირსა! საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, რომლის ფსიქიკური მდგომარეობა და ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დგას. მოიხსნა ორი პრობლემა, რომლებიც საქართველოს (2003 და 2008 წლიდან შესაბამისად) მუდმივი ციებ-ცხელების რეჟიმში ამყოფებდა და ეს უდავოდ პოზიტიური მომენტია. სევდიანი ეპოქა, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ეკიდებოდა ქვეყნის პირველ პირს, როგორც მანიაკ უზურპატორს, წარსულს ჩაბარდა. საქართველოს ასიათასობით მოქალაქეს, როგორც იქნა, მიეცა შესაძლებლობა, იხმაროს სიტყვები ,,ჩვენი პრეზიდენტი“ ცინიკური ქვეტექსტის, ბრჭყალებისა და თანმდევი ცხრასართულიანი კომენტარების გარეშე. რა თქმა უნდა, გიორგი მარგველაშვილს არაერთი მინუსი აქვს, მაგრამ არავინ აყენებს ეჭვქვეშ იმ ფაქტს, რომ მისი აღმატებულება ჩვენი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და მთავარსარდალია, თუნდაც კერძო საუბრებში მას პლასტილინად ან ქსოვის დარგში სოციალისტური შრომის გმირად ვიხსენიებდეთ.**



ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. ამომრჩეველთა უმრავლესობამ მას და მის პოლიტიკას მხარდაჭერა დაუდასტურა და ორხელისუფლებიანობის პრობლემურ პერიოდს წერტილი დაუსვა. **ივანიშვილის სრული დომინირება ქართულ პოლიტიკაზე ეჭვქვეშ აღარ დგას. თითქმის ყველასთვის აშკარაა, რომ ეს სიტუაცია წლების, თუ არა ათწლეულების, განმავლობაში არ შეიცვლება, თუ ახალი ხელისუფლება ძალიან უხეშ შეცდომებს არ დაუშვებს.**

ბევრ კომენტატორს გაუკვირდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა დავით ბაქრაძემ ამდენი ხმის მოპოვება მოახერხა მას შემდეგ, რაც ინფორმაცია სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივი პრაქტიკის შესახებ საყოველთაოდ ცნობილი გახდა. მაგრამ, ალბათ, **ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამომრჩეველთა ზოგადი პასიურობის ფონზე** (საარჩევნო უბნებზე მხოლოდ 46,6% მივიდა), **„ნაციონალებმა“ საკუთარი მხარდამჭერების ტოტალური მობილიზება მოახდინეს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ „ოქტომბიდან- ოქტომბრამდე“ მათ ხელთ რჩებოდა მძლავრი პროპაგანდისტული საშუალებები, ძალიან სერიოზული პოზიციები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაში, ფინანსები და ა. შ.** ეს რესურსები უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო პარტიის ლიდერებს, 2003-12 წლებში ნამოქმედართან დაკავშირებით, მართლმსაჯულებასთან, სავარაუდოდ, არაერთი პრობლემა შეექმნებათ. **მაქსიმუმი, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ამ სიტუაციაში მოახერხებს, „მთავარი ოპოზიციური ძალის“ სტატუსის ჩაბღაუჭებაა და გადაქცევა ისეთი ტიპის პოლიტიკურ ძალად, როგორიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ქრისტიან-დემოკრატიული პარტია იყო.**

ამასთან ერთად, ალბათ, უნდა ჩავთვალოთ, რომ რევანშის და ხელისუფლებაში სწრაფად დაბრუნების საკითხი დღის წესრიგიდან საბოლოოდ მოიხსნა, ხოლო ყოფილი მმართველი პარტიის დასუსტება და დაკნინება, სავარაუდოდ (ნელა, მაგრამ გაუნუხრელად), გაგრძელდება. **რაც შეეხება „მთავარი ოპოზიციური ძალის“ მეტწილად წარმოსახვით სტატუსს, მის მოპოვებას კვალვინდებურად შეუშლის ხელს საზოგადოების დიდი ნაწილის უარი, „ნაციონალური მოძრაობა“ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალად აღიაროს, ყველა იმ უბედურების გათვალისწინებით, რომლებიც მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მოხდა.** ბაქრაძის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა ამ მხრივ არაფერს წყვეტს. რა თქმა უნდა, ბევრ ძველ ოპოზიციონერს არ მოსწონს, რომ „საქართველოს დენაციფიკაციის პროცესი“ უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მათ წარმოედგინათ, მაგრამ ის, რაც დღეს გვაქვს, ნებისმიერ შემთხვევაში, ჯობია ლინჩის წესით გასამართლებას; ამასთანავე, ამ ადამიანებს მიეცათ სერიოზული იმპულსი იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ ბრძოლა გაააქტიურონ.

სიტყვამ მოიტანა და 90-იანების დასაწყისში, რაღაც მომენტში „მთავარი ოპოზიციური ძალა“ საქართველოში კომუნისტური პარტია იყო. სად არის ის დღეს? ჰქონდა თუ არა ამ სტატუსის შენარჩუნების შანსი?

**ნინო ბურჯანაძემ უფრო მოკრძალებული შედეგი აჩვენა, ვიდრე კომენტატორების დიდი ნაწილი მოელოდა. ზოგიერთმა ამომრჩეველმა, რომელიც რაღაც მომენტში დაფიქრდა იმაზე, რომ ხმა მისთვის მიეცა, ვერ დაძლია უნდობლობა ბურჯანაძის მიმართ, რომელიც მისი პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარეობს; ზოგიერთმა კი, ორჭოფობის მიუხედავად, გადაწყვიტა, ივანიშვილის წინააღმდეგ არ წასულიყო და მარგველაშვილი შემოხაზა ან, უბრალოდ, სახლში დარჩა. ბურჯანაძე ინარჩუნებს შესაძლებლობას პოლიტიკურ პროცესებზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინოს — მან რადიკალურად განწყობილი ამომრჩევლების გარკვეული ნაწილის კონსოლიდირება მოახერხა, ხოლო ათი რადიკალი ზოგიერთ სიტუაციაში გაცილებით ღირებული რესურსია ვიდრე ორმოცდაათი სტაბილურობაზე მეოცნებე ბიურგერი.** ძნელი სათქმელია, შეძლებს თუ არა ბურჯანაძე ამ რესურსის სათანადოდ გამოყენებას. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ შეასრულებს ხელისუფლება „კოჰაბიტაციის დასრულების“ დაპირებას, ამასთანავე, მას მოუწევს, სიცოცხლისუნარიანი იდეის პოვნა (ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება თუ სხვა), რომელიც მის მიერ მობილიზებული მხარდამჭერებისთვის ერთგვარი დროშის როლს შეასრულებს. არის კიდევ ერთი ფაქტორი — **ბურჯანაძის „ნიშას“ ქართულ პოლიტიკაში სერიოზული საფრთხე შეექმნება, თუ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმას, მაგალითად, ლევან ვასაძე** (ან მსგავსი კალიბრისა და შეხედულებების სხვა ფიგურა) **გადაწყვეტს, რაც შეიძლება ადგილობრივი არჩევნების წინ მოხდეს, იმ პირობებში, როდესაც ივანიშვილის გადადგომის შემდეგ ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსებს რეიტინგთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, გარანტირებულად საგრძნობი პრობლემები შეექმნებათ.**

**27 ოქტომბრის ერთ-ერთი მთავარი შედეგი არჩევნების ჩატარების ახალი სტანდარტის დამკვიდრებაა, რომელიც არსებითად განსხვავდება ბოლო წლების სამარცხვინო პრაქტიკისგან და დემოკრატიული ქვეყნების რეალიებთან მნიშვნელოვნად მიგვაახლოვა.** ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როდესაც ყველამ, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ხელისუფლებას მადლობა უნდა ვუთხრათ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ წინა წლების საარჩევნო კოშმარი არც ადგილობრივ არჩევნებზე და არც არასოდეს აღარ განმეორდეს.

ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებებმა საქართველოს პრეზიდენტი საპატიო ნოტარიუსად გადააქცია. მართალია, მათი დამტკიცების პერიოდში ვენეციის კომისიამ სავსებით არგუმენტირებულად მიუთითა, რომ, ამის მიუხედავად, პრეზიდენტს მაინც შეეძლება სერიოზული კრიზისი შექმნას (და ამ პრობლემის მოგვარებისთვის შეიძლება კონსტიტუციაში ახალი ცვლილებების შეტანა დაგვჭირდეს), მაგრამ მარგველაშვილის შემთხვევაში ეს შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ თეორიულია; **„პლასტილინის პრეზიდენტი“, ბიძინა ივანიშვილის ნების წინააღმდეგ არანაირ გამწვავებაზე არ წავა, ამისთვის არც შესაბამისი რესურსი და, სავარაუდოდ, არც ამბიცია აქვს.**

მიუხედავად იმისა, რომ ახლო მომავალში ჩვენ არაერთი მწვავე დისკუსიის მოწმე გავხდებით, პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში, დიდი ალბათობით, ნელ-ნელა კალაპოტში ჩადგება, ქვეყანა თანდათან დამშვიდდება. **საბოლოოდ გარკვეულია, თუ ვინ აკონტროლებს ხელისუფლებას, თავისი პრეზიდენტით, საპარლამენტო უმრავლესობით და ახალი პრემიერმინისტრით, რომლის ვინაობას ამ კვირაში გავიგებთ. სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხე აღარ არსებობს და ხელშესახებ პერსპექტივაში მწავე კრიზისის შესაძლებლობაზე არაფერი მიუთითებს.** ცხადია, საუბარი, რომ საქართველოში „გასაოცარი დემოკრატია“ დამკვიდრდება, უადგილოა, მაგრამ ჩვენ, დიდი ალბათობით, მივიღებთ მეტ-ნაკლებად რაციონალურ რეჟიმს, რომელიც, ავტორიტარიზმის ნიშნების მიუხედავად, სავარაუდოდ, მოახერხებს როგორც სტაბილურობის უზრუნველყოფას, ისე მოქალაქეთა უფლებების დაცვის გარანტირებას; უკეთეს შემთხვევაში, აღმოსავლეთევროპული სტანდარტის შესაბამისად, უარესში — უკრაინული სტანდარტის შესაბამისად, ხოლო ის ექსცესები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს აზია-აფრიკის ველურ დიქტატურებთან აახლოვებდა, წარსულს ჩაბარდება. **თანდათან ჩაცხრება ისტერია, რომელიც მუდამ თან სდევდა ბოლო წლების პოლიტიკურ პროცესს, შეიცვლება პრიორიტეტები და ჩვენ გაცილებით მეტს ვისაუბრებთ ეკონომიკაზე, სხვადასხვა კონკრეტულ პრობლემაზე, რა სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ის, ვიდრე (ზოგადად) პოლიტიკაზე, უფრო სწორად იმ შოუსა და ბალაგანზე, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი დღემდე პოლიტიკად აღიქვამს.** რა თქმა უნდა, ეს არ იქნება სრული იდილია, თუმცა **წინა წლებთან შედარებით, ცხოვრება საქართველოში, ფსიქოლოგიური** (და იმედია, მატერიალური) **თვალსაზრისით, სავარაუდოდ, გაცილებით მშვიდი და კომფორტული გახდება.**

მაგრამ, **მიუხედავად იმისა, რომ დესტაბილიზაციის გამომწვევი შიდა ფაქტორების გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდება, საქართველოს შეიძლება არაერთი პრობლემა შეექმნას უცხო ქვეყნების გავლენისა და ინტერესების შეჯახების გამო.** გეოპოლიტიკური მიწისძვრა მსოფლიოსა და რეგიონში კვლავინდებურად გრძელდება — სწრაფად იცვლება თურქეთი და მისი საგარეო პოლიტიკა, იზრდება რუსეთის ევრაზიული ამბიციები და, ალბათ, არც ისაა გამორიცხული, რომ შეერთებულ შტატებში ხელისუფლებაში ისეთი ჯგუფი მოვიდეს, რომელიც, უმცროსი ბუშის ადმინისტრაციის მსგავსად, აქტიურად ჩაერევა საქართველოს საშინაო საქმეებში. თბილისში კი ყოველთვის მოიძებნებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ხელს აბსოლუტურად ყველაფერზე მოაწერენ, რათა უცხო ქვეყნების დახმარებით ხელისუფლებაში მოვიდნენ.

**მოსკოვს არ მოსწონს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ევროინტეგრაციული მისწრაფებები** (ასოცირების ხელშეკრულება და ა. შ.), **საქართველოს პოზიცია ნატოსთან დაკავშირებით და არც ისაა გამორიცხული, რომ ახლო მომავალში მან საქართველოზე ზეწოლა გააძლიეროს, მაგალითად, კვლავ დაააწესოს შეზღუდვები ჩვენი პროდუქციითვის, თუმცა სამხედრო დაპირისპირების ალბათობა დღეს გაცილებით მცირეა, ვიდრე სააკაშვილის მმართველობის წლებში; აქამდე საქმე, სავარაუდოდ, არ მივა. უფრო საშიშია აჭარაში** (და სხვა პრობლემურ რეგიონებში) **ქართველებსა და თურქებს, ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის დაპირისპირების პროვოცირება, რის გაკეთებაც, იდეაში, შეიძლება ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სცადონ.** კოჰაბიტაციის პერიოდში არაერთმა ექსპერტმა მიანიშნა, რომ მთელი რიგი მსგავსი (და, მადლობა ღმერთს, ლოკალური) ინციდენტების უკან სწორედ ისინი იდგნენ. მასშტაბურ დაპირისპირებას ამ ნიადაგზე შეიძლება თურქეთის მკვეთრი რეაქცია და უმძიმესი შედეგები მოჰყვეს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ მაქსიმალური სიფრთხილე და ადეკვატურობა უნდა გამოავლინოს; **საფრთხე, შესაძლოა, გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს ნაღმი სააკაშვილმა დაგვიტოვა, რომელიც ბოლო დღეებში თურქეთის ათასობით მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობას ანიჭებს და მისი აფეთქება შეიძლება თავადვე სცადოს.**

რაც შეეხება ჩრდილოეთის მიმართულებას, **გიორგი მარგველაშვილი და მთელი ხელისუფლება ძალიან კარგად უნდა მოემზადოს რუსებთან დიალოგის ახალი** (სააკაშვილის გარეშე) **ეტაპისთვის. ეს, ალბათ, ყველაზე სერიოზული ამოცანაა, რომელიც მათ წინაშე დგას.** ისე, საინტერესო კია, როდის და რა წინადადებებით აპირებს ჩვენი ახალი პრეზიდენტი მოსკოვში ჩასვლას.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკური ელიტა უნდა გაჯანსაღდეს, გაიწმინდოს, მოხდეს როტაცია, რომლის შემდეგ მის რიგებში დღევანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ საუკეთესონი დარჩებიან და საპარლამენტო არჩევნების გადაუდებელი ჩატარება ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. მარტივად რომ ვთქვათ, ვადამდელი არჩევნების იდეა სავსებით ლეგიტიმურია, მაგრამ, ალბათ, დღესვე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არჩევნები პანაცეა ვერ გახდება...**

# როდის დაისჯებიან არჩევნების გამყალბებლები?

**27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულ გარემოში, ახლო წარსულის ყველა არჩევნებთან შედარებით, სანიმუშოდ ჩატარდა. შეუძლია თუ არა საზოგადოებას დამშვიდდეს და ჩათვალოს, რომ არჩევნების გაყალბების პრობლემა საქართველოში დღის წესრიგიდან სამუდამოდ მოიხსნა? ზრდის თუ არა 2008 ან 2012 წლების გამყალბებელთა დაუსჯელობა იმის საფრთხეს, რომ ოდესმე ხელისუფლებას (არსებულს თუ მომავალს) არჩევნების გაყალბებაზე ხელი წაუცდება? ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, 27 ოქტომბერს ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა, მაგრამ ჯერჯერობით, ალბათ, ნაადრევია საუბარი იმაზე, რომ პრობლემა დღის წესრიგიდან საერთოდ მოიხსნა.**



## ერთიანი ნაციონალური მკვდარი სულები

25 ოქტომბერს შსს-მ გაავრცელა განცხადება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის, თემურ პატარიძის, დაკავების შესახებ. შსს-ს პრესსამსახურის უფროსის — ნინო გიორგობიანის თქმით, „გამოძიებით დადგენილია, რომ თეიმურაზ პატარიძემ 2008-2012 წლებში ორგანიზება გაუკეთა უშუალო სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი ყალბი მოწმობების დამზადებას და უკანონო გამოყენებას, რათა ე. წ. საარჩევნო კარუსელის გზით მომხდარიყო ყველა დონის, მათ შორის, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ფალსიფიცირება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი კანდიდატების სასარგებლოდ. პატარიძის მითითებით, ყალბი პირადობის მოწმობების დასამზადებლად გამოიყენეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს შენობა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, ხოლო ე. წ. „საარჩევნო კარუსელის“ მონაწილეები შერჩეულნი იყვნენ საკუთრივ დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის... ერთ თანამშრომელზე დამზადებული იყო რამდენიმე ყალბი პირადობის მოწმობა, რომელთა გამოყენებით, აღნიშნული პოლიციელები სხვადასხვა საარჩევნო უბანზე სხვადასხვა ამომრჩევლის მაგივრად აძლევდნენ ხმას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მათ კანდიდატებს“. როგორც ნინო გიორგობიანმა განაცხადა, „საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ზუგდიდიდან და ბათუმიდან ამოღებულია არჩევნებზე გამოყენებული დაახლოებით რამდენიმე ათასი ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მათ დასამზადებლად საჭირო ბეჭდები, შტამპები და სხვა ტექნიკური საშუალებები“ (ინტერპრესნიუსი).

ვიდრე სასამართლო განაჩენს არ გამოიტანს, ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვამტკიცოთ, რომ პატარიძემ ყოველივე ჩამოთვლილი მართლაც ჩაიდინა, თუმცა **ის, რომ სააკაშვილის რეჟიმი არჩევნების გაყალბებისთვის (მათ შორის) პირადობის ყალბ მოწმობებს იყენებდა, საიდუმლო არავისთვის არაა; ამის შესახებ ბოლო წლებში არაერთი, სავსებით კონკრეტული სამხილით გამყარებული განცხადება გაკეთდა. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის პარტნიორები დასავლეთში განაგრძობდნენ იმის მტკიცებას, რომ მისი რეჟიმი დემოკრატიის შუქურას (თუ ბაზქურას) წარმოადგენს და ის კვლავინდებურად იყენებდა სახელმწიფო რესურსებს ამ აღვირახსნილი პრაქტიკისთვის, რომელსაც ყველაზე ჩამორჩენილი დიქტატურები თუ მიმართავდნენ.** თუმცა ყოველივე ეს წარსულშია და ქართული საზოგადოების წინაშე გაცილებით სერიოზული ამოცანა დგას, ვიდრე სააკაშვილისა და მისი პარტნიორების კეთილსინდისიერების (ან უსინდისობის) შეფასება — მან უნდა დაადგინოს, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მსგავსი რამ მომავალში არ განმეორდეს.

საზოგადოების უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ პირადობის ყალბი მოწმობების გარდა, **სააკაშვილის რეჟიმი გაყალბების არაერთ სხვა საშუალებას იყენებდა და პროცესში ძალოვანი უწყებების თანამშრომლების გარდა, ჩართულნი იყვნენ როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების უკლებრივ ყველა რგოლის წარმომადგენლები** და ამაზე არაერთი ფაქტი მიუთითებს. ახალი ხელისუფლება ძალიან რთული არჩევანის წინაშე დგას: თუ ის გადაწყვეტს, არჩევნების გაყალბებისთვის არავინ დასაჯოს, კანონს უგულებელყოფს, რაც აბსოლუტურად მიუღებელია, მაგრამ, თუ უკლებრივ ყველა გამყალბებლის დასჯის პრინციპს დაეყრდნობა, მას, სავარაუდოდ, ათასობით, თუ არა ათიათასობით, მოქალაქის სისხლისსამართლებრივი დევნა მოუწევს. საინტერესოა, სად გადის ამ შემთხვევაში ზღვარი გონივრულობასა და სამართლიანობას შორის?

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ **არჩევნების გაყალბებას რეჟიმის სხვა დანაშაულებებისგან ერთი ნიუანსი განასხვავებს. თუ სათვალავში ზონდერების წინასაარჩევნო სადამსჯელო აქციებს არ ჩავაგდებთ, თითოეული თანამონაწილის დანაშაული შედარებით მცირე ჩანს, ის არ მოიცავს ისეთ ამაზრზენ აქტებს, როგორიცაა ადამიანის წამება ან მკვლელობა** (როგორც ეს, მაგალითად, ციხეებში „სიკვდილის კონვეიერის“ მუშაობის პროცესში ხდებოდა). არჩევნების გაყალბების უმძიმესი დანაშაული, როგორც შენობა აგურებისგან, უამრავი, ერთი შეხედვით, მცირე, ნაკლებად რეზონანსული დანაშაულისგან შედგება და ეს, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ საზოგადოება გამყალბებლების დასჯას ისე აქტიურად არ მოითხოვს, როგორც, მაგალითად, ციხის ჯალათების ან იმ ზონდერების, რომელნიც სასტიკად უსწორდებოდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს. მაგრამ **ეს ფსიქოლოგიური ნიუანსი, დანაშაულს სულაც არ ამსუბუქებს და კომენტატორების დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამყალბებელთა დასჯის პრეცედენტი არ შეიქმნება, მთელი ეს უბედურება ადრე თუ გვიან აუცილებლად განმეორდება.**

კუდის ყოფილი მაღალჩინოსნის, თემურ პატარიძის, დაპატიმრებით ხელისუფლებამ თითქოს აჩვენა, რომ ამ თემის დავიწყებას არ აპირებს, თუმცა მეორე მხრივ, ერთი დაკავება (2008-2012 წლების გაყალბებების კონტექსტში) მთელი წლის განმავლობაში ზოგს შეიძლება არასაკმარისად მოეჩვენოს და, ამასთანავე, ჩათვალოს, რომ გაყალბების ეპოპეის ზოგიერთი სხვა ეპიზოდი, რომ იტყვიან, ზედაპირზე დევს და მათ გამოძიებას ამდენი დრო არ სჭირდება. რა ლოგიკით ხელმძღვანელობდნენ ამ შემთხვევაში სამართალდამცავები და რა ფაქტორები იწვევს მათ გააქტიურებას? ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს, თუმცა მცირე პრელუდიამ, რომელიც წინ პატარიძის დაკავებას უძღოდა, შეიძლება გარკვეულ დასკვნებამდე მიგვიყვანოს.

## „მეც მაქვს ეს პრეტენზია“

17 ოქტომბერს პრემიერმინისტრის შეხვედრაზე ბეჭდური მედიისა და რადიოსადგურების რედაქტორებთან, „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი თოდუამ შემდეგი კითხვა დასვა: **„ბატონო ბიძინა, თქვენ დღესაც არაერთხელ გაუსვით ხაზი, რომ, როგორც 2008, ისე 2012 წლის არჩევნები, გაყალბების თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა მე ვერ მოვიძიე ფაქტები, რომ არჩევნების გამყალბებლებზე, ადამიანებზე, რომლებიც ქმნიდნენ ტოტალური გაყალბების სისტემას, მიმდინარეობდეს სისხლის სამართლებრივი დევნა. ხომ არ არის ეს დაუსჯელობის სინდრომის ერთგვარი წახალისება?“**

**„საჯაროდ გიერთდებით მეც და მეც მაქვს ეს პრეტენზია. მაგრამ ამის იქით მე პროკურატურას ვერ ვუკარნახებ. აი ეს არის ჩემი პოზიცია. მეც გიერთდებით, მეც მაქვს ეს განცდა. მაგრამ, მე რომ დავუძახო, ვთქვათ, აჩიკო კბილაშვილს და ვუთხრა, რომ, აბა, სასწრაფოდ დაიწყე გამოძიება ვიღაცებზე... გვარები, რომლებიც ჩვენ კარგად ვიცით, ძალიან „რასკრუჩენი“ გვარები რომ არის, უკაცრავად ესეთი ტერმინისთვის, არა. მეც მაქვს ეს განცდა და, თუ გნებავთ, საჯაროდაც განვაცხადებ და პროკურატურამაც გაიგოს“,** — უპასუხა „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის კითხვას ბიძინა ივანიშვილმა. ცხადია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამ ეპიზოდმა სამართალდამცავებისთვის ერთგვარი იმპულსის როლი შეასრულა და გააქტიურებისკენ უბიძგა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ **ახალი მთავრობის ჩამოყალიბებიდან ვიდრე დღემდე, ეს კითხვა პირველად დაისვა საჯაროდ ასეთ მაღალ დონეზე და პრემიერმინისტრმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა პოზიცია, რომელსაც შსს-მ და პროკურატურამ, როგორც მინიმუმი, ყურადღება მიაქციეს.**

საერთოდ, სახელმწიფო მანქანა საკმაოდ მოუქნელი რამ არის (მითუმეტეს დღევანდელ საქართველოში, რთულ გარდამავალ პერიოდში), საზოგადოებიდან წამოსული მუდმივი იმპულსების გარეშე ძალიან ნელა მუშაობს და თუნდაც მცირე წინაღობამ მისი მოქმედება შეიძლება რამდენიმე წლით შეაფერხოს ან, საერთოდ, შეაჩეროს. **დღეს ყოფილი ოპოზიციონერები ხშირად ჩივიან იმის გამო, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან ნელა, სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს, მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, რა გააკეთეს კონკრეტულად იმისთვის, რომ ის დაჩქარდეს და რეალური შედეგი მოიტანოს. არავინ აყენებს ეჭვქვეშ მათ დამსახურებას სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის საქმეში, თუმცა ამ კონტექსტში მთავარია არა ის, თუ რა გააკეთეს მათ ახლო წარსულში, არამედ ის, თუ რას აკეთებენ დღეს.**

სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ფართოდ გავრცელდა მცდარი მოსაზრება, რომ ხელისუფლების კონტროლი, სახელმწიფო მანქანის ეფექტურობის ამაღლება და სამოქალაქო აქტიურობა, ზოგადად, იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ვიღაც დონორი (სოროსი — წარსულში თუ ივანიშვილი — ახლო მომავალში) არასამთავრობო ორგანიზაციას გრანტს აძლევს. ეს ძალიან დიდი შეცდომაა, ასე არც 90-იანებში იყო, როდესაც საქართველოსკენ დასავლური ფონდებიდან პირველი გრანტები დაიძრა და არც მომავალში იქნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სამოქალაქო აქტივისტის ფაქტობრივი გათანაბრება დაქირავებულ მებრძოლთან ამორალურია. **ყველაფერი იწყება „უფასო“ აქტიურობით საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე და მხოლოდ შემდეგ ჩნდება** (ან არ ჩნდება) **დონორი; სამოქალაქო აქტიურობა „გრანტიჭამიობა“ არ არის და ასეთად არ გადაიქცევა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროსტიტუირებული არასამთავრობო ორგანიზაცია საპირისპიროს დემონსტრირებას ახდენს.**

დღეს საქართველოში საკმარისზე მეტია ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანი, რომელთაც შეუძლიათ აიძულონ ხელისუფლება, ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტი გააუმჯობესოს, მაგრამ ისინი ხშირ შემთხვევაში ინერტულები არიან. ისინი არ ქმნიან არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფკავშირებს და პოლიტიკურ გაერთიანებებს, მათ შორის იმიტომ, რომ სააკაშვილის მმართველობის წლებში ძალიან ფართოდ დამკვიდრდა მართლაც რომ მეძავებისთვის დამახასიათებელი მერკანტილური მოსაზრება, რომ ყოველივე ამას (თან თავიდანვე) რეალური მატერიალური სარგებელი უნდა მოჰქონდეს. **ბევრ ქართველ ახალგაზრდას, უბრალოდ, არ მოუვა თავში, რომ სწავლის ან სამსახურის დასრულების შემდეგ 1-2 საათი შეიძლება სამოქალაქო აქტივობას** (უფრო ფართოდ, საერთო, საზოგადოებრივ საქმეს, „რესპუბლიკას“ ლათინურად თუ ვიტყვით) **დაუთმოს ისე, რომ ამისთვის გასამრჯელო არ მიიღოს. თუ ეს ვითარება არ შეიცვლება, იმპულსები „ქვემოდან“ ძალიან სუსტი იქნება, ხელისუფლება კი „თავისით“ გაცილებით ცოტას გააკეთებს** (თუ გააკეთებს საერთოდ). მოსახლეობას, ერთის მხრივ, აწუხებს არსებული სიტუაცია, მაგრამ მისი გამოსწორების რეცეპტების ძიებისას მარტივი და რადიკალური გადაწყვეტილებებისკენ იხრება, რომელთაც, როგორც წესი, არანაირი პოზიტიური შედეგის მოტანა არ შეუძლია და, ალბათ, საინტერესო იქნება ამ თემის განხილვა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეასთან კავშირში, რომელიც ასე თუ ისე გამომდინარეობს არჩევნების გაყალბებიდან, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ.

## არჩევნები პანაცეა არ არის

**პრაქტიკულად არავინ აყენებს ეჭვქვეშ იმ ფაქტს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ფორს-მაჟორულ, მარტივად რომ ვთქვათ, არანორმალურ ვითარებაში, ამომრჩევლებზე უპრეცედენტო ზეწოლის პირობებში ჩატარდა, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირად არ ეკუთვნის ადგილების ის რაოდენობა პარლამენტში, რომელიც დღეს აქვს. ასეთ სიტუაციაში ვადამდელი არჩევნების ჩატარება სავსებით ბუნებრივი და სამართლიანი ჩანს. მაგრამ რამდენად მზად არის საზოგადოება ასეთი არჩევნებისთვის და ხომ არ დარჩება ის იმედგაცრუებული მისი შედეგით?**

ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივია — გავყრით პარლამენტიდან ცუდ პოლიტიკოსებს და უკეთესს ავირჩევთ. მაგრამ კითხვას **„ვინ არიან ეს უკეთესი პოლიტიკოსები?“**, როგორც წესი, ხანგრძლივი პაუზა ▶

**„ნაციონალურ მოძრაობასთან“ ღრმა კოაბიტაციაში შესული „ქართული ოცნება“ რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ვერ შეძლებს, აქედან გამომდინარე, ვერც საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებას და, რაც მთავარია, ვერც იმ გზის პოვნას შეძლებს, რომელიც ჩიხში მოქცეულ ქვეყანას მდგომარეობიდან გამოიყვანს.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და საკმაოდ მძიმე დუმილი მოსდევს. გასაკვირი ამაში არაფერია, **„ეს პოლიტიკოსები“, ისევე, როგორც „ის პოლიტიკოსები“ ერთი და იგივე დეგრადირებული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები არიან, რომელიც საქართველოს განვითარებას აფერხებს და დროის მოთხოვნებს, დიდი ხანია, არ შეესაბამება.** ზოგიერთი მათგანი შეიძლება ფარდობითად პატიოსანი იყოს და (არსებითად ფაშისტურ) კაცთმოძულე რეჟიმს მხარი არ დაუჭიროს, როგორც ეს ახლო წარსულში „ნაციონალებმა“ გააკეთეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას, თანაპარტიელებთან ერთად, შეუძლია საქართველო უკეთესი მომავლისკენ წაიყვანოს, რადგან პოლიტიკური უნარ-ჩვევები და პრინციპები ნებისმიერ შემთხვევაში არაჯანსაღ, დემოკრატიის შეუსაბამო გარემოში შეიძინა, რომლის ფუნდამენტს გვიანდელი კომკავშირული ელიტის და აშკარა ბანდიტების მტაცებლური ინსტინქტები წარმოადგენს. ამ ნიადაგზე აღმოცენდა არჩევნების გაყალბებაც, პატიმრების წამებაც, საკუთარი მოსახლეობის ძარცვაც და უამრავი მსგავსი რამ. ისევ ეს ხალხი ავირჩიოთ?

**პოლიტიკური ელიტა უნდა გაჯანსაღდეს, გაიწმინდოს, მოხდეს როტაცია, რომლის შემდეგ მის რიგებში დღევანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ საუკეთესონი დარჩებიან და საპარლამენტო არჩევნების გადაუდებელი ჩატარება ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს.** მარტივად რომ ვთქვათ, **ვადამდელი არჩევნების იდეა სავსებით ლეგიტიმურია, მაგრამ, ალბათ, დღესვე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არჩევნები პანაცეა ვერ გახდება, რათა მათ გარკვეული დროის შემდეგ დიდი იმედგაცრუება და ახალი რადიკალური რეცეპტის ძიება არ მოჰყვეს.**

ალბათ, **გაცილებით გონივრულია კონცენტრაცია ხელისუფლების კონტროლზე, „ნიღბების ჩამოხსნაზე“, ელიტის წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენაზე, რათა საქართველოში საზოგადოების და პოლიტიკოსების ურთიერთობის ახალი, განსხვავებული სტანდარტი დამკვიდრდეს და პოლიტიკური ელიტის გაჯანსაღების პროცესი დაიწყოს.** წინააღმდეგ შემთხვევაში „წრეზე სიარული“, რომელსაც ასე ხშირად ვახსენებთ, ისევ გაგრძელდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ჩამორჩენა წამყვანი ქვეყნებისგან (იგულისხმება პრაქტიკულად ყველა ასპექტი) კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო 20-30 წლით ჩამორჩენა XXI საუკუნეში იგივეა, რაც 2-3 საუკუნით ჩამორჩენა ძველ დროში.

**ახლა, ალბათ, სწორედ ის ეტაპია, როდესაც ქართულმა საზოგადოებამ საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ის გაცილებით ჭკვიანი და პასუხისმგებელია, ვიდრე ქართული პოლიტიკური ელიტა და, შესაბამისად, უკეთეს ელიტას და ცხოვრებას იმსახურებს.**

**დიმიტრი მონიავა**

# WELCOME ციხის ბიბლიოთეკაში

**არჩევნებმა ჩაიარა, რომლის შედეგების მიმართ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, ისევე, როგორც მე, თქვენი მონამორჩილი ვერ გავრკვეულვარ — ვიცინო თუ ვიტირო, რადგან, ერთის მხრივ, „ბიძინამ იცის“ — ეს პარადიგმა ერთობ სიცოცხლისუნარიანია განსაკუთრებით ე. წ. შემოქმედებით ინტელიგენციაში, საფუძვლიანი ანალიზისთვის კი, ალბათ, დროა საჭირო და ვნახოთ...**




მანამდე კი ერთი რამის თქმა უეჭველად შეიძლება: გასული არჩევნები, ალბათ, ერთადერთი არჩევნებია მსოფლიო ისტორიაში, როდესაც საზოგადოებას ის უფრო მეტად აინტერესებდა, თუ ვინ გავიდოდა მეორე ადგილზე და ამ მხრივ მოლოდინი გამართლდა — **„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე შედეგი ყოველგვარი დაძაბვის გარეშე „დადო“, რითაც ერთადერთი და განუმეორებელი, მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი დაიმკვიდრა ევროპა-ამერიკის გარკვეულ გავლენიან წრეებში და ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, გაყალბებით მოხდა ეს თუ რეალურადაა ასე, მაგრამ ამაზე სხვა დროს, მანამდე კი...**

ერთადერთი ხელშესახები და უეჭველი პოზიტიური შედეგი იმისა, რომ მეორე ტური არ შედგა, ის არის, რომ ყბადაღებულ ვილნიუსის სამიტზე მიშა სააკაშვილი ვეღარ გაემგზავრება! ანუ, როგორც იქნა, „ბებია ელპიტე გარდაიცვალა“, რომლის დაკრძალვაც 17 ნოემბერს შედგება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის საზეიმო ვითარებაში...

ალბათ, მიმიხვდით ალეგორიას, ჩვენი ჭრიჭინას „ბებია ელპიტე“ ხომ საქართველოს ჯერ კიდევ პრეზიდენტადწოდებული მიშა სააკაშვილია, ხოლო „როგორც იქნა“ იმიტომ, რომ შარშანდელი 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ „ლოგინადჩავარდნილი“ მიშიკო „მაოხარ გზირად“ გვექცა ქართველებს და ამიტომაც ვნატრობდით მის „გარდაცვალებას“ და აჰა!

მაგრამ არა, არჩევნების მეორე დღეს გამობრძანდა ეს პოლიტიკური გვამი პირდაპირ ეთერში და „გულაჩუყებულმა“, უკანასკნელად მოგმართავთ პრეზიდენტის სასახლიდან, ჩემო საყვარელო საქართველნოვო, და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...

როგორი პრეზიდენტიც გვყავდა, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება, მაგრამ თურმე რამხელა არტისტი, მსახიობი ტოვებს პოლიტიკურ ავანსცენას, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი.

აქ აღარ მოვყვები ამ უტიფარი კაცის ნახევარსაათიანი ლაქლაქის დეტალურ განხილვას. ვისაც გსურთ, შეგიძლიათ „გადაახვიოთ“ და ახალს ვერაფერს ნახავთ — ძველებურად ქოსატყუილა, „აღმშენებელი“, ერთი სიტყვით, ბაქი-ბუქა მიშა, რომელსაც ერთი სიმართლე მაინც წამოსცდა — „მე დასვენება არ მინდა, მაგრამ მოვიდა დრო, რომ თქვენ დაისვენოთ ჩემგან“...

მართლაც, დროა კი არა, რაღა დროს მიშაა, ხალხნო?! მაგის „სიყვარულის ახსნისა“ ვინმეს გჯერათ? ვუყურებდი ამ სისხლისმსმელ მტარვალს და დიდი ილიას ნათქვამის პერიფრაზი მიტრიალებდა თავში — ღმერთმა ხომ იცის, მაგ „სიყვარულში“ რაოდენი სიძულვილია? რადგან ვერ გავუგეთ, ვერ დავაფასეთ ქართველებმა მიშას მესიანობის გენია, რეფორმატორ-აღმშენებლობა, ამიტომ, სიყვარული კი არა, ისე ვძულვართ, ისე არ უნდა დასვენება, რომ შეეძლოს, წასვლის წინ მთელ საქართველოს გადაბუგავდა ეს მამა აბრამის ბატკნად ქცეული „შაკალი“. ამიტომ „ცავატანემ“ წადი, წაშავდი, შენი „დამტირებლის“ ოხერი დედაც ვატირე!!!

**ვამაყობ, რომ ვტოვებ „მიშასდროინდელ“ (ზუსტად ასე თქვა. — დ.მ.) ახალგაზრდობასო — ამაზე მეტი ნარცისიზმი გაგონილა?**

**თუმცა მართლა გვიტოვებს მიშასდროინდელ პატრიოტთა ბანაკებში გამობრძმედილ ახალგაზრდობას — მათი ბელადივით უწიგნურ, უიდეალო, მხოლოდ ბუჩქებში მოშმაშურე, ანტირუსული ისტერიით შეპყრობილ ახალგაზრდობას!**

პრემიერის არ იყოს, მგონი, არც მიშა აპირებს შორს წასვლას და ჩვენ გვერდით დგომას უკვე საპრეზიდენტო ბიბლიოთეკიდან აპირებს — არა, მიშაჯან, არა! ცხონებული თენგიზ ჩანტლაძის ერთი სკეჩის პერიფრაზით — **შენ, მიშა! საპრეზიდენტო კი არა, კამერული ბიბლიოთეკის გამგეობა უფრო მოგიხდება და გვაქვს შენთვის ერთი კარგი კამერა გლდანის ციხეში და, თუ კოჰაბიტაცია მართლა დამთავრდება, მოგიწევთ შენ და შენს სადისტებს „ვირის აბანოს“ ხეხვა და იკითხეთ ციხის ბიბლიოთეკაში, იკითხეთ, იქნება გაიგოთ, რომ, როგორც მინიმუმ, გაუგებრობა იყო საქართველოში თქვენისთანა „ძონძების“ აღზევება!**

თუ როგორ ვუყვარვართ ქართველები, ახლაც გამოჩნდა — სააკაშვილი და უგულავა მორიგ საზღვარგარეთულ „პაეზტკაში“ არიან, ანუ, როგორც იტყვიან, „მკვდარზე — ვენოკი“! ჩვენი სიყვარულით ხომ ბოლო ცენტამდე უნდა აითვისონ მათზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები?

თანაც ვინ იცის, იქნებ ეს მიშიკოს და კიდევ უფრო „ჩვენის“, გიგი უგულავას ბოლო „გულაობაა“ ჩვენი ჯიბის ხარჯზე და თანაც ხანგრძლივი პატიმრობის წინ?

ჰოდა, იგულავეთ ბიჭებო, იგულავეთ...

**დავით მხეიძე**

# ურემი თუ გადაბრუნდა, გზა რატომ არ გამოჩნდა?

**ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. „ნაციონალური მოძრაობის“ ურემი თითქოს გადაბრუნდა, მათ ახლა აღარც პრეზიდენტი ჰყავთ, აღარც მთავრობა და აღარც საპარლამენტო უმრავლესობა, მაგრამ, სამწუხაროდ, გზა მაინც არ გამოჩნდა...**



საქმე ისაა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ხალხს რომ ეგონა, სააკაშვილის პოლიტიკური ურემი გადაბრუნდაო, არ გადაბრუნებულა. იმ ურემზე „ქართული ოცნებაც“ შემოჯდა და „ნაციონალური მოძრაობა“ ოდნავ შეავიწროვა. სულ ეს არის. სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა, ისინი ერთად განაგრძობენ სვლას ნატოსა და დასავლეთის ალთქმული ბედნიერებისკენ.

**„ქართული ოცნება“ გაიძახოდა, რომ კოაბიტაცია 27 ოქტომბრის არჩევნებით დასრულდებაო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ნამდვილი კოაბიტაცია ახლა იწყება. ისე გახარებული „ნაციონალები“, როგორიც 27 ოქტომბერს ეგზიტპოლების შედეგების გამოცხადების შემდეგ ვნახეთ, ორი წელიწადია, არ გვინახავს. მათ მთავარი ოპოზიციური ძალის მანდატი უბოძეს და ხელშეუხებლობის გარანტიაც მიართვეს.**

ქართულ პარლამენტში აშკარა დისბალანსია. **პარლამენტი უზურპირებულია პროდასავლური ძალის მიერ, რომელიც მოსაჩვენებლად არის გაყოფილი ორ ნაწილად — „ქართულ ოცნებად“ და „ნაციონალებად“. სინამდვილეში ისინი ერთნი არიან და მათ შორის არავითარი იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება არ არსებობს.** თუ არის დაპირისპირება, ის მხოლოდ პიროვნული შეუთავსებლობისა და ურთიერთსიძულვილის დონეს არ სცილდება, რის დაძლევასაც ისინი ხელისუფლებაში ყოფნის ხიბლისა და კარგი ცხოვრების ხათრით უთუოდ შეეცდებიან. ამიტომაც ვამბობ, ნამდვილი კოაბიტაცია ახლა დაიწყო-მეთქი. მათთან ერთად კოაბიტაციაში იმყოფებიან მედიასაშუალებათა მათ მიერვე უზურპირებული დიდი ნაწილი, რომელიც დაკავებულია მათი მონაწილეობით სხვადასხვა სახის შოუგადაცემის მოწყობით, სადაც ისინი ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ძალებად არიან წარმოჩენილნი და ამით დემოკრატიის ილუზიას ქმნიან.

მიუხედავად ამისა, **ქართველი ხალხი აშკარად გრძნობს** (მომავალში უფრო იგრძნობს), **რა მწარედ** (ეს უკვე მერამდენედ) **მოატყუეს და იგრძნობს იმ პოლიტიკურ დისბალანსსაც, რომელიც პარლამენტში არსებობს.** 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები (სამოცი პროცენტი მარგველაშვილს, ოცი პროცენტი ბაქრაძეს) ბაჯაღლო ჭეშმარიტებადაც რომ მივიჩნიოთ, **სად არის დანარჩენი ოცი პროცენტის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გამომხატველი ძალა? ან სად არის არჩევნებში არმისული ნახევარზე მეტი ელექტორატის პოლიტიკური ნების გამომხატველი ძალა? ან სად არის თუნდაც ნინო ბურჯანაძისთვის ხმის მიმცემი ათი პროცენტის პოლიტიკური განწყობილების შესაბამისი ძალა? ვინ შეავსებს ამ ვაკუუმს? ვინ იტყვის მათ სათქმელს? ცხადია, არავინ!** ამიტომ ეს დისბალანსი უნდა გასწორდეს. ეს მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნით იქნება შესაძლებელი. დემოკრატია ამას ნიშნავს. დემოკრატიის თამაში არ არის დემოკრატია. დემოკრატიას „ნაციონალური მოძრაობაც“ თამაშობდა, მაგრამ რა დემოკრატიაც გვქონდა, შესანიშნავად ვიცით. **„ქართული ოცნებისთვისაც“ დემოკრატია ის ფარსი თუა, რომელიც მხოლოდ უნდა ითამაშოს, ხალხი ამას ძალიან მალე მიხვდება და უკმაყოფილების მძლავრი ტალღაც არ დააყოვნებს.** ასეთ შემთხვევაში „ქართული ოცნებაც“ იმ ანტიდემოკრატიულ ძალად მოგვევლინება, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად ხელისუფლების უზურპაციას ახდენს.

**„ნაციონალურ მოძრაობასთან“ ღრმა კოაბიტაციაში შესული „ქართული ოცნება“ რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ვერ შეძლებს, აქედან გამომდინარე, ვერც საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებას და, რაც მთავარია, ვერც იმ გზის პოვნას შეძლებს, რომელიც ჩიხში მოქცეულ ქვეყანას მდგომარეობიდან გამოიყვანს.**

ისე ხდება, რომ ქართულ სინამდვილეში ანდაზებიც კი ყალბად გამოიყურებიან. ურემი თითქოს გადაბრუნდა, მაგრამ გზა, ჩვენდა სამწუხაროდ, არ გამოჩნდა!

**ვალერი კვარაცხელია**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მამაჩემს ხელები დამტვრეული ჰქონდა, მარცხენა ხელის ოთხივე თითიც და როდის იყო დენი თითებს ამტვრევდა?! ალბათ, რომელი ხელითაც დაარტყა ვინმეს თავდაცვის დროს, სწორედ იმ ხელი დაუმტვრიეს. ვიმეორებ, მამა სასტიკად იყო ნაცემი, ზურგზე ნატყვიარიც ჰქონდა, რეზინის ტყვიები კვალად აჩნდა, ზელიონკა ჰქონდა ზედ წასმული. კვინტრაძე არ იყო ისეთი ნაცემი, როგორც მამაჩემი.“

# 26 მაისს დაღუპული სულიკო ასათიანის საქმის დღემდე უცნობი დეტალები

ორ წელზე მეტი გავიდა 26 მაისის სისხლიანი ღამიდან, თუმცა დღემდე არ არის გამოძიებული ამ ტრაგედიის დეტალები. ღარიბაშვილისა და კბილაშვილის უწყებები ყურებამდე ჩაფლულნი არიან კოაბიტაციის პროცესში და სულაც არ აპირებენ ძველი „შარების“ გახსენებას. რა თქმა უნდა, არც ისაა გამოძიებული, 26 მაისის აქციის დარბევის ღამეს თავისუფლების მოედანზე მდებარე მაღაზიის თავზე ნაპოვნი გარდაცვლილები დენის მაღალი ძაბვის სადენებს ემსხვერპლნენ თუ მოკლეს. „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა 26 მაისს გარდაცვლილი სულიკო ასათიანის შვილი — პაატა ასათიანი.



### რატომ დააწინაურა ღარიბაშვილმა 26 მაისს დაღუპული სულიკო ასათიანის ოჯახთან გარიგებისთვის მისული უშიშროების მაღალჩინოსანი?!



**პაატა ასათიანი:**

### უშიშროების მაღალჩინოსანმა ვარდოსანიძემ ჩემთან აღიარა, რომ მამაჩემი დენის მაღალი ძაბვის სადენს არ უმსხვერპლია

**— თქვენი აზრით, რატომ ჭიანურდება გამოძიება მამათქვენის დაღუპვასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც ძველი პოლიტიკური მოტივები მოისპო?! თუ ახალ მთავრობასა და შს მინისტრს არ გასჩენია იმის სურვილი, რომ რეალურად შეისწავლოს 26 მაისის საკითხი?**

— რა გითხრათ, თქვენც ხედავთ, რომ გამოძიება მიმდინარეობს – ვანო მერაბიშვილს დაუმტკიცდა ბრალდება, რომ 26 მაისს მოახდინა არა ხალხის დარბევა, არამედ დასჯა. სხვას ვერაფერს გეტყვით, გამომძიებელმა არ მითხრა, რა ეტაპზეა გამოძიება. **ვიცი, რომ დაკითხეს ის ადამიანები, რომლებიც დადიოდნენ ჩვენს ოჯახში და გვატერორებდნენ, ვგულისხმობ უშიშროების თანამშრომლებს. განმეორებითი ექსპერტიზაც ჩატარდა, თუმცა რა დაადგინეს, არ უთქვამთ;** გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვახმაურებთო, ასე მითხრეს.

**— არ გეჩვენებათ, რომ ამ საქმის გამოძიება ერთ ადგილას არის გაყინული? მახსენდება დედათქვენის ფრაზა – ,,ივანიშვილმა რომ გაიმარჯვა, მეგონა, ჩემი მეუღლე გაცოცხლდაო“. გამოდის, ტყუილად გაგიხარდათ?**

— იცით, აშკარად დაინტერესებულნი არიან ამ საქმის გამოძიებით. დიახ, სურთ, გამოიძიონ, თუ რა მოხდა რეალურად 26 მაისს. საპარლამენტო არჩევნებამდე ბატონი ბიძინაც ბრძანდებოდა ჩვენთან, ოჯახში ბატონ დავით ლორთქიფანიძესთან ერთად და დაგვპირდა, რომ ამ საქმეს გამოიძიებდნენ. იმედი მაქვს, რომ გამოიძიებენ კიდეც. ალბათ, იმიტომ აჭიანურებდნენ, რომ არ უნდოდათ, ვილაც-ვილაცების დაკავება პოლიტიკურ დაჭერად ჩათვლოდათ. გარდა ამისა, აქამდე რომც გაესამართლებინათ მერაბიშვილი და ახალაია, სააკაშვილს უფლება ჰქონდა, შეეწყალებინა. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მოტივი. იმედია, ე. წ. კოაბიტაციის დასრულების შემდეგ მაინც გაირკვევა სიმართლე. მე მაშინ მარტოკაცმა ვერაფერი შევძელი; მოგეხსენებათ, პირველივე დღიდან უშიშროება ატერორებდა ჩემს ოჯახს.

**— დიახ, თქვენ აცხადებდით, რომ პაატა ლეჟავა იყო ამ საქმეში გარეული (ის კვლავ ნაცდეპუტატია); ხომ არ ნიშნავს ამ კაცის დეპუტატობა იმას, რომ „ნაცები“ სადეპუტატო იმუნიტეტით შეეცადნენ, მისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აეცილებინათ? ამ ეტაპზე გამოძიებამ ვერ დაადგინა, მამათქვენი მოკლეს თუ დენის მაღალი ძაბვის სადენებს ემსხვერპლა?**

— **პაატა ლეჟავა ვანის რაიონის უშიშროების მაღალჩინოსნებთან ერთად მოდიოდა ჩვენთან ოჯახში და გვირჩევდა, რომ გავჩუმებულიყავით. და თუ არ გავჩერდებოდით, პრობლემების შექმნით გვემუქრებოდა.** მამაჩემსაც აფრთხილებდნენ რაიონის ხელმძღვანელები, გაჩერდი თორემ პრობლემები შეგექმნებაო. მაშინ მამამ შეუთვალა, — ვერაფერს მიზამთო; მაგასაც ვნახავთო, — გადმოსცეს და რამდენიმე თვეში აქციაზე ასეთი რამ მოხდა... **მამას დენმა არ დაარტყა, ის სასტიკად იყო ნაცემი. ჰოდა, ალბათ, იმავეს მიპირებდნენ მეც... გაჩუმების შემთხვევაში კი ფინანსურ დახმარებას მპირდებოდნენ.** დედაჩემი ეუბნებოდა უშიშროების მაღალჩინოსნებს, — თუ მართლები ხართ, ჩავატაროთ ექსპერტიზა, რატომ გვაჩუმებთო. ექსპერტიზის პასუხიც არ უცნობებიათ ჩვენთვის, იქ რა წერია, ახლაც არ ვიცით. ზემოთ როგორც გითხარით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ახმაურებენ, ასე ხსნიან ყოველ შემთხვევაში. რამდენიმე თვის წინ მივედი გამომძიებელთან და არაფერი მითხრა, თავად დაგიკავშირდებიო, მალე მერაბიშვილის სასამართლო იქნება და სასამართლოზე მოყევი, რაც იყოო. ვიმეორებ, რა ეტაპზეა გამოძიება და რა დაადგინეს, სამწუხაროდ, არ მეუბნებიან.

**— ლეჟავა რამდენიმეჯერ დაგემუქრათ და გაშინებდათ, რომ შეგეწყვიტათ ამ საკითხის გამოძიება, მასთან ერთად ამ საქმით დაინტერესებული მაშინდელი უშიშროების მაღალჩინოსანი, მალხაზ ვარდოსანიძე, კი ახალმა შს მინისტრმა ცოტა ხნის წინ იმერეთის უშიშროების უფროსად დანიშნა, ამაზე რას იტყვით?**

— დიახ, ასეა. არ ვიცი, რატომ დააწინაურეს ვარდოსანიძე, შეიძლება ითანამშრომლა გამოძიებასთან და იმიტომ.

**— შეიძლება ითანამშრომლო გამოძიებასთან და პატიმრობას თავი დააღწიო, მაგრამ დაწინაურება?**

— ისე, **ვარდოსანიძემ ჩემთან აღიარა, რომ მამაჩემი დენის მაღალი ძაბვის სადენს არ უმსხვერპლია. ამ ვერსიის გავრცელებას მეც ზევიდან მავალებდნენო, ასე მითხრა. მამაშენი შეტაკების დროს დაიღუპაო, ასე მითხრა პირად საუბარში.** ვფიქრობ, ითანამშრომლა გამოძიებასთან, აბა, ტყუილად ხომ არ დააწინაურებდნენ?! მის გარდა აქტიურობდა ალეკო ჯოგლიძეც, ვანის უშიშროების მაღალჩინოსანი; ახლა გათავისუფლებულია სამსახურიდან.

**— გამოდის, ჯერ დახოცეს, შემდეგ გადამალეს სახურავზე, ხოლო მეორე დღეს აღმოაჩინეს... ის სამართალდამცავები, რომლებმაც მიცვალებულები ვითომ აღმოაჩინეს სახლის სახურავზე, წინა დღეს დარბევაშიც მონაწილეობდნენ. უნდა დაისაჯონ თუ არა ისინი?**

— რა თქმა უნდა, ვინც მიიღო მცირედი მონაწილეობაც კი ამ საქმეში, ყველა, თავის დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, უნდა დაისაჯოს. სხვათა შორის, ეს პოლიციელებიც ისეთივე მკვლელები არიან, როგორც თავად ის ადამიანი, რომელმაც მამაჩემი მოკლა. როგორც ხედავთ, ჯერჯერობით არავინ დასჯილა და იმედი მაქვს, უკლებლივ ყველა დაისჯება. დიახ, როგორც ვიცი, იქ დილით აიყვანეს მიცვალებულები. **მამაჩემს ხელები დამტვრეული ჰქონდა, მარცხენა ხელის ოთხივე თითიც და როდის იყო დენი თითებს ამტვრევდა?! ალბათ, რომელი ხელითაც დაარტყა ვინმეს თავდაცვის დროს, სწორედ იმ ხელი დაუმტვრიეს. ვიმეორებ, მამა სასტიკად იყო ნაცემი, ზურგზე ნატყვიარიც ჰქონდა, რეზინის ტყვიები კვალად აჩნდა, ზელიონკა ჰქონდა ზედ წასმული. კვინტრაძე არ იყო ისეთი ნაცემი, როგორც მამაჩემი.**

**— ფაქტია, რომ დენს არ დაურტყამს, ისიც ფაქტია, რომ ცემით არის მოკლული... არსებობს სარწმუნო ინფორმაცია, რომ რამდენიმე ადამიანი წაიყვანეს იზოლატორში და ზოგი იქ მოკლეს ცემით, ზოგი კი შემოაკვდათ, მათ შორის მამათქვენი....**

— მეც ვფლობ ასეთ ინფორმაციას, თუმცა ვერაფერს ვამტკიცებ. მაგრამ ერთმა ახლობელმა ექიმმა გვითხრა, წამების კვალი ეტყობოდაო. წელს ზემოთ გაშავებული იყო და შეიძლება დაკიდულიც კი ჰყავდათო. ფეხებს ზემოთ სილურჯეები ჰქონდა და თავზე — სისხლჩაქცევები, ისეთი, რომ მხოლოდ დაკიდების შედეგად შეიძლება ჰქონდეს ადამიანსო.

**— და ნაცდეპუტატი ლეჟავა დაკითხეს?**

— არა! პოლიტიკურ ზეწოლად ჩაითვლება და ვერიდებით მის დაკითხვასო, — მითხრა გამომძიებელმა. ჩვენ ვიცით, როდის უნდა დავკითხოთო. მე მგონი, ახლა, არჩევნების შემდეგ უკვე დაიწყებენ გამოძიებას, ახლაც ხომ არ იტყვიან, პოლიტიკური ზეწოლააო. ეგრე არჩევნებს რა გამოლევს, სულ იქნება. ვიმეორებ: ალბათ, ახლა დაიწყებენ გამოძიებას. **მპირდებიან, რომ ობიექტურად გამოიძიებენ და ვნახოთ... მეც ეს მაინტერესებს, რომ ობიექტურად გამოიძიონ, თორემ ფული და სამსახური რომ მდომოდა, ამას „ნაციონალებიც“ მპირდებოდნენ და არც მალავენ ამას.**

**— ანუ გაქვთ იმედი, რომ ამ საქმის გამოძიება კოაბიტაციის დამთავრების შემდეგ (თუ დასრულდა და არ „გადაგვაგდო“ მარგველაშვილმა) დასრულდება? დამნაშავეები ყველასთვის ნაცნობია, მაგრამ არ იჭერენ... ისე, ლეჟავა 3 წელი დეპუტატი იქნება, იმედია, მაინც დაკითხავენ...**

— პოლიტიკურ ზეწოლად რომ არ ჩათვლოდათ, იმიტომ ერიდებოდნენ ლეჟავას დაკითხვას, ახლა უნდა დაკითხონ. აბა, 3 წელი ვერ დავიცდით, რა თქმა უნდა. ყველა დაკითხულია, ვარდოსანიძემ აღიარა ყველაფერი, მხოლოდ ლეჟავა დარჩა დასაკითხი. არჩევნების დასრულებას ელოდნენ და ახლა რამდენიმე თვეში, წესით, უნდა დასრულდეს გამოძიება.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„ჰააგის ტრიბუნალამდე მივიტანთ ამ საქმეს. ნება იბოძონ და მთელ საქართველოს აუხსნან, სად წავიდა ჩვენი ფული და რატომ არ იყო ომის დროს საბრძოლო ტექნიკა, სად წავიდა ომის შემდგომ სამხედრო ძალების ხელახალი აღჭურვისთვის გამოყოფილი თანხები და შესყიდული საბრძოლო იარაღი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჰაერივით სჭირდებოდა.“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სააკაშვილი და თემურ ალასანია ჰააგის სასამართლომ უნდა გაასამართლოს»

**„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველმა კარგად იცის, რომ საქართველო უკრაინისგან იარაღს ყიდულობდა. ერთი შეხედვით, თითქოს ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ჩვენი ყურადღება ერთმა მნიშვნელოვანმა დეტალმა მიიპყრო. უკრაინაში ქართველი სამხედროების მიერ კონსპირაციულად მოპოვებულ მასალებში აღნიშნულია, რომ უკრაინის სახელმწიფომ საბრძოლო მორიგეობიდან მოხსნა ტექნიკა და საქართველოს მიჰყიდა. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს უკრაინისთვის და მითუმეტეს, ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საბრძოლო ტექნიკა საქართველოში არ არის, ის მესამე ქვეყანაში გაიყიდა.**
**თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები, კერძოდ კი, გენერალი ტრისტან წითელაშვილი, თვლის, რომ მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი იარაღს ირანსა და სირიაში ყიდდა.**




ტრისტან წითელაშვილი:

## საქართველოდან იარაღი სირიაში ჩადიოდა... იარაღი კიდეც გადაპქონდათ და შესყიდვა-გაყიდვის ოპერაციებსაც ატარებდნენ

**ტრისტან წითელაშვილი:**

— იარაღს ქართული მხარე იმ ქვეყნებში ყიდდა, რომლებშიც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, მაგალითად, სირიაში. ამ ინფორმაციას ვარკვევთ. C- 200 საქართველომ უკრაინისგან შეიძინა, არის ასეთი ფირმა „უკრსპეცექსპორტი“, რომელსაც ოფშორში რეგისტრირებული ფირმა „ბელტრედინგი“ურიცხავდა თანხას, ამ უკანასკნელ ფირმაში კი თანხები საქართველოდან ირიცხებოდა. საბრძოლო იარაღი ნამდვილად ნაყიდია, ფოთის პორტშიც ჩამოვიდა და თავდაცვის სამინისტრომ მიიღო, შემდეგ უკვე სხვა ქვეყანაში გაიყიდა.

**C- 200 საქართველოში არ არსებობს. ოფიცრები, რომლებიც დღესაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობენ, ამბობენ, რომ მსგავსი იარაღი საქართველოს არ გააჩნია.**

2004 წლიდან მოყოლებული თითოეული კაპიკის ხარჯვის ნუსხა გვაქვს გაკეთებული წვრილმან დეტალამდე; საბუთები შევიტანე პროკურატურაში და ყველა იმ უწყებაში, რომელსაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეაგირება ევალება. პირადად შევხვდი პროკურორს და მითხრა, რომ გამოძიება მიმდინარეობს. პროკურატურასთანაც და თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ, რადგან გვეშინია, რომ გამოძიებისთვის ხელისშემშლელი პრობლემები არ გამოჩნდეს.

**დიდი ფიქრი და თავისმტვრევა არ სჭირდება იმას, რაც აგვისტოს ომამდე მოხდა, ყველა ტექნიკა ომის დროს ჩამოწერეს; თქვეს, რომ რუსებმა გაიტანეს, მაგრამ ომის შემდგომ, ახალაიას მინისტრობის დროს, ნაყიდი საბრძოლო ტექნიკაა მნიშვნელოვანი. სწორედ 2009 წელს ნაყიდი, ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ტექნიკის ბედი გვაინტერესებს, თუ სად წავიდა.**

თუ დამტკიცდა, რომ იარაღი სხვა ქვეყანაში იყიდებოდა, რადგან შეძენილი იარაღი საქართველოში, ვიცით, რომ ნამდვილად არ არის, მაშინ ქართულმა მხარემ უნდა დაადგინოს ის ქვეყნები, რომლებშიც ეს იარაღი შედიოდა და ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო სამხედრო დანაშაულთან გვექნება საქმე, რომელიც ჰააგის ტრიბუნალმა უნდა განიხილოს. **სააკაშვილი და თემურ ალასანია ჰააგის სასამართლომ უნდა გაასამართლოს. ყველას კარგად მოეხსენება თემურ ალასანიას ურთიერთობებისა და კლანების შესახებ განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობს, ვიცით დაახლოებით, თუ როგორ და რა პრინციპით ამარაგებდა ის ასეთ ქვეყნებს.** მასალები და ფაქტები კომპლექსურად უნდა შეიკრიბოს და ჰააგის ტრიბუნალს უნდა გადაეცეს. **სააკაშვილთან ერთად უნდა გასამართლდეს ყველა ის მინისტრი, რომლებიც ამ პროცესებში იყვნენ ჩართულნი.** ორგანიზებული და შეთანხმებული მუშაობაა საჭირო და ვფიქრობ, ყველაფერი გამოგვივა.

**— ბატონო ტრისტან, თუ ყველამ ყველაფერი იცის, რატომ არ აქვთ შესაბამისი მუხლი წაყენებული არც ახალაიას და არც კეზერაშვილს? შემთხვევით, დანაშაულის დაფარვა ხომ არ სურთ?**

— მართალია, თქვენი ეჭვი საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციას ყველა ინსტანციაში ფლობენ, საქმესთან დაკავშირებით დიდი აქტივობა არ ჩანს. ოფიციალურად არც ერთ ძალოვან უწყებას არ განუცხადებია, რომ ძიება მიმდინარეობს, შესაბამისად, არც დაკავებულ პირთა საქმეებში ჩანს, რომ ამ კუთხით გამოძიება მიმდინარეობს. ნამდვილად შეიძლება, რომ ყბადაღებული კოჰაბიტაციის ბრალი იყოს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს დაველოდოთ და მერე უფრო გაათმაგებულად ვიმოქმედებთ, ამ საქმეს ბოლომდე მივყვებით. **პროკურატურაცა და თავდაცვის სამინისტროც მუდმივად წნეხის ქვეშ გვეყოლება, რომ ძიება ბოლომდე მიიყვანონ და საქმის დეტალები სააშკარაოზე გამოიტანონ. არ დავუშვებთ, რომ ვინმე რაიმე გარიგებაზე წავიდეს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ იარაღით ვაჭრობა განსაკუთრებით მძიმე საერთაშორისო სამხედრო დანაშაულია.**

**— ბატონო ტრისტან, როგორ ფიქრობთ, საქართველო იარაღს სირიაში ამბოხებულებს აწვდიდა?**

— ძალიან დიდია ეჭვი, კიდევ ველოდები რაღაც საბუთებს და საბოლოოდ ზუსტ ინფორმაციას მალე შევიტყობ. თუმცა გეტყვით, რომ **ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოდან იარაღი სირიაში ჩადიოდა, ნამდვილად არსებობს, იარაღი კიდეც გადაჰქონდათ და შესყიდვა-გაყიდვის ოპერაციებსაც ატარებდნენ, მაგრამ ვიმეორებ: ზუსტ ინფორმაციას ველოდები.**

უკრაინიდან ჩამოვიდა შესყიდული ტექნიკის დამადასტურებელი საბუთები და ახლა სირიიდანაც მომაწვდიან.

**— საკუთარი არხებით ახერხებთ ინფორმაციის მოპოვებას თუ სახელმწიფოც გეხმარებათ?**

— არავინ გვეხმარება. ჩვენ პროფესიონალი, მებრძოლი სამხედრო მოსამსახურეები ვართ, ყველა ომის მონაწილეები. ბოლო, აგვისტოს ომის დროს რომ ვნახეთ, რაც მოხდა, გადავწყვიტეთ, სიმართლე გაგვერკვია, გვაინტერესებდა, ომში ასე შეუიარაღებლები რატომ ვიყავით. საქმის ძიება მაშინვე დავიწყეთ და, როგორც კი მიხვდნენ, რასაც ვაპირებდით, დაგვაპატიმრეს. ციხიდან გამოვედი თუ არა, ისევ შევუდექი მასალების მოძიებას და ამ წუთისთვის ხელში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს. სახელმწიფო გვერდით არ გვიდგას, ყველაფერს საკუთარი ნაცნობობით ვახერხებთ, ძალიან წვალებით გვაქვს ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია მოპოვებული.

**მას შემდეგ, რაც გენერალ წითელაშვილს ვესაუბრეთ, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს, დავუკავშირდით და აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ.**

**— ბატონო ირაკლი, ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტები, ნათლად ჩანს, რომ საქართველო იარაღს უკრაინაში ყიდულობდა. აქვე მითითებულია იარაღის დასახელება, შესყიდვის თარიღი, გამომგზავნი ფირმის დასახელება და პორტიც. სამხედროები ამბობენ, რომ აღნიშნული იარაღი საქართველოში, კერძოდ კი, ფოთის პორტში, ნამდვილად შემოვიდა და თავდაცვის სამინისტრომ ჩაიბარა, მაგრამ დღეს ქვეყანას მსგავსი ტექნიკა არ გააჩნია.**

— ვიცი ამ დოკუმენტების არსებობის თაობაზე, ვნახე კიდეც და სამხედროებსაც ვუთხარი, რომ, რაც მანდ წერია, სისულელეა. ამბობენ, სპეციალისტები ვართო, მაგრამ რა სპეციალისტები არიან, აბრევიატურები გაშიფრონ და ნახავენ, მაგ დოკუმნტებში რაც წერია.

**— სხვა რაღაც წერია და ისინი სულ სხვას ამბობენ?**

— ხო, თქვენც ვერ ხვდებით და მერე მაგას დაწერთ. ჩემთან იყვნენ და ავუხსენი ყველაფერი, მარტივ რაღაცასაც ვერ ხვდებიან და ამბობენ, სპეციალისტები ვართო. იცით თუ არა, რა ღირს C-200?

**— გასაგებია, რომ ძვირი ეღირება, მაგრამ საბუთებით, რომლებიც ხელთ მაქვს, ნათლად ჩანს, რომ მილიარდი ლარია დახარჯული.**

— რა მილიარდი? რას ამბობთ? კარგად ნახეთ, რამდენი ერთეულია, იმ ერთეულის ფასი გაიგეთ და ნახავთ, რამდენია დახარჯული. **გაარკვიეთ, რა ღირს C -200. ძალიან სულელური დოკუმენტია და კომენტარის გაკეთებაც არ ღირს. ყველაფერი ავუხსენი მაგ დოკუმენტების მფლობელებს და მაინც ჟურნალისტების ხელში ჩააგდეს.**

**ირაკლი სესიაშვილთან საუბრის შემდეგ კვლავ გენერალ ტრისტან წითელაშვილს ვთხოვეთ განმარტება და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოსაზრება გადავეცით.**

— ირაკლი სესიაშვილს პირადად შევხვდი და ყველაფერი ავუხსენი, მაგრამ მისგან ამ საქმის მიმართ დიდი ინტერესი ვერ ვიგრძენი, რადგან, ალბათ, სიტუაციის დაძაბვა და გამწვავება არ სურს, ისიც კოჰაბიტაციურ რეჟიმშია.

**— იქნებ თქვენ მართლა ცდებით?**

— ნამდვილად მილიარდი ლარია დახარჯული და თავადაც კარგად იცის, მინდა გითხრათ, რომ სესიაშვილს, საბუთები რომ ვაჩვენეთ, ძალიან გაუკვირდა, ეს საიდან გაქვთო?!

**— მაგრამ თქვა, რომ ეს სისულელეა და ჟურნალისტებს არ უნდა გაგვეგო.**

— ჩემთვის არ უთქვამს, რომ სისულელეა. ყველა საბუთი დაიტოვა. შეხვედრა ისე დამთავრდა, რომ გარკვევით ჩამოვუყალიბეთ ყველაფერი და მანაც გაიგო. ამ საკითხებს სამხედრო სპეციალისტები სწავლობენ. თუ სესიაშვილისთვის ეს სისულელეა, არ ვიცი. შეუძლია თავად გადაამოწმოს ფაქტები, მას ხელი ჩვენზე უკეთ მიუწვდება ინფორმაციაზე და, ვიდრე არ გადაამოწმებს, ასეთ განცხადებას ნუ გააკეთებს.

**— იქნებ გადამოწმებულიც აქვს ყველაფერი, მაგრამ დანაშაულს ხელს აფარებს, ამაზე არ გიფიქრიათ?**

— უფრო იმას ვფიქრობ, რომ მან ინფორმაცია უკრაინაში არ გადაამოწმა, მან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართა, იმ სამინისტროს, რომელიც ზემოაღნიშნულ დანაშაულს ჩადიოდა და, ბუნებრივია, ისინი არ დაუდასტურებდნენ. **თავდაცვის სამინისტროში დღესაც მუშაობენ ის ადამიანები, რომლებიც მაშინ ამ საქმეებზე აწერდნენ ხელს, ასეთ ვითარებაში კი, რა თქმა უნდა, სესიაშვილს ეტყოდნენ, რომ სისულელეაო.**

**— ასეთ ვითარებაში სიმართლის გარკვევის რა იმედი გაქვთ? ირაკლი სესიაშვილს საკმაოდ დიდი თანამდებობა აქვს იმისთვის, რომ ვინმეს ხელი დააფაროს და დანაშაულიც დამალოს.**

— ხმამაღლა ვაცხადებ: ვინც არ უნდა გადაწყვიტოს ამ პროცესის შეჩერება, ვერ შეძლებს. **ბოლომდე, ჰააგის ტრიბუნალამდე მივიტანთ ამ საქმეს. ნება იბოძონ და მთელ საქართველოს აუხსნან, სად წავიდა ჩვენი ფული და რატომ არ იყო ომის დროს საბრძოლო ტექნიკა, სად წავიდა ომის შემდგომ სამხედრო ძალების ხელახალი აღჭურვისთვის გამოყოფილი თანხები და შესყიდული საბრძოლო იარაღი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჰაერივით სჭირდებოდა.** მინდა მათ იცოდნენ, რომ, თუ ამდენი რამის გაგება შევძელით, სხვა დანარჩენსაც გავიგებთ, არავისი დახმარება არ გვჭირდება. შიშველი ხელებით ომში ვიბრძოდით და ახლა ინფორმაციის მოპოვებას ვერ შევძლებთ?

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველაზე გავრცელებულია, რემონტის დროს მუშებს შორის აგენტის გაჩენა და პოლიციელის შეპარება. გარდა ამისა, სპეციალური მანქანები ჰყავთ, ყველანაირი პიჯაკი აქვთ. ვთქვათ, ბანკეტზე უნდა წასვლა ორ მუშაკს და დავალებული აქვს, იქ შეუმჩნევლად დაამონტაჟოს სტაციონალური აპარატურა; ისეთი გამოწყობილები მივლენ, გაოცდებით. თანაც, ისეთი ვინმეს მოწვეულები იქნებიან, ეჭვი არავის შეეპარება.“**

# როგორი და რა ფასის აპარატურით ხდებოდა ტოტალური მოსმენები და იყენებს თუ არა ამ აპარატურას შს მინისტრი ღარიბაშვილი?

**ეს ერთი ხანია, აღარც რაიმე სამალავი აღმოუჩენიათ ფარული ჩანაწერებით, არც რესტორნებში გარიგების თემაა აქტუალური და არც ცნობილი პოლიტიკოსების სააბაზანოებიდან რეპორტაჟებს უჩვენებენ ჩვენი ტელევიზიები და არც... თუმცა აქ თავი შევიკავოთ. მოკლედ, დაღალა ხალხი ამდენმა ღია პოლიტიკამ, კომპრომატები თითქმის არ არის ჩვენს ტელე-სივრცეში და ამის გამო კომპრომატების მოყვარულები, რომლებსაც ფარული ჩანაწერის გარდა სხვა ინფორმაციის ნამდვილობის გაგონებაც არ სურდათ, საინფორმაციო-კომპრომატულ ვაკუუმში აღმოჩდნენ. ჩვენ კი ჩვენის მხრივ იმის გაგებას ვცდილობთ, რამდენად შესაძლებელია და ზოგადად როგორ ხორციელდებოდა ტოტალური მოსმენები. ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი წარმომადგენელი, კაპიტან-ლეიტენანტი, გია გაბრიჩიძე ესაუბრა.**



**გია გაბრიჩიძე:**

## რამდენიმე სერიოზული მცდელობა და ბევრი ტანჯვა-წვალება დასჭირდათ მერაბიშვილსა და ადეიშვილს, სანამ ამერიკელები მოსასმენ სპეცაპარატურას გადმოსცემდნენ

**— საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როცა ხელისუფლებაში იყო, პრაქტიკულად, ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს უსმენდა, ფარულად უღებდა და ა. შ. ამ საკითხზე ახლა არავინ დავობს, მაგრამ შედარებით ნაკლებს ლაპარაკობენ იმაზე, ტექნიკურად რამდენად მოსახერხებელია და რა ჯდება, თუნდაც ერთი ადამიანისთვის ე. წ. ჟუჩოკის, სამი ცალი სათვალთვალო კამერის (აქედან ერთი ავტომანქანაში) დამონტაჟება და ამ ტექნიკის მართვისთვის ადამიანის მიჩენა, თქვენ, როგორც სისტემაში კარგად გათვითცნობიერებულმა კაცმა, იქნებ გვითხრათ, როგორი იყო ეს აპარატურა?**

— შინაგან საქმეთა სამინისტროში არის მე-7 განყოფილება, ამაში შედის „რაზვედკაც“. ეს განყოფილება დაახლოებით გაზის მრიცხველის სამსახურის ან ინტერნეტის მომსახურების სქემით მუშაობს და დაახლოებით ამ სამსახურებივით არის ორგანიზებული. ამ სამსახურის მუშაკები **აპარატურას ამონტაჟებენ მათთვის საჭირო ადამიანების სახლებში, მანქანებში, ოფისებში, რესტორნებში, სასტუმროებში და ა.შ. ტექნიკას იმავე სამსახურის მუშაკები მართავენ და ემსახურებიან.** ეს „რაზვედკა“ არის ჯერ კიდევ კომუნისტების დროს შექმნილი სტრუქტურა (ახლაც მე-7 ჰქვია და მოდულშია განლაგებული) და ამიტომაც გამოვიყენე რუსული სიტყვა, პროფესიონალი ადვილად მიხვდება, რატომ მოვიხსენიე ეს სტრუქტურა ძველი სახელით.

**— ოჯახების გარდა მობილურ ტელეფონებსაც უსმენდნენ; ასევე, საჭირო იყო მოძრავი სადგურის მსგავსი რამ, რითაც შესაძლებელი გახდებოდა, ვთქვათ, მანქანიდან გადაუსვლელად შენობაში საუბრის მოსმენა. „საქართველო და მსოფლიოს“ აქვს სანდო ინფორმაცია, რომ ოტოს გარდა, გამოიყენებოდა სპეცმანქანები, რომლებსაც შენობიდან სამასი მეტრის დაშორებით აჩერებდნენ და მანქანიდან გადმოუსვლელად უსმენდნენ 40 ათას საუბარსაც კი, ამაზე რას იტყვით?**

— ეგ აპარატურა არის სპეციალური შეკვეთით დაპროექტებული იმისთვის, რომ ავტომობილებში ადვილად განთავსდეს და გარეგნულად ეს ავტომობილი არაფრით განსხვავდებოდეს სხვა ავტომანქანებისგან. მუშაობს არა საუბრებზე ან მობილურის რომელიმე მოდელზე, არამედ სიხშირეზე. **მეცინება ხოლმე, როცა ამბობენ, რომ, თუ სიმბარათს ამოიღებ, საუბრის მოსმენა არ შეუძლიათ და ა. შ. აპარატურას შეუძლია 300 მეტრის მანძილიდან ჩაერთოს.** წარმოიდგინეთ, ტელეფონი და ტელეფონის ხაზიდან გაყვანილია მეორე ხაზი, რომლითაც ისმენენ. დაახლოებით ამ პრინციპით ხდება მოსასმენი აპარატურის მობილურის სიხშირეში ჩართვა და იქ საუბრის მოსმენა ან ჩაწერის წარმოება.

**«მეცინება ხოლმე, როცა ამბობენ, რომ, თუ სიმბარათს ამოიღებ, საუბრის მოსმენა არ შეუძლიათ»**

**— თუ რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურმა შეუკვეთა და დაამზადებინა ეს სპეციალური აპარატურა, გამოდის, რომ ძვირადღირებულ აღჭურვილობასთან გვაქვს საქმე, რომლის შოვნაც ადვილი არ უნდა იყოს. როგორ მოახერხეს საქართველოსხელა ქვეყნის სპეცსამსახურებმა ამ აპარატურის შეძენა?**

— რა თქმა უნდა, ძალიან ძვირი აპარატურაა და მისი შოვნაც არ არის ადვილი. მაღაზიაში რომ იყიდებოდეს თავისუფლად, იქნებ თქვენც გეყიდათ ჟურნალისტებს და მინისტრებისთვის ან სულაც ჩვენთვის, პროფესიონალებისთვის მოგესმინათ, მაშინ უკვე ჩვენ ვიქნებოდით შეშინებულები და დამფრთხალნი და არა სხვები. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სერიოზულად კი საქმის ვითარება ასეთი იყო: **რამდენიმე სერიოზული მცდელობა და ბევრი ტანჯვა-წვალება დასჭირდათ მერაბიშვილსა და ადეიშვილს, სანამ ამერიკელები ამ აპარატურას გადმოსცემდნენ. აქ მარტო გადმოცემა არ არის საკმარისი, საჭიროა კიდევ ოპერატორები და ტექნიკური მუშაკები და მათი მომზადება. ამასაც გარკვეული დრო და თანხები დასჭირდა.**

რაც შეეხება სპეცაპარატურას, რომელიც მონტაჟდება მანქანაში და სახლის შორიახლოდან ან მოძრავ მანქანაში ისმენს საუბარს და იწერს, ეს ძალიან ძვირია, ორ მილიონ დოლარზე მეტი ღირს და დიდი ბრიტანეთიდან გადმოსცეს ამერიკელებმა. ამაზე **გაცილებით ფართოდ გამოიყენებოდა პატარა მოწყობილობები, რომლებსაც სახლებში აყენებდნენ. მაგალითად, ამოაკრავდნენ მაგიდის ან კარადის უჯრის ქვეშ. ეს 1500 დოლარი ღირს და რამდენიმეჯერ შეიძინეს საკმაოდ დიდი პარტიები, თუმცა ამას ერთი მინუსი აქვს, პერიოდულად ვიღაც უნდა შედიოდეს ამ სახლში, საჭირო ხდება ამ აპარატურასთან ყოველკვირეული მუშაობა ან ათ დღეში ერთხელ მაინც უნდა შეიცვალოს ან დაიცალოს — ჩანაწერი უნდა გადმოიწეროს.** დავუშვათ, ახალი ნაყიდი გაქვთ ბინა ან რემონტის დროს იქ დაგიმონტაჟებენ და როზეტში (დენით კვება, რომ ჰქონდეს) აერთებენ. ეს უკვე მუდმივია. თითქმის აღარ გამოიყენებოდა ავტოკალამში ან საათში ჩამონტაჟებული ვიდეო კამერები (აი, იმ ტიპის კამერებს ვგულისხმობ, კობა ბექაურმა რომ შალვა რამიშვილის საუბარი ჩაიწერა) — ჯერ ერთი, დასავლეთში ესენი სრულიად ჩვეულებრივ მაღაზიებში იყიდება, მეორეც — გამოცდილი თვალისთვის მათი აღმოჩენა არც ისე ძნელია.

**— გასაგებია, რომ გამოცდილი თვალი ადვილად გაარჩევს ვიდეოკამერიან ავტოკალამს ჩვეულებრივისგან, თანამედროვე მოსასმენ აპარატურას კი ვერ გამოიცნობს გამოცდილი ადამიანი?**

— ფორმით, რომც იცოდეთ, როგორ გამოიყურება, ისეთი ფერის არის, რომ თვალი ადვილად ვერ განასხვავებს, უფრო სწორად ძალიან ძნელად თუ გამოარჩევს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო გარემოსა და ნივთებისგან. თეთრიც არის, შავიც, ხორცისფერიც და ა. შ. მაგალითად, სახლში საკიდზე გაქვთ შავი ფერის ქურთუკი, რომელსაც ზამთრამდე არ ჩაიცვამთ, საკიდი, როგორც წესი, არის გასასვლელში, 9 თვის განმავლობაში ყოველ კვირაში ერთხელ თქვენთან შემოდის მეზობელი ან მეგობარი, რომელსაც საკმარისი დრო და საშუალება აქვს იმისთვის, რომ თქვენი ზამთრის ქურთუკის ჯიბიდან ან სახელოდან შეუმჩნევლად ამოაძროს შავი ფერის პატარა საგანი და შეცვალოს ახლით. მისი აღმოჩენა პროფესიონალებსაც კი გაუჭირდებათ.

**— საინტერესო თემას მივადექით: ის თანამშრომლები, რომლებსაც ამის დამონტაჟება დაევალებათ, მოსმენის ობიექტმა რომ აღმოაჩინოს, რა მოხდება? გარდა ამისა, უცხო ადამიანი როცა შემოდის ოჯახში, სრულიად ბუნებრივია, რომ მას თვალს არ აშორებენ, მხედველობაში მაქვს ის აპარატურა, რომელიც მუდმივად მონტაჟდება და რომლის დამონტაჟებასაც სპეციალური ცოდნა სჭირდება... როგორ ხდება ეს?**

— რომც აღმოაჩინოთ, ამით ბევრი არაფერი შეიცვლება. ჯერ ერთი, პირადობის მოწმობა არ აქვთ პოლიციელებს და ნამდვილ გვარსა და სახელს ვინ გეტყვით? მეორეც, კაცის დაკავების ან დაპატიმრების უფლება თქვენ არ გაქვთ, ისევ პატრულს უნდა გამოუძახოთ და მოგეხსენებათ, „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“. გარდა ამისა, ათასნაირად ინილბებიან. **ყველაზე გავრცელებულია, რემონტის დროს მუშებს შორის აგენტის გაჩენა და პოლიციელის შეპარება. გარდა ამისა, სპეციალური მანქანები ჰყავთ, ყველანაირი პიჯაკი აქვთ. ვთქვათ, ბანკეტზე უნდა წასვლა ორ მუშაკს და დავალებული აქვს, იქ შეუმჩნევლად დაამონტაჟოს სტაციონალური აპარატურა; ისეთი გამოწყობილები მივლენ, გაოცდებით. თანაც, ისეთი ვინმეს მოწვეულები იქნებიან, ეჭვი არავის შეეპარება.** დიახ, 700-დოლარიანი კოსტუმი ეცმევათ და 1000-დოლარიანი ფეხსაცმელი. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ვითომ გაზის სამსახურის თანამშრომლები მიდიოდნენ; მარტო გაზი არა, ვთქვათ, არჩევნების წინ ვიღაც კოორდინატორი მივიდოდა, უბნის ინსპექტორიც, თვითონ კარში დგას, თქვენ პირადობის მოწმობის გამოსატანად შებრუნდით სახლში... და ა. შ. ათასი ვარიანტია.

**— როგორ შეიძლება აღმოჩენა იმისა, რომ დავუშვათ, მე ვარ ამ მოსმენის ობიექტი, მაგალითად: ხმაური, მობილურის განათების ცვლილება, მობილურის ბატარეის ადრე დაცლა, დაყოვნებული ხმა, ექო, თუ სხვა ნიშნები? საინტერესოა, ასევე ამინდი ხომ არ მოქმედებს მანქანიდან მოსმენაზე? ეს ხმები დიდი ხანია დადის ჩვენ საზოგადოებაში და გვაინტერესებს, რამდენად რეალურია?**

— ვერ მიხვდებით, გამორიცხულია, რომ მიხვდეთ, ეს ჭორებია. რა თქმა უნდა, თუ ვილაცის ინტერესებში არის თქვენი ფსიქოლოგიური დამუშავება და უნდა, რომ მიგანიშნოთ, თქვენს ტელეფონს ვისმენთო, ასეთ შემთხვევაში ეს ექო და მსგავსი სპეცეფექტები გათვალისწინებულია, მაგრამ, თუ არსებობს ამოცანა, ისე მოგისმინონ, რომ ვერ მიხვდეთ, ამისი მიღწევა არავითარი პრობლემა არ არის. წავიდა ის დრო, როცა მოსასმენი აპარატურის ჩართვისას ტელეფონი ზუზუნს იწყებდა.

რაც შეეხება ამინდს, ეგ დროც წავიდა. **ამინდს არ აქვს მნიშვნელობა, წვიმაშიც და ქარშიც ერთნაირად ისმენენ. ეს არის ხელოვნური თანამგზავრი, კოსმოსური ტექნიკა; ეს თანამგზავრი მუდმივად კიდია საქართველოს თავზე და, თუ ვინმეს აქვს სურვილი და ხელი მიუწვდება, ტექნიკურად არავითარი სირთულე არ არის.** მაგალითად, ამერიკიდან, ბრაზილიიდან, ავსტრალიიდან პირდაპირ დააკვირდეს კაცი სახლში ცოლ-ქმრის საუბარს და ჩაიწეროს.

**«ამინდს არ აქვს მნიშვნელობა, წვიმაშიც და ქარშიც ერთნაირად ისმენენ»**

**— ეს მოსმენები ახალი მინისტრის პირობებში შეწყვეტილია? აპარატურა და ძველი კადრები მიიღო თუ არა მემკვიდრეობით ღარიბაშვილმა?**

— რა თქმა უნდა, ეს იყო უშიშროების სტრუქტურის ქონება და სტრუქტურის ახალ ხელმძღვანელობას გადაეცა ჩვეულებრივი წესით, ანუ **ისევ მოდულშია სამსახურიც, კადრების უმეტესობაც ადგილზეა და კანონის ფარგლებში, ალბათ, ახლაც ისმენენ.** რაც შეეხება საყოველთაო მოსმენებს, ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია ბოლო ხანებში არ მაქვს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

## აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო ყურს უგდებდა მსოფლიოს მინიმუმ 35 ლიდერის სატელეფონო ზარებს და კითხულობდა მათ მიმოწერას.

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის უპილოტო თვითმფრინავები — უმოწყალო მკვლელები



**საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ Amnesty International-მა გამოიკვლია, რომ აშშ-მა სერიოზულად და არაერთხელ დაარღვია ადამიანის უფლებები, რომელთაგან ზოგიერთი კვალიფიცირდება, როგორც სამხედრო დანაშაული. ეს ბრალდებაა ჩამოყალიბებული 22 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში — „ემნისტი ინტერნეიშენლის" გამანადგურებელ ანგარიშში, რომელიც პაკისტანში ამერიკული უპილოტოების დარტყმებს შეეხება.**

უფლებადამცველები მოუწოდებენ აშშ-ის ხელისუფლებას გამოაქვეყნონ ინფორმაცია ამ ფაქტების თაობაზე და სამართალს გადასცენ ისინი, ვინც პასუხისმგებელია მშვიდობიანი მოქალაქეების დახოცვაში უპილოტო თვითმფრინავების შეტევის დროს.

ხსენებული ანგარიში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე უფრო მასშტაბურ გამოძიებად ამერიკული უპილოტოების მოქმედების თაობაზე. **ამ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია უპილოტო საფრენი აპარატების 45 შეტევის შესახებ იმ რეგიონის წინააღმდეგ, რომელიც პაკისტანელი მოთარეშეების მიერაა დაკავებული და ჩრდილოეთ ვაზირისტანად იწოდება. შეტევები 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის აგვისტომდე გრძელდებოდა.**

ორგანიზაციის თანამშრომელი მუსტაფა ყადრი აცხადებს (იგი ხელმძღვანელობდა ამ შეტევებიდან ცხრის შედეგების გამოკვლევას), რომ ექსპერტების მიერ აღმოჩენილი ფაქტები უპრეცედენტო ხასიათისაა, რადგან ჯგუფი, რომელსაც იგი სათავეში ედგა, უშუალოდ დაბომბილ რეგიონში ჩავიდა და სრული ინფორმაცია ადგილობრივი მცხოვრებლებისგან მიიღო.

**„ჩვენ დავადგინეთ ზუსტი ადგილები,** — ამბობს იგი, — **სადაც იმყოფებოდნენ დახოცილები და თვითმხილველები. ერთ შემთხვევაში საშინელი ტრაგედია მოხდა — ბავშვების თვალწინ დაიღუპა მათი ბებია. მეორე შემთხვევაში დაიღუპნენ მუშები, აგრეთვე, ადამიანები, რომლებიც მათ საშველად მივიდნენ. ჩვენ გვსურს, შევეკითხოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს: რით შეგიძლიათ ამ მკვლელობათა გამართლება?"**

ოფიციალური განცხადებების საწინააღმდეგოდ, რომელთა მიხედვით, დაღუპულები „ტერორისტები" იყვნენ, „ემნისტი ინტერნეიშენელის" გამოძიებამ, ყადრის სიტყვებით, დაადგინა, რომ **მსხვერპლთა შორის უმეტესობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მოთარეშეებთან და არავისთვის, მით უფრო, აშშ-ისთვის, საშიშნი არ იყვნენ.**

ანგარიშის მიხედვით, **68 წლის ქალი, რომელიც შვილიშვილების თვალწინ დაიღუპა შარშან ოქტომბერში, იყო მამანა ბიბი. უპილოტოს შეტევის დროს იგი ბოსტნეულის მოსავალს იღებდა ოჯახის კუთვნილ მინდორში, თავის სოფელ გუნდი ყალაში, რომელიც ჩრდილოეთ ვაზირისტანში მდებარეობს.** „ამნისტი ინტერნეიშენელის" აქტივისტებმა გამოაქვეყნეს გარდაცვალებულის ერთ-ერთ შვილიშვილთან — ნაბლასთან ინტერვიუს ვიდეოჩანაწერი.

ყადრის თქმით, ორგანიზაციის ექსპერტებმა ასევე დაადგინეს, რომ **2012 წლის ივლისში შორეულ სოფელ ზოვი სიჯში, რომელიც ავღანეთის საზღვართანაა, დაიღუპა 18 მუშა. ისინი სავახშმოდ ემზადებოდნენ. მათ შორის არასრულწლოვანი ბიჭიც იყო. პირველი შეტევის შემდეგ მუშების დასახმარებლად მისული ადამიანები უპილოტო თვითმფრინავის მეორე შეტევის დროს დაიღუპნენ.**

აშშ ხელისუფლება ძნელად და უხალისოდ გასცემს ინფორმაციას უპილოტოების შეტევების შესახებ, რომლებსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო განახორციელებს პაკისტანში. ხელისუფლება დაჟინებით იმეორებს, რომ სამხედრო დარტყმები გულდასმით იგეგმება, რათა თავიდან იქნას აცილებული მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. ამასთან, ასეთი ოპერაციების მსვლელობისას შესაძლებელი გახდა „ალ ქაიდას" მნიშვნელოვანი ხელმძღვანელების ლიკვიდაცია.

**„ემნისტი ინტერნეიშენელის" განცხადებით, ჩრდილოეთ ვაზირისტანის მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას მუდმივი საფრთხე ემუქრება არამარტო ამერიკული უპილოტო თვითმფრინავების შეტევების გამო, არამედ მოთარეშეთა და პაკისტანის უშიშროების ძალების შეტაკებების გამოც.**

ამერიკული უპილოტო თვითმფრინავების პირველი შეტევა პაკისტანში 2004 წელს განხორციელდა. მომდევნო შეტევები, მიიჩნევდნენ, რომ ხორციელდებოდა საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე, რომლითაც ისლამაბადი მხარს უჭერდა და იწონებდა ასეთ თავდასხმებს, საჯაროდ კი — გმობდა.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა **ბენ ემერსონმა** მოუწოდა აშშ-ს, გამოაქვეყნოს ინფორმაცია დაღუპულთა შესახებ, რადგან მათმა რაოდენობამ მოსახლეობას შორის, პაკისტანის ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაცემებით, 400 ადამიანს გადააჭარბა. ემერსონმა განაცხადა, აგრეთვე, რომ დაღუპულთა შესახებ ინფორმაციის შემოწმება ჯერ არ დაუმთავრებია.

www.golos-ameriki.ru

# ევროპამ აშშ-ის წინააღმდეგ პირი შეკრა

**„საქართველო და მსოფლიოს" დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ამერიკის შეერთებული შტატები სხვა ქვეყნებში გადატრიალებების ორგანიზატორი" ამერიკელი პოლიტოლოგები, დიპლომატები, სპეცსამსახურების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მსოფლიო ჰეგემონობისკენ მისწრაფებაში შტატებს რიგ შემთხვევებში არმიაზე უფრო ეფექტიანად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ეხმარება საიდუმლო ოპერაციების მეშვეობით. ასეა, სანამ საიდუმლოება დაცულია, მაგრამ გამჟღავნებისთანავე იწყება სკანდალი, უმეტესად საერთაშორისო მასშტაბის მქონე, რაც აშშ-ის იმიჯს დაბლა სცემს.**

სწორედ ასეთი სკანდალის აპოგეაა დღეს ევროპაში, „ჯაშუშური სკანდალის", რომელიც გამოიწვია ამერიკის სპეცსამსახურების მიერ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებისა და ლიდერების სატელეფონო საუბრების მასობრივმა მოსმენამ.

ამ სკანდალმა სერიოზულად იმოქმედა აშშ-სა და მისი ევროპელი მოკავშირეების ურთიერთობაზე. იგი მთავარი თემა გახდა ევროკავშირის ორდღიანი სამიტის, რომლის შედეგების შეფასებისას ევროპელმა პოლიტიკოსებმა განაცხადეს: **„ჯაშუშობა მეგობარ ქვეყნებს შორის დაუშვებელია".**

მასმედიის საერთო შეტევაში პირველი გასროლით ფრანგული **Le Monde** გამოირჩა. ეროვნული უშიშროების სააგენტოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის **ედუარდ სნოუდენისგან მიღებულ საიდუმლო დოკუმენტებზე დაყრდნობით ამ გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში ეროვნული უშიშროების სააგენტომ ფრანგების 70 მილიონ საუბარს მოუსმინა.**

აშშ ეროვნული დაზვერვის დირექტორმა **ჯეიმს კლეპერმა** გაზეთის პუბლიკაციას „მცდარი" უწოდა. ამის მიუხედავად, გასული კვირის ორშაბათს **საფრანგეთის საგარეო სამინისტროში აშშ ელჩი გამოიძახეს. პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა კი თავის ამერიკელ კოლეგას მოსთხოვა „დაუყოვნებლივი ახსნა-განმარტება".**

**ოთხშაბათს** თეთრი სახლის პატრონს დაურეკა გააფთრებულმა ანგელა მერკელმა — გფრ კანცლერმა. მისი პრესმდივნის თქმით, **„გფრ მთავრობამ მიიღო ინფორმაცია, რომ მობილური ტელეფონით კანცლერის საუბარს, შესაძლოა, უსმენდნენ აშშ-ის საიდუმლო სამსახურები".** ანგელა მერკელის საუბრების დეტალები გამოქვეყნდა **Der Spiegel**-სა და **Dic Welt**-ში. სნოუდენისგან მიღებული დოკუმენტების დამოწმებით მათ განაცხადეს: **აშშ დაზვერვის სამსახურებმა გატეხეს იმ ტელეფონის დაცვა, რომლითაც კანცლერი 2009 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ივლისამდე სარგებლობდა.**

აშშ-ის პრეზიდენტის პრესმდივანმა **ჯეი კარნიმ** განაცხადა, რომ ამერიკელები ანგელა მერკელის ტელეფონს არ არიან მიყურადებული, მაგრამ უარი თქვა, ეპასუხა კითხვაზე — ისმინებოდა თუ არა ეს ტელეფონი უწინ. აშშ-ის ელჩი გფრ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს.

**ხუთშაბათს** იტალიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ **ეროვნული უსაფრთხოების თვალთვალისა და მიყურადების ობიექტები გახდნენ იტალიის მთავრობის წევრები.** მსგავსი ინფორმაცია გაჩნდა ესპანურ პრესაშიც.

**პარასკევს** ბრიტანულმა **The Guardian**-მა ედუარდ სნოუდენის ფაილების ციტირებით განაცხადა, რომ **აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო ყურს უგდებდა მსოფლიოს მინიმუმ 35 ლიდერის სატელეფონო ზარებს და კითხულობდა მათ მიმოწერას.** სასამსახურო ჩანაწერიდან, რომელიც ამ გამოცემის ხელში აღმოჩნდა, ირკვევა, რომ სააგენტო რეგულარულად სთხოვდა თეთრ სახლს, სახელმწიფო დეპარტამენტსა და პენტაგონს, ეცნობებინათ უცხოეთის პოლიტიკური მოღვაწეების სატელეფონო ნომრები და ელექტრონული მისამართები.

სპეცსამსახურების დარგში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული გერმანელი ექსპერტის — **ერიხ შმიდტ-ენბონის** თქმით, **გფრ-ისა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების ლიდერებმა „ყოველთვის იცოდნენ, რომ ამერიკელები მიყურადებულნი არიან მათ საუბრებს, მაგრამ სნოუდენის მხილებამდე ხმამაღლა ამაზე ლაპარაკი მიღებული არ იყო. ახლა კი მათზე ზემოქმედებს საზოგადოებრივი აზრი, საკითხის მიჩუმათება შეუძლებელი ხდება".**

სპეციალისტების აზრით, **მერკელის ტელეფონის მოსმენა ამერიკელებს სამი საკითხის გასარკვევად სჭირდებოდა: გფრ-ის როლი ევროკავშირის მიერ ფინანსური კრიზისის დაძლევაში, ასევე, მოსკოვთან და პეკინთან ბერლინის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში.** გამორიცხული არ არის, რომ ამერიკელებს გერმანული მსხვილი კომპანიების მიერ დადებული ხელშეკრულებებიც აინტერესებდათ.

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ევროპული საზოგადოებრიობის დარწმუნება, რომ მოსმენები მასობრივი ხასიათის არ იყო. **„თეთრი სახლი არ უპასუხებს შეკითხვებს და ცდილობს, თავიდან აიცილოს ისინი და დამალოს სიმართლე,** — აღნიშნა **Der Spiegel**-მა, — **ობამა ან ცრუობს და თავადაა დაინტერესებული ასეთი თვალთვალით, ან ვერ აკონტროლებს თავის სპეცსამსახურებს და თავისი იმიჯის დაზარალების მინიმიზაციას ცდილობს პრობლემის შენიღბვის საშუალებით".**

ევროკავშირის სამიტის მონაწილეებმა მოილაპარაკეს, რომ, რაც შეიძლება მალე უნდა შეთანხმდნენ ინფორმაციული უსაფრთხოების ერთიან პოზიციაზე. ღონისძიების მსვლელობისას გაჟღერდა წინადადება „პაუზის აღების" შესახებ აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის თაობაზე მიმდინარე კონსულტაციებში, მაგრამ საბოლოოდ უარი თქვეს ამ შეთავაზებაზე. მიუხედავად ამისა, **თითქმის ყველა ევროპელმა ლიდერმა აღიარა: ნდობა შეერთებული შტატების მიმართ შერყეულია.**

რუსეთს ასეთი სიტუაცია ხელს აძლევს. მოსკოვში იმედოვნებენ, რომ საინფორმაციო სივრცეში აშშ სპეცსამსახურების მეთოდების დაგმობის ტალღა რუსეთს დაეხმარება, განახორციელოს საკუთარი წინადადებები ამ სფეროში. **ორი წელიწადია, რაც რუსეთის ფედერაცია ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო თანამეგობრობა, მიიღოს მის მიერ შემუშავებული გაეროს კონვენცია საერთაშორისო ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.** აქამდე დასავლეთში ამ ინფორმაციას მტრულად ხვდებოდნენ, მიიჩნევდნენ, რომ მოსკოვი ცენზურის შემოღებას სთავაზობდა, მაგრამ ამჟამად გარემოება შეიცვალა: **მსოფლიოში მიხვდნენ, რომ განუსაზღვრელ უფლებებს სპეცსამსახურების, უწინარესად, აშშ-ის თავნებობა მოჰყვება.**

დასავლეთის მედია აპირებს, განაგრძოს ედვარდ სნოუდენის მასალების პუბლიკაცია. მაგალითად, **The Washington Post** მკითხველებს დაჰპირდა, რომ მალე გამოაქვეყნებს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორც აგროვებდა ნატოს ერთ-ერთი ქვეყანა აშშ სამხედრო საჰაერო და სამხედრო საზღვაო ძალებისთვის ფასეულ ინფორმაციას რუსეთის შესახებ.

**ზოგიერთი მონაცემით, ედუარდ სნოუდენმა, რომელიც რუსეთმა შეიფარა, ჟურნალისტებს აშშ-ის დაზვერვის 40 ათასზე მეტი დოკუმენტი გადასცა.** ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტთან დაახლოებულმა წყარომ განაცხადა, ვაშინგტონში არ სჯერათ, რომ თითქოს სნოუდენი ფაილების გადაცემით დაკმაყოფილდა და ამ საქმეს ჩამოსცილდა. **„ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ სნოუდენი ახლაც მონაწილეობს მის მიერ უკანონოდ გადაღებული საიდუმლო მასალების გამოქვეყნების გრაფიკის შედგენაში",** — ასკვნის წყარო.

ედუარდ სნოუდენის ადვოკატი ანატოლი კუჩერენკო ირწმუნება, რომ ბოლო დროს გამოქვეყნებული ყველა ინფორმაცია, რომლებიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის დოკუმენტებს ეყრდნობა, ამ უკანასკნელმა მედიას ჯერ კიდევ ჰონკონგში ყოფნის დროს გადასცა.

news.mail.ru/polities

**გასულ შაბათს ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის წინ გაიმართა მრავალათასიანი აქცია ედუარდ სნოუდენის მხარდასაჭერად. მიტინგის მონაწილეთა აზრით, სიმართლის მთქმელი ადამიანების წინააღმდეგ ადმინისტრაცია სამართლებრივ დევნას კი არ უნდა განახორციელებდეს, არამედ გმირებად აცხადებდეს მათ. სნოუდენის ადგილი ციხეში კი არ არის, კვარცხლბეკზეა.**

**28 ოქტომბერს კი ევროპარლამენტარების დელეგაცია ვაშინგტონს „საქმის გასარჩევად" ეწვია.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ეს ტერაქტი მართლა არ იყო პრეზიდენტ სააკაშვილთან შეთანხმებული, ის ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებდა და დამნაშავეებს დასჯიდა, მაგრამ ამ ხუთეულმა — ადეიშვილის, მერაბიშვილის, ახალაიას, უგულავასა და ბოკერიას შემადგენლობით, სპეციალურად შეიმუშავა გეგმა და ტერორისტული აქტი განახორციელა. ამისთვის კი მათ ეს საცოდავი ხალხი გამოიყენეს.“**



# ხურჩა — ტერორისტული აქტი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინ ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა და შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათ დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი მალხაზ მურღულია დააკავეს.**
**შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი განახორციელა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობის და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის განხორციელების საშიშროება შექმნა.**



როგორც ცნობილია, აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც 2008 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა ორი ავტობუსით ზუგდიდში გამგზავრებას აპირებდა. დაიჭრა რამდენიმე მოქალაქე. მათ შორის, ერთმა ქალბატონმა სიცოცხლისთვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო, თუმცა მაშინ ხურჩის ინციდენტზე დროული რეაგირება „ნაციონალურ მოძრაობას“ დიდ წარმატებად ჩაეთვალა. ამჯერად კი, როდესაც საქართველოს შს საქმეთა სამინისტრომ „ხურჩის ოპერაციას“ გრიფით საიდუმლო უკვე მოხსნა, ირაკლი ღარიბაშვილმა მომხდარს ღიად უწოდა სპექტაკლი. **„გამოძიების დროს გამოიკვეთა სერიოზული ნიშნები იმისა, რომ ეს იყო შეკვეთილი ტერორისტული აქტი, განხორციელებული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ეს სპექტაკლები დამთავრდა და აღარასდროს განმეორდება“,** — განცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

**მართალია, ცხრა წლის მანძილზე, ყოფილი ხელისუფლების მიერ არაერთი დადგმული საპიარო სპექტაკლის თვითმხილველნი გავხდით, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობა, ალბათ, მაინც განსაკუთრებით სამარცხვინოა და ყოველგვარ მორალურ ზღვარს სცილდება.** აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სსსკ-ს 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 15-დან 20 წლამდე უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და, ალბათ, გამოძიება დაადგენს, თუ რა იყო ყოფილი ხელისუფლების მიზანი და ყველა დამნაშავეს, მიუხედავად თანამდებობისა, დროულად გამოავლენს.

მაშინდელი ხელისუფლების ოფიციალური ვერსია დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული იყო: 2008 წელს ყოფილი ხელისუფლების ინფორმაციით, ცეცხლი თითქოს აფხაზებმა გალის რაიონის სოფლებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს გაუხსნეს. თუმცა, აღნიშნული საქმის ირგვლივ მაშინვე უამრავი კითხვა გაჩნდა. მაგალითად, **რატომ იყვნენ ადგილზე წინასწარ მობილიზებულნი ჟურნალისტები და საქართველოს შს სამინისტროსა და უშიშროების წარმომადგენლები? საიდან აღმოჩნდა რომან შამათავას ტელეფონი იმ ადგილზე, საიდანაც სროლა განხორციელდა?** ეჭვის საფუძველს ქმნის ის ფაქტიც, რომ **ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს მიყენებული ზიანი შს სამინისტროს ფარული ასიგნებიდან აუნაზღაურეს.**

ალნიშნული კითხვები გაეროს სამხედრო ექსპერტებსაც გაუჩნდათ. გამოძიების პროცესში მაშინვე ჩაერთნენ ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წარმომადგენლები — ივარ დალე და ოგე ბორჩგრევინკი. **„აღსანიშნავია, რომ აფეთქებამდე ტელეჟურნალისტები უკვე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, ხოლო სროლისთანავე ადგილზე სამხედროებიც მოვიდნენ. მოგეხსენებათ, სოფელი ხურჩა დემილიტარიზებულ ზონაში მდებარეობს. უახლოესი სამხედრო ბაზა 20 წუთის სავალზეა. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: როგორ მოახერხეს შეიარაღებულმა ძალებმა ასე სწრაფად შემთხვევის ადგილზე მისვლა? ეჭვს იწვევდა ის ფაქტიც, რომ ყუმბარის სროლა მხოლოდ ახლო მანძილიდან იყო შესაძლებელი“,** — განაცხადეს მისიის მონაწილეებმა.

გაეროს გენერალური მდივნის, პან გი მუნის ანგარიშში კი ნათქვამია: **„მისიის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი, რომლიდანაც თავდამსხმელები ისროდნენ, ავტობუსებიდან დაახლოებით 100 მეტრით იყო დაშორებული და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობდა. ჯერ კიდევ ვერ აღმოვაჩინეთ მყარი მტკიცებულებები თავდამსხმელთა ვინაობის შესახებ. ინციდენტთან დაკავშირებით ბევრი შეუსაბამობაა. კერძოდ კი, ის ფაქტი, რომ ინციდენტი ისე გადაიღეს, თითქოს იცოდნენ, როგორ განვითარდებოდა“.**

მიუხედავად წარმოდგენილი დასკვნებისა, 2012 წლამდე, ანუ ხელისუფლების ცვლილებამდე გამოძიებას არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია.

**როგორც ყოფილი პარტიზანული შენაერთის — „თეთრი ლეგიონის“ ხელმძღვანელი ზურაბ სამუშია „საქართველო და მსოფლიოსთან“ ამბობს, მისთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ტერაქტი საქართველოს ხელისუფლებამ მოაწყო.**



**ზურაბ სამუშია:**

## იმდენად უსუსურად დადგეს ეს ყველაფერი, სამხედრო საქმის პროფესიონალებისთვის მაშინვე ცხადი იყო, რომ ტერორისტული აქტი თავად საქართველოს ხელისუფლებამ მოაწყო

**— ბატონო ზურაბ, რა იყო ხელისუფლების მიზანი, რატომ უნდა მოეწყო საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი?**

— საქართველოს ხელისუფლებას სურდა, შიშის ქვეშ ჰყოლოდა მოსახლეობა, რათა შემდგომში თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა. ვინაიდან, მოგეხსენებათ, შეშინებული ხალხი ადვილი გასაკონტროლებელია. თუმცა **იმდენად უსუსურად დადგეს ეს ყველაფერი, სამხედრო საქმის პროფესიონალებისთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ტერორისტული აქტი თავად საქართველოს ხელისუფლებამ მოაწყო. ეს ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, თვითმხილველებისთვისაც ცხადი იყო.**

**— მოგეხსენებათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი ყოფილი მაღალჩინოსანი უკვე დაკავებულია, თუმცა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ ამ საქმეში, შესაძლოა, უფრო მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხიც გამოიკვეთოს. შესაძლო იყო თუ არა, აღნიშნული ტერორისტული აქტის შესახებ არ სცოდნოდათ ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს?**

— გამორიცხულია. თუ 9-წლიან მათი მმართველობის პერიოდს გადახედავთ, დაინახავთ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა როგორ ემსახურებოდა ერთადერთ პიროვნებას — მიხეილ სააკაშვილს. ამიტომ, ქვეყანაში რაც ხდებოდა, მას რაიმე არ სცოდნოდა, გამორიცხეთ. **თუ ეს ტერაქტი მართლა არ იყო პრეზიდენტ სააკაშვილთან შეთანხმებული, ის ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებდა და დამნაშავეებს დასჯიდა, მაგრამ ამ ხუთეულმა — ადეიშვილის, მერაბიშვილის, ახალაიას, უგულავასა და ბოკერიას შემადგენლობით, სპეციალურად შეიმუშავა გეგმა და ტერორისტული აქტი განახორციელა. ამისთვის კი მათ ეს საცოდავი ხალხი გამოიყენეს.** მოგეხსენებათ, მომხდარის დროს მშვიდობიანი მოქალაქეები დაზარალდნენ, თუმცა მაშინ ეს არავის ადარდებდა“, **— ამბობს ზურაბ სამუშია.**

**არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელ ლალი ანთიას განცხადებით, მომხდარი ფაქტი მთელი საქართველოს, განსაკუთრებით კი სამეგრელოს, წინააღმდეგ იყო მიმართული.**



**ლალი ანთია:**

## 2008 წლის აგვისტოს ომიც სააკაშვილის მოწყობილი იყო და ხურჩის აფეთქების მოწყობა რა გასაკვირია?!

„ყველამ კარგად იცით, 9 წლის განმავლობაში ხელისუფლება რასაც აკეთებდა. სააკაშვილი ყოველთვის ღალატობდა და გენოციდს აწყობდა ქართველების წინააღმდეგ. 2008 წლის აგვისტოს ომიც სააკაშვილის მოწყობილი იყო და ხურჩის აფეთქების მოწყობა რა გასაკვირია?! ერთ საინტერესო ისტორიას მოგიყვებით: **2008 წლის აგვისტოს ომის დროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი სოფელ ჯგალის სკოლის დირექტორს ეუბნებოდა, გამოდი და ტელეკამერების წინ თქვი, თითქოს სკოლაში და სახლში რუსები ტანკებითა და ავტომატებით შემოგივარდნენ და გემუქრებოდნენო. რამენაირად უნდოდათ დადასტურება, რომ ვითომ რუსები შემოვიდნენ სოფელში და ზეწოლას ახდენდნენ მშვიდობიან მოსახლეობაზე.**

2007-2009 წლებში ე.წ. საზღვართან ბევრი რამ მომხდარა. საქართველოს ქვეყნის შიგნით ჰყავდა მტრები — მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა და, თუ რაიმე ტერაქტი მომხდარა ან კიდევ მოხდება, ისევ ამათი მოწყობილი იქნება, მიუხედავად იმისა, იქნებიან თუ არა „ნაციონალები“ ხელისუფლებაში. მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში, რასაც ხელისუფლება სამეგრელოში სჩადიოდა, იმის შემდეგ, არა მგონია, ნორმალურ ადამიანს საერთოდ სამეგრელოში ცხოვრების სურვილი გაუჩნდეს,“ **— ამბობს ლალი ანთია.**

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

**უნდა შეიქმნას ნამდვილი ქართული პოლიტიკური ძალა, რომელიც ეროვნულ ფასეულობებზე დაყრდნობით და სწორად ჩამოყალიბებული დიპლომატიით ითანამშრომლებს ნამდვილ ევროპასთან და ნამდვილ რუსეთთან, ნამდვილ და არა სიკორსკების, ბილდტების, გომესებისა და ლისეკების ევროპასთან.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# НЕЗВАНЫЙ ГОСТЬ ХУЖЕ ТАТАРИНА!

**ამ წერილის სათაურად ძველი რუსული გამოთქმა იმიტომ მოვიყვანე, რომ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და ღრმა ლიტერატურულ-ფილოსოფიური ინსინუაციების გარეშე პირდაპირ გადავსულიყავი იმ „დაუპატიჟებელი სტუმრების" ნამდვილ ზრახვებზე და მათ ქართველ მასპინძლებზე.**



## ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების ლობისტების მენტალიტეტი და შეხედულებები ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება

23 ოქტომბერს საქართველოს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რადოსლავ სიკორსკისა და კარლ ბილდტს, ბიზნესცენტრში შეხვდა.

ერთი შეხედვით ამ შეხვედრაში უცნაური არაფერია — ჩვენი ქვეყნის პრემიერმინისტრი სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა. მერე რა? იკითხავს მავანი და შეიძლება იქეთაც დამამუნათოს იმაში, რომ აღფრთოვანების ნაცვლად კრიტიკული წერილი დავწერე.

ასეთ ოპონენტს, ჯერ ერთი, აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის საყვარელი ფრაზით ვუპასუხებ: „ნურას უკაცრავად!" და ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ ჯერ წერილი ბოლომდე ჩაიკითხე და, სავარაუდოდ, ბოლომდე თუ არ დამეთანხმები, საკმაოდ დიდ ნაწილში გამომყვები მაინც.

იმისათვის, რომ ბოლომდე ჩაგაყენოთ საქმის კურსში, ოფიციალურ ინფორმაციას შემოგთავაზებთ.

**23 ოქტომბერს საქართველოს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რადოსლავ სიკორსკისა და კარლ ბილდტს, ბიზნესცენტრში შეხვდა.**

**პირისპირ შეხვედრის შემდეგ გაფართოებული შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილიც დაესწრნენ.**

საქართველოს პრემიერმინისტრის — ბიძინა ივანიშვილის თქმით, რადოსლავ სიკორსკისა და კარლ ბილდტს საქართველოში ვითარების სტაბილურობასთან დაკავშირებით ეჭვები რჩებათ. პრემიერის თქმით, ეს ნორმალურია, რადგან **საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ორი გამოკვეთილი ლიდერი დატოვებს პოლიტიკას — 17 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილი და ინაუგურაციიდან ერთ კვირაში — თავად ივანიშვილი.**

„ისინი წუხან, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დიდხანს არ გაგრძელდეს, რომ არ მოხდეს ახალი დაპატიმრებები, რაშიც მე მათ ვეთანხმები. დაინტერესებული არ ვარ, რომ მუდამ უკან ვიყურებოდეთ. ჩვენი მიზანია, მთელი საქართველო გავერთიანდეთ და გავაგრძელოთ სწრაფვა ევროპისკენ. ამ მხრივ ჩვენი ხედვები ერთმანეთს დაემთხვა", — განაცხადა პრემიერმა.

ივანიშვილის ინფორმაციით, კარლ ბილდტი და რადოსლავ სიკორსკი საქართველოს სწრაფვას ევროკავშირისკენ მხარს უჭერენ.

**„ჩვენ უნდა ჩავიცხროთ აგრესია, გავერთიანდეთ და წინ ვიყუროთ. ისეც არ გაიგოთ, რომ რამე გარანტიები ან პირობები დავდე. მე მათ კარგად ავუხსენი სიტუაცია, ჩვენს ხედვებში სხვაობაც დავაფიქსირე. სხვაობა მხოლოდ ერთია — ისინი ნაკლებად იცნობენ საქართველოში არსებულ რეალობას. ვეცადე, მეჩვენებინა, რომ საზოგადოებაში არის სამართლიანობის აღდგენის განცდა, რაც მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და მალე უნდა დავასრულოთ. ნაკლებად უნდა ვიყუროთ უკან, ნაკლები გვქონდეს აგრესია და შურისძიების განცდა, მეტი პატიებითა და შერიგებით დავაჩქაროთ ჩვენი სწრაფვა ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცისკენ",** — აღნიშნა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, სტუმრები რუსეთთან დაკავშირებით მისი ხედვითაც დაინტერესდნენ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ხედვები ამ მხრივაც დაემთხვა.

**„ვილნიუსის სამიტი არის ჩვენი უახლოესი გამოწვევა, რომლისთვისაც, ვფიქრობ, აბსოლუტური მზაობა გვაქვს. ისინიც დაინტერესებულნი არიან, მაქსიმალურად მივიღოთ ის, რასაც ნოემბერში ველოდებით",** — თქვა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა ასევე თქვა, რომ საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და სტუმრები დაარწმუნა, რომ საქართველო ევროპულ არჩევნებს ჩაატარებს.

**„მათ აინტერესებდათ არჩევნების შემდგომი პერიოდიც. გადაამოწმეს, რას ვაპირებ და როგორ ვხედავ სიტუაციას არჩევნების შემდეგ",** — აღნიშნა ივანიშვილმა.

დავიწყებ ბოლოდან.

მართალი გითხრათ, ძალიან შემაშფოთა ფრაზამ „გადაამოწმეს, რას ვაპირებ და როგორ ვხედავ სიტუაციას არჩევნების შემდეგ".

**ნამდვილად ვერ გავიგე, თუ რას ნიშნავს სიტყვა „გადაამოწმეს". რომელიღაც ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა „გადაამოწმეს", თუ რას აპირებს სუვერენული ქვეყნის პრემიერმინისტრი?** (კი, ბატონო, გასაგებია, რომ საკმაოდ წარმატებული ქვეყნებია პოლონეთი და შვედეთი. ჩვენი მეგობარი ქვეყნებია, მაგრამ მაინც „რომელიღაცა").

გავაგრძელოთ „ჩაკითხვა" თუ მიხვდით ჩემი შეშფოთების მიზეზს?

დიახ, სწორად გამოიცანით და მაგან შემაშფოთა. არა, მარტო კი არ შემაშფოთა, „ევროპარლამენტარულად" რომ ვთქვა, „აღმაშფოთა".

რა ვქნა, ვერ დავმალავ და ვიტყვი, რომ წინა ორი ფრაზაც ვერ გავიგე **„მათი წუხილის"** და **„ჩვენი აგრესიის"** შესახებ. არა, როგორ ვერ გავიგე, მაგრამ, სამწუხაროდ, **ვერაფრით მოვარგე სამართლიანობის აღდგენის არამარტო ჩემეულ, არამედ საყოველთაოდ აღიარებულ ფორმულას: სამართალი უნდა აღსრულდეს, თუნდაც დაიქცეს ქვეყანა!**

აღარ გავშლი ამ თემას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ **საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ სამართლიანობის აღდგენის მომხრეა და ეს სამართლიანობა მხოლოდ მავანი მაღალჩინოსნის მთავარ მოედანზე გაროზგვას არ გულისხმობს. სამართლიანობა, პირველ რიგში, იმ კანონების გაუქმებას გულისხმობს, რომელთა მოქმედება მოქალაქეების საწინააღმდეგოდ არის მიმართული.**

შეიძლება ვინმეს სასაცილოდ და არც თუ ისე მნიშვნელოვნად მოეჩვენოს, მაგრამ სამართლიანობამ დამამცირებელი საარსებო მინიმუმი და მასზე „მთელი" 5 ლარით მეტი პენსია უნდა გაზარდოს. სამართლიანობამ დედაქალაქის მერის მიერ 2010 წლის ივლისში გამოცემული ის ბრძანება უნდა გააუქმოს, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი შპს-ს თანამშრომლებს მოქალაქეების ადმინისტრაციული დაჯარიმების უფლება მიენიჭათ (თბილისის სატრანსპორტო კომპანია). სამართლიანობამ ის ტარიფები უნდა დაარეგულიროს, რომლებიც უმძიმეს ტვირთად აწევს მოსახლეობას. და კიდევ მრავალი სხვა პრობლემა უნდა გადაწყვიტოს, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს და რომლებსაც, ფაქტობრივად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით.

**ბუნებრივია, ამას ვერც ბატონი სიკორსკი, ვერც ბატონი ბილდტი, ვერც ევროპარლამენტარი ანა გომესი, თავის ლოთ კოლეგა კშიშტოფ ლისეკთან ერთად ვერ გაიგებენ.**

**ვერ გაიგებენ, რადგანაც ისინი ლაღად მიაბიჯებენ იმ გზაზე, რომელიც ჯერ კიდევ მეთიუ ბრაიზამ, მათიას იორშმა და საქართველოს ბედითა და მომავლით „შეწუხებულმა" სხვა მრავალმა კორუმპირებულმა „მეგობარმა" გაკვალეს.**

ცხადია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ბატონებს ქართველი „მეგზურები" ჰყავთ. ისინი ხშირად დაფრინავენ ევროპა-ამერიკაში მწვანე კუპიურებით სავსე საკმაოდ „მსუქანი" ჩემოდნებით და ბიუჯეტის ხარჯზე უთბობენ გულებს ამ ე. წ. ლობისტებს.

## ნამდვილად ვერ გავიგე, თუ რას ნიშნავს სიტყვა «გადაამოწმეს». რომელიღაც ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა «გადაამოწმეს», თუ რას აპირებს სუვერენული ქვეყნის პრემიერმინისტრი?

სამწუხაროდ, **ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების ლობისტების მენტალიტეტი და შეხედულებები ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება.** არის კულუარული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **რესპუბლიკურ პარტიას ხშირად „უთხოვებია" თავისი უცხოელი პარტნიორები „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებისთვის.** ბევრი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება იმის თქმას, რომ **ასეთი „თანამშრომლობა" არ ეხმარება საქართველოს განვითარებას, მის წინსვლას. პირიქით — შედეგებს ყველა კარგად ვხედავთ.**

რაც შეეხება ნამდვილ ევროპას, მინდა მოვიყვანო ჩემი კოლეგის — გიორგი ფოფხაძის მცირე პოსტი, რომელიც მან ამ ორი დღის წინ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" გამოაქვეყნა:

**„ძვირფასო ქართველო პოლიტიკოსებო, დიდი პატივისცემით გთხოვთ, სიტყვა „ევროპულს" ნუ იხმართ რა... არაფერი იცით თქვენ, ევროპაში რა და როგორ ხდება და ასე ბრმად ამ სიტყვის წკნელივით ხმარება ევროპასაც უტეხს სახელს და ევროპულობასაც. თქვენი სიტყვების მერე ხალხი დედას აგინებს ამ საათივით აწყობილ ევროპას".**

ძალიან ბევრი რამის დაწერა შემეძლო ამ ე. წ. ვაიმეგობრებზე. შემეძლო, ვრცლად მელაპარაკა ბოკერიას „ბიუჯეტზე მჯდომ" ევროპარლამენტარ ანა გომესზე, რომელმაც მედიაკავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელ ირმა ინაშვილს და მის გუნდს (ანუ მათ შორის მეც) ექსტრემისტები გვიწოდა. შემეძლო, მომეყოლა იმის შესახებ, თუ როგორ გაოცდნენ ინგლისელი ჟურნალისტები მაშინ, როდესაც მათ ჩემმა კოლეგა მამუკა ბაკურიამ პრემიერმინისტრის სიტყვები, ყველა დამნაშავეს ვერ დავსჯით, ევროპა ვერ გაგვიგებსო, უთარგმნა.

ჩვენ ასეთი „მეგობრები" ბევრი გვინახავს იმ წლების განმავლობაში, როდესაც რუსეთის ფრთის ქვეშ ვცხოვრობდით და დღევანდელივით „უფროს ძმას" თვალებში შევციცინებდით. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთშიც საკმაოდ მოიძებნებიან გომესები, ლისეკები, იორშები და ა. შ.

გამოსავალი კი ერთადერთია. ის ერთადერთი გზა, რომელიც ყველამ კარგად იცის, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, სამწუხაროდ, შორეული მომავლის პერსპექტივაში განიხილება.

**უნდა შეიქმნას ნამდვილი ქართული პოლიტიკური ძალა, რომელიც ეროვნულ ფასეულობებზე დაყრდნობით და სწორად ჩამოყალიბებული დიპლომატიით ითანამშრომლებს ნამდვილ ევროპასთან და ნამდვილ რუსეთთან. ნამდვილ და არა სიკორსკების, ბილდტების, გომესებისა და ლისეკების ევროპასთან.**

არადა, ეს ყველაფერი სასწრაფოდაა გასაკეთებელი. სასწრაფოდ, რადგანაც დრო აღარ ითმენს.

**გია გაბრიჭიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვიღაც უკანონოდ ამყოფეს საპატიმროში, ვიღაცებს ოჯახი დაუნგრიეს, შვილები დაუხოცეს და ა. შ. ამდენად, თუკი ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ამ საკითხების გადაჭრას, მოსახლეობის პროტესტი არ გაქრება."**

კახი კახიშვილი:

# არჩევნები დამთავრდა და ნახავთ, რომ საქმეებს არ გამოიძიებენ

**27 ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორი კახი კახიშვილი.**

**— ბატონო კახი, მიუხედავად საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში არსებული განწყობისა, რომ 27 ოქტომბრის არჩევნები „ნაცმოძრაობის" პოლიტიკური აღსასრული იქნებოდა, დავით ბაქრაძე ხმათა 21,9 პროცენტით მეორე ადგილზე გავიდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს მონაცემი?**

— ჩემი აზრით, ამომრჩეველთა აქტივობა მაღალი რომ ყოფილიყო, „ნაციონალური მოძრაობა" მეორე ადგილზე ვერ გავიდოდა. გარდა ამისა, წინასაარჩევნო პერიოდში ის ფლობდა მნიშვნელოვან ბერკეტებს. მოგეხსენებათ, ეს არ არის ჩვეულებრივი პარტია, ეს იყო მეორე სახელისუფლო ძალა, რომელსაც, განსხვავებით დანარჩენი ოპოზიციური სპექტრისგან, ბევრ რამეზე მიუწვდებოდა ხელი. ამასთან, მას ჰყავდა და დღესაც ჰყავს საკმაოდ მოტივირებული ამომრჩეველი. ამაში სწორედ არჩევნების შედეგებმა დაგვარწმუნა. რაც შეეხება დაბალ აქტივობას, ვფიქრობ, **ერთი წლის განმავლობაში პროკურატურას რომ გამოეძია „ნაცმოძრაობის" მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულები, შესაძლოა, დღეს სულ სხვა სურათი მიგვეღო და სხვა რეალობა ყოფილიყო.**

**— როგორ ფიქრობთ, რა აბრკოლებდა ხელისუფლებას, რომ საქმეები გამოძიებულიყო?**

— აქ რამდენიმე ფაქტორია: ერთი ის, რომ სააკაშვილმა მოასწრო და აღიარა, თითქოს დემოკრატიულად გადასცა ხელისუფლება კოალიციას; მეორე, — იმ ბერკეტებით, რომლებიც „ნაცმოძრაობას" გააჩნდა, ზოგ შემთხვევაში საბოტაჟს აწყობდნენ და მესამე, — უკვე ცხრა წელია, ეს ხალხი ხელისუფლებაშია. ცხრა წელი მე მხედველობაში მაქვს კონკრეტულად „ნაციონალური მოძრაობის" სახით, თორემ, უფრო შორს თუ წავალთ, „მოქალაქეთა კავშირთან" ერთად მათი მმართველობა 20 წელს ითვლის; ანუ, იმის თქმა მინდა, რომ გამოცდილება დიდი აქვთ, კონტაქტებიც გააჩნიათ და იმ ტაიმაუტის შემდეგ, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნების მერე აიღეს, მოახდინეს საერთაშორისო ორგანიზაციებში თავიანთი მხარდამჭერების მობილიზაცია. აი, ამ ძალების წყალობით დაიწყეს ზეწოლა ხელისუფლებაზე და შედეგად ჩვენ სულ სხვა პროცესი მივიღეთ. ზოგადად, იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გვქონდა, შემიძლია გითხრათ, რომ ეს შედეგი სავსებით მოსალოდნელი იყო.

**— თუმცა, პრემიერმა განაცხადა, რომ ბაქრაძის 21 პროცენტი საზოგადოებისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა.**

— ეს პროცენტული მაჩვენებელი არის მისული ამომრჩევლების რაოდენობიდან და არა ზოგადად. აქედან გამომდინარე, მეტი აქტივობა რომ ყოფილიყო, ის 21 პროცენტი გახდებოდა 10, 8 ან 7 პროცენტი.

**— ყველას აინტერესებს, რა პოლიტიკურ კონფიგურაციას მივიღებთ მომავალში. თქვენ როგორ ფიქრობთ, რას უნდა ველოდოთ? ამას წინათ ბაქრაძემ განაცხადა, არჩევნებმა დაამტკიცა, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა ვართო.**

— ეს იყო მათი მიზანიც. **„ნაცმოძრაობა" არჩევნებში არ მონაწილეობდა გამარჯვებისთვის. იგივე სლოგანიც, „ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა", ნიშნავდა, რომ, უბრალოდ, მთავარი ოპონენტის როლში უნდათ ყოფნა.** ამას პირწმინდად მიაღწიეს, ამიტომ ახლა შემაჯამებელი ოქმით მოივლიან მთელ მსოფლიოს და ყველას ეტყვიან, ხელისუფლებამ ანგარიში უნდა გაგვიწიოსო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ისინი ჩართულები იქნებიან გადაწყვეტილებების მიღებაში და საბოლოო ჯამში ეს მნიშვნელოვნად გაზრდის მათი ლიდერების ინდულგენციას მართლმსაჯულების წინაშე.

**— გამოდის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" რჩება პოლიტიკურ ველზე და მარგველაშვილის დაპირება, არჩევნების შემდეგ კოაბიტაცია დასრულდებაო, კითხვის ნიშნის ქვეშაა? სხვათა შორის, თავის დროზე მას არ განუმარტავს ფართო საზოგადოებისთვის, რას გულისხმობდა კოაბიტაციის დასრულებაში.**

— მარგველაშვილის სიტყვები არაფერს ნიშნავდა. რატომ არ განმარტა, იცით? იმიტომ, რომ კოაბიტაცია, თავისი არსით, ნიშნავს ორი სახელისუფლო ძალის თანამშრომლობას, როდესაც ერთად მოხვდებიან მმართველობის სათავეში. **27-ის შემდეგ ამ გაგებით კოაბიტაცია ისედაც დამთავრდებოდა, იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის" პრეზიდენტს ეწურებოდა ვადა. ისე პოლიტიკური თანაცხოვრების დასასრული მაინცდამაინც არ ნიშნავს, რომ ამის შემდეგ ეფექტიანად ამოქმედდება ყველა სტრუქტურა.** მით უფრო, მარგველაშვილს მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ტერმინის მნიშვნელობა და არა სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელსაც საზოგადოება ელოდა.





**«ფაქტობრივად, იმის ილუსტრირება მოხდა, რომ თითქოს «ნაცმოძრაობა» ძირითადად დემოკრატიის მშენებლობით იყო დაკავებული...»**

**— მოლოდინს რაც შეეხება, წინასაარჩევნო პერიოდში სამართლებრივ პროცესზე მორატორიუმი გამოცხადდა და დღეს ყველას ჰგონია, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ის ისევ განახლდება. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?**

— აგერ არჩევნები დამთავრდა და თქვენ ნახავთ, რომ **იმ საქმეების გამოძიება, რომელთაც საზოგადოება ითხოვს, სწრაფად არ გამოიძიებენ. შესაძლებელია, რამდენიმე ადამიანი პასუხისგებაში მიეცეს, მაგრამ ის, რასაც ხალხი ელოდება, არ იქნება.**

**— ალბათ, „ნაცმოძრაობის" მაღალი ეშელონების პასუხისმგებლობას გულისხმობთ.**

— იცით რა, ხალხი ძირითადად იმას კი არ ელოდებოდა, რომ მთლიანად „ნაციონალურ მოძრაობას" გაასამართლებდნენ, სულაც არა, უბრალოდ, საზოგადოება შელახული უფლებების აღდგენას ითხოვს. ამ შელახულ უფლებებში იგულისხმება ის, რომ **ვიღაც უკანონოდ ამყოფეს საპატიმროში, ვიღაცებს ოჯახი დაუნგრიეს, შვილები დაუხოცეს და ა. შ. ამდენად, თუკი ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ამ საკითხების გადაჭრას, მოსახლეობის პროტესტი არსად გაქრება.**

**— არ გაქრება და რა მოხდება?**

— უბრალოდ, ადამიანები, რომლებსაც შელახული აქვთ უფლება, საკუთარი ხერხებით დაიწყებენ ზრუნვას, რომ მათ მიმართ სამართლიანობა აღსდგეს. ზოგი სტრასბურგში წავა, ზოგი სხვა ძალებს ჩარევს, მაგრამ პროცესი არ დასრულდება. უნდა თუ არა ხელისუფლებას, ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება მუდმივად იქნება გახლეჩილი პოლიტიკურ საფუძველზე.

**— დღემდე განხილვის საგნად რჩება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხიც. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ეს მიაჩნია პოლიტიკური ასპარეზიდან „ნაცმოძრაობის" გაყვანის საშუალებად.**

— ვადამდელი არჩევნები ჩატარდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატი მეორე ადგილზე გავიდოდა, დღეს კი ამის აუცილებლობის დასაბუთება ძალიან ძნელია, მით უფრო, თქვენ იცით, რომ ეს არ აძლევს ხელს არც „ნაცმოძრაობას" და არც „ქართულ ოცნებას".

**— არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე აქ იმყოფებოდნენ პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებმაც ღიად განაცხადეს, რომ საქართველო არ უნდა გაჰყვეს უკრაინის გზას. მათ მხედველობაში ჰქონდათ პოლიტიკური დევნა და სწორედ ამ კონტექსტში ისაუბრეს იულია ტიმოშენკოს დაკავებაზეც. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავდა ჩვენთვის ეს განცხადება?**

— ტიმოშენკო რომ დაეჭირა იუშჩენკოს, ევროპა ასეთ ამბავს არ ატეხდა. ასე რომ, ასეთი ტიპის დაპატიმრებები ყოველთვის გამოიყენება ხოლმე ოპონენტების მხრიდან პოლიტიკურ ბერკეტად...

**— ანუ, პრობლემა რეალურად სხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ძალის მოსვლაში იყო და არა ტიმოშენკოს დაკავებაში?**

— რა თქმა უნდა. რაც შეეხება უკრაინიზაციას, მათ რომ იცოდნენ, რა ხდებოდა აქ ცხრა წლის მანძილზე და რა სისტემურ დანაშაულთან გვქონდა საქმე, ალბათ, სულ სხვა საუბარი იქნებოდა.

**— კი მაგრამ, ციხის კადრები მათ ჩვენზე ადრე ნახეს. ეს არ იყო საკმარისი, რომ გაეგოთ, რა მდგომარეობა გვქონდა?**

— ცხადია, ზოგადად მათ იცოდნენ, აქ რა ხდებოდა, მაგრამ ერთია, როცა რაღაც ინფორმაცია გაქვს ფრაგმენტულად და მეორეა, როცა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არსებობს. მოდი, თუნდაც იმ ციხის კადრების მაგალითზე ვიმსჯელოთ, ამ მასალების საფუძველზე პასუხისგებაში მიეცნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ჩანდნენ ჩანაწერში. ამის იქით არ წავიდა გამოძიება და არ დაიწყო გარკვევა, ვისი დავალებით შეიქმნა ასეთი დანაშაულებრივი სისტემა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. აი, ზუსტად ამიტომ ჩაითვალა, რომ ადამიანების რაღაც ვიწრო ჯგუფი სჩადიოდა ამას, თორემ კიდევ ვიმეორებ, **სისტემური დანაშაული რომ გამოვლენილიყო და ეს გამყარებულიყო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, სულ სხვა სურათი იქნებოდა თუნდაც საერთაშორისო თანამეგობრობაში.** დღეს, ფაქტობრივად, მოხდა იმის ილუსტრირება, რომ თითქოს „ნაცმოძრაობა" ძირითადად დემოკრატიის მშენებლობით იყო დაკავებული, მაგრამ გარკვეული შეცდომები გაეპარათ, როცა რამდენიმე ადამიანმა გადააჭარბა საკუთარ უფლებამოსილებას.

**— არჩევნების შედეგით უკმაყოფილო გარკვეული პოლიტიკური ძალები უკვე ქუჩის აქციებით იმუქრებიან. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია, საზოგადოების იმ ნაწილმა, რომლის მოლოდინიც არ ან ვერ გამართლდა, უახლოეს მომავალში პროტესტის ამ ფორმას მიმართოს?**

— მოცემულ ეტაპზე ამის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. ისე, რა თქმა უნდა, მთავრობას აწი უფრო გაუჭირდება კონკრეტული გადაწყვეტილების არმიღების ახსნა, ვინაიდან რეალურად ერთი წელი მოსახლეობას ეუბნებოდნენ, „ნაცმოძრაობა" ჯერ კიდევ ფლობს ბერკეტებს და უნდა დაველოდოთო. თავის მხრივ, ბუნებრივია, საზოგადოებაც უფრო მომთხოვნი გახდება, მაგრამ, რომ გითხრათ, ველოდები, რომ ორ თვეში მოსახლეობა ქუჩაში გამოვა-მეთქი, მსგავსი განცდა ნამდვილად არ მაქვს. ვფიქრობ, გარკვეული პერიოდი დასჭირდება პროტესტის მომწიფებას. დაველოდოთ ყოველ შემთხვევაში, რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი ხელისუფლება.

**— გარდა ამისა, ქუჩაში გამოსვლებს ორგანიზება უნდა, რასაც დღეს, ალბათ, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ აიღებს საკუთარ თავზე.**

— მობილიზაციას, პირველ რიგში, სჭირდება მოტივი, ამიტომ, პოლიტიკური ძალა რომც არსებობდეს, მოტივი თუ არ გაჩნდა, ვერავინ შეძლებს ეფექტიანი აქციების გამართვას, რომელთაც ექნება ლოგიკური დასასრული. მოკლედ, მასობრივად ხალხის ქუჩაში გასვლას მე არ ველოდები ამ ეტაპზე. შესაძლებელია, ეს იყოს ორი-სამი წლის შემდეგ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ყველაფერს მომავალში პროცესები გვიჩვენებს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. ქუჩის აქციების რა მოგახსენოთ, მაგრამ რეალობა დღესავით ნათელია — „ქართულმა ოცნებამ" „ნაცმოძრაობას" სისხლი გადაუსხა და, არათუ სიკვდილს გადაარჩინა, პოლიტიკურ ასპარეზზე ანგარიშგასაწევი ძალის პოზიციაც შეუნარჩუნა; ამით ივანიშვილმა და მისმა გარემოცვამ სერიოზულ დივიდენდებს გამოჰკრეს ხელი. რაც შეეხება ხალხის ინტერესებს, „ოცნების პელე" სამოქალაქო სექტორში რომ გადავა, უკმაყოფილო საზოგადოებას მერე მიხედავს... (მინდოდა მეთქვა, მიჭირხნავს).**

**„ქართული ოცნება“, რომელიც მარგველაშვილის პირით გვეუბნება, „განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას უმცირესობების უფლებების დაცვას“-ო, რას გააკეთებს იმისთვის, რომ „დიადი არმენიის“ იდეით შეპყრობილმა ჩახალიანებმა, ბაიბურთებმა და მიგრანიანებმა ქვეყანა შაგრენის ტყავივით არ შემოგვაცალონ?!**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ვაჰაგიზმიდან» სეპარატიზმამდე, ანუ დააბრუნეთ ჩახალიანი ციხეში!

**1 ოქტომბერს ხელისუფლებაში ზარ-ზეიმით მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ ჯავახეთის სეპარატისტული მოძრაობის ლიდერი ვაჰაგან ჩახალიანი 2013 წლის 24 იანვარს პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. ჯავახელმა დაშნაკმაც დედის რძესავით შეირგო რეჟიმის მსხვერპლად გამოცხადება და რეგიონში სეპარატიზმის ცეცხლიააგიზგიზა. ახლა დღე ისე არ გავა, რომ ვაჰაგანამ და მთელმა მისმა საჩახალიანომ ახალ-ახალი პრეტენზიები არ გამოთქვან. ხან „წართმეული“ ეკლესიების დაბრუნებას ითხოვენ, ხანაც სომხურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას.**

ისე, რაც მართალია, მართალია, თავის დროზე, როცა კოალიციის „პელემ“ მას თავისუფლება უბოძა, მიშა ხაზგასმით ამბობდა, ჯავახეთში ნაღმი ამოქმედდაო. ყურიც არავინ შეიბერტყა და აი შედეგი: **„ერთიანი ჯავახკი“ უკვე იქცა არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ სერიოზულ საშიშ პოლიტიკურ ძალადაც.** ყველაფერს თავი დავანებოთ, თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩახალიანის გათავისუფლების თხოვნით პრემიერს თვით სომხეთის კათოლიკოს-პატრიარქმა გარეგინ მეორემ მიმართა, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. უწინარესად, **ეს მიანიშნებს გარკვეული პოლიტიკური ძალების პოზიციაზე და ინტერესებზე, რომელთა მთავარი ამოცანაც გრძელვადიან პერსპექტივაში სხვა არაფერია, თუ არა სამცხე-ჯავახეთში მცოცავი ოკუპაციის განხორციელება.**

ახლა მავანნი, ალბათ, იტყვიან, რომ სიძულვილის ენით ვსაუბრობ, რომ ჩახალიანი ერთი ჩვეულებრივი სეპარატისტია და მეზობელი სახელმწიფოს პოლიტელიტასთან არავითარი კავშირი არ აქვს, მაგრამ ფაქტი სულ სხვა რამეს გვეუბნება, — **მისი გათავისუფლებით თავის დროზე სომხეთის უმაღლესი ხელისუფლება იყო დაინტერესებული, თვით „ჯავახკის“ ფინანსურ უზრუნველყოფას კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე სომეხი ბიზნესმენები ახდენენ; მოკლედ, დაშნაკების მიზანი გასაგებია, მათ ოდითგანვე სურდათ, ჯავახეთი დედასამშობლოდან მოეწყვიტათ, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: მთავარია, საქართველო რას დაუპირისპირებს ამ დესტრუქციულ ელემენტებს.**

**„ქართული ოცნება“, რომელიც მარგველაშვილის პირით გვეუბნება, „განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას უმცირესობების უფლებების დაცვას“-ო, რას გააკეთებს იმისთვის, რომ „დიადი არმენიის“ იდეით შეპყრობილმა ჩახალიანებმა, ბაიბურთებმა და მიგრანიანებმა ქვეყანა შაგრენის ტყავივით არ შემოგვაცალონ?!**

დავუბრუნდეთ ისევ მათ ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას — სომხურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას. როცა დაშნაკი ჩახალიანი და ძმანი მისნი ამ მოთხოვნით გამოდიან, ხშირად ახსენებენ ხოლმე ეროვნული უმცირესობების ენების ევროპულ ქარტიას, რომელსაც საქართველი 1999 წლიდან, ანუ ევროსაბჭოში გაწევრიანებისთანავე ავტომატურადაა მიერთებული. მათი თქმით, თურმე სწორედ ეს დოკუმენტი გვავალდებულებს ჩვენ, ვცნოთ სომხური და მივანიჭოთ მას გარკვეული სამართლებრივი სტატუსი. სინამდვილეში აი, რა ხდება: **აღნიშნული ქარტია ეხება მცირე ხალხთა მილევად ენებს, როგორიცაა, მაგალითად, აფხაზური, ოსური და ა. შ. აქედან გამომდინარე, რატომაა სომხური მილევადი ენა, როცა მას აქვს სახელმწიფო სტატუსი სომხეთში, გაუგებარია, მაგრამ ჩახალიანისთვის ამის ახსნა, უბრალოდ, წყლის ნაყვა იქნება. ასეთივე უაზრობაა მისთვის იმის გაგებინება, რომ საქართველოს კი არ აქვს დღეს სომხური ეკლესიები მიტაცებული, პირიქით, სომხები ითვისებდნენ ისტორიულად ჩვენს სიწმინდეებს.**

ტერიტორიულ პრეტენზიებს რაც შეეხება, წართმევა-მიტაცებაზე თუ ვსაუბრობთ, შეგვიძლია, 1918 წლის დეკემბრის მოვლენები გავიხსენოთ, ან თუნდაც ის ავბედითი ზავი, რომლის წყალობითაც მთელი ლორეს რაიონი მაშინდელი დაშნაკების ხელში აღმოჩნდა. რა ვქნათ ახლა ჩვენ, დავდგეთ და ვიძახოთ, დაგვიბრუნეთ წართმეული ტერიტორია-თქო თუ პირდაპირ შეტევაზე გადავიდეთ? **იქნებ უბრალოდ დიპლომატიური რიტორიკით შევახსენოთ მეზობელ სახელმწიფოს, რომ საქართველო მათთვის სასიცოცხლო არტერიაა. ღირსეული ხელისუფლება ალბათ ნაწილობრივ ასეც მოიქცეოდა, მაგრამ ჩვენი სამწუხარო რეალობა დღეს სულ სხვაგვარია, — „ქართული ოცნება“ კოაბიტაციის ეშხში შევიდა, ბაქრაძე-მარგველაშვილის პოლიტიკური ქორწინება შედგა და კოალიცია სრულ ნირვანას განიცდის.** ვის სცალია ახლა ეროვნული ინტერესებისთვის, ან რა ხეირი ამისგან. ბოლოსდაბოლოს ამერიკას მოეწონება ეს თუ ევროპას, რატომ უნდა წავიდეს ხელისუფლება „დინების საწინააღმდეგოდ?!“

მოკლედ, მდგომარეობა მეტად სავალალოა. **ვუსმენდი რამდენიმე დღის წინ ახალქალაქში სააკაშვილ-ჩახალიანის კინკლაობას და ერთი შეგონება გამახსენდა: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო.“ სწორედ უპატრონო ქვეყანაში შეიძლება, სეპარატისტული ძალები ამდენს ბედავდნენ, თორემ ნორმალურ სახელმწიფოში რომ ვცხოვრობდეთ, მსგავსი კრიმინალები მორალს კი არ უნდა გვიკითხავდნენ, „ვირის აბანოში“ უნდა ისხდნენ და ციხის კედლებს ხეხავდნენ. ცხადია, დღეს ეს არ მოხდება, ასე რომ, სანამდეც არ უნდა მივიდეს ჩახალიანის ქართველოფობიური გამოხდომები, ხელისუფლება გადაფურთხებულს არ ალოკავს...**

დასასრულს, ისევ ახალქალაქში მომხდარ ინციდენტზე მოგახსენებთ, სააკაშვილთან შეხლა-შემოხლის შემდეგ „ჯავახკის“ აქტივისტები ტერიტორიას შეძახილებით გაეცალნენ: „მიშა, წადი თურქეთში!“ თურქეთში კი არა და მიშა იმის იქითაც წასულა, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად თვალში საცემია: **ახალი ხელისუფლების უნიათობით ამ ძალებმა ისე მოიკიდეს ფეხი, რომ უკვე უმაღლეს მსაჯულებადაც გვევლინებიან. განაჩენი პირდაპირ გამოაქვთ, ზოგს გასამართლებით ემუქრებიან, ზოგსაც — უცხო ქვეყანაში გასტუმრებით.** სხვათა შორის, ვაჰაგანას თურქეთი შემთხვევით არ უხსენებია, აქაც მათი წმინდა ნაციონალური ინტერესები იკვეთება. საქმე ისაა, რომ სომხებს, ჩვენგან განსხვავებით, ისტორიული მეხსიერება არ ღალატობთ და კარგად ახსოვთ, 1915 წელს რა უბედურება დაატეხათ თავს ოტომანების იმპერიამ. აი, ზუსტად ამიტომ აღიზიანებთ იმავე „ვაჰაგიტებსაც“ თურქეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა. ასე რომ, მათი ამოცანები ამ მხრივაც ანტიქართულია. **ახლა გინდა ამოქმედებული ნაღმი დაარქვი ჩახალიანს და გინდა — უკან მობრუნებული ბუმერანგი, ის, რაც სააკაშვილმა მას პირში მიახალა, სრული სიმართლე იყო: „ექვსი მუხლით იჯექი ციხეში და ძალიან მიჰქარა მან, ვინც ციხიდან გამოგიშვა“-ო. თქვენი არ ვიცი და მე პირადად „ნაცმოძრაობის“ ბელადს ასი პროცენტით ვეთანხმები...**

**ჯაბა ჟვანია**

**P.S.** საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეები მიხეილ სააკაშვილს უქმად არ დაუკარგავს და არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურად კიდევ სამიათასამდე ქართველს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მოკლედ, აქეთ თურქები, იქით დაშნაკები... ვაი, საცოდავო საქართველო, საით მიექანები!..

# ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება და ჩერქეზული საკითხი განიხილეს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის“ ორგანიზებით, სასტუმრო „ბატესტაში“ გამართულ კონფერენციაზე „ეთნოსი და პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში: ჩერქეზული საკითხი“ ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა ჩერქეზების გენოციდსა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე იმსჯელეს. საქართველოს პარლამენტმა სამი წლის წინ ჩერქეზთა გენოციდი აღიარა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოება შეეცადა, პასუხი გაეცა კითხვებისთვის, — რამდენად ადეკვატური იყო ყოფილი ხელისუფლების ნაბიჯი და რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისთვის აღნიშნულ გადაწყვეტილებას.**

**„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელის — ნანა დევდარიანის** განცხადებით, როგორც წესი, ჩვენ მხოლოდ დიდი ქვეყნები გვაინტერესებს და საქართველოს მოსაზღვრე კავკასიურ რესპუბლიკებზე ძალიან ცოტა რამ ვიცით. „დღეს კავკასიური თანამშრომლობისა“ და „გლობალური კვლევების ცენტრის“ მიერ გამართული ერთობლივი კონფერენცია, ამ კუთხითაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს გვაძლევს საშუალებას, ქართულმა საზოგადოებამ მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ რეალური ინფორმაცია მიიღოს.

შეხვედრას, ქართველ პოლიტოლოგებთან ერთად, რუსეთიდან სამი ექსპერტიც ესწრებოდა, რომლებმაც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში სერიოზული კვლევა ჩაატარეს და შედეგები დღეს კონფერენციაზე წარმოადგინეს. **სააკაშვილის ხელისუფლება ხშირად აცხადებდა, რომ რუსეთი დაიშლებოდა და საქართველო ამით აშენდებოდა, მაგრამ, თუ რეალობას გავითვალისწინებთ, რომ არა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება, არავინ იცის, რეგიონში რა პროცესები წარიმართებოდა. ჩვენი ორგანიზაცია სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ რეგიონსა თუ მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად დავაკვირდეთ და ამ კვლევების საფუძველზე ქართულ საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია მივაწოდოთ“,** — განაცხადა ნანა დევდარიანმა.

**რუსმა პოლიტოლოგმა, ნიკოლაი სილაევმა,** კონფერენციაზე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ჩატარებული კვლევები წარმოადგინა. **„ჩვენ მიერ გამოკვლეული და შესწავლილი საკითხები კავკასიის რეგიონს მოიცავს და ის მეტად მნიშვნელოვანია როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის. ჩვენი კონფერენციის მიზანია, იმ ხედვების დაახლოება, რომლებიც თბილისსა და მოსკოვს შორის არსებობს. ასეთი კი ერთი საკითხია — ორივე ქვეყანას სურს სტაბილურობა ჩრდილოეთ კავკასიაში. დღევანდელ კონფერენციაზე განვიხილეთ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება, როგორ უყურებს ამ საკითხებს ქართული და რუსული საზოგადოება, როგორც დღეს საუბრისას გაირკვა, ხშირ შემთხვევაში, ჩვენ აღნიშნულ საკითხებს ერთნაირად ვაფასებთ. ასევე უნდა გვესმოდეს, რომ**

**1992 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების გამო არ შეიძლება ვიმსჯელოთ რეგიონზე, ვინაიდან მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და შეცდომაა, ძველ შეხედულებებზე დაყრდნობით ახალი პოლიტიკის განხორციელება. ასე იქცეოდა სააკაშვილი, იგი ახალ პოლიტიკას სწორედ 20 წლის წინანდელ შეხედულებებზე აშენებდა“.**

არასამთავრობო ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობა“ თავმჯდომარე, **ტარიელ გაგნიძე,** საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას ავანტიურულს უწოდებს. **„ეს იყო გარედან, ამერიკული „ჯეიმსთაუნის ფონდის“ მიერ თავსმოხვეული გადაწყვეტილება და ის არ შედიოდა საქართველოს ინტერესებში. ამას გარდა, ჩერქეზების გენოციდი არ მომხდარა და საქართველოს პარლამენტმა არარსებული ისტორიული ფაქტი აღიარა. როდესაც ჩერქეზებთან დაკავშირებით ვსაუბრობთ, იმ მოვლენებს შეიძლება ტრაგედია დაარქვა, მაგრამ არავითარი გენოციდი ეს არ ყოფილა. ამას გარდა,**

**როცა ჩერქეზების გენოციდზე ვსაუბრობთ, იმ პერიოდში ქართველები რუსებთან ერთად თურქების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ანუ გამოდის, რომ რუსების მოკავშირეები ვიყავით და, თუ ამ გენოციდს ვაღიარებთ, მაშინ ეს პასუხისმგებლობაც რუსებთან ერთად ჩვენც უნდა გავინაწილოთ“.**

**ექსპერტ მამუკა არეშიძის** განცხადებით, ჩერქეზებთან დაკავშირებული საკითხი აქტუალური ოლიმპიადის წინა პერიოდში გახდა. **„ჩერქეზების თემა ოლიმპიადის წინა პერიოდში გააქტიურდა. ჩერქეზები მიიჩნევდნენ, რომ ოლიმპიადა მათ ტერიტორიაზე იმართება და აქედან გამომდინარე, მათ გარკვეული პოლიტიკური უფლებები უნდა ჰქონდეთ. პარლამენტს ეს მოვლენები უნდა ეღიარებინა ტრაგედიად.**

**საქართველოს ხელისუფლების აბსოლუტურად მოუფიქრებელი პოზიცია ჩვენთვის წამგებიანი იყო. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ასე ხელაღებით გენოციდის ცნობა.**

**როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ეს საკითხი წამოჭრა, მაშინვე ცხადი იყო, რომ ეს უფრო პოლიტიკური კონიუნქტურის საკითხი იყო და პასუხი 2008 წლის მოვლენებზე. თავად ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენლებიც კი არ ელოდნენ ასეთ გადაწყვეტილებას და გაოცებულნი დარჩნენ.**

**რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის საკითხს, პრაქტიკულად იგივე ვითარებაა რუსეთშიც, რაც ჩვენთან, მაგრამ ამას ჯერჯერობით ჩვენი საზოგადოება და ხელისუფლება ვერ აცნობიერებს იმ საშიშროებას, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან შეიძლება მოდიოდეს“.**

კონფერენციის ფარგლებში, **ეკონომიკურმა ექსპერტმა ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებში — დენის სოკოლოვმა და ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ეთნოპოლიტიკური კვლევების ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა — ახმედ იარლიკაპოვმა** ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში მიღებული კვლევის შედეგები წარმოადგინეს.

მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც დეპუტატობის კანდიდატს ეცოდინება, რომ ფუჭი დაპირებებისთვის და სხვა უმსგავსო საქციელისთვის მას, უკეთეს შემთხვევაში, პარლამენტიდან დაითხოვენ, ხოლო უარესში — აღუძრავენ სისხლის სამართლის საქმეს, იგი „პოლიტიკით“ ფულის გაკეთებაზე ხელს აიღებს და საზოგადოებისთვის უფრო სასარგებლო მოღვაწეობით დაკავდება.**

# სანამ არ მიიღებენ კანონს დეპუტატების გამოწვევაზე, ხიდაშელები იგრიალებენ!



**ჩვენმა გაზეთმა ორი წერილი მიუძღვნა იმ ტრაგიკომიკურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა და დღემდე არ შეცვლილა საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში. მოკლედ შეგახსენებთ ამ ამბავს.**

**2010 წელს გაიხსნა თბილისი-გომბორი-თელავის ტრასა. მისი დამპროექტებლებისა და მშენებლების უპასუხისმგებლობის გამო** (კონკრეტულად საუბარია გომბორის ეკლესიის ქვეშ გამავალ გზაზე და მიმდებარე ხევის დამეწყრილ უბანზე) **ვითარება ძალზე სახიფათო გახდა.**

ტრასის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციის შემდეგ მშენებლებმა მოსალოდნელი დამეწყვრის თავიდან ასაცილებლად ხევში სახიფათო ადგილის სამუშაოები დაიწყეს, თუმცა პირიქით უნდა ყოფილიყო — ჯერ ფერდი უნდა გაემაგრებინათ და მხოლოდ მერე მოეხდინათ გზის რეაბილიტაცია. პროექტის მიხედვით, დამეწყრილ ფერდობს დამცველი კონსტრუქცია აუგეს, სამწუხაროდ, დამპალი სალიანდაგო შპალებისგან. **საინჟინრო თვალსაზრისით, ამ უაზრო ნაგებობამ აღაშფოთა ხევის ქუჩის მოსახლეობა, რომელმაც 2011 წლის 14 ივნისს საგანგებო წერილით მიმართა საგარეჯოს გამგეობას, რომლითაც აფრთხილებდა ამ უკანასკნელს, რომ ყოვლად გაუგებარმა კონსტრუქციამ მდინარის კალაპოტი 5 მეტრით შეავიწროვა, რაც ძლიერი წვიმების დროს აუცილებლად გამოიწვევდა მოსახლეობის დატბორვას.**

2012 წლის 19 ივლისის **წყალდიდობამ თვალნათლივ დაადასტურა მოსახლეობის შიში. უხარისხოდ და არაკომპეტენტურად აგებულმა კონსტრუქციამ ვერ გაუძლო სტიქიის პირველივე შემოტევას. მოვარდნილმა წყლის ნაკადმა ე. წ. გაბიონიდან გამორეცხა ქვის ლოდები და წალეკა ხიდისკენ. ლოდებს დაემატა მოგლეჯილი ხეები. ხიდი გადაიქცა ხელოვნურ კაშხლად. დაიწყო მიმდებარე ტერიტორიის დატბორვა; და ხევის ქუჩის მცხოვრებლები იმ უზარმაზარ ლოდს უნდა უმადლოდნენ** („ხელთუქმნელ“ ძეგლად რომ წამოიჭიმა გომბორულას ნაპირზე), **რომელიც შეეჯახა ხიდს და მოწყვიტა ის. წყალმა სწრაფად დაიწყო კლება.**

ამ წყალდიდობამ ააოხრა და წალეკა მდინარე გომბორულას პირას მცხოვრები ზალიევებისა და სიხარულიძეების ოჯახების ნაკვეთები. ნაწილობრივ წყალი შევარდა რეზო ქოჩიშვილისა და გივი წივილაშვილის ნაკვეთებშიც. წყალმა ხიდის მიმდებარე სოფლის გზაც დატბორა.

სტიქიის შემდეგ დარჩნენ გომბორელები უხიდოდ. და აი, **2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს მათ „მხსნელად“ მოევლინა „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატობის კანდიდატი — თინათინ ხიდაშელი.** რა თქმა უნდა, **ქალბატონი ხიდაშელი დაჰპირდა ადგილობრივებს სოფლისთვის მართლაც სტრატეგიული ხიდის აღდგენას; დაჰპირდა, აგრეთვე, სხვა გასაჭირის მოგვარებას, ხმების სანაცვლოდ, ანუ: მე თქვენ — ხიდს, თქვენ მე — ხმებს.**

საყურადღებო ფაქტი: **ქალბატონი თინათინი არჩევნების შემდეგ სოფელში საერთოდ არ გამოჩენილა, ხოლო 15-მეტრიანი მოგლეჯილი ხიდი დღემდე „განისვენებს“ გომბორულასთან.** არადა, ამ ხიდით ყოველდღიურად სარგებლობდა როგორც ხევის ქუჩის, ასევე სოფელ გომბორის ზედა ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა. მდინარის მოპირდაპირე მხარეს არსებული საძოვრებით 54 ოჯახი სარგებლობს, რამდენიმე ათეული ოჯახი კი იმ ადგილებში სახნავ მიწას ფლობს და ხიდის გარეშე მათ ძალიან უჭირთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება. იქვეა სასაფლაო... **არ ვიქნები მართალი, რომ მარტო მაჟორიტარ დეპუტატზე — თინათინ ხიდაშელზე გადავტეხო ჯოხი. აინუნშიც არ აგდებენ გომბორელების გასაჭირს, ასევე, საგარეჯოს რაიონის გამგეობა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროც.** თუმცა ობიექტურებისთვის მათი არაერთი კომისია ჩამოვიდა, ათვალიერებდა ადგილს, აწკლაპუნებდა ენას და ტრადიციისამებრ ჰპირდებოდა დახმარებას, ამხნევებდა ხალხს: ხიდის აღდგენისთვის სახელმწიფომ თანხა გამოყოო... თუმცა, **დღემდე საგარეჯოს გამგეობასა და ზემოხსენებული სამინისტროს შორის დაუსრულებელი, ცვალებადი წარმატებით იმართება „პინგ-პონგის“ თამაში — წავლენ გომბორელები საგარეჯოს გამგეობაში, იქ კი „პინგ“: სათანადო სახსრები ხიდის აღდგენაზე არ გვაქვსო, მიმართეთ სამინისტროსო... მიაკითხავენ გულუბრყვილო გომბორელები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, აქედან კი — „პონგ“: მაგ თხოვნით მიმართეთ თქვენივე რაიონის ხელმძღვანელობასო...**

— ჩვენ შეგნებულად მოვიქეცით და პრეზიდენტის წინასაარჩევნო პერიოდში არ გადავკეტეთ თბილისი-გომბორი-თელავის ცენტრალური გზატკეცილი, — **მეუბნება ხევის ქუჩის მცხოვრები ტარიელ სიხარულიძე.** — მიუხედავად ჩვენი დეპუტატის — ხიდაშელის უსინდისობისა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვენდეთ „ქართულ ოცნებას“ და ხმა მივეცით მის კანდიდატს, გიორგი მარგველაშვილს. მაგრამ, თუ კიდევ გაგრძელდა ჩვენი გაჭირვების უგულებელყოფა ხელისუფლების მხრიდან, სხვა გზა არ გვრჩება — გადავკეტავთ გზას იმ დრომდე, სანამ ხიდს არ აღგვიდგენენ! ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულება!

**ხიდი ადგილიდან ვერც „საქართველო და მსოფლიოში“ ორმა გამოქვეყნებულმა წერილმა დაძრა და ვერც გომბორელების მიერ ხიდაშელის სახელზე დაწერილმა წერილმა, რომელიც ასე მთავრდებოდა:**

**„ქალბატონო თინათინ! ჩვენ, სოფელ გომბორის თითოეული მცხოვრები, უმორჩილესად გთხოვთ, დაავალოთ სათანადო სამინისტროს** (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს — გ. კ.), **გამოგზავნოს სპეციალური კომისია, რომელიც პროფესიონალურ დონეზე შეისწავლის ჩვენ მიერ დასმულ საკითხებს და შემდგომ გაგვიწევს სათანადო დახმარებას, რათა ხიდის აღდგენის საკითხი იყოს დადებითად გადაწყვეტილი“...**

ძალზე ყურადსაღები ფაქტი: **ამ წერილის დაწერიდან და ადრესატამდე გაგზავნიდან გავიდა შვიდი (!) თვე. ქალბატონ მაჟორიტარის პასუხი კი სამარისებური დუმილია!..** შეიძლება თქვათ: ხიდაშელი უფრო დიდი საქმეებითა დაკავებულიო. აგერ, აშშ-ის სენატში თვალი მოვკარითო, იქეთ — ნატოს შტაბ-ბინაშიო. მაპატიეთ და, აი, ეს მე ერთ ძველ და ბრძნულ ანდაზას მაგონებს: „ძაღლი შინ არ ვარგოდაო და სანადიროდ გარბოდაო“. ერთი სიტყვით, **საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი თინათინ ხიდაშელი არ ასრულებს თავის პირდაპირ მოვალეობას! გამოდის, რომ სახელმწიფო მას უხდის უზარმაზარ ხელფასს მხოლოდ ლაყბობაში და, გომბორელების შემთხვევაში, ყალთაბანდობაში?!** ან რას იძლევა მისი ძვირადღირებული ვიზიტები საზღვარგარეთ, რომლის დაფინანსება, ასევე, სახელმწიფო ხაზინიდან ხდება?! თავი იმით ვინუგეშოთ, რომ ქვეყანა ხიდაშელის დღეს გაკეთებული საქმით ასი წლის შემდეგ ისარგებლებს?! **ყველაზე სამწუხაროა, რომ ამგვარი დეპუტატის მორჯულება კანონით შეუძლებელია. ოთხი წლის განმავლობაში იგი ხელშეუხებელია!**

## ქალბატონი თინათინი არჩევნების შემდეგ საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში საერთოდ არ გამოჩენილა, ხოლო 15-მეტრიანი მოგლეჯილი ხიდი დღემდე «განისვენებს» გომბორულასთან

არადა, მდგომარეობა გომბორში სავალალოა. ამა წლის 21 სექტემბერს მოსულმა ძლიერმა წვიმამ კვლავ მწყობრიდან გამოიყვანა მშენებლების მიერ „აღდგენილი“ გაბიონი, დააზიანა დილბარა ზალიევას ეზოსთან რიყის ქვებით აგებული უხარისხო რკინის ბადით შეკრული დამცავი კედელი და ამ ქალბატონს კიდევ ერთხელ დაეტბორა ეზო, ბოსტანი, რამაც მოუსპო კარტოფილისა და ლობიოს წლევანდელი მოსავალი! **როგორც ვგრძნობ, ადგილობრივ ხელისუფლებას ხიდაშელითურთ, მხოლოდ ადამიანის მსხვერპლი თუ გამოაფხიზლებს და ისიც დროებით... საშველი?**

1937 წლის 12 დეკემბერს პირველად სსრკ-ს უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა. ერთი დღით ადრე — 11 დეკემბერს, იოსებ სტალინი შეხვდა თავის ამომრჩევლებს. ყურადღებით წაიკითხეთ სტალინის სიტყვა, რომელიც, ჩემი აზრით, იმაზე მეტად დააინტერესებს დღევანდელ ამომრჩეველს, ვიდრე იმდროინდელი დააინტერესა.

აი, რა თქვა სტალინმა: **„ამხანაგებო, მე მინდა მოგცეთ რჩევა, რჩევა, რომელსაც აძლევს დეპუტატობის კანდიდატი თავის ამომრჩევლებს... თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მანდ დეპუტატებს და ამომრჩევლებს შორის არსებობს თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობები. სანამ არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაქუცებიან თავიანთ ამომრჩევლებს, ეფიცებიან ერთგულებას, იძლევიან უამრავ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები მთლიანად არიან დამოკიდებული ამომრჩევლებზე. მაგრამ, როგორც კი არჩევნები ჩატარდება და კანდიდატები დეპუტატებად იქცევიან, მათი ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩევლებზე დამოკიდებულების მაგიერ ხდება მათი სრული დამოუკიდებლობა ამომრჩევლებისგან. ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში, ანუ ახალ არჩევნებამდე დეპუტატი გრძნობს საკუთარ თავს სრულიად თავისუფალს, დამოუკიდებელს ხალხისგან, საკუთარი ამომრჩევლებისგან. მას შეუძლია ერთი ბანაკიდან მეორეში გადასვლა, მას შეუძლია სწორი გზიდან გადავიდეს არასწორ გზაზე, მას შეუძლია გაიხლართოს სამარცხვინო მაქინაციებში, მას შეუძლია ყირაზეც დადგომა — იგი დამოუკიდებელია“.**

არ გაგონებთ ეს სურათი ჩვენს გულისამრევ აწმყოს?! გავაგრძელოთ:

**„შესაძლოა თუ არა, ასეთი ურთიერთობა იყოს ნორმალური? არავითარ შემთხვევაში, ამხანაგებო! საქმის ასეთი ვითარება გაითვალისწინა ჩვენმა კონსტიტუციამ და მან გაიყვანა კანონი, რომლის ძალით ამომრჩევლებს აქვთ უფლება, ვადამდე ადრე გამოიწვიონ თავისი დეპუტატები, თუ ისინი გზიდან უხვევენ, იწყებენ ყალთაბანდობას და თუ ისინი ივიწყებენ თავის დამოკიდებულებას ხალხისგან, ამომრჩევლებისგან“.**

სახელმწიფოსა და შესაბამისად, ჩვენ შველას მე ვხედავ „დეპუტატის ვადამდე ადრე გამოწვევის“ კანონის მიღებაში! **როდესაც დეპუტატობის კანდიდატს ეცოდინება, რომ ფუჭი დაპირებებისთვის და სხვა უმსგავსო საქციელისთვის მას, უკეთეს შემთხვევაში, პარლამენტიდან დაითხოვენ, ხოლო უარესში — აღუძრავენ სისხლის სამართლის საქმეს, იგი „პოლიტიკით“ ფულის გაკეთებაზე ხელს აიღებს და საზოგადოებისთვის უფრო სასარგებლო მოღვაწეობით დაკავდება.** დეპუტატის მორჯულების სხვა გზას პირადად მე ვერ ვხედავ. სანამ ზემოხსენებულ კანონს არ მიიღებენ, ხიდაშელების „ჰარი-ჰარალეს“ ბოლო არ მოეღება!

## როგორც ვგრძნობ, ადგილობრივ ხელისუფლებას ხიდაშელითურთ, მხოლოდ ადამიანის მსხვერპლი თუ გამოაფხიზლებს და ისიც დროებით...

**გიორგი კორძაძე**

**მეცნიერებათა აკადემიის მესვეურები, მაღალი რანგის სპეციალისტები, ჩინებული ორგანიზატორები და პატრიოტები არიან. იმედია, ისინი საჯაროდ დადებულ პირობას აღასრულებენ, მაგრამ ჰუმანიტარები შიშობენ, რომ აკადემიის ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, ვერ გაუძლოს ზემოქმედებას და ვითარების განმუხტვა გაჭიანურდება.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქართველოლოგია დაივიწყა?

**სასიკეთო გადაწყვეტილების მოლოდინში — წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაში, საზოგადოებამ სულიერებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ბევრი პრობლემა მიივიწყა, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე რეფორმა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი. მათგან ერთ-ერთი ჰუმანიტარული მიმართულების, კერძოდ, ქართველოლოგიურ მეცნიერებათა იგნორირებას ეხება.**



**«ქართველოლოგიური დარგების, გნებავთ, ეროვნული ისტორიოგრაფიისთვის, იოლი არ არის, შეეგუოს იმას, რომ ეროვნული(!) აკადემიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში არ იყოს წარმოდგენილი ქართველოლოგი, როგორც ამ დარგის კომპეტენტური კოორდინატორი და ქომაგი»**

აკადემიის დაარსებიდან ბოლო პერიოდამდე მეცნიერების ამ სფეროს ყოველთვის ჰყავდა კურატორი — აკადემიის ვიცეპრეზიდენტი. იგი კოორდინაციას უწევდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით მომუშავე სტრუქტურებს. იცავდა მათ ინტერესებს, ზრუნავდა მათ პერსპექტივაზე. წარმოიქმნა ერთგვარი „ვაკუუმი". მეცნიერთა აზრით, შეიქმნა აკადემიის ავტონომიის დარღვევისა და მისი ხელმძღვანელობის საქმიანობაში ხელისუფლების არაკომპეტენტური, სუბიექტურ მოსაზრებებზე დაფუძნებული ჩარევის შესაძლებლობა.

**ამ უხერხულ სიტუაციასთან დაკავშირებული საუბარი დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის ბოლო კრებაზე, რომელმაც ახალი პრეზიდენტი და ვიცეპრეზიდენტი (ორივე ბუნებისმეტყველების სფეროდან) აირჩია. მაშინ საუბარი ამ თემაზე დამთავრდა დაპირებით, რომ პრობლემა გადაწყდებოდა მომდევნო კრებაზე, რომელსაც სამეცნიერო საზოგადოება უახლოეს დღეებში გამართავდა.**

**მეცნიერებათა აკადემიის მესვეურები, მაღალი რანგის სპეციალისტები, ჩინებული ორგანიზატორები და პატრიოტები არიან. იმედია, ისინი საჯაროდ დადებულ პირობას აღასრულებენ, მაგრამ ჰუმანიტარები შიშობენ, რომ აკადემიის ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, ვერ გაუძლოს ზემოქმედებას და ვითარების განმუხტვა გაჭიანურდება.**

ამ პუბლიკაციით, გვინდა, საზოგადოებას, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობას, გნებავთ, პარლამენტში დარგის ბედ-იღბლის გადამწყვეტ ადამიანებს შევახსენოთ, რომ მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაში ქართველოლოგიური მეცნიერებების სათანადო დაფასება-აღიარება მათი უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს. აქვე გთავაზობთ ამ საჭირბოროტო საკითხისადმი აკადემიის რამდენიმე წარმომადგენლის დამოკიდებულებას.

**გურამ ლორთქიფანიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:**

— მომავალს იმედიანად ვუყურებ, უკვე ჩანს, რომ აკადემიის ახალი ხელმძღვანელობა სხვა შემართებით მუშაობს. ვფიქრობ, მის საქმიანობაში სუსტი რგოლია ის, რომ აკადემიის პრეზიდიუმში ქართველოლოგია არ არის წარმოდგენილი ვიცეპრეზიდენტის სახით. ტრადიციულად, დაარსების დღიდან, საქვეყნოდ ცნობილი ქართველოლოგები — სიმონ ჯანაშია, ანდრია აფაქიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ჯიბლაძე იყვნენ ვიცეპრეზიდენტები. **ამ ეტაპზე აკადემია იმდენად დატვირთულია, იმდენი საკითხია მოსაგვარებელი, რომ ერთი ვიცეპრეზიდენტი, ისიც არაჰუმანიტარი, ვერ გასწვდება ქართველოლოგიური დარგების ინტერესების დაკმაყოფილებას. დღეს, როგორც არასდროს, აკადემიას განსაკუთრებული ყურადღება მართებს ამ მიმართულების განსავითარებლად. პრობლემის მოგვარება კი ყველაზე კარგად შეუძლია ვიცეპრეზიდენტს.** ამიტომაც საკითხისადმი საზოგადოების დიდი ინტერესი (შეშფოთებაც) საყურადღებოა. მიმაჩნია, რომ სწორად მოიქცა ბატონი ელიზბარ ჯაველიძე, როცა აკადემიის საერთო კრებაზე მწვავედ ისაუბრა ჰუმანიტარი ვიცეპრეზიდენტის აუცილებლობაზე და კანდიდატურაც შემოგვთავაზა როინ მეტრეველის სახით.

ფართო საზოგადოებისთვის უცნობია ერთი დეტალი. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე (რომლის აკადემიკოს-მდივანია ბატონი როინ მეტრეველი) განყოფილების სრულმა შემადგენლობამ — ჩვიდმეტივე წევრმა — როინ მეტრეველის კანდიდატურა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე წარადგინა. თამაზ გამყრელიძისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, განყოფილების წევრებმა მიიჩნიეს, რომ მაშინ აკადემიის ახალი პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო ბატონი როინი. ეს არ იყო რაიმე გარიგება ან კულუარებში შეთანხმებული გადაწყვეტილება. ამგვარი განვითარება თვით როინ მეტრეველისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მან კატეგორიული უარი განაცხადა საკუთარ კანდიდატურაზე, რაც უაღრესად კეთილშობილური საქციელი იყო. თამაზ გამყრელიძესთან წლების მანძილზე თანამშრომლობამ, საქმიანმა და ადამიანურმა ურთიერთობებმა გადასძალა და კატეგორიულად უარყო ჩვენი წინადადება. ეჭვი არ მეპარება, ბატონი როინი მაშინ რომ დაგვთანხმებოდა, დღეს ის იქნებოდა აკადემიის პრეზიდენტი და ქართველოლოგიის პრობლემაც უმტკივნეულოდ გადაიჭრებოდა.

**ქართველოლოგიური დარგების, გნებავთ, ეროვნული ისტორიოგრაფიისთვის, იოლი არ არის, შეეგუოს იმას, რომ ეროვნული(!) აკადემიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში არ იყოს წარმოდგენილი ქართველოლოგი, როგორც ამ დარგის კომპეტენტური კოორდინატორი და ქომაგი.** ამ პოზიციას საჯაროდ დავაფიქსირებ საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებასაც ამ დღეებში ველოდებით. მსიამოვნებს, რომ აკადემიის ახალმა პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, თავადაც იზრუნოს ჰუმანიტარულ, ქართველოლოგიურ მეცნიერებებზე, მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ ძალზე ბევრი საქმეა გასაკეთებელი, ამ მიმართულებას აუცილებლად უნდა ჰყავდეს კონკრეტული ხელმძღვანელი და რომ ეს საკითხი პირველსავე საერთო კრებაზე გადაწყდება. ვიცი, რომ ბატონი გიორგი კვესიტაძე სიტყვის კაცია, მაგრამ... ყველა გარემოების შენივთება მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას მხოლოდ აკადემიის საერთო კრება მიიღებს, რომელიც კონიუნქტურული გავლენის ქვეშ არ მოექცევა.

**ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი:**

— მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ორი ვიცეპრეზიდენტი. **აკადემიას ახლა თავისუფლად, ობიექტურად არჩეული ხელმძღვანელები ჰყავს და მინდა მათ წარმატებები ვუსურვო. იმედია, ისინი ხელს შეუწყობენ, რაც შეიძლება სწრაფად ავირჩიოთ ვიცეპრეზიდენტი — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კურატორი. ამით აღდგება სამართლიანობა — ისტორიულად, ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ხომ ყოველთვის იყო ჰუმანიტარული, კერძოდ, ქართველოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენელი.**

აკადემიის საერთო კრებამ ამ საკითხზე იმსჯელა. ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ მოითხოვა კაზუსის აღმოფხვრა, ასევე — ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ, ბატონმა ტარიელ ჯაფარიძემ...

აკადემიის პრეზიდენტმა ბრძანა, რომ პირველსავე საერთო კრებაზე განსახილველად გამოიტანს ამ საკითხს და წარმოადგენს კონკრეტულ კანდიდატურას. ჩვენ ახლა ველოდებით და ვითხოვთ დანაპირების აღსრულებას. ვფიქრობ, კრება უახლოეს დღეებში ჩატარდება. **მე და ბევრ ჩემს კოლეგას მკაფიოდ გვაქვს ჩამოყალიბებული პოზიცია და მომდევნო კრებაზე ფარული კენჭისყრით, ძალდაუტანებლად ავირჩევთ ღირსეულ ვიცეპრეზიდენტს. ეს იქნება ქართველოლოგიისადმი პრაქტიკული ზრუნვის გამოხატულებაც და იმ პრიორიტეტის აღიარებაც, რომლითაც უნდა ვიმუშაოთ პერმანენტული გლობალიზაციის ეპოქაში.** ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ამაყობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბრწყინვალე წარმომადგენლებით. სწორედ ისინი, მსოფლიო მნიშვნელობის კორიფეები, მიიჩნევდნენ, რომ ქართველოლოგიური კვლევები უნდა ყოფილიყო არანაკლებ პრიორიტეტული მეცნიერების ეროვნული აკადემიის საქმიანობაში. ბატონი ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ბატონი ილია ვეკუა პრაქტიკულად, საქმით აღასრულებდნენ ამ პოზიციას. დარგის ჰუმანიტარი კურატორი, ვიცეპრეზიდენტი, წაადგება როგორც ამ მიმართულების, ისე მთელი ეროვნული აკადემიის პრესტიჟის ამაღლებას.

**ვლადიმერ პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:**

— კანონი განსაზღვრავს, რომ მეცნიერებათა აკადემიაში პრეზიდენტს შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ვიცეპრეზიდენტი, ამჟამად მხოლოდ ერთია. **ჰუმანიტარების მოთხოვნა, რომ ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი იყოს ჰუმანიტარი, ბუნებრივი და ლოგიკურია, მით უფრო, რომ აკადემიას ასეთი ტრადიცია ყოველთვის ჰქონდა.** საერთო კრებაზე, რომელიც ზაფხულში გაიმართა, ერთმა ჯგუფმა დააყენა საკითხი, რომ ვიცეპრეზიდენტად არჩეული ყოფილიყო ბატონი როინ მეტრეველი, რომელიც ამჟამად არის აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. მის მხარდამჭერთა ჯგუფში მეც გახლდით, თუმცა, ჩემთვის გაუგებარ მიზეზთა გამო, მაშინ ეს კენჭისყრა არ ჩატარდა. შემდეგ ბეჭდურ მედიაში ატყდა სრულიად გაუგებარი აჟიოტაჟი. დღემდე ეს საკითხი ღიაა. **მიმაჩნია, რომ მეცნიერებათა აკადემიაში უნდა იყოს, სულ ცოტა, ორი ვიცეპრეზიდენტი და ერთ-ერთი აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს.**

საინტერესო მომენტსაც გეტყვით, მეცნიერებათა აკადემიის წინა პრეზიდენტის არჩევნები რომ გაიმართა, ჩვენმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ პრეზიდენტის კანდიდატად დაასახელა როინ მეტრეველი. ბატონი როინი საყოველთაოდ ცნობილი ისტორიკოსია, ღვაწლმოსილი, არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორი. მაგრამ თვითონ ბატონმა როინმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა და ყველას მოგვმართა, მხარი დაგვეჭირა თამაზ გამყრელიძისთვის. შემდეგ საერთო კრებაზე ეს საკითხი დააყენეს მარიამ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ, ავთანდილ სილაგაძემ, ელიზბარ ჯაველიძემ და მე, მაგრამ რატომღაც კენჭისყრა არ შედგა. თუმცა საერთო კრება უფლებამოსილი იყო, კენჭისყრა ჩაეტარებინა, რადგან იგი მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ორგანოა. ამ პრობლემასთან დაკავშირებული საუბარი არ უნდა იყოს აღქმულ-დაკავშირებილი ამა თუ იმ პერსონასთან. ეროვნულ აკადემიაში ეროვნული პრობლემატიკის მიმართულებებს სჭირდება კომპეტენტური კურატორი, გამოცდილი ორგანიზატორი, ობიექტური კოორდინატორი, გულანთებული ქომაგი. ეს არის ამოსავალი წერტილი, ასეთი ადამიანები გვყავს და მათ შორის გამორჩეულს ავირჩევთ კიდეც.

**ვახტანგ ლორთქიფანიძე,**
**ნუგზარ მუშკუდიანი**

ახალი წიგნი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალექსანდრე ჭაჭია თავისი მსოფლმხედველობითი მრწამსის მიხედვით ფართომასშტაბიანი ანალიტიკოსია, რომელიც ერთი ქვეყნის ვიწრო ინტერესებით არ იფარგლება, მისი ხომალდი გლობალური პოლიტიკის ოკეანეში არჩეული კურსით მოძრაობს. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ქართველი პოლიტიკოსია, საერთაშორისო ურთიერთობებში ქართული პოლიტიკის ერთგული გამტარებელია.**

# საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...




**აიპ „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ სულ ახლახან გამოსცა პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების მეორე ტომი. პირველმა დღის სინათლე 2002 წელს იხილა. პაუზა საკმაოდ დიდია და მას გამომცემლები ე.წ. ვარდების რევოლუციით, პროცესების დაჩქარებით ხსნიან, იმ პერიოდის დამკვიდრებით, როცა „სააკაშვილის რეჟიმთან პრაგმატული და ადეკვატური ურთიერთობა კედლისთვის ცერცვის შეყრის ტოლფასი იყო“.**

თუმცა ავადსახსენებელი 9 წლის განმავლობაში ალექსანდრე ჭაჭიას არც მცდელობა არ დაუკლია, არც მუხტი არ დაკლებია და პრინციპულად განაგრძობდა რეჟიმის მხილებას. სწორედ ამ პერიოდის მისეული პუბლიცისტიკის — წერილების, ინტერვიუების, გამოსვლების ერთი ნაწილია თავმოყრილი ხსენებულ მეორე ტომში, რომელსაც ფრიად მრავლისმთქმელი (და დასაფიქრებელიც) სათაური აქვს — **„საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი“...**

მკითხველს მოეხსენება, რომ ზოგჯერ დუმილიც ჟღერს. ამ დუმილივითაა მრავალწერტილი კრებულის სათაურის ბოლოს დასმული, შეძახილივით თუ კითხვასავით — **გვაქვს კი ის საქართველო, რომელზეც ვოცნებობდით ჩვენ, ყველანი ავტორთან ერთად?**

**პასუხი უნდა ვეძებოთ იმ კრიტიკულ ანალიტიკაში, რომლითაც გამორჩეულია მთელი წიგნი, როგორც ერთიანი მეცნიერული ნაშრომი, სხვადასხვა ჟანრის ერთობლიობით რომ წარედგინა მკითხველს.**

**კრიტიკა მკვეთრია, ანალიტიკა — ღრმა და მრავალწახნაგოვანი, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში — ამბიციური, როცა ავტორი თავის ნააზრევს ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციად მიიჩნევს და თავს გვახვევს — გინდათ თუ არა, დაიჯერეთო.**

**ეს უპირველესი ნიშანია ინტელიგენტურობის და ნიმუშია ობივატელის თავდაჯერებულობისგან სრულად გათავისუფლების.**

ერთის მხრივ, მას შეუძლია მწარედ გააკრიტიკოს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკა, რომელიც, მისი აზრით, დიდად არ განსხვავდება სააკაშვილის „საბაზისო ორიენტირებისგან“: **„ქვეყნის შიგნით — უკიდურესად ლიბერალური კაპიტალიზმის იგივე მოდელი, რომელიც კრახს განიცდის მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით დამღუპველია მცირე ქვეყნებისთვის; საგარეო პოლიტიკაში — აშშ-ის სატელიტის როლი, რომელიც გააგრძელებს ბრძოლას ამერიკული ინტერესებისთვის ავღანეთში, მზადაა ირანთან საომრად, ნატოში შესასვლელად, ანუ საქართველოს გადააქცევს აშშ-ისა და თურქეთის სამხედრო პლაცდარმად, რაც ავტომატურად რუსეთისა და ირანის მტრად გვაქცევს“.**

ალექსანდრე ჭაჭია წინააღმდეგია იმისა, რომ საქართველომ შეასრულოს ტრანზიტული დერეფნის როლი (ედუარდ შევარდნაძე) ან შემოიფარგლოს „ტურისტული სამოთხის“ როლის შესრულებით (მიხეილ სააკაშვილი) და ელოდება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ივანიშვილისეული სტრატეგიის საჯაროდ გამოტანასა და განხილვას, რაც ჯერჯერობით არ ჩანს და ამიტომაც გაუგებარია.

მაგრამ **კრიტიკით შემოფარგვლა, კრიტიკა კრიტიკისთვის მისთვის მიუღებელია და იგი კონკრეტულ რჩევებსაც აძლევს დღევანდელ ხელისუფლებას. საამისოდ კი უახლეს ისტორიასთან პარალელების გავლებისა და მიღებული გამოცდილების**

**კრიტიკა მკვეთრია, ანალიტიკა — ღრმა და მრავალწახნაგოვანი, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში — ამბიციური, როცა ავტორი თავის ნააზრევს ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციად მიიჩნევს და თავს გვახვევს — გინდათ თუ არა, დაიჯერეთო. ეს უპირველესი ნიშანია ინტელიგენტურობის და ნიმუშია ობივატელის თავდაჯერებულობიდან სრულად გათავისუფლების**

**გათვალისწინების მეთოდს იყენებს:**

**„გაიხსენეთ 1999 წელი, როდესაც წამყვანი ძალები — შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ და ასლან აბაშიძის „აღორძინება“ იყო. ასლანის მხარეს იყო ფულიც და სახელისუფლო შესაძლებლობებიც, ასევე, მოსახლეობის მძლავრი ოპოზიციური განწყობაც. მე ვურჩევდი მას, დისკრედიტებულ პარტიებთან კი არ შეექმნა ბლოკი, არამედ დაყრდნობოდა ფართო საპროტესტო ფენებს, საზოგადოებრივ სტრუქტურებს, შეეყვანა სიაში რეგიონული ელიტების ავტორიტეტული წარმომადგენლები. ეს ახალი რამ იყო პოლიტიკურ პრაქტიკაში და ამიტომ ასლანმა ვერ გარისკა, არჩევანი პარტიათა ბლოკზე შეაჩერა. ბლოკმა „მოქალაქეთა კავშირთან“ არჩევნები წააგო, შემდეგ უკვე პარლამენტში დაიშალა რამდენიმე ფრაქციად და პოლიტიკაშიც ვერაფერი არსებითი ვერ გააკეთა. დღეს ის აღარავის ახსოვს.**

**ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკური იმიჯი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თუ არენაზე ახალ სახეებს გამოიყვანდა ქართული საზოგადოების ფართო ფენებიდან, რომლებიც თავიანთი წარსული საქმიანობით კომპრომენტირებულნი არ არიან. იგი ახალი ადამიანია პოლიტიკაში და ახალ ხალხთან ერთად უნდა მოსულიყო. მგონი, ხალხი ზუსტად ამას ელოდებოდა“** *(გვ. 13)*.

არ უნდა იყოს ფუჭი რჩევა.

**ერთ-ერთი უმთავრესი და უმტკივნეულესი საკითხი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლების წინაშე იდგა და დგას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტური რეგიონების პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებაა.**

არაერთხელ განუცხადებიათ, რომ **„აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების გზა მხოლოდ რუსეთზე გადის“**, რომ ეს საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენს მიღებასთან. თითქოს აქსიომაც კია, რომ **„საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი, ნატოში არავინ მიიღებს“** *(გვ. 21)*.

რეალობა მართლაც ასეთია. მაშ, ნატოში ჩვენი შესვლა უდაბნოს მირაჟია მხოლოდ? ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, ცხადია, როგორც ყველა პატრიოტ ქართველს, აწუხებს ეს პრობლემა, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი და გამოცდილი ანალიტიკოსი, იგი უარს ამბობს ნებისმიერ ემოციურ მიხდომაზე, პათეტიკურ უაზრობაზე და დინჯად განსჯის. **მას მიაჩნია, რომ თეორიულად საქართველოს აქვს შანსი ნატოს წევრობის, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ამ ტერიტორიებზე ყოველგვარ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ.**

**„ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის,** — წერს იგი, — **დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდება და შეკვეთილი შედეგის მქონე რომელიმე პლებისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება.**

**ნატოს არასოდეს, არსად გაუერთიანებია ტერიტორიები. პირიქით, სადაც კი შევიდა, ყველგან ამას ქვეყნის რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაშლა მოჰყვა“** *(გვ. 22)*.

ასე გვაფრთხილებს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რაც უთუოდ ნიშანდობლივია და ყურადღება მისაქცევია.

**მაშ, სადაა გამოსავალი, ის გზა, რომელიც აფხაზეთის (ცხინვალთან ერთად) დაბრუნების საკითხს გადაგვაწყვეტინებს?** ანალიტიკოსის აზრით, **ასეთი გზა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პროგრამა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, „თუ იგი აფხაზურ მხარესთან ერთად იქნება შემუშავებული რუსეთის ფედერაციის შუამავლობით“.**

ბატონი ჭაჭია ამას რომ აცხადებს, შეიძლება ვენდოთ, რადგან იგი კარგად იცნობს სიტუაციას აფხაზეთში, პირადი ურთიერთობა აკავშირებს აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ წრეებთან. სამწუხაროდ, აფხაზეთთან სიტუაციის დალაგებაში ქვეყნის ხელმძღვანელობას იგი გამოყენებული არ ჰყავს.

სამწუხაროა.

ეს კი ხდება იმ ფონზე, როცა ქვეყანაში არ გამოჩენილა პიროვნება, რომელთან ერთადაც აფხაზები მიუსხდებოდნენ მაგიდას რეინტეგრაციის პრობლემებზე მოსალაპარაკებლად, თანაც თუ რუსეთი დადებითად შეხვდებოდა ასეთი კაცის ასპარეზზე გამოჩენას.

გადაგვიჭრის თუ არა ნატო ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას, საეჭვოა და დაუჯერებელი.

**ავტორის კრიტიკული პათოსი ვრცელდება ამ მიმართებით ახალი ხელისუფლების მოღვაწეობაზეც, რომელიც, მისი აზრით, უეფექტოა. უფრო მეტიც —** ▶

**ალექსანდრე ჭაჭია ობიექტურია ბატონი ივანიშვილის როლის შეფასებაში. საზოგადოებრივ ასპარეზზე, იგი «რეჟიმისადმი ხალხის შეუწყნარებლობის ტალღამ» მოიყვანა, «ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა ქართველი ხალხის მიერ რეჟიმის პოლიტიკის კატეგორიული უარყოფის წყალობით»**

**ალექსანდრე ჭაჭიას წიგნი „საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი“ არის ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია ერთი გულმხურვალე კაცის მიერ მეცნიერული დამაჯერებლობით დანახული და გადმოცემული; მატიანეა, რომელიც შეიძლება სუბიექტური მიდგომისგან თავისუფალი და სტერილური ობიექტურობით გამორჩეული არ არის, მაგრამ დამუხტულია ადამიანური განცდებითა და გულისტკივილით და ამიტომაც დამაჯერებელია.**

**ახალი წიგნი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ეფექტიანობა „ჯერჯერობით მოსალოდნელიც არ არის. კარგია ის, რომ შეიცვალა რიტორიკა, ნაკლებია რუსეთის, აფხაზი და ოსი ხელმძღვანელების მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხდომები“.** თუმცა **„ის მაინც იგრძნობა, რომ ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია პოზიტიური ცვლილებებით. ყოფილი ხელისუფლება ამით დაინტერესებული არ ყოფილა“** *(გვ. 63).*

ავტორი კრიტიკულად აანალიზებს შექმნილ მდგომარეობას და პირდაპირ გვეუბნება: **ნატოში საქართველოს შესვლით უშუალოდ თურქეთია დაინტერესებული.** რატომ? იმიტომ, რომ **ეს მას „მისცემს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს და ნატოს ბაზების ეგიდით შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში, საიდანაც 150 წლის წინათ ისინი რუსებმა გაყარეს“** *(გვ. 23).*

ამიტომ ნატო ჩვენთვის არც ხვალინდელი დღეა, არც პანაცეა ყველა პრობლემის გადასაწყვეტად.

ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ამ მოძრაობის ხელმძღვანელ ბირთვში შედიოდა, იმ დროს გამართულ ყველა მიტინგზე ნატოს ჯარების საქართველოში შემოყვანას მოითხოვდა, მაგრამ სწორედ იმ დასავლეთში, კერძოდ, აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდის.

ეს იყო პირველი — „რომანტიკულ პერიოდში“ გაცუდებული ოცნება.

მეორე თურქეთის პრობლემაა, რომელთან დამოკიდებულება, ანუ ამ ქვეყანასთან ჩვენი ურთიერთობა, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას აზრით, შემდეგი გარემოებებით უნდა იყოს განსაზღვრული:

**„პირველი — თურქული ეროვნული ელიტა (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედრო) ყოველთვის მიიჩნევდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო მთელ დასავლეთ საქართველოს — საკუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;**

**მეორე — თურქები თვლიან, რომ აჭარა მათ ძალით, ომის შედეგად წაართვა რუსეთმა და არა საქართველომ;**

**მესამე — თურქეთი ისლამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარებს, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გაავრცელოს;**

**მეოთხე — ერთის მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქმე მიიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის ავტონომიის გარანტის როლზე უარის თქმამდე და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსვლამდე“** *(გვ. 37).*

**ალექსანდრე ჭაჭია ობიექტურია ბატონი ივანიშვილის როლის შეფასებაში. საზოგადოებრივ ასპარეზზე „რეჟიმისადმი ხალხის შეუწყნარებლობის ტალღამ“ მოიყვანა, „ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა ქართველი ხალხის მიერ რეჟიმის პოლიტიკის კატეგორიული უარყოფის წყალობით“.**

## რეალური პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია ჩვენს საზოგადოებრიობას ყოველთვის აფრთხილებდა, რომ არ მოქცეულიყო პროვინციული თავდაჯერების გავლენის ქვეშ, თითქოს მთელ ქვეყნიერებას საქართველოზე ამოსდის მზე და მთვარე: «როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვყურებს, დაინტერესებულია ჩვენი ბედით და დღე და ღამ ჩვენს მომავალზე ზრუნავს, ეს სიცრუეა. მსოფლიოში საქართველოს შესახებ ან საერთოდ საქმის კურსში არ არიან, ანდა იცნობენ, როგორც ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთ კერას»

ავტორი იმედოვნებს, რომ ივანიშვილს მშვენივრად უნდა ესმოდეს — **„ცრუ მიზნები ხალხის დეზორიენტირებას ახდენს, შეუძლებელს ხდის საზოგადოების კონსოლიდაციას, ქვეყნის კატასტროფიდან გამოსაყვანად ძალისხმევის კონცენტრირებას“.**

სწორედ აქ ჩანს, რომ **ალექსანდრე ჭაჭიას, როგორც ანალიტიკოსს, თავის კრიტიკულ შეფასებებში** (რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ), **სრულად გამორიცხული აქვს სუბიექტური ფაქტორი, პიროვნული დაინტერესება, მით უფრო, დაპირისპირება.** მისთვის პრინციპული ამოსავალი ის რეალობაა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ **ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ „იგი ღირსეულად იქცევა“.**

მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ **ალექსანდრე ჭაჭია თავისი მსოფლმხედველობითი მრწამსის მიხედვით ფართომასშტაბიანი ანალიტიკოსია, რომელიც ერთი ქვეყნის ვიწრო ინტერესებით არ იფარგლება, მისი ხომალდი გლობალური პოლიტიკის ოკეანეში არჩეული კურსით მოძრაობს. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ქართველი პოლიტიკოსია, საერთაშორისო ურთიერთობებში ქართული პოლიტიკის ერთგული გამტარებელია. მაგრამ ამას აკეთებს არც კოვბოური მიხტომით, არც ბურლაკების უსიტყვო მორჩილებით, რომლებიც იძულებით მიჰყვებოდნენ ვოლგის ნაპირებს, რადგან სხვა გზა და სხვა მიზანი არ გააჩნდათ.**

**ალექსანდრე ჭაჭია შემოქმედებითი მკვლევარია: მას დაუნდობელი კრიტიკაც ხელეწიფება და არც პოზიტიურის დაუნახაობის ჭირი ჭირს.**

## ალექსანდრე ჭაჭიას, როგორც ანალიტიკოსს, თავის კრიტიკულ შეფასებებში სრულიად გამორიცხული აქვს სუბიექტური ფაქტორი, პიროვნული დაინტერესება, მით უფრო, დაპირისპირება

„საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომელიც მას გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ირაკლი თოდუამ ჩამოართვა 2013 წლის თებერვალში („თუ მორჩილად მივყვებით თავსმოხვეულ „ღირებულებებს“, დავიღუპებით!“), იგი აცხადებს:

**„მიაქციეთ ყურადღება — ივანიშვილი არსად იჩემებს, რომ საქართველოს მიიღებენ ევროკავშირსა და ნატოში, არ ასახელებს კონკრეტულ თარიღებს, როგორც ამას პერიოდულად აკეთებდნენ შევარდნაძე და სააკაშვილი. ის საუბრობს იმაზე, რომ საქართველომ ბევრი უნდა იმუშაოს ევროკავშირის სტანდარტებთან მისაახლოებლად, და ეს სწორია. ევროპულ პრაქტიკაში ბევრი რამაა ისეთი, რაც ჩვენ უნდა ავითვისოთ, მაგრამ არა ჩვენს სინამდვილეში ხელოვნური გადმოტანით, ბრმა კოპირებით, არამედ შერწყმის, ცხოვრების მოწყობის ტრადიციულ ქართულ მოდელთან ურთიერთშეღწევის გზით“** *(გვ. 67).*

მაგრამ ამის გაკეთება, ამ პოლიტიკური გზით სიარული შეუძლებელია იმიტომ, რომ **არ გვაქვს ეროვნული იდეა, რომელიც „სახელმწიფო დონეზე დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. იდეის გარეშე კი სახელმწიფო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“** *(გვ. 242).*

იყო კი მცდელობა ასეთი იდეის ჩამოყალიბების? იყო. ერისა და სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიის მის მიერ დამუშავებული ვარიანტი ალექსანდრე ჭაჭიამ შესთავაზა ყოფილ ხელისუფლებას, იმის წინასაც, მაგრამ ერთს არ სჭირდებოდა, მეორემ უსარგებლო თეორიად მიიჩნია.

**„ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებს,** — ამბობს ბატონი ალექსანდრე ჯერ კიდევ 2005 წელს გაზეთ „ილორში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში „თუ გვსურს, ერად დავრჩეთ და სახელმწიფო გვქონდეს“, — **თეორია რაღაც ზედმეტად უსარგებლოდ წარმოუდგენიათ. არადა, იოსებ სტალინმა 1951 წელს, როცა უკვე შექმნილი ჰქონდა კოლოსალური ზესახელმწიფო ბირთვული შეიარაღებითა და ფანტასტიკური ეკონომიკური ზრდით, ქვეყნის განვითარების ახალ ეკონომიკურ თეორიაზე დაიწყო მუშაობა და განაცხადა: „თეორიის გარეშე დავიღუპებით!“** *(იქვე).*

ასეთი თეორია დღესაც არ ჩანს და საწუხარი ეს არის.

**რეალური პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია ჩვენს საზოგადოებრიობას ყოველთვის აფრთხილებდა, რომ არ მოქცეულიყო პროვინციული თავდაჯერების გავლენის ქვეშ, თითქოს მთელ ქვეყნიერებას საქართველოზე ამოსდის მზე და მთვარე: „როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვყურებს, დაინტერესებულია ჩვენი ბედით და დღე და ღამ ჩვენს მომავალზე ზრუნავს, ეს სიცრუეა. მსოფლიოში საქართველოს შესახებ ან საერთოდ საქმის კურსში არ არიან, ანდა იცნობენ, როგორც ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთ კერას“** *(გვ. 290).*

ეს ციტატა ამოღებულია 2006 წლის ოქტომბერში გაზეთ „ჯორჯიან თაიმსისთვის“ მიცემული ინტერვიუდან.

ეს მომენტი განსაკუთრებით საყურადღებოა სააკაშვილის მმართველობის ობიექტურად შესაფასებლად, როცა ყოფილი ხელისუფლება მთელ ქვეყანას ვირტუალურ რეალობაში გვაცხოვრებდა და ამ „რეალობის“ მთავარი პუნქტი (ბოდვითი იდეა პრეზიდენტ ბუშის) საქართველოს დემოკრატიის შუქურად გამოცხადება იყო.

**დღეს, ანუ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ყველა — შინ და გარეთ — თავისუფლდება ამ უაზრობისგან, რაზეც ჯერ კიდევ 2006 წელს მიგვითითებდა ალექსანდრე ჭაჭია.**

მარტო ეს რომ იყოს!

წიგნის წინათქმაში სწორადაა შენიშნული: **„თუ კონკრეტული მოქმედი პირების გვარებს და ასევე თარიღებს შევცვლით, ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა, არც ხელისუფლება“.**

ამ დებულების ჭეშმარიტებაში მკითხველი სრულად დარწმუნდება, როცა განსახილველ მეორე ტომში წაიკითხავს ისეთ პუბლიკაციებს, როგორიცაა: **„აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა“; „საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი — ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას“, „ძალზე სახიფათოა, რომ რუსულ პოლიტიკურ წრეებშიც მატულობს კოსოვოს სცენარის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში“; „ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, მტკივნეული და საწყენია, რომ ჩემი სამშობლო გადაიქცა ვიღაცის კოლონიურ დანამატად მარიონეტული პოლიტიკური კლასით“, „მხოლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ იმ პერიოდით, როცა ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ“** და კიდევ მრავალ სხვას.

**დაბოლოოს:**

**ალექსანდრე ჭაჭიას წიგნი „საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი“... არის ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია ერთი გულმხურვალე კაცის მიერ მეცნიერული დამაჯერებლობით განხილული და გადმოცემული; მატიანეა, რომელიც შეიძლება სუბიექტური მიდგომისგან თავისუფალი და სტერილური ობიექტურობით გამორჩეული არ არის, მაგრამ დამუხტულია ადამიანური განცდებითა და გულისტკივილით და ამიტომაც დამაჯერებელია.**

წაიკითხეთ პასაჟი, რომელსაც აქვე გთავაზობთ და ამაში თქვენც დარწმუნდებით:

**„...ქართულ ინტერესებს, პირველ რიგში, ქართველი კაცი უნდა ემსახურებოდეს და საქართველოზე, პირველ რიგში, ქართველი უნდა ზრუნავდეს. საკუთარ ქვეყანაში ქართველმა კაცმა უნდა იგრძნოს თავი კარგად და ჩვენი მოძმე ხალხებიც მხოლოდ ამის შემდეგ იცხოვრებენ აქ კარგად. ქართველებს მინდა ვუთხრა: ძმებო, დებო, იქნებ ჯერ ჩვენ თვითონ მივხედოთ საქართველოს და მერე ვიქონიოთ სხვისი იმედი? სწორედ ასეთი პრინციპით უნდა ვაშენოთ ქართული, ეროვნული სახელმწიფო“** *(გვ. 411).*

**არმაზ სანებლიძე**

NATO OTAN

## ვილნიუსის სამიტის დელეგაციაში სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები არ იქნებიან

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ვილნიუსის სამიტის დელეგაციაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები არ იქნებიან.**

როგორც ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ვილნიუსიდან მიღებული მიწვევა, რომელიც იყო საქართველოს სახელზე, გულისხმობდა ერთი პლუს ორი პლუს ხუთი დელეგაციის წევრს.

**„ერთი არის სახელმწიფოს მეთაური, ანუ დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც წარადგენს ქვეყანას. უკვე ცნობილია, რომ ეს არის გიორგი მარგველაშვილი. ორი — ეს არის ორი მინისტრი და ხუთი არის დელეგაციის შემადგენლობა. იქ სწორედ მკაცრი შეზღუდვით მოხდება დელეგაციების მიღება. ერთი პლუს ორი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია თან ჰყავდეს ორი მინისტრი, რომლებიც იქნებიან ყველა მაღალი დონის ფორმატში, ხოლო ხუთი შეძლებს, რომ მოვლენებს თვალყური ადევნოს სპეციალურად შექმნილი დარბაზიდან, სადაც იქნება იმის ტრანსლაცია, თუ რა მოხდება ცენტრალურ დარბაზში. ეს არის ასეთი მკაცრი შეზღუდვა. რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება, ტურისტული ან სხვა მიზნით ეწვიოს იმ პერიოდში ვილნიუსს და შეიგრძნოს ვილნიუსის სამიტის სურნელი“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

რაც შეხება დელეგაციის შემადგენლობას, ამის თაობაზე მაია ფანჯიკიძეს ხვალ ექნება კონსულტაციები გიორგი მარგველაშვილთან.

**„მართალია, ჯერ ინაუგურაცია არ ყოფილა, მაგრამ ვილნიუსიდან უკვე გვთხოვენ კონკრეტულ მონაცემებს დელეგაციის წევრების შესახებ. ალბათ, ზეგ ჩვენ უკვე ვიტყვით, ვინ იქნება დელეგაციის შემადგენლობაში. ძალიან ცოტაა ხუთი, იმიტომ, რომ ძალიან ბევრმა ხალხმა იმუშავა ასოცირების ხელშეკრულებაზე. სამწუხაროა, რომ ყველა ვერ მოახერხებს ვილნიუსში ყოფნას და სიხარულის გაზიარებას“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

კითხვაზე, იქნებიან თუ არა დელეგაციაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, ფანჯიკიძის თქმით, წინა ხელისუფლების წარმომადგენელი ვერ იქნება, რადგან ხელისუფლებაში არ არიან.

**„ჩვენ იმის ფუფუნების უფლება არ გვაქვს, რომ ხელისუფლებაში არმყოფი ხალხი წავიყვანოთ ვილნიუსში, იმდენად შეზღუდულია რაოდენობა“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ათწლეულები უნდა გასულიყო, რომ ბევრ მათგანს გაეგო — მოვლენები, რომლებმაც რადიკალურად შეცვალა ცხოვრება მათ ქვეყანაში, სინამდვილეში სულ სხვა რამ იყო, არა ისეთი, როგორადაც ეჩვენებოდათ და ეგონათ: არა სახალხო რევოლუცია, არა პატრიოტულად განწყობილი სამხედრო ოფიცრების ამბოხი, არა მოულოდნელი ჩამოშლა ბირჟის, არა სასურსათო პანიკა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი იყო ერთი დიდი ოპერაციის ნაწილი, რომელიც მათი ქვეყნის წინააღმდეგ ამერიკის პრეზიდენტის მითითებით ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ განახორციელა.**

# ამერიკის შეერთებული შტატები — სხვა ქვეყნებში გადატრიალებების ორგანიზატორი

**ოცდაათი წლის წინათ აქსიომად იყო მიჩნეული, რომ ამერიკა ჯოჯოხეთის ნაშობია, დამპალი დასავლეთია. გაზეთები და ტელევიზია მას რეგულარულად და გააფთრებით ამხელდა, მაგრამ თანდათან, რაც საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისადმი ნდობა და რწმენა ნელდებოდა, საბჭოთა ადამიანებს გაეღვიძათ თავდაპირველად დაფარული, შემდეგ კი აშკარა სიმპათია გუშინდელი მოწინააღმდეგის — ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.
ასე იყო საქართველოშიც.
90-იანი წლების ეპოქაში სიმპათია უსაზღვრო სიყვარულის გრძნობად იქცა, სამწუხაროდ, უპასუხო, ცალმხრივ სიყვარულად.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №38-39 (225-226)

აშშ დაუმორჩილებელი ქვეყნების ლიდერებს მის ხელთ არსებული საშუალებებით აიძულებდა ქედი მოეხარათ. ყველაზე მარტივი და მოსახერხებელი მეთოდი მათი მოკვდინება იყო.

**ვილიამ ბლამი**, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი ამბობს, რომ **ბოლო 60 წლის განმავლობაში ამერიკის მთავრობა შეეცადა გადატრიალება მოეხდინა ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაში, აქედან ნახევარში შეძლო კიდეც.**

**ფილიპ ეიჯი**, რომელიც 1957-68 წლებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი იყო, ყვება, რომ **ეკვადორის ხელისუფლებაში ამ სპეცსამსახურის აგენტები ყოველთვის იყვნენ — მინიმუმ ერთი ვიცეპრეზიდენტი, პარლამენტის ორივე პალატის ხელმძღვანელები, რამდენიმე მინისტრი, სოციალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.**

ეს კაცი, **ფილიპ ეიჯე**, როგორც ანალიტიკოსები ამტკიცებენ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ისტორიაში ერთადერთი ოფიცერი იყო, რომელმაც გადაწყვიტა გულახდილად ელაპარაკა, თუ როგორ განახორციელებდა ამერიკა საიდუმლო ოპერაციებს სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. იგი 35 წლის გახლდათ და ამ დროისთვის სპეცსამსახურში უკვე 10 წელიწადი ჰქონდა ნამსახურები.

**„ჩვენ განვახორციელებდით ფართო პროპაგანდისტულ ოპერაციებს,** — ყვება იგი, — **გუსტავო სალგადო, მაგალითად, ეკვადორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ჟურნალისტი ჩვენზე მუშაობდა და ჩვენს მასალებს თავისი ხელმოწერით აქვეყნებდა. ჩვენი მიზანი იყო ქვეყანაში შიშისა და ისტერიის ატმოსფეროს შექმნა. ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან ერთად აშშ-ში დააარსა „თავისუფალი შრომის ინსტიტუტი“, სადაც უფასო სტაჟირებაზე ვიწვევდით ლათინური ამერიკის ქვეყნების პროფკავშირულ ლიდერებს. მთავარი იყო ის, რომ სამშობლოში დაბრუნებულებს მათ უნდა განეხორციელებინათ ჩვენი დავალებები.“**

**— ჩემი ცრუ თანამდებობა,** — ამბობს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი **ფილიპ ეიჯი,** — **იყო დიპლომატის თანამდებობა საელჩოში. დაუყოვნებლივ დავიწყე ოპერაციების ჩატარება. ეკვადორში სამი წელიწადი დავყავი, შემდეგ იყო ურუგვაი და მექსიკა. იქ ვიმყოფებოდი ამერიკის მთავრობის წარმომადგენლის თანამდებობაზე 1968 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში.**

**თავიდან ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში ძალიან მომწონდა. ეს მე, ახალგაზრდა კაცს, მაძლევდა უპირატესობას, მცოდნოდა ის, რაც სხვა ადამიანებმა არ იცოდნენ.**

სხვა ადამიანებისთვის კი ყველაფერი სხვაგვარად ჩანდა. **ათწლეულები უნდა გასულიყო, რომ ბევრ მათგანს გაეგო — მოვლენები, რომლებმაც რადიკალურად შეცვალა ცხოვრება მათ ქვეყანაში, სინამდვილეში სულ სხვა რამ იყო, არა ისეთი, როგორადაც ეჩვენებოდათ და ეგონათ: არა სახალხო რევოლუცია, არა პატრიოტულად განწყობილი სამხედრო ოფიცრების ამბოხი, არა მოულოდნელი ჩამოშლა ბირჟის, არა სასურსათო პანიკა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი იყო ერთი დიდი ოპერაციის ნაწილი, რომელიც მათი ქვეყნის წინააღმდეგ ამერიკის პრეზიდენტის მითითებით ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ განახორციელა.**

— სამი წლის განმავლობაში, — განაგრძობს **ფილიპ ეიჯი,** — **ჩვენ დავამხეთ ეკვადორის ორი მთავრობა, მოვაწყვეთ 1962 წლის სამხედრო გადატრიალება და კიდევ ერთი — 1963 წელს. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო შექმნილია არა როგორც ინფორმაციის შეკრების სააგენტო, არამედ როგორც სხვა ქვეყნების პოლიტიკაში ჩარევის საშუალება.**

ეს ის საშუალებაა, რომელსაც იყენებენ მაშინ, როცა ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელია სამხედრო შეჭრა. აღმოჩნდა, რომ ასეთ ამოცანებსა და მიზნებს ამერიკული დაზვერვა არმიაზე უკეთ ასრულებს. ეს ჭეშმარიტება ამერიკელი პრეზიდენტებისთვის ნათელი გახდა 1953 წელს.



## ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ყოველთვის დაკავებული იყო უცხოეთში ამერიკის საქმიანი ინტერესების დაცვით

**1953 წლის აგვისტოში ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა გადატრიალება მოაწყო ირანში ამ ქვეყნის ისტორიაში პირველად დემოკრატიული გზით არჩეული მუჰამედ მოსადეკის მთავრობის წინააღმდეგ.**

თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი **მუსა ჰაგანი** ყვება, რომ მოსადეკმა გამოსცა ბრძანებულება ინგლისირანის ნავთობკომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ. ინგლისელები ამას ყოველმხრივ წინ აღუდგნენ, შეეცადნენ, მოეწყოთ სახალხო გამოსვლები და რევოლუციაც კი. მაგრამ ნაციონალიზაცია მაინც განხორციელდა. მაშინ ინგლისელებმა დახმარებისთვის ამერიკელებს მიმართეს.

**— ამის შესახებ ჩვენ შევიტყვეთ იმ წიგნიდან,** — განაგრძობს თემას **ვილიამ ბლანი**, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, — **რომელიც დაწერა ამ საქმის მთავარმა ორგანიზატორმა ჰერბერტ რუზველტმა. გადატრიალება მისი პირმშოა.**

იმავეს ადასტურებს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი **ნოამ ჩომსკი**, როცა აცხადებს, რომ გადატრიალება მიმართული იყო კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა ქვეყნის რესურსების ხალხისთვის დაბრუნება. ამიტომაც დაამხეს. მოსადეკმა გაბედა და კომპანია „ბრიტიშ პეტროლეუმს“ მოგების უფრო პატიოსნად განაწილება სთხოვა: საერთო მოგებიდან ირანი მხოლოდ 4 პროცენტს იღებდა. კომპანიამ ამ მოთხოვნის განხილვაზეც კი უარი თქვა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მიმართა. **დაახლოებით ერთ წელიწადში ამ სპეცსამსახურმა მოახერხა საქმე ისე წარემართა, რომ საყოველთაოდ აღიარებული და ხალხის საყვარელი პრეზიდენტი გააფთრებულმა ბრბომ დაამხო.**

— პრემიერი მოსადეკი პატივისცემით ეკიდებოდა ამერიკას, — შენიშნავს ჟურნალისტი **რობერტ დრეიფუსი,** — **მან დახმარებისთვის პრეზიდენტ ტრუმენს მიმართა. მაგრამ ამასობაში მოვიდა ახალი პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და ბრიტანელებმა მას სთხოვეს დახმარება. მათ შეძლეს აშშ პრეზიდენტის დარწმუნება მიეღო მონაწილეობა მოსადეკის მოცილებაში.**

ეს ყველაფერი პარადოქსს ჰგავდა, **მოსადეკი, რომელიც ჟურნალმა „ტაიმმა“ კი წლის ადამიანად გამოაცხადა, დაამხო ხალხმა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მას ხელისგულზე ატარებდა. მხოლოდ 30 წლის შემდეგ გაცხადდება, რომ ეს იყო სპეციალური ოპერაციის შედეგი, რომელიც ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოაწყო.**

ამ ოპერაციის განხორციელების თხოვნით ეიზენჰაუერს მიმართა ორმა ძმამ — სახელმწიფო მდივანმა **ჯონ ფოსტერ დალესმა** და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა **ალენ დალესმა.**

ის, რაც თეირანში 1953 წელს მოხდა, ისტორიკოსების აზრით, ეპოქალური მოვლენაა. ეს არ იყო მხოლოდ გადატრიალება. **ისტორიაში პირველად აშშ მთავრობამ, სახელმწიფო დეპარტამენტმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ერთობლივად მოაწყვეს საიდუმლო ოპერაცია და დაამხეს მათთვის არასასურველი დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის მთავრობა.** ეს იყო პირველი ცდა, შეიძლება ბოლომდე გაუთვლელი და დიდად წარმატებულიც არა, მაგრამ მან მისცა გზა მსგავსი საიდუმლო ოპერაციების უდიდეს ნაკადს.

სქემა, რომელიც შეიმუშავა თეირანში აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პრეზიდენტმა **ჰერბერტ რუზველტმა**, პრეზიდენტ რუზველტის შვილიშვილმა, უცვლელი რჩებოდა. **ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ სქემას ემსხვერპლნენ ათობით ქვეყნის მეთაურები, რომლებმაც სხვადასხვა დროს გადაწყვიტეს უარი ეთქვათ ვაშინგტონის მფარველობაზე.** ამ თვალსაზრისით, **1953 წლის თეირანის რევოლუცია ყველა ახლანდელი ფერადი რევოლუციის ბებიაა...**

აბობოქრებულმა ბრბომ დაამხო მოსადეკი. რამდენიმე საათის შემდეგ კი თეირანში ჩაფრინდა შაჰი რეზა ფეჰლევი, ერთი თვის შემდეგ კი... ირანის ნავთობს ამერიკელები დაეპატრონენ.

ასე გაჩნდა რეცეპტი, რომელსაც წელიწადიც არ გავა, რომ ამერიკელები კვლავ გამოიყენებენ: **1954 წელს გვატემალაში პრეზიდენტი ხაკომო არბენსი წარმოუდგენელ საქმეს ჩაიდენს, — ამერიკული კომპანია „იუნაიტედ ფრუტის“ ბანანის პლანტაციების ნაციონალიზაციას მოახდენს.** არბენსი იმედოვნებდა, რომ დემოკრატიული ამერიკა მას გაუგებდა და მხარს დაუჭერდა. საფუძველი თითქოს ჰქონდა კიდეც — ამერიკაში, ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლისა და ცხოვრების წლები. მაგრამ ამან არ უშველა. **რამდენიმეთვიანი მის წინააღ-**

## მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ქვეყანა, რომელშიც აშშ-ს ვინმე არ დაემხო, მიზეზი ყოველთვის რესურსებზე კონტროლის დაწესება იყო

**თუ რომელიმე ქვეყნის მოსახლეობა მოინდომებს ამერიკელების კონტროლის შესუსტებას ან მოცილებას, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უმალვე მიაყენებს საპასუხო დარტყმას — თუ ქვეყანაში არჩევნებია ჩასატარებელი, გამოიყენებს არჩევნებს, ყველა სახის პროვოკაციებს, რათა გაიმარჯვონ აშშ-ისადმი ლოიალურად განწყობილმა პარტიებმა. ეს ერთი საშუალებაა. მეორე ხელისუფლების ინსტიტუტებში შეღწევაა — მთავრობაში, ტელევიზიასა და გაზეთებში, საზოგადოებრივ ოგანიზაციებში, პროფკავშირებში ჩანერგვა. ან სამხედროების პროვოცირება, რადგან ისინი აქტიურად რეაგირებენ ქაოსზე, უნდა შექმნან ქაოსი, რასაც დიდი რაოდენობით ადამიანები და ფული სჭირდება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად არბენსმა მოსადეკს **„მხარი დაუმშვენა“.**

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი **ფილიპ ეიჯი** ირწმუნება, რომ **თუ რომელიმე ქვეყნის მოსახლეობა მოინდომებს ამერიკელების კონტროლის შესუსტებას ან მოცილებას, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო უმალვე მიაყენებს საპასუხო დარტყმას — თუ ქვეყანაში არჩევნებია ჩასატარებელი, გამოიყენებს არჩევნებს, ყველა სახის პროვოკაციებს, რათა გაიმარჯვონ აშშ-სადმი ლოიალურად განწყობილმა პარტიებმა.** ეს ერთი საშუალებაა.

მეორე **ხელისუფლების ინსტიტუტებში შეღწევაა — მთავრობაში, ტელევიზიასა და გაზეთებში, საზოგადოებრივ ოგანიზაციებში, პროფკავშირებში ჩანერგვა. ან სამხედროების პროვოცირება, რადგან ისინი აქტიურად რეაგირებენ ქაოსზე, უნდა შექმნან ქაოსი, რასაც დიდი რაოდენობით ადამიანები და ფული სჭირდება.**

ჟურნალისტი **რობერტ დრეიფუსი** აზუსტებს, რომ სხვა ქვეყნის მთავრობის შეცვლა ისეთი იოლი არ არის, როგორც ჩანს. წინაპირობების შექმნაა აუცილებელი, მაგალითად, ოპოზიციასთან ალიანსის დამყარება. **თუ ასეთი პოლიტიკური ძალა ქვეყანაში არ არის, მაშინ ამ საქმისთვის უკმაყოფილო სამხედროების გამოყენებაა უპრიანი. ასე გაკეთდა ბრაზილიაში, საბერძნეთში, თურქეთში. მაგრამ მთავარია უკმაყოფილო მეწარმეების მოძებნა, ისეთი ადამიანების, ვისაც მხარდაჭერის უნარი აქვთ.** ბოლო მაგალითი, რა თქმა უნდა, ვენესუელაა, სადაც პრეზიდენტი ჩავესი პუტჩისტებმა დაამხეს. ამ გადატრიალებამ სულ სამი დღე გასტანა. იგი ორგანიზებული იყო კერძო კაპიტალისა და სამხედროების გაერთიანებული ძალის მიერ. ბუშის ადმინისტრაციამ მეორე დღესვე აღიარა ვენესუელის ახალი მთავრობა: **ამერიკული დემოკრატია მიესალმა ანტიდემოკრატიულ პუტჩს დემოკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მიზეზი ვენესუელის ნავთობის საბადოები იყო, აგრეთვე ის, რომ ჩავესმა მოიცილა ამერიკული კომპანიები, რომლებიც ქვეყნის ნავთობის მარაგს წურბელებივით ასხდნენ.**

**გადატრიალებების სისწრაფე და მათი სიხშირე გასაოცარია. გასული საუკუნის შუა წლებიდან მსოფლიო ერთ ტატამად იქცა, სადაც მიმდინარეობს ბრძოლები წესების გარეშე.**

ბრაზილია 60-იან წლებში დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ამერიკას სამი წელიწადი დასჭირდა, ქვეყნის სათავეში სამხედრო ხუნტა რომ მიეყვანა.

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ყოველთვის დაკავებული იყო უცხოეთში ამერიკის საქმიანი ინტერესების დაცვით.** ასე იყო ჩილეში, სადაც **სოციალისტი სალვადორ ალიენდე დაამხეს მას შემდეგ, რაც ის ალაპარაკდა ზოგიერთი იმ დიდი კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების საკუთრებად ითვლებოდა.** იგივე გამეორდა უამრავ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც ნავთობით იყო მდიდარი.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი **ვილიამ ბლამი,** გამოყენებული მეთოდების შესახებ საუბრისას შენიშნავს, რომ **აშშ-მა, მაგალითად, გვატემალაში შექმნა და შეაიარაღა კერძო არმია, ირანში ხალხი გამოიყვანა ქუჩაში, სამთავრობო შენობების წინ, სპეცსამსახურები ავრცელებდნენ სხვადასხვა ჭორებს, დეზინფორმაციას, იწვევდნენ პანიკას. ჩილეში კი ნამდვილი სამხედრო გადატრიალება მოახდინეს.** იგი კარგად იყო მომზადებული — საზოგადოებაში იქმნებოდა დაძაბულობა, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეძლო ეკონომიკური ქაოსის პროვოცირება პროდუქტების სისტემატური მიწოდების დარღვევით და ა.შ. **ზუსტად ასეთი ეკონომიკური საბოტაჟის გზით შეძლეს ბულგარეთის და ალბანეთის დემოკრატიული მთავრობების დამხობა 1990 წელს.**

ზოგჯერ დაუჯერებელი ამბებიც ხდებოდა, **პანამის პრეზიდენტმა მანუელ ნორიეგამ, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტი იყო, უცებ წარმოიდგინა, რომ პანამის არხი პანამის საკუთრება იყო.**

**— მისტერ ნორიეგა პანამის ნარკოტიკული დიქტატორია. ჩვენ გვსურს, რომ იგი სასამართლოს წინაშე წარდგეს,** — განაცხადა აშშ პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** 1989 წელს, — **ჩვენ გვსურს, გავაგდოთ იგი ქვეყნიდან და აღვადგინოთ დემოკრატია.**

**მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ქვეყანა, სადაც აშშ-ს ვინმე არ დაემხო, მიზეზი ყოველთვის რესურსებზე კონტროლის დაწესება იყო.** ამ მიზნის მისაღწევად ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ზოგჯერ ისეთ ძალებთან გაერთიანება უწევდათ, რომლებიც აშშ-ს თავის მთავარ მტრად გამოაცხადებენ.

## მოსადეკი, რომელიც ჟურნალმა «ტაიმმაც» კი წლის ადამიანად გამოაცხადა, დაამხო ხალხმა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მას ხელისგულზე ატარებდა. მხოლოდ 30 წლის შემდეგ გაცხადდება, რომ ეს იყო სპეციალური ოპერაციის შედეგი, რომელიც ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოაწყო

ისლამური ფუნდამენტალიზმი კი ასე იწყებოდა:

**აშშ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი:**

— ხომალდ „შატლი-კოლუმბიას“ კოსმოსში გაშვება, ისევე, როგორც ავღანელი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ განასახიერებს თავისუფლებისკენ სწრაფვას.

## დღეს, როცა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, ნეოკონსერვატორები ლაპარაკობენ ახალი მსოფლიო ომის შესახებ, როგორც ისინი უწოდებენ, ისლამური ფაშიზმის წინააღმდეგ

**ბზიგნევ ბჟეზინსკი** (ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე ყოფნისას):

**— ჩვენ ვიცით თქვენი ღრმა რწმენის შესახებ და დარწმუნებული ვართ, რომ გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ. მიწა, რომელიც ჩრდილოეთითაა, თქვენია. ერთხელაც იქნება და თქვენ მას დაიპყრობთ.**

ამ დაპირებებისა და განცხადებების გარეშე, ავღანელებთან საერთო ენის გამონახვის გარეშე, საეჭვოა, ამერიკას გამოეცხადებინა ჯიჰადი საბჭოთა კავშირისთვის. ერთი მხარისთვის ეს იყო საბჭოთა იმპერიის დანგრევის შესაძლებლობის გაძლიერება, მეორესთვის — მოკრება ძალის, რათა შებრძოლებოდა ამერიკის იმპერიას. მაგრამ ვინ დარჩა მოტყუებული და ვინ მოახერხა მეორე მხარით მანიპულირება, ესაა საკითხავი.

**დღეს, როცა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, ნეოკონსერვატორები ლაპარაკობენ ახალი მსოფლიო ომის შესახებ, როგორც ისინი უწოდებენ, ისლამური ფაშიზმის წინააღმდეგ.**

რიჩარდ პერსი დღეს პენსიაზეა, მაგრამ სწორედ ის იყო ბუშის მრჩეველი, როცა მიიღეს გადაწყვეტილება ერაყში შეჭრის თაობაზე. იგი და მისდაგვარები მოითხოვენ დღეს ირანის დაბომბვას, რაკეტების განლაგებას ევროპაში, ფერადი რევოლუციების მოწყობას ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, რუსეთში და ახლო აღმოსავლეთში. მათ აქვთ ყველაფერი — გამოცდილება, ძალა და საკუთარი თავის რწმენა.

**— თქვენ ყველამ იცით,** — ამბობს ანალიტიკოსი **მაიკლ ლედინი,** — **რომ წლების განმავლობაში მე მომხრე ვიყავი ირანში დემოკრატიული რევოლუციის მოხდენის. მე მედავებიან, რომ ეს შეუძლებელია.** მაგრამ **რეიგანის დროს ვინ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იყო საბჭოთა კავშირის დამარცხება, წელში გატეხვა?! არადა, გავიდა სულ რამდენიმე წელიწადი და დაიშალა სსრკ. რისი გაკეთება დაგვჭირდა? მხოლოდ იმის, რომ ხელფასები დაგვენიშნა დისიდენტებისთვის. ამას მოჰყვა დემოკრატიული რევოლუცია და ქვეყანა დაინგრა.** თუ ჩვენ ამ საშუალებით შევძელით საბჭოთა იმპერიის წაქცევა, ერთი მუჭა ადამიანების მხარდაჭერით, რომლებიც რეფორმების განსახორციელებლად გამოდიოდნენ, ვინ დაეჭვდება, რომ ირანის მთავრობა დაიშლება ასეთივე წარმატებით?!

**— ჩვენი უმრავლესობა,** — აცხადებს **ჯეიმს ვულსი**, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი 1993-95 წლებში, — **ასე თუ ისე მონაწილეობდა „ცივ ომში“, იცით, მენატრება საბჭოთა კავშირი, რომელიც მგრძნობიარე იყო იმის მიმართ, რასაც უწინ კარგად ვაკეთებდით, იმისადმი, რასაც უწინდებურად კარგად ვაკეთებთ დღესაც.**

**— რა თქმა უნდა, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ რევოლუციებს,** — განაგრძობს ***მაიკლ ლედინი***, — **ძნელია ისეთი რევოლუციების დასახელება, რომლებიც გარედან დახმარების გარეშე განხორციელდა.**

ხავერდოვანმა რევოლუციებმაც მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვა, რომ ჩვენ დავუჭირეთ მხარი მორალურად, პოლიტიკურად, ფინანსებით.

როცა ჟურნალისტი შეეკითხა აშშ ყოფილ წარმომადგენელს გაეროში **ჯონ ბოლტონს**, თუ რომელიმე ქვეყნის სათავეში დემოკრატიული გზით არჩეული პოლიტიკოსი მივიდოდა, მაგრამ ისეთი, ვის მიერ განხორციელებული კურსი ხელს არ მისცემდა ამერიკას, შეეცდებოდა ვაშინგტონი მის ჩამოცილებას, მან უპასუხა:

**— მე ვთვლი, რომ ჩვენ უფლება გვაქვს დავიცვათ თავი ყველა საშუალებით, სხვა სახელმწიფოებში არსებული რეჟიმების შეცვლის ჩათვლით. თუ ეს აუცილებელია, თუ არსებობს ამის საშიშროება.**

საინტერესოა ბოლტონის ამ ტირადაზე მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის **ნოამ ჩომსკის** რეაქცია:

**— ჯონ ბოლტონი ღიად და პატიოსნად ლაპარაკობს, იგი ბანდიტია და უსირცხვილო: ჩვენ ზესახელმწიფო ვართ და გავაცამტვერებთ ნებისმიერს, ვინც გზას გადაგვიღობავს.**

დაბოლოს, დასკვნის გასაკეთებლად, რაც აშშ-ს მიერ მსოფლიოში არეულობისა და ქაოსის შექმნის მიზეზების გარკვევაში დაგვეხმარება, მოვუსმინოთ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ ოფიცერს **ფილიპ ეიჯს:**

— საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების დაშლას ბევრი შიდა მიზეზი ჰქონდა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო წლობით ყველაფერს აკეთებდა სოცბლოკის ასაფეთქებლად. არასტაბილურობა, რომელიც 1990-იან წლებში შეიქმნა, აშშ-მ გამოიყენა იმისთვის, რომ რუსეთი სამხედრო ბაზების ალყაში მოექცია. ამერიკას ესმის, რომ რუსეთი უწინდებურად რჩება ერთადერთ ქვეყნად, რომელსაც აშშ-ს განადგურება შეუძლია. **რუსეთი ამერიკის პოლიტიკისთვის არის სამიზნე №1.**

პუტინის დროს სიტუაცია შეიცვალა. აშშ-სა და ევროპაში შეშფოთებულები არიან რუსეთის გაძლიერებით. მინდა ვუთხრა რუსებს: — არ შეცდეთ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არის იარაღი, რომელიც თქვენს წინააღმდეგაა მომართული.

* * *

**ამერიკის იმპერია ძლიერდება. სხვა ქვეყნების ხალხებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ — დაემორჩილონ თუ არა.**

**ისტორია გვასწავლის, რომ დიდი ხანძრის გასაჩენად ერთი ნაპერწკალია საკმარისი, როცა იგი იქ და იმ დროს გაიელვებს, სადაც საამისო პირობებია შექმნილი.**

## ნახევარი საუკუნის განმავლობაში ცსს-ს სქემას ემსხვერპლნენ ათობით ქვეყნის მეთაურები, რომლებმაც სხვადასხვა დროს გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ ვაშინგტონის მფარველობაზე. ამ თვალსაზრისით, 1953 წლის თეირანის რევოლუცია ყველა ახლანდელი ფერადი რევოლუციის ბებიაა...

## გუბერნატორებმა გადადგომის პოლიტიკური სპექტაკლი გაითამაშეს

**გუბერნატორებმა გადადგომის პოლიტიკური სპექტაკლი გაითამაშეს, მათ მაინც მოუწევდათ თანამდებობის დატოვება, — ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.**

მისი თქმით, გუბერნატორებმა თანამდებობა უნდა დატოვონ, რადგან ძველი კონსტიტუციით ისინი ანგარიშვალდებულნი იყვნენ პრეზიდენტის წინაშე, ახალი კონსტიტუციით კი გუბერნატორებს მთავრობა დანიშნავს.

**„მათ რომ არ დაეწერათ განცხადება, მაინც მოუწევდათ ამის გაკეთება. უბრალოდ, პოლიტიკური სპექტაკლი გაითამაშეს, თითქოს პოლიტიკურ ურთიერთობებს აქვს ადგილი. ეს არის კონსტიტუციური ვალდებულება, რაც არ უნდა მისაღები ყოფილიყო მათთვის მთავრობა, მათ მაინც მოუწევდათ განცხადების დაწერა“,** — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, ჯერჯერობით გუბერნატორებთან დაკავშირებით კონსულტაციები არ დაწყებულა და მთავრობამ, შესაძლოა, ეს საკითხი ხვალ მთავრობის სხდომაზეც განიხილოს, თუ როდის და როგორ დაიწყება კონსულტაციები გუბერნატორებთან დაკავშირებით. სხვადასხვა რეგიონში გუბერნატორებმა მოქმედ პრეზიდენტს გადადგომის განცხადებით უკვე მიმართეს. ახალ გუბერნატორებს ახალი მთავრობა დანიშნავს.



## სააკაშვილმა წინასაარჩევნოდ ძალიან ბევრი ფული დახარჯა

**პრეზიდენტი რომ სარეზერვო ფონდს ბოლომდე ამოწურავდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში მხოლოდ 5000 ლარია დარჩენილი.**

„პრეზიდენტი რომ თავის სარეზერვო ფონდს ბოლომდე ამოწურავდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. მან იცოდა, რომ 27 ოქტომბრის მერე ვერ გააგრძელებდა უფლებამოსილებას, ამიტომ მან, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, დახარჯა ძალიან ბევრი ფული, მათ შორის ადმინისტრაციული რესურსები. ჩემი ინფორმაციით, მან ძალიან ბევრი ფული გამოიყენა და ბევრი იარა ბიუჯეტის ხარჯზე. ამიტომ სხვა რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა არც იყო მოსალოდნელი“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ჯერ კიდევ 2005 წელს აღიარა ქუჩის ბანდები, ისევე, როგორც ტერორიზმი — აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების მთავარ მუქარად. სამართლიანადაც. მხოლოდ ფედერალების ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ის ტერიტორიაზე 33 ათასი ბანდა მოქმედებს, მათი წევრების საერთო რაოდენობა კი 1,4 მილიონ ადამიანს აჭარბებს!**



# ბრიგადები ამერიკულად

**აშშ-ში ერთ პოლიციელზე დაახლოებით 500 ბანდიტი მოდის... ამერიკის ქალაქები წალეკა ქუჩის დანაშაულებებმა. საერთაშორისო გამოძიების სტრინგერული ბიუროს ჩრდილოამერიკული ოფისის მოხალისეებმა სახლებიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, რომ ბანდებს შორის გარჩევების ეპიცენტრში ამოყვეს თავი.**

15 წლის მოზარდი მოკლეს ორეგონის ქუჩაში სროლისას. ორი დაიჭრა და ერთი სახეში ტყვიის მოხვედრის შედეგად გარდაიცვალა ბრონქსში. კოლორადო სპრინგსში ქუჩაში სროლების შედეგად ხუთი ადამიანი დაიჭრა. მონტანას შტატის სენტ-ჯეზეფში ქუჩის გარჩევებისას ხუთ ადამიანს მოხვდა ტყვიები. ვაშინგტონის შტატის იაკიმაში სროლის შედეგად ექვსი ადამიანი დაიჭრა, მათგან ერთი ვერ გადაარჩინეს. ჩიკაგოში ქუჩაში ატეხილი სროლის შედეგად 13 ადამიანი დაშავდა, მათ შორის — სამი წლის ბავშვი და ორი მოზარდი.

ეს ყველაფერი არის ამერიკის პოლიციის ყოველდღიური ცნობები, რომლებსაც ძალზე უცნაური გრიფი **„GANG-RELATED“,** ანუ პირდაპირ თარგმანში **„ბანდებთან დაკავშირებული“** ადევს. **პოლიტკორექტული ამერიკელი პოლიციელები ასე უწოდებენ მოკრძალებულად იმ ქუჩურ გარჩევებს, რომლებიც ბოლო პერიოდში აშშ-ის მსხვილი ქალაქების მთავარ მოვლენად იქცა.**

თუმცა ახლა უკვე ის დროა, განგაშის ზარებს რეკდნენ. **გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ჯერ კიდევ 2005 წელს აღიარა ქუჩის ბანდები, ისევე, როგორც ტერორიზმი — აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების მთავარ მუქარად.** სამართლიანადაც. მხოლოდ ფედერალების ოფიციალური მონაცემებით, **აშშ-ის ტერიტორიაზე 33 ათასი ბანდა მოქმედებს, მათი წევრების საერთო რაოდენობა კი 1,4 მილიონ ადამიანს აჭარბებს!** გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ამ სიაში არ ჩართო ამერიკელი პატიმრები, რომლებიც თავისთავად 2.2 მილიონ ადამიანს ითვლიან, სიაში ჩართულნი არიან ბანდიტური დაჯგუფებების მხოლოდ აქტიური წევრები — ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ამერიკულ ბანდებში ახლა იმდენივე წევრია, რამდენიც აშშ-ის მთელ არმიაში!**

ქვეყანაში ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების 48% ბანდების ნახელავია, ზოგიერთ რეგიონში კი ეს მაჩვენებელი 90%-საც აღწევს. **„ყველაზე ცუდად საქმე განაპირა რაიონებშია,** — ამბობს ჯოშუა ვაშინგტონი, რომელიც შვიდი წლის მანძილზე ბანდა AVLN-ის წევრი იყო და ახლახან ვადამდე პირობითად გაათავისუფლეს. — **მუნიციპალურ მრავალსართულიან შენობებში სხვა უბანში, ჯობს, საერთოდ არ შეიხედო. ქალაქის შემოგარენში სხვადასხვა სიტუაციაა. შედარებით მდიდრები კერძო დაცვას ქირაობენ და ბანდები იქ ცხვირს არ ყოფენ“.**

ძირითადად ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქები, კალიფორნია და სხვა მჭიდროდ დასახლებული შტატები ზარალდებიან. ამ ტერიტორიებზე ეკონომიკური კრიზისის შედეგები ყველაზე მეტადაა შესამჩნევი. **„ამგვარი შედეგებიდან ერთ-ერთი სწორედ ქუჩის ბანდების რაოდენობის მკვეთრი ზრდაა,** — ამბობს ჟურნალისტი და ავტორი წიგნისა „დასასრულის დასაწყისი“ მაიკლ სნაიდერი. — **იგივე გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, 2009 წელს ბანდების რიცხოვნება 1 მილიონი ადამიანით განისაზღვრებოდა, ანუ კრიზისისშემდგომ წლებში მათი რიგები 40%-ით გაიზარდა. იქ, სადაც კანონიერი გზით ფულის გამომუშავება შეუძლებელია, ადამიანები იძულებულნი არიან, გადარჩენისთვის დანაშაული ჩაიდინონ“.**

თავად დამნაშავეობრივი დაჯგუფებების მკვეთრი ზრდის მოულოდნელ შედეგად კი მათი მოქმედების სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოება იქცა. **გარდა ტრადიციული რეკეტისა და ქუჩაში ნარკოტიკებით თუ იარაღით ვაჭრობისა, ბანდებმა ახალი დამნაშავეობრივი ნიშა აითვისეს — არალეგალი მიგრანტების გადაყვანა, ადამიანებით ვაჭრობა, პროსტიტუციის მფარველობა.** მაგრამ, რაც კიდევ უფრო საშიშია, ბანდებმა დაიწყეს მაღალტექნოლოგიური, ეგრეთ წოდებული „თეთრი საყელოების“ დანაშაულებების ათვისება: ყალბი ფულის ბეჭდვა, საკრედიტო თაღლითობა და პერსონალური მონაცემების მოპარვა.

გამოძიების ფედერალური ბიუროს რეტროგრადები ბანდებს ძველი ჩვეულების მიხედვით კვლავ ყოფენ ქუჩის, ციხისა და მოტორიზებულ ბანდებად. ამასთან, ციხისა და ქუჩის ბანდებად დაყოფა ძალზე პირობითია — სხვაობა მხოლოდ ისაა, ციხის ღობის რომელ მხარეს მოხდა პირველად ბანდის ჩამოყალიბება, თორემ შემთხვევათა უმეტესობისას ბანდები ამ ღობის ორივე მხარეს მოქმედებენ. მოტორიზებული ბანდები კი არიან ჰოლივუდის მიერ არაერთხელ ნადიდები გრძელთმიანი ბაიკერების ჯგუფები. 90-იანი წლების დასაწყისამდე ისინი დამნაშავეთა სამყაროში მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ 80-იანებში მათი მნიშვნელოვნად დაიწყეს შევიწროვება ლათინოამერიკელებმა, რომლებიც დღეს უდავოდ იკავებენ აშშ-ის კრიმინალური ოლიმპის მწვერვალს.



**ამერიკულ ბანდებში ახლა იმდენივე წევრია, რამდენიც აშშ-ის მთელ არმიაში!**



**ბანდების წევრების უმეტესობა 18-25 წლის მამაკაცები არიან. ახალწვეულების შერჩევას ბანდები ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეთა შორის იწყებენ**

**დასავლეთ სანაპიროს უმსხვილესი დაჯგუფება — მე-18 ქუჩის ბანდა (18th Street Gang იგივე M18) ლოს-ანჯელესში ჯერ კიდევ 60-იან წლებში გაჩნდა, ახლა კი 65 ათას აქტიურ წევრს ითვლის 37 შტატსა და 120 ქალაქში. ბანდის წევრების განმასხვავებელი ნიშნებია 18-ის სხვადასხვაგვარი აღნიშვნა ტატუების ან ტანსაცმელზე ამოტვიფრული ნიშნების საშუალებით.**

ბანდა „ლათინური მეფეები“ პუერტორიკოელებმა ჩამოაყალიბეს ჩიკაგოში ჯერ კიდევ 40-იან წლებში. დღეს მისი 42 ათასი წევრი მოფანტულია 160 ქალაქსა და 31 შტატში. ამასთან, ეს ბანდა ყველაზე დისციპლინირებულად და ორგანიზებულად ითვლება, მისი იდეოლოგიის საფუძველი კი „კინგიზმია“. მას დაჯგუფების წევრები საკუთარ რელიგიას უწოდებენ. განმასხვავებელი ნიშანია სამი ან ხუთქიმიანი გვირგვინების ტატუები.

**ყველაზე დაუნდობელი ლათინოამერიკული ბანდა „მარა სალვატრუჩა“ 80-იან წლებში ჩამოაყალიბეს აშშ-ში სალვადორიდან ჩასულმა იმიგრანტებმა. სხვათა დასაშინებლად ამ ბანდის წევრები მთელ სხეულს და სახესაც კი ტატუებით იფარავენ, მათი საფირმო ნიშანი კი არის მაჩეტეს საშუალებით მკვლელობები. სულ ამ ბანდაში 70 ათასი წევრია და ისინი გაბნეულნი არიან არა მხოლოდ აშშ-ის ქალაქებსა და შტატებში, არამედ ლათინოამერიკულ ქვეყნებშიც.**

ისედაც საზარელი ციფრები კიდევ უფრო საზარელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ბანდების წევრების უმეტესობა 18-25 წლის მამაკაცები არიან. ახალწვეულების შერჩევას ბანდები ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეთა შორის იწყებენ.** კონგრესისათვის მომზადებული ანგარიშის „ახალგაზრდულ ძალადობასთან ბრძოლა“ მიხედვით, **სკოლები დამნაშავეობრივი დაჯგუფებების „რეკრუტინგის ცენტრებს“ შორის მეოთხე ადგილს იკავებენ.** ყოველი მეხუთე ამერიკელი მოწაფე იღებს შეთავაზებას, გაწევრდეს ამა თუ იმ ბანდაში.

**„საკმარისია ფერადკანიან ბიჭს შესთავაზო, გზავნილი დანიშნულების ადგილზე მიიტანოს და ამისთვის 100 დოლარს დაჰპირდე,** — ამბობს ჯოშუა ვაშინგტონი. — **მეორე დღეს ეს ბიჭი დანაპირები ფულის მისაღებად მოდის. როდესაც ხელზე 100 დოლარს გაძლევენ, კიდევ ერთი ანალოგიური შეთავაზებისგან თავის შეკავება პრაქტიკულად შეუძლებელია. უშრომელ ფულს მალე ეჩვევი“.**

სწორედ ამით სარგებლობენ ბანდები. **დაჯგუფებების ახალბედა წევრების ყველაზე გავრცელებული ასაკი 10-12 წელია.** ამასთან, გახშირდა შემთხვევები, როდესაც ბანდების რეკრუტერები „სამუშაოებს ატარებენ“ პირველკლასელებთანაც კი. **„ბანდები ტერორისტებზე უარესები არიან,** — წუხს ფსიქოლოგი მერი ჯო რაპინი. — **ისინი სარგებლობენ ბავშვების გულუბრყვილობით და დაბალი თვითშეფასებით. ბავშვები თავს პატარებად, დაუცველებად, არაფრის მცოდნეებად მიიჩნევენ, ბანდებში გაწევრება კი მათ საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებას უჩენს, მზრუნველობისა და უსაფრთხოების გრძნობას უვითარებს“.**

როგორ ებრძვის ამას გამოძიების ფედერალური ბიურო? წარმოუდგენლად! დაბეჭდა და მასწავლებლებს დაურიგა ბროშურები, რომლებშიც აღწერილია, თუ როგორ უნდა ამოიცნონ ბანდების სიმბოლიკა მოსწავლეების მიერ რვეულებსა და ჩანთებზე მიჯღაბნილ ნახატებში.

პოლიციის შესახებ ლაპარაკიც კი არ ღირს — დამნაშავეობის აღვირახსნილობაზე ადეკვატური პასუხისთვის მას, უბრალოდ, არ ჰყოფნის სახსრები. **„თუ ჩიკაგოში ბანდების რაოდენობა უკანასკნელ ორ წელიწადში 500-დან 600-მდე გაიზარდა, იმავე პერიოდში პოლიციის დაფინანსება 67 მილიონი დოლარით შემცირდა. ამით პირადი შემადგენლობა 1300 ადამიანით შემცირდა,** — ამბობს მაიკლ სნაიდერი. — **და ეს მაშინ, როდესაც 3-მილიონიან ქალაქში დაახლოებით 70 ათასიდან 100 ათასამდე ადამიანი რომელიმე ბანდის წევრია, დამნაშავეობრივ დაჯგუფებებთან ბრძოლის განყოფილებაში კი — სულ 200 პოლიციელი. გამოდის, რომ ერთი პოლიციის წინააღმდეგ 500 ბანდიტია და გასაკვირიც არ არის, რომ**

ჩიკაგო ერთ-ერთი პირველია მკვლელობების რაოდენობით და ამ მაჩვენებლის მიხედვით თვით მეხიკოსა და სან-პაულოსაც კი უსწრებს“.

თუმცა მეზობელ დეტროიტში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა. ავტომრეწველობის გაკოტრებულ დედაქალაქს იმდენად ცოტა ფული აქვს, რომ იანვარში მერმა გადაწყვიტა, სულაც შეეწყვიტა ორგანიზებულ ტერორიზმთან ბრძოლა. თუ ათი წლის წინ ქალაქში 5000-მდე პოლიციელი იყო, ახლა ამის ნახევარიღა დარჩა. ბიუჯეტის შემცირების გამო განყოფილებების უმეტესობა დღე-ღამეში 16 საათის განმავლობაში დაკეტილია, ისინი დანაშაულებათა 10%-ზე ნაკლებს იძიებენ. შედეგიც შესაბამისია — გასულ წელს ქალაქში მკვლელობების რაოდენობა 13%-ით გაიზარდა, უმუშევრობის მაჩვენებელმა კი 18%-ს გადააჭარბა. რაღა გასაკვირია, რომ **დეტროიტი მეორე ადგილს იკავებს ქვეყანაში ძალადობრივი დანაშაულებების თვალსაზრისით და სტაბილურად ინარჩუნებს პირველობას ამერიკის ყველაზე უბედური ქალაქების FORBES-ის სიაში.**

უკეთესი სიტუაცია არც ქვეყნის ყველაზე მდიდარ შტატ კალიფორნიაშია. ძალადობრივი დანაშაულების მხრივ ადგილობრივი ლიდერი ოკლენდია. იქ ბიუჯეტის შემცირების გამო პოლიციელთა მეოთხედი სამსახურიდან დაითხოვეს, რამაც შარშან ქურდობების მაჩვენებლის 43%-ით გაზრდა განაპირობა. დღეს **ქალაქები პოლიციის ალჭურვილობებსა და ვერტმფრენებს ყიდიან, ლოს-**

▶

**უკანასკნელ წლებში ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველომ და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ არაერთხელ ამოყვეს თავი იმ სკანდალების ცენტრში, რომელთა დროსაც „გამოანათეს“ დაპირისპირებული ქვეყნებისა და პოლიტიკოსების „ნარკოკომპრომეტაციის“ ოპერაციებში მონაწილე თანამშრომლებმა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანჯელესს კი პატიმართა შესანახად ფული აღარ ჰყოფნის. ამის გამო ციხიდან იმ დამნაშავეებს გაუშვებენ, რომლებმაც სასჯელის 40% უკვე მოიხადეს. ამ პროგრამაში შედიან მოძალადეები და მკვლელებიც კი.

**პოლიციისგან გათავისუფლებული მკვლელები საკუთარ კონტროლს უმორჩილებენ დამნაშავეობრივ დაჯგუფებებს.** ამასთან, ისინი თავიანთ „საქმეს“ ხშირად სახელმწიფოზე უკეთაც კი ართმევენ თავს. **„ეთნიკური რაიონების მცხოვრებთათვის ბანდების კონტროლი უმჯობესიც კი არის,** — ამბობს მერი ჯო რაპინი. — **ბანდების წევრები მათთან საერთო ენაზე საუბრობენ, ჩვეული „კანონებით“ მოქმედებენ, აძლევენ მათ დაცულობის განცდას, საჭიროების შემთხვევაში კი სამსახურითაც უზრუნველყოფენ. პრობლემა ისაა, რომ ამგვარ გარემოში გაზრდილი მოზარდები სოციალური ზრდისთვის ერთადერთ გზას ხედავენ — ბანდაში გაწევრებას!“**

მაგრამ ბანდაში, ისევე, როგორც ნებისმიერ იერარქიულ სისტემაში, „სამსახურებრივ კიბეზე“ წინსვლისთვის „მიღწევებია“ საჭირო. ამგვარი „მიღწევები“, როგორც წესი, ხორციელდება კონკურენტი დაჯგუფებების კონტროლირებად ტერიტორიებზე. ამის გამო აშშ-ის ქალაქებში არ წყდება სროლები, მუდამ არის ათასობით დაჭრილი და ასობით მოკლული. **„ყველაზე მეტად ეს კლანების ომს ჰგავს,** — ამბობს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ჩიკაგოს განყოფილების სერჟანტი, ერაყსა და ავღანეთში ნაბრძოლი მეთ ლიტლი. — **ბიჭები ქუჩაში დარბიან და განურჩევლად ისვრიან ყველა მიმართულებით. მათ, ვინც უკვე 30 წელზე მეტისაა, ქუჩაში ვერ ნახავთ — ისინი ან ხელმძღვანელობენ, ან ციხეებში სხედან. დაუნდობლობის დონე ამ სამყაროში იმდენად მაღალია, რომ 30 წლის ასაკამდე მხოლოდ ერთეულები აღწევენ“.**

მიუხედავად ამ ყველაფრის, **ბანდებში პროფესიონალიზმის დონე იზრდება. მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოავლინა 53 შემთხვევა, როდესაც ბანდებმა თავიანთი წევრები მოქმედ არმიებში გაგზავნეს.** იქ ისინი ბრძოლების წარმოების ტაქტიკას, შეიარაღების თანამედროვე სახეობებს და ახალ აღჭურვილობებს შეისწავლიან. რა მოხდება ამერიკის ქუჩებში, როდესაც ეს გაწვრთნილი მკვლელებიც შეუდგებიან იქ საქმეს, ძნელი წარმოსადგენია.

როგორც ჩანს, **ვაშინგტონში მოვლენათა ამგვარი განვითარება უკვე გათვალეს. ჯერ კიდევ 2006 წელს მიღებულ ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიაში მასშტაბური კატასტროფების დროს დაშვებულია ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების ნაწილობრივი გადაცემა სამხედროებისათვის.** ორი წლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ **ამერიკის ხელისუფლება არა მხოლოდ სტიქიური უბედურებებისთვის, არამედ რადიკალურად ანტისახელისუფლო იდეოლოგიის ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც ემზადება.** 2010 წელს პენტაგონმა ჩაატარა სწავლებები, რომელთა დროსაც დამუშავდა სამხედრო ძალების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ კოლაფსს სამოქალაქო მღელვარება მოჰყვება. ხოლო 2013 წლის 13 მაისის შემდეგ, რაც 32-ე ფედერალურ ნორმატიულ აქტში შესწორებები შეიტანეს, **ამერიკელმა სამხედროებმა ოფიციალური უფლებამოსილება მიიღეს, „ექსტრაორდინალური გარემოებების დროს საკუთარ თავზე აიღონ მსხვილმასშტაბიანი არეულობების ჩახშობის ვალდებულება“.** თუმცა, თუ ხელისუფლება 1,4 მილიონი შეიარაღებული ბანდიტის წინააღმდეგ არმიის ქვედანაყოფებსა და მძიმე ტექნიკას გამოიყენებს, ეს არეულობების ჩახშობა კი არა, ნამდვილი სამოქალაქო ომი იქნება.

fbii.org



# აშშ-ის კოკაინის რეზერვები — პროვოკაციის იარაღი

**24 ტონა კოკაინის ტვირთი აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა კოსტა-რიკადან მაიამიზე 27 ივლისს გადაიტანა. კოკაინის ჩატვირთვა ამერიკელების — ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების კონტროლით განხორციელდა. ისინი აშშ-ის საელჩოს მფარველობით მოქმედებდნენ. როდესაც სამუშაოები დასრულდა, „ბოინგის“ ეკიპაჟი ყოველგვარი შეყოვნების გარეშე აფრინდა. ოპერაცია გასაიდუმლოებული იყო, კოსტა-რიკას აეროპორტის სამსახურებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ქვეყნის პარლამენტს ასევე არ გაუცია ფორმალური თანხმობა ამერიკული ბოინგის დაფრენის შესახებ, თუმცა ანალოგიურ შემთხვევებში ეს აუცილებელია...**



აშშ-ის სპეცსამსახურებს ოპერაციის საიდუმლოდ შენახვა არ გამოუვიდათ. სულ რაღაც ერთი დღე-ღამის შემდეგ მედიაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ **კოკაინთან დაკავშირებული ეს ისტორია ძალიან ჰგავს 1980-იანი და 1990-იანი წლების სკანდალებს, რომელთა დროსაც აშშ-ში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ნარკოკარტელების არხებით, მაგრამ სპეცსამსახურების თვალმოუხუჭავი კონტროლით შეჰქონდათ ჰალუცინოგენების სასაქონლო პარტიები.** მათი რეალიზაციის შემოსავლებით ყიდულობდნენ იარაღს, რომელსაც „კონტრას“-ს უგზავნიდნენ. მოგების ნაწილი ილექებოდა იმ ნარკოკარტელების ანგარიშებზე, რომლებსაც თავიანთი ბიზნესისთვის ხელები გახსნილი ჰქონდათ აშშ-ის ტერიტორიაზე. საკითხავია, რა მიზნებისთვის გააქვთ ნარკოტიკები კოსტა-რიკადან, ასევე პანამიდან, ბელიზადან, სალვადორიდან, დომინიკის რესპუბლიკიდან და კარიბის რეგიონის კიდევ რამდენიმე სახელმწიფოდან ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს?

არსებობს ვარაუდი, რომ **კოსტა-რიკასა და სხვა ქვეყნებიდან ნარკოდოლარები გამოიყენება „პოპულისტური“ რეჟიმების წინააღმდეგ სამუშაოებისთვის, ვენესუელაში, ბოლივიაში, ეკვადორში, ნიკარაგუაში რადიკალური საოპოზიციო დაჯგუფებების დაფინანსებისთვის.** იმისათვის, რომ ანალოგიური ვარაუდები არ გაჩნდეს, კოსტა-რიკას ოფიციალურმა პირებმა ნაჩქარევად განაცხადეს, რომ ტონობით კოკაინი აშშ-ში იმიტომ გაზიდეს, რომ თავად არ ჰყოფნით ღუმელები ნარკოტიკების გასანადგურებლად.

მაგრამ, კოკაინს რომ რეგულარულად ანადგურებდნენ, მისი რეზერვებიც აღარ იარსებებდა. მაგალითად, პანამაში ივლისში სახალხოდ, ჟურნალისტების თანდასწრებით დაწვეს 12 ტონა ნარკოტიკები, რომლის ძირითად ნაწილს სწორედ კოკაინი შეადგენდა. დაწვეს ყოველგვარი ღუმელების გარეშე. უბრალოდ ბენზინი გადაასხეს. ეკოლოგიისთვის საფრთხის შექმნის შესახებ სიტყვაც კი არავის დასცდენია. **პანამაში სულ მთელ წელიწადში 24 ტონა ნარკოტიკი გაანადგურეს. კოსტა-რიკაში, სადაც აშშ-ის სპეცსამსახურები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მბრძანებლობენ, ნარკოტიკებს აშკარად სხვა მიზნებისთვის ინახავდნენ.**

იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია კოსტა-რიკადან გაზიდულ ნარკოტიკებს აშშ-ში, საკმარისი ცნობები არ არსებობს. არსებული მდგომარეობით კოსტა-რიკას საკონსულოს თავისი საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ამ კოკაინის განადგურების თაობაზე საგანგებო ტელეგრამით უნდა ეცნობებინა. მაგრამ ვერ აცნობა, რადგან თავად კონსულს არანაირი მონაცემები არ აქვს თავისი ქვეყნიდან აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავით გაზიდული კოკაინის ბედის შესახებ.

**ამერიკელებმა რეგლამენტი დაარღვიეს: მათ არა მხოლოდ არ მიიწვიეს კონსული კოკაინის დაწვის პროცედურაზე, არამედ ისიც კი არ ჩათვალეს საჭიროდ, რომ ამ საკითხზე მისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ. მაგრამ გაანადგურეს კი ეს ნარკოტიკები საერთოდ? ოპერატიული მიზნებისთვის, როგორც წესი, საჭიროა აღურიცხავი რეზერვები. იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებენ ამ კოკაინს, არ აცნობებენ არც კოსტა-რიკაში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების შეფ როი პერინს, არც ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელ ჯეიმს რიჩარდ კენის.** ნარკოტრაფიკთან ბრძოლის საქმეში ხომ უამრავი გაუთვალისწინებელი რამ ხდება. მაგალითად, იგივე კენიმ ჰონდურასში მუშაობისას აშშ-ის ვერტმფრენიდან ცეცხლი გაუხსნა ნავს, რომელშიც ორი ორსული ქალი და ორი მამაკაცი მოკლეს, კიდევ ოთხი ადამიანი კი დაჭრეს. ნავში ნარკოტიკები ვერ აღმოაჩინეს.

**ასევე უამრავ კითხვას ბადებს ვენესუელადან საფრანგეთში 1382 კილოგრამი კოკაინის გადატანა AirFrance-ის თვითმფრინავით. როგორც მედია იუწყებოდა, ვიღაც, ვინც „ელ-ნეგროს“ სახელით მოქმედებდა, დაახლოებით ერთი წლის წინ ჩავიდა ვენესუელაში და ერთ-ერთი კოლუმბიური კარტელისგან ნარკოტიკები იყიდა. შემდეგ მან კოკაინი „რუსულ-იტალიური მაფიის წარმომადგენლებს“ მიჰყიდა. მაფიამ გადაიბირა აეროპორტების თანამშრომლები და კოკაინით სავსე ჩემოდნები ფიქტიური მგზავრების სახელებზე გააფორმეს AirFrance-ის თვითმფრინავის ბორტზე მოსახვედრად. ნარკოტიკებმა წარმატებით გადალახეს ატლანტიკა და პარიზის აეროპორტში აღმოჩნდნენ. დაახლოებით ათი დღე პარტია საწყობში ინახებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა „შემთხვევით“ უშიშროების სამსახურმა. საგულისხმოა, რომ ამ დრომდე გამოძიების პროცესში არ გამოჩენილა საქმეში მონაწილე არც ერთი რუსული გვარი.**

პრეზიდენტმა მადურომ AirFrance-ის საქმეს „უცნაური ისტორია“ უწოდა და განაცხადა, რომ ეს საქმე ძალიან ჰგავს აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს მიერ კონტროლირებად ნარკოტიკების გადაზიდვის ოპერაციებს. მისივე თქმით, იქ, სადაც ეს ორგანიზაცია მოქმედებს, ნარკოტრაფიკი მუდამ ძალებს იკრებს. პრეზიდენტმა ყურადღების გამახვილება ბრძანა იმ ვენესუელელებზე, რომლებიც ადრე ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოსთან თანამშრომლობდნენ, ახლა კი ტრანსნაციონალური კომპანიების შტატებში არიან მიღებულნი.

მადუროს აღშფოთება გასაგებია. **უკანასკნელ წლებში ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველომ და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ არაერთხელ ამოყვეს თავი იმ სკანდალების ცენტრში, რომელთა დროსაც „გამოანათეს“ დაპირისპირებული ქვეყნებისა და პოლიტიკოსების „ნარკოკომპრომეტაციის“ ოპერაციებში მონაწილე თანამშრომლებმა.** ამ ოპერაციების მოცულობა უზარმაზარია: ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო აგენტურის გადასაბირებლად ყველაზე ბინძურ მეთოდებს იყენებს — აშანტაჟებს ხალხს, უდებს ნარკოტიკებს, ემუქრება ნათესავების რეპრესიებით, აყალბებს მტკიცებულებებს, ფიზიკურად უსწორდება მათ, ვინც ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობის გაწყვეტას და მის მხილებას აპირებს. **ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო თავის წესებს ამყარებს ნაციონალური ქვეგანყოფილებებისთვის, რომლებიც ნარკოტრაფიკს ებრძვიან და მათ „პოპულისტური რეჟიმების“ წინააღმდეგ შეთქმულებებში ითრევს.** ამის გამო ამ ორგანიზაციის მუშაობა ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში შეწყვეტილია, დანარჩენებში კი ხელისუფლების არაოფიციალურ ზედამხედველობას ექვემდებარება.

თავისი არსით **ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო სხვა არაფერია, თუ არა დამნაშავეობრივი ორგანიზაცია, რომელიც ნარკოტიკებთან ბრძოლის იმიტაციით გლობალურ ნარკობიზნესში აშშ-ის დომინირებისათვის აუცილებელ პირობებს ქმნის.** აშშ-ის ზოგიერთ შტატში მარიხუანის ლეგალიზაცია მხოლოდ პირველი ნაბიჯია გლობალური ნარკოლიბერალიზაციის გზაზე. პრესაში უკვე დაიწყეს წერა იმის შესახებ, რომ თურმე კოკაინი უსაფრთხოა. ასე რომ კოკაინის ბიზნესის სფეროში ახალი ინიციატივებია მოსალოდნელი. ახლა ლათინოამერიკული ექსპერტების მონაცემებით, ამ ბიზნესის 60%-ზე მეტს სწორედ ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო აკონტროლებს. ლათინური ამერიკის ქვეყნების ხელისუფლებებს ესმით, რომ ამ „პარტნიორს“ მუდამ შეუძლია ზურგში დარტყმის მიყენება.

fondsk.ru

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პენტაგონის მთავარი უძირო კასრები მთელ მსოფლიოში მიმოფანტული სამხედრო ბაზებია და უპირველესად ეს ერაყში, ავღანეთსა და ქუვეითში მდებარე ბაზებს ეხება. აქ იპარავენ ყველაფერს — წვრილმანიდან მსხვილმანამდე. „მარცხნივ“ უშვებენ სამხედრო კონტინგენტის სურსათით, აღჭურვილობით და ტექნიკით უზრუნველყოფის კონტრაქტებს, ძარცვავენ თანამშრომელთა პირადი ნივთებით დატვირთულ კონტეინერებს, ყიდიან პოლკის ბენზინს ნაღდ ფულზე...**

# აშშ-ის არმია კორუფციაში ჩაეფლო

**ვაშინგტონი სირიაზე შეტევისთვის ემზადება, ეს კი ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერ ამერიკელ დაქირავებულებს და არმიის მაღალჩინოსნებს კვლავ გაუჩნდებათ რეალური შესაძლებლობა, ხელები მოითბონ სამხედრო კონტრაქტებზე. ამერიკის შეერთებული შტატების არმიას ქრთამები და ქურდობა ახრჩობს. კორუფციონერების მიერ გამოწვეული ზარალი მილიარდობით დოლარს აღწევს.**

**პენტაგონის მთავარი უძირო კასრები მთელ მსოფლიოში მიმოფანტული სამხედრო ბაზებია და უპირველესად ეს ერაყში, ავღანეთსა და ქუვეითში მდებარე ბაზებს ეხება. აქ იპარავენ ყველაფერს — წვრილმანიდან მსხვილმანამდე. „მარცხნივ“ უშვებენ სამხედრო კონტინგენტის სურსათით, აღჭურვილობით და ტექნიკით უზრუნველყოფის კონტრაქტებს, ძარცვავენ თანამშრომელთა პირადი ნივთებით დატვირთულ კონტეინერებს, ყიდიან პოლკის ბენზინს ნაღდ ფულზე...**

ამ ყველაფრის დამადასტურებელი იმდენი ფაქტი დაგროვდა, რომ ყველას ჩამოთვლა არა მხოლოდ შორს წაგვიყვანს, არამედ ყველანაირ მორალურ პრინციპებს საფუძვლიანად შელახავს, ამიტომ მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის ჩამოთვლაც კმარა.

**2008 წლის თებერვალში უფროსმა უნტერ-ოფიცერმა პელეტი პიტმა 50 ატასი ქრთამი აიღო და ამისთვის 28 თვით გაამწესეს ციხეში.** ფული მან კუვეიტის ერთერთი კომპანიის პრეზიდენტისგან აიღო. ეს უკანასკნელი ოცნებობდა, ამერიკული სამხედრო ბანაკისთვის სამზარეულოს პლასტიკატის ნაკრებები მიეწოდებინა.

**2008 წლის ივნისში ქუვეითში მდებარე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ინტენდანტმა მაიორმა ჯონ კოკერხემმა და მისმა მეუღლემ მელისამ თავი დამნაშავედ სცნეს მექრთამეობასა და ფულის გათეთრებაში.** „იმის ნაცვლად, რომ თავიანთი პოლკის ინტერესებიდან გამომდინარე ემოქმედათ, კოკერხემი კონტრაქტებს უფორმებდა მათ, ვინც მზად იყო, მიღებული შემოსავლიდან მისთვის წილი მიეცა“, — განმარტა აშშ-ის გენერალური პროკურორის თანაშემწემ მეთიუ ფრიდრიხმა. **დაკავების მომენტამდე მეუღლეებმა 1 მილიონ დოლარზე მეტის მითვისება მოასწრეს, კიდევ 8 მილიონი კი დაქირავებულებს მათი ვალი მართებდათ.** მოგვიანებით სასამართლომ ჯონ კოკერხემს 17,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მელისამ 41-თვიან სასჯელს გამოჰკრა ხელი.

**2009 წლის მაისში არმიის კაპიტანმა ელბერტ უესტლიმ და უმცროსმა სერჟანტმა როი გრინმა აღიარეს, რომ მოიპარეს აპარატურა, რომელიც ერაყში მდებარე აშშ-ის სამხედრო ბაზებზე იგზავნებოდა. ისინი მოპარული აპარატურის ადგილობრივი ბიზნესმენებისთვის მიყიდვას აპირებდნენ.** მოპარულების ჩამონათვალში იყო კონდენციონერები, გენერატორები, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები. დამნაშავეების მოგებამ დაახლოებით 400 ათასი დოლარი შეადგინა.

**2009 წლის აგვისტოში აღიარებითი ჩვენება დაწერა არმიის კაპიტანმა ბრაიან უილიამსმა, ბაღდადში განლაგებული 101 საჰაერო-სადესანტო დივიზიის ინტენდენტმა.** ნაღდი ფულისა და ძვირფასი საჩუქრების სანაცვლოდ მან 500 ათას დოლარზე მეტი თანხის კონტრაქტები გაუფორმა დაქირავებულ პირებს.

**2009 წლის აგვისტო-ნოემბერში გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს სამხედრო დაქირავებულ პირს ლი უილიამ დიუბუას, არმიის კაპიტანს რობერტ იანგს, ექსპედიტორებს რობერტ ჯეფრისა და მიშელ ჯამილს.**

**აფერა, რომელიც მათ მოაწყვეს, პენტაგონს 40 მილიონი დოლარი დაუჯდა. სწორედ ამ ღირებულებისა იყო მოპარული და ერაყის შავ ბაზარზე გაყიდული საავიაციო და დიზელის საწვავი.**

2009 წლის ოქტომბერში არმიის სერჟანტმა ანა ჩავესმა აღიარა მექრთამეობა. ავღანეთში ბაგრამის აეროდრომზე სატრანსპორტო ოპერატორობისას მან დაქირავებული თანამშრომლისგან 90 ათასი დოლარი აიღო სამხედრო დაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ.

**2010 წლის იანვარში პოდპოლკოვნიკ მაიკლ უილერს 42 თვით პატიმრობა მიუსაჯეს ერაყის აღდგენისთვის გამოყოფილ სახსრებთან დაკავშირებულ ფართომასშტაბიან აფერაში მონაწილეობისთვის, ამ მომენტისთვის საქმეში მისი დამხმარეები — პოლკოვნიკი კერტის უაიტფორდი, პოდპოლკოვნიკი დებრა გარისონი, ასევე რამდენიმე სამოქალაქო პირი უკვე იხდიდნენ სხვადასხვა ვადიან სასჯელს ციხეებში.** გამოძიებამ დაადგინა, რომ საქმის მთავარი ფიგურები იყვნენ რა დროებითი კოალიციური ადმინისტრაციის თანამშრომლები, მთელ რიგ მიტაცებებში მონაწილეობდნენ. სხვა ყველაფერთან ერთად მათ მიერ მოპარულ იქნა 2 მილიონი დოლარი ნაღდი ფული, ასევე მანქანები, მოტოციკლები, კომპიუტერები...

**2010 წლის აპრილში პოლკოვნიკმა კევინ დევისმა თავი დამნაშავედ სცნო ერაყში რამდენიმე სამხედრო საწყობის მშენებლობისა და ექსპლოატაციის კონტრაქტით დაინტერესებული დაქირავებული პირისგან 50 ათასი დოლარის აღებაში.**

**2010 წლის იანვარში აშშ-ის არმიის კოსმოსური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ინჟინერს სტივენ ბრაიანტს 20 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს 200 ათასი დოლარის ოდენობით ქრთამის აღების გამო.** ამ განაჩენმა საფინალო წერტილი დაუსვა საქმეს, რომლის ფარგლებშიც მანამდე უკვე მიესაჯათ სასჯელი აშშ-ის კოსმოსური და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შტაბთან არსებული ტექნოლოგიების ინტეგრაციის გაერთიანებული ცენტრის დირექტორს მაიკლ კანტრელს და მის მოადგილე დუგლას ჰარი ენისს. 1,2 მილიონი დოლარის ოდენობით ქრთამის აღებისთვის ისინი შესაბამისად ხუთი და ორი წლით გაამწესეს ციხეში.



## ამერიკის ჯარში სახელმწიფო ფულის დატაცების მასშტაბები ყოველნაირ გონივრულ საზღვრებს სცილდება

**2010 წლის დეკემბერში ყოფილი სამხედრო მოსამსახურე და მსხვილი დაქირავებული სამხედრო კომპანიის თანამშრომელი დენიელ ფრიმანი 41 თვით ჩასვეს ციხეში. ავღანეთში თავისი მისიისას ის კონტრაქტებში ქრთამს იღებდა. ამ გზით მან 200 ათასი დოლარი გამოიმუშავა.**

2011 წლის იანვარში უფროს სერჟანტს სტივენ ნათან რინგოს 90 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს მექრთამეობისა და სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის. როგორც გამოძიებამ დაადგინა, სერჟანტმა, რომელიც ავღანეთში მოწინავე ოპერატიულ ბაზაზე მსახურობდა, დაქირავებულისგან 400 ათასი დოლარი აიღო ქრთამის სახით საწვავ-საპოხი მასალების გადაჭარბებული ხარჯვის დამამტკიცებელი ანგარიშების გაყალბებისთვის. თავის მხრივ ამან დაქირავებულ პირს საშუალება მისცა, სახელმწიფოსთვის დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარის საწვავი მოეპარა.

**2011 წლის თებერვალში მაიორმა კევინ შრიოკმა თავი დამნაშავედ სცნო ერაყში ჰუმანიტარული მიზნებისათვის განკუთვნილი არმიის ფონდებიდან დაახლოებით 50 ათასი დოლარის მოპარვის საქმეში.**

2012 წლის იანვარში ავღანეთში ბაგრამის აეროდრომის ლოჯისტმა, სერჟანტმა ჩარლზ ფინჩმა 51-თვიანი პატიმრობისა და სამწლიანი პირობითი სასჯელი მიიღო. მისმა დამხმარემ სერჟანტ-მაიორმა გერი კენტინმა 31 თვით პატიმრობა და სამ წლიანიანი პირობითი სასჯელი მიიღო. ორივემ აღიარა, რომ მომგებიანი სატრანსპორტო კონტრაქტის სანაცვლოდ 50 ათასი დოლარის აღებას ცდილობდნენ. მანამდე ანალოგიური დანაშაულის გამო სასჯელი შეეფარდათ მათ ათ თანამომსახურეს.

**2012 წლის დასაწყისში არიფჯანის სამხედრო ბაზის მორიგი კორუფციონერები გაასამართლეს. არმიის მაიორ ედი პრესლის 144 თვით პატიმრობა შეეფარდა მექრთამეობისა და ფულის გათეთრებისათვის. მის თანამზრახველსა და მეუღლეს ერიკას 72 თვით პატიმრობა მიუსაჯეს.** პრესლებმა თითქმის სამი მილიონი დოლარი აიღეს სახელმწიფო კონტრაქტების მიღების საქმეში ოფიციალური მონაწილეობისთვის. ამ ფულს ისინი ოფშორულ საბანკო ანგარიშებზე მალავდნენ, უძრავ ქონებასა და ავტომანქანებში აბანდებდნენ.

**2012 წლის თებერვალში სერჟანტმა ამაშა კინგმა აღიარა, რომ ქრთამი აიღო კუვეიტელი დაქირავებულისგან.** პასუხს აგებდა რა ფინანსურ დოკუმენტებზე სამხედრო ბაზაზე, ქალბატონმა გაამარტივა სასმელი წყლის მიწოდების გაფორმების პროცედურა. ანაზღაურების სახით კინგმა მიიღო 20500 დოლარის ოდენობის ოთხი გადარიცხვა.

**2012 წლის ივნისში მაიორმა გრანტ ბრედლიმ, რომელიც ერაყში მოწინავე ოპერატიულ ბაზაზე მსახურობდა, ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა დაიმსახურა 20 ათასი დოლარის ოდენობით ქრთამის აღებისთვის.** ასე გადაუხადა მადლობა მას ადგილობრივმა დაქირავებულმა, რომელსაც საშუალება მისცეს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურის გვერდის ავლით შეეღწია ბაზაზე.

**2013 წლის თებერვალში ნატაშა ჯუნ ბოიდს 30-თვიანი პატიმრობა და სამწლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდა. იგი აღმოჩნდა მეშვიდე სამხედრო მოსამსახურე, რომელიც პენტაგონიდან ყალბი საშვებულებო და სამივლინებო თანხების მისაღებად მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობდა. ამ აფერისას მონაწილეებმა პენტაგონს 740 ათასი დოლარი გამოსტყუეს და გაინაწილეს.**

2013 წლის მარტში ტონია ლონგი, რომელიც ავღანეთში საბაჟო ინსპექტორად მსახურობდა, 60 თვით ჩასვეს ციხეში. როგორც გამოძიებამ დაადგინა, მან თანამომსახურეების ბანდეროლე- ▶



## თაღლითები აძვირებდნენ სახელმწიფო კონტრაქტების ღირებულებას, სხვაობას კი საკუთარ ანგარიშებზე რიცხავდნენ. ამ გზით მათ დაახლოებით 30 მილიონი დოლარი მოიპარეს

**გრძელდება გამოძიება არმიის ბრიგადის გენერლის ჯეფრი სინკლერის წინააღმდეგ. იგი ბრალდებულია სისხლის სამართლის რვა მუხლით, მათ შორის მკვლელობის მუქარის, პორნოგრაფიის გავრცელების, საბრძოლო გარემოში ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების, რამდენიმე ქალის მიმართ ძალადობის გამო. თუ გენერალს დანაშაულს დაუმტკიცებენ, მას სამუდამო პატიმრობა ელის.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბიდან და კონტეინერებიდან დაახლოებით 1 მილიონი დოლარი მიიტაცა. ამ ფულით ქალმა შვებულება გაატარა, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და 18-ბორბლიანი სატვირთო მანქანა იყიდა.

**2013 წლის აპრილში არმიის კაპიტანი შონ პატრიკ ობრაიენს ქრთამის აღება დაუმტკიცეს და 23 თვით პატიმრობა მიუსაჯეს.** სასამართლო დოკუმენტების მიხედვით, მან ერაყელი დაქირავებულისგან დაახლოებით 37500 დოლარი აიღო ქრთამის სახით სახელმწიფო კონტრაქტის მიცემის სანაცვლოდ.

**2013 წლის ივლისში ავღანეთის ეგერსის ბაზის კანცელარიაში მომუშავე შტაბ-სერჟანტ ჯეისონ ბეგონის ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი მიზნებისთვის გამოყენების გამო.** მან თავის ორ დამხმარე სერჟანტთან ერთად შეცდომაში შეიყვანა აღჭურვილობის მომწოდებელი და კონტრაქტის ღირებულებაში სხვაობის — დაახლოებით 1,3 მილიონი დოლარის მიტაცება სცადა.

და ბოლოს, **სულ რამდენიმე დღის წინ დასრულდა არმიის ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის საკითხებით დაკავებული აშშ-ის საინჟინრო კორპუსის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესი. თაღლითები აძვირებდნენ სახელმწიფო კონტრაქტების ღირებულებას, სხვაობას კი საკუთარ ანგარიშებზე რიცხავდნენ. ამ გზით მათ დაახლოებით 30 მილიონი დოლარი მოიპარეს.**

საქმის მთავარი ფიგურანტი, ვინმე კერი ხანი ციხეში 19,5 წელს გაატარებს. მისმა 15-მდე დამხმარემ ნაკლები სასჯელი მიიღეს. სულ გამოძიებამ დალუქა 34 საბანკო ანგარიში, კონფისკაცია შეეხო უძრავი ქონების 20 ობიექტსა და რვა ძვირადღირებულ ავტომანქანას. კოლუმბიის ოლქის პროკურორმა რონალდ მაჩენმა განაცხადა, რომ ეს ფედერალური კონტრაქტების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თავხედური სქემაა.

იმისათვის, რომ როგორმე ალაგმოს კორუფცია ერაყის, ავღანეთისა და ქუვეითის ბაზების შესანახად გამოყოფილი თანხების ირგვლივ კორუფცია, აშშ-ის ხელისუფლება იძულებულია, სულ ახალ-ახალი სამსახურები, დეპარტამენტები და განყოფილებები შექმნას. ამგვარი სტრუქტურებიდან ყველაზე მასშტაბურის მიერ წარმოებული მხოლოდ მიმდინარე გამოძიებების რაოდენობა ათასს აღემატება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ამერიკის ჯარში სახელმწიფო ფულის დატაცების მასშტაბები ყოველნაირ გონივრულ საზღვრებს სცილდება.**

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რაც უკვე ჩამოთვლილ შემთხვევებზე ბევრად უარესია: **სამხედრო მოსამსახურეები და დაქირავებული კონტინგენტი, რომლებიც გადასახადების გადამხდელთა ფულს ასე დაუნდობლად იპარავენ, ანადგურებენ სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობას.** ფაქტია, რომ ამერიკის საზოგადოებას მდუმარედ სძულს ვაიმეომრები, მათი ხარბი მეთაურები და ვაშინგტონში მსხდომი ლობისტები.

fbii.org

**სამხედრო მოსამსახურეები და დაქირავებული კონტინგენტი, რომლებიც გადასახადების გადამხდელთა ფულს ასე დაუნდობლად იპარავენ, ანადგურებენ სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობას**




# აშშ-ის გენერლებს სიტყვა «ღირსება» დაავიწყდათ

**ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების სუსტი მორალი ყველა კონტინენტზე ცნობილია. ისინი სვამენ, იპარავენ, ძარცვავენ, კლავენ, აუპატიურებენ როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე უცხოეთში მდებარე ბაზებზეც, მაგრამ გენერლები მათ ვერაფრით ჯობნიან.**



**11 ოქტომბერს თანამდებობიდან გაათავისუფლეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარაკეტო-ბირთვული ძალების მეთაური, გენერალი მაიკლ კერი. ძალზე ბუნდოვანი ფორმულირების მიუხედავად — „ხელმძღვანელობის მხრიდან ნდობის დაკარგვასთან დაკავშირებით“ — სამვარსკვლავიანი გენერლის უახლოესი მომავალი უკვე ცნობილია — მის წინააღმდეგ უკვე დაწყებულია სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიება.**

ჭალარაშერეული პოლკოვნიკის ოფიციალურ ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ მან სპარსეთის ყურეში ორი კამპანია დაიარა და 13 მედალი და ორდენი მიიღო. მის დაქვემდებარებაში მსახურობდა სამი საბრძოლო ესკადრილიის 10 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე. პენტაგონი მისი დათხოვნის თაობაზე დუმს, მაგრამ მედია დარწმუნებულია, რომ **ყველაფრის მიზეზი ალკოჰოლია და რომ ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალების სარაკეტო-ბირთვული პოტენციალი ბოლო დრომდე ჩვეულებრივი ალკოჰოლიკის ხელში იყო.**

სიმპტომატურია, რომ კერი გაათავისუფლეს მაშინ, როდესაც ჯერ ორი კვირაც კი არ იყო გასული ამერიკის ბირთვული ქოლგის კიდევ ერთი „მაყურებლის“ — **აშშ-ის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მმართველობის უფროსის მოადგილის, ვიცე-ადმირალ**

ტიმ გარდინას გათავისუფლებიდან. სამხედრო წყაროებმა ჟურნალისტებს უამბეს, რომ ეს გათავისუფლება ადმირალის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას მოჰყვა. ამასთან, **ტომ გარდინა არა მხოლოდ თამაშობდა, არამედ შულერობაში იყო მხილებული.** შეგახსენებთ, **ომახში შტაბბინის მქონე სტრატეგიული მმართველობა პასუხისმგებელია ამერიკის „ბირთვულ ტრიადაზე“ — სახმელეთო ბაზირების ბალისტიკური რაკეტები, წყალქვეშა ნავებზე განლაგებული რაკეტები და სამხედრო-საჰაერო** ძალების ბირთვული შეიარაღება.

სხვათა შორის, **მთელი წელი გასული შემოდგომიდან მიმდინარე შემოდგომამდე პენტაგონისა და ცსს-ს რიგი მაღალჩინოსნების ლოთობისა და სექსუალური აღვირახსნილობების მხილების ფონზე გავიდა.**

მაგალითად, ივნისში **თანამდებობიდან დაითხოვეს იაპონიაში აშშ-ის დაჯგუფების მეთაური, გენერალ-მაიორი მაიკლ ჰარისონი.** იგი მფარველობდა მოძალადე სამხედრო მოსამსახურეებს, ხელს უშლიდა გამოძიებას, აყალბებდა ანგარიშებს. საინტერესოა, რომ **ჰარისონი გამოცდილი სამხედროა. 30 წელზე მეტი მას სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა აშშ-ის არმიაში.**

მაისში სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა **ბრიგადის გენერალი ბრაიან რობერტსი,** სამხრეთ კაროლინის შტატში მდებარე ერთ-ერთი ბაზის ფორტ-ჯექსონის მეთაური. იგი თანამდებობიდან დაითხოვეს **არამართლზომიერი ქმედებების, მათ შორის „ადიულტერისა და ფიზიკური ჩხუბის“ გამო**. როგორც მედია წერდა, ფორტ-ჯექსონის საწვრთნელ ბანაკს ყოველწლიურად 36 ათასი ახალწვეული გადის და მათ შორის ერთი მესამედი ქალია. ამრიგად, მოსაწყენი განსაზღვრების **„ფიზიკური ჩხუბის“ უკან მწარე სიმართლე იმალება — ადიულტერი სექსუალურ ძალადობას უკავშირდებოდა.** რობერტსმა თავის საყვარელს ტუჩი გაუხეთქა, რის გამოც ქალს სამედიცინო დახმარება დასჭირდა. გენერალი ბაზას ერთ წელიწადზე ცოტა მეტ ხანს ხელმძღვანელობდა. მანამდე იგი ჯარისკაცებს ამზადებდა ერაყში გასაგზავნად, ასევე ხელმძღვანელობდა ქვეგანყოფილებას, რომელიც დაკავებული იყო ახალი ორლეანის მოსახლეობის დახმარებით ქარიშხალ „კატრინას“ შემდეგ. სულ რობერტმა არმიაში 29 წელი იმსახურა. მას მეუღლე და სამი შვილი ჰყავს.

ასევე **ულირსი ქმედებებისთვის აპრილში თანამდებობა დაკარგა აშშ-ის შეიარაღებული ძალების „აფრიკომის“ გენერალ-მაიორმა რალფ ბეიკერმა.** მან ხელმძღვანელობის ნდობა დაკარგა **„ლოთობასა და აღვირახსნილობასთან დაკავშირებით, მათ შორის ძალადობისა და უწესო სქესობრივი კავშირების ჩათვლით“.** იგი შიდა შემოწმების შედეგების მიხედვით გაათავისუფლეს.

**2012 წლის ნოემბერში სექსუალურ აღვირახსნილობასთან დაკავშირებით თანამდებობა დაკარგა ცსს-ს დირექტორმა დევიდ პეტრეუსმაც. ეს ოთხვარსკვლავიანი გენერალი დაზვერვაში მოსვლამდე ამერიკულ ჯარებს ხელმძღვანელობდა ავღანეთში, უფრო ადრე კი სათავეში ედგა აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ სარდლობას და საჯარო დაჯგუფებას ერაყში.** საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პეტრეუსის გადაყენებიდან ორ თვეში მისი სახე გამოჩნდა იმ წიგნის ყდაზე, რომელიც ამერიკელ გენერლებს შორის წარმოუდგენელ ლოთობაზე წერდა.

**იმავე 2012 წელს კიდევ ერთმა ბრიგადის გენერალმა ჯოზეფ დაფმა აღიარა, რომ დამნაშავე იყო ოფიცრისათვის შეუფერებელ ქმედებაში, დაუმსახურებელი ჯილდოების ტარებაში და საკუთარ ბიოგრაფიაში ცრუ განცხადებებში. იმავე პერიოდში შეუფერებელი ქცევის შვიდ პუნქტსა და მცდარი მონაცემების წარდგენაში თავი დამნაშავედ სცნო არმიის გენერალ-მაიორმა დევიდ ჰეილმა.**

**ამ დრომდე გრძელდება გამოძიება არმიის ბრიგადის გენერლის ჯეფრი სინკლერის წინააღმდეგ.** მას გასული წლის შუა პერიოდამდე ეკავა 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ზურგის მეთაურის მოადგილის თანამდებობა. ახლა იგი ბრალდებულია სისხლის სამართლის რვა მუხლით, მათ შორის მკვლელობის მუქარის, პორნოგრაფიის გავრცელების, საბრძოლო გარემოში ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების, რამდენიმე ქალის მიმართ ძალადობის გამო. პროცესი დროში გაიწელა, რადგან ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს. საბოლოო სასამართლო განხილვა დანიშნულია 2014 წლის იანვრისთვის და, თუ გენერალს დანაშაულს დაუმტკიცებენ, მას სამუდამო პატიმრობა ელის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილთაგან **თითოეული არმიის გონებად, ცხელ წერტილებში გამოვლილ გმირად, ერის სიამაყედ და ბიჭებისთვის სამაგალითო პერსონად ითვლებოდა. ისინი პენტაგონის „სავიზიტო ბარათებად“ უნდა ქცეულიყვნენ. სინამდვილეში კი ისინიც მძარცველები და მოძალადეები აღმოჩნდნენ.** როგორც ჩანს, XXI საუკუნის ტიპიური ამერიკელი გენერალი სულის სიღრმეში ბოლომდე რჩება კაპრალად, რომელიც მრავალჯერ დააწინაურეს...

fbii.org

**გენერლები, რომლებიც არმიის გონებად, ცხელ წერტილებში გამოვლილ გმირად, ერის სიამაყედ და ბიჭებისთვის სამაგალითო პერსონად ითვლებოდნენ და პენტაგონის «სავიზიტო ბარათებად» უნდა ქცეულიყვნენ, სინამდვილეში მძარცველები და მოძალადეები აღმოჩნდნენ**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნება მომეცით, გულწრფელი აღტაცება გამოვხატო თქვენ მიერ წარმოებული, უაღრესად სწორი, მკაფიოდ მოზომილი და იდეალურად გაწონასწორებული პოლიტიკით და წარმატებები, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ყველა სიკეთე გისურვოთ პირადად თქვენ და თქვენს ახლობლებს! რაც შეეხება ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს, მათზე საუბარი კიდევ არაერთხელ მომიწევს უდიდესი სიყვარულითა და საუკეთესო განზრახვით, ამ შესავალი სიტყვის დასასრულს კი მხოლოდ ამას გეტყვით, როგორც მართლმადიდებელი მართლმადიდებელს — ღმერთმა ინებოს მშვიდობიანი ოლიმპიადა რუსეთისთვის და ოლიმპიური სიმშვიდე — საქართველოსთვის!..**



# მთელი გულით!

პიროვნებების ადგილი კაცობრიობის ისტორიაში განუზომელია, რადგან მათი გაქანებისა და თითქმის მისტიური ალბათობის თეორიის გათვალისწინებით, ნებისმიერი გამოჩენილი მოღვაწის შესახებ მსჯელობისას ჩნდება კითხვები — ის რომ არა? მას რომ ეს არ ჩაედინა? ან, პირიქით, ასე მოქცეულიყო? და ასე შემდეგ.

როგორც ყოველთვის, დედამიწაზე ახლაც ბრძოლა მიმდინარეობს, ბრძოლა არც ისე ახალი იარაღით — სიტყვით, აზრით, იდეით; ეს წერილი „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციაში უკვე დასაბეჭდად იყო გამზადებული, როდესაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ხელში ჩამივარდა უზადო პირუთვნელობითა და საგულისხმო სიზუსტით შედგენილი წიგნი „უცნობი პუტინი"; რამდენიმე საათში წაკითხულმა ბიოგრაფიული ქრონიკის ამ კლასიკურმა ნიმუშმა მოხიბლული და გაოცებული დამტოვა — რუსეთის პრეზიდენტის შესახებ ინფორმაციულად ასე ტევადი, შინაარსობრივად თითქმის ყოვლისმომცველი და აგებულებით ასე გამართული, საინტერესო ნაშრომი — სიამოვნებით უნდა გავუსვა ხაზი — პოსტსააკაშვილისეულ საქართველოში ჯერ არ მეგულებოდა.

წიგნის ავტორთათვის გულითადი მადლობის გადახდის შემდეგ, ისღა დამრჩენია, მკითხველს ვურჩიო, აუცილებლად გაეცნოს ამ წერილსაც და, განსაკუთრებით „უცნობ პუტინს". ვინაიდან ილუზორულ-ისტერიული წლების მერე, ყველამ ერთად გასაოცარი მოთმინებით რომ გამოვიარეთ, ვფიქრობ, დროა, სინამდვილეს გავუსწოროთ თვალი და გავიცნოთ „რუსი მართლმადიდებელი ლიდერი", როგორც მას „თვით დიად დასავლეთშიც" უწოდებენ და, რომელიც უახლოეს მომავალში ქართველი ხალხის ისეთივე ბუნებრივ მეგობრად და საიმედო ვითარების მიერ (სტრატეგიულ) მოკავშირედ წარმოჩინდება, როგორც მალევე გაცხადდება, რომ ჩვენი ქვეყნები სიყვარულისა და მეგობრობისთვის არიან გაჩენილნი, ეს როგორც ღმერთის, ისე ადამიანების კანონია — გიყვარდეს და არა გძულდეს, მეგობრობდე და არა მტრობდე; განსაკუთრებულად ეს მეზობლებს ეხება, მეტადრე, თუკი მეზობელი იმავე სჯულისაა, რომლისაც შენ ხარ და თანაც ისეთი წინამძღოლი ჰყავს, როგორიცაა ვ. ვ. პუტინი — უსერიოზულესი მოთამაშე თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ სარბიელზე.

# ღია წერილი რუსეთის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინს

**პატივცემულო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ!**

მიღებულია, ასეთი წერილების ავტორებმა სურვილები ადრესატის მიმართ წერილის დასასრულს გამოთქვან, მაგრამ, რადგან ჩემი მიზანი ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს შორის გულწრფელი დიალოგის წამოწყებაა, არაკეთილმოსურნეებს თავიდანვე გავუცრუებ იმედებს, თქვენდამი ჩემი ეს მიმართვა არაკორექტული, უაზროდ აგრესიული ან ბრიყვულად მილიტარისტული არ იქნება; პირიქით......

მიუხედავად რთული და აეული, სიცრუით, უგუნურებითა და ბოროტებით სავსე ეპოქისა, რომელშიც გვიწევს ცხოვრება და რომელიც პირადად მე უპირველეს დამნაშავედ მესახება რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი ურთიერთობების ტრაგიკულ განვითარებაში, **ნება მომეცით, გულწრფელი აღტაცება გამოვხატო თქვენ მიერ წარმოებული, უაღრესად სწორი, მკაფიოდ მოზომილი და იდეალურად გაწონასწორებული პოლიტიკით და წარმატებები, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ყველა სიკეთე გისურვოთ პირადად თქვენ და თქვენს ახლობლებს!**

**რაც შეეხება ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს, მათზე საუბარი კიდევ არაერთხელ მომიწევს უდიდესი სიყვარულითა და საუკეთესო განზრახვით, ამ შესავალი სიტყვის დასასრულს კი მხოლოდ ამას გეტყვით, როგორც მართლმადიდებელი მართლმადიდებელს — ღმერთმა ინებოს მშვიდობიანი ოლიმპიადა რუსეთისთვის და ოლიმპიური სიმშვიდე — საქართველოსთვის!..**

ხუმრობა იქით იყოს და — არც ერთი კარგი, ლაზათიანი ოლიმპიადა ჩემი საყვარელი სამშობლოსთვის და არც მუდმივი მშვიდობა ჩემთვის ასე ძვირფასი რუსეთისთვის, უფალია მოწმე, არ მენანება და მთელი სულითა და გულით მსურს!

როგორც ძველი, კეთილი, მხიარული კარლსონი იტყოდა, განვაგრძობთ საუბარს!

**ძვირფასო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ!** თუმცა დიადი რუსული ენა მსგავსი შინაარსის ანდაზების სიმწირეს არ უჩივის, თქვენი ნებართვით, ერთს ქართულს გავიხსენებ: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო". გულწრფელი საუბრის წამოწყების გარდა, ჩემი ამ გზავნილის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ესეცაა — გზის დანახვა მანამ, ვიდრე ურემი გადაბრუნდება...

**თქვენო აღმატებულებავ,** ბრძენი ადამიანი ბრძანდებით და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველა თქვენს ოსტატურ პოლიტიკურ ნაბიჯს იმედიანი აღფრთოვანებით ვუმზერ და ვეთანხმები, ერთის გარდა — **ძმაო ჩემო ქრისტესმიერო! მე მტკივა ჩემი სამშობლო, მაგრამ! — ერთი წამითაც არ მჯერა ამ ჯოჯოხეთური გლობალიზმითა და სულისწამწყმედი საერთო უზნეობით უხვად გაჯერებულ რეალობაში წვიმის შემდეგ სოკოებივით მომრავლებული ავი ენების, თითქოს 2008 წელს ცივსისხლიანი გათვლით მოწყობილ სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურასთან თქვენ და რუსეთს რაიმე საერთო გქონდათ;** პირიქით, ვადევნებ თვალს პიარ-ტექნოლოგიებით კბილებამდე აღჭურვილ, მსოფლიო ბატონობისთვის გაafთრებით მებრძოლი ძალის მოქმედებებს და სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ **ერთი ქართველი შლეგიანისა და მისი ცინიკოსი მმართველების მიერ ჩატარებული იმ პროვოკაციული სპეცოპერაციის პასუხად არც პირადად თქვენ და არც ზოგადად რუსეთს, უბრალოდ, სხვა გზა, სხვა გამოსავალი, არჩევანი აღარ დაგიტოვეს... შედეგი მიღწეულია!** ორივე, უფრო სწორად, სამივე მხრიდან (ვგულისხმობ როგორც ოსებსა და ქართველებს, ასევე რუს მშვიდობისმყოფელებს) დაიღუპნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები, მშვიდობიანი მოსახლეობა... ჩემს ქვეყანას ათასობით ლტოლვილი მიემატა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავის „ერთადერთ დემოკრატიულობაში" ამპარტავნულად დარწმუნებული ძალისთვის, საქართველოსა და რუსეთს შორის მისთვის ასე არასასურველ კეთილმეზობლობასა და ბუნებრივ მეგობრობას საბოლოოდ, დაუბრუნებლად მოეღო ბოლო...

თუმცა არც მე და, იმედია, არც თქვენ არ ვფიქრობთ ამგვარად, რაც მაძლევს მყარ საფუძველს, მოგიწოდოთ — **ძვირფასო ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, შევაჩეროთ ურემი და გავხედოთ გზას! ეჭვი არ მაქვს, თუკი რუსები და ქართველები ამას ერთად გავაკეთებთ, შედეგი უდავო სიკეთის მომტანი იქნება! ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ერთად ფაშიზმის შეჩერება შევძელით!**

სწორედ ესაა უმთავრესი მიზეზი ამ წერილის იდეისა.

მავანმა, შესაძლოა, იკითხოს (და აუცილებლად გააკეთებს ამას): — რა უბიძგებს ამ უცნაურ კაცს მსგავსი ქლესა, მაამებლური წერილის დაწერისკენ, თანაც ვისი — თავისი ქვეყნის და ხალხის დაუძინებელი მტრის, ყველა „საღად მოაზროვნე" „დემოკრატის" მიერ დიქტატორად შერაცხული მმართველისადმი?! — არ მიწყინოთ, ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, ამ ჩვენს პარადოქსებით სავსე, ცინიზმის ეპოქაში, დამეთანხმებით, შეუდარებლად დიდია რიცხვი აზროვნების პრეტენზიის მქონეთა, ჭეშმარიტ მოაზროვნეებთან შედარებით; ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვით ვუპასუხო ამ ფსევდოლიბერალებსა და ფსევდოდემოკრატებს, კაცობრიობის განვითარებაზე, ცივილიზაციათა თავისებურებებსა და ისტორიულ მაგალითებზე ფიქრიც რომ ზარავთ და საკუთარი ცხვირის იქით არაფრის დანახვა არ სურთ.

**მოხდა ისე, რომ 2005 წელს დღის სინათლე იხილა ლექსების კრებულმა სახელწოდებით „Аэробар"; წიგნში ჩემ მიერ სხვადასხვა დროს რუსულად შეთხზული სამოცამდე ლექსი შევიდა და წინასიტყვაობაში ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებასთან ნაზიარებ მკითხველს ვუხსნიდი, რომ მშობლიურ ენაზე მხოლოდ პროზაში მომუშავეს უცნაურად მომეძალა რუსულად ლექსთხზვის დაუძლეველი, ყოვლის წამლეკავი სურვილი, პოეტები მუზას რომ ეძახიან; სწორედ ამ აუხსნელმა რუსულმა მუზამ მიკარნახა იმავე წინასიტყვაობაში დამეზუსტებინა „Аэробар"-ის რუსულენოვნების მიზეზი: — „...გაზაფხული. სიყვარული... და უდიდესი სურვილი, საფუძველი ჩამეყარა ჩვენ შორის მართლმადიდებლური, კანონზომიერი, გეოპოლიტიკური... რას ვამბობ?! — უბრალოდ, ბუნებრივი სიყვარულის აღორძინებისთვის!"**

მიუხედავად იმისა, რომ წიგნს ავტორიტეტულ ლიტერატურულ წრეებში შემოქმედებითი გამარჯვება უწოდეს, თავის ქება რა მოსატანია, დასახული კეთილი მიზნის მიღწევაში ხელისშეშლა მალაპარაკებს, ანტირუსიზმში, ანტისამართლიანობასა და ანტიზნეობრიობაში განაფული „პიარშჩიკების" წყალობით, მას დიდი გამოხმაურება კი არა, ჯეროვანი ყურადღებაც არ ეღირსა, თუ არ ჩავთვლით „ОРТ"-ს, რომლის მადლიერი დღემდე ვარ; უფრო მეტიც, როდესაც 2007 წლის 13 მაისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ერთ-ერთ საუკეთესო გალერეაში ჩემი მეგობრის, არაჩვეულებრივი ქართველი მხატვრის, აწ განსვენებული მიშა იაშვილის ნახატების გამოფენა და „Аэробар"-ის მოტივებზე თბილისის თეატრალური ინსტიტუტის რუსული სექტორის სტუდენტების მონაწილეობით პერფორმანსი გაიმართა, — ჩავურთავ, რომ ჩვენი ეს ერთობლივი „აქცია" რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებისადმი იყო მიძღვნილი და მას რუსეთის საელჩოს კულტურის ატაშე ესწრებოდა, — თუმცა საღად მოაზროვნე ხელოვანთა მცირე ჯგუფის ამ მცდელობას, თავიდან აგვეცილებინა უბედურება, რომელსაც თითქოს წინასწარ ვგრძნობდით, ყველა ქართული წამყვანი ტელეარხი დაესწრო, იმავე „პიარშჩიკების" ხრიკების „წყალობით", მათგან მხოლოდ ერთმა გაბედა, მცირე ყურადღება მაინც დაეთმო ამ მოვლენისთვის... და ვინ იცის, ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, იქნებ, რომ არა ეს ბოროტი ხელის შეშლა, ოდნავ მაინც შეგვემსუბუქებინა დარტყმა, რომელსაც ბედისწერა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს უმზადებდა! ასეა თუ ისე, მეც და მიშასაც ეს დარდი და სინანული გამოგვყვა; მისმა მხურვალე, მაგრამ სუსტმა გულმა ამას ვერ გაუძლო, მე კი... ვცდილობ, გავაგრძელო ბრძოლა სანუკვარი მიზნისთვის.

ცხოვრება გრძელდებოდა. ოდნავ უკან, წარსულისკენ მივმართავ თქვენს მზერას. **2003 წელს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ყოვლად უკანონოდ მოვიდა ოდიოზური, თანამედროვე ფსევდოლირებულებებით შეიარაღებული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც ოსტატურად იყენებდნენ, ვინ იცის, რომელ სპეცსამსახურებში შესწავლილ უნარჩვევებს, რათა მყარად დაემკვიდრებინათ ქვეყანაში, ხალხსა და საზოგადოებაში დეკადანტური განწყობა, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვა ქართული სინამდვილის ყველა სფეროს შესუსტება, შერყევა და ლამის განადგურება, იქნებოდა ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, განათლება, ხელოვნება, სპორტი თუ ნებისმიერი სხვა დარგი... მსოფლიო მმართველთა ამ აპრობირებული მეთოდით ქვეყნის ბეჯითად მნგრეველებმა მალე მიიყვანეს ჩემი სამშობლო ზნეობრივ უფსკრულამდე, ურთიერთუნდობლობამდე, სრული ნიჰილიზმით შეპყრობილი თაობების გენერირებამდე და ეკონომიკურ სიდუხჭირემდე... ერთი შეხედვითაც ცხადი იყო, თუ ვისთან გვქონდა საქმე.**

კიდევ უფრო უკან თუ გავიხედავთ, დავინახავთ, რომ გარკვეული ნაკლოვანებების მქონე სსრკ-ის, ვაღიაროთ, არაჩვეულებრივი ოსტატობით დანგრევა-დაშლის შემდგომ, მსოფლიო ბატონობის პრეტენზიის მქონე ძალას თავისი საპირწონე, ძლიერი სისტემის (სსრკ) აღარარსებობის პირობებში ერთადერთი რეალური მოწინააღმდეგე, მათი გეგმების განხორციელების ერთადერთი ბუნებრივი ხელისშემშლელიღა დარჩათ — **რწმენა!**

მორწმუნე ადამიანი, საზოგადოება, ხალხი, ერი თუ ქვეყანა, კარგად მოგეხსენებათ, ბოროტმზრახველთათვის ერთობ რთული სამართავია იმ ზნეობრივი პოსტულატების გამო, რომლებიც ასევე კარგად არის თქვენთვის ცნობილი და ამიტომაც მათი აღწერა-ჩამოთვლის რთულ შრომას უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით წმინდა მამებს, სასულიერო პირებსა და თეოლოგებს დავუთმობ. მაშასადამე, **დანამდვილებით შეგვიძლია დავძინოთ, რომ მათი სამიზნე მკაფიოდ ჩამოიქნა — შევნიშნავ ორ ან მით უმეტეს, სამ ფრონტზე ბრძოლას არაერთი სამხედრო თუ პოლიტიკური გენია, სახელოვანი მხედართმთავარი თუ პოლიტიკური მოღვაწე, იმპერია და, უფრო მეტიც, იდეოლოგია შეუწირავს! — პირველი, რიგ შემთხვევებში გარკვეული ფანატიზმის ნიშნების მატარებელი, თუმცა მშვენიერი და უდიდესი კულტურით შემკული ისლამური სამყარო იყო; მეორე — ჩვენ, მართლმადიდებლები, ვგულისხმობ არამარტო რუსეთ-უკრაინა-ბელორუს-საქართველოს, არამედ, რასაკვირველია, ბერძნებს, სამხრეთ სლავებსა და აზიასა თუ აფრიკაში მიმობნეულ მართლმადიდებლებს და მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ჩვენი ბუნებრივი მოკავშირე, კათოლიკური სამყარო.**

ჩემი დასტურია საჭირო, ცხადი რომ გახდეს, თუ რა მეთოდური სიზუსტითა და ბინძური პიარსვლებით აწარმოებს გამოუცხადებელ მესამე მსოფლიო ომს ძალა, რომელსაც გაუგონარი ფარისევლობით მოურგია ადამიანის, საკუთრების, სიტყვის, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უალტერნატივო დამცველის ნიღაბი. სხვათა შორის, მისივე აპოლოგეტების განმარტებით, სკამს, რომელზეც დემოკრატია შემომჯდარა, ოთხი ფეხი აქვს — ადამიანის, საკუთრების, სიტყვისა და აღმსარებლობის უფლებათა თუ თავისუფლებათა სახით და ნიშანდობლივი, კანონზომიერი და სიმბოლური დამთხვევაა, რომ ისინი გაშმაგებით ცდილობენ ამ სკამს, რომელიც ყველა შემთხვევაში ძალაუფლების ალეგორიულ სახედ აღიქმება, ის მეხუთე ფეხი სადღაც შუაში შეურჭონ სარივით. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ცნობილ მეხუთე კოლონას და ჰომერულ ხარხარს იწვევს — **ისინი** ხომ თავისი გაუმაძღრობის გამო უზნეო გარყვნილებაზეც ვერ ამბობენ უარს და ამ თავიანთ ნალოლიავებ „ღვთაებას" სარზე სვამენ! იქნებ ეს **მათი** ქვეცნობიერების ლოგიკური გამოვლინებაა? შესაძლოა.

**ვლადიმერ ვლადიმერის ძევ,** კიდევ ერთ, არცთუ უმნიშვნელო გარემოებას მინდა შევეხო, რომელზეც, დარწმუნებული ვარ, თქვენც ხშირად გიფიქრიათ; **XIV საუკუნიდან დაწყებული და დღესაც ნიღაბაფარებულმა კოლონიზაციის პროცესმა თანამედროვე მსოფლიოს შემდეგი სურათი წარმოგვიდგინა 2013 წლისთვის — ჩინელები და ინდუსები, პლანეტის მოსახლეობის ლამის ნახევარს რომ შეადგენენ ერთად, თავთავიანთ ენებზე საუბრობენ, არაბებიც, ასე თუ ისე, უგებენ ერთმანეთს; ცნობილ მიზეზთა გამო, ესპანურად მეტყველებს მთელი ლათინური ამერიკა, უმცირესი პორტუგალიურენოვანი გამონაკლისის გარდა, კანადასა და ჩრდილო და ცენტრალური აფრიკის ზოგ ქვეყანაში ფრანგებმა „იყოჩაღეს" და დანერგეს თავიანთი მშვენიერი, „ჟღურტულა" ენა, სლავებს თქვენი არეალი გაქვთ, გერმანელებს და მათ მონათესავე ნორდიულ ტომებს — თავისი, მაგრამ ყველანი ერთად კატეგორიული აუცილებლობის წინაშე ვდგავართ — მსოფლიო გლობალური ქსელი და, ზოგადად, გაბატონებული ცხოვრების წესი მოითხოვს ინგლისურის ცოდნას.** ამ მოვლენას გრძელი პრეისტორია აქვს. XIX-XX სს. ინგლისურენოვან მწერალთა მრავალრიცხოვან პლეადას, რომლის დიდი ნაწილის იდეური ბელადიც ბერნარდ შოუ გახლდათ, თავიანთი შემოქმედების უმთავრეს მიზნად ინგლისურის პლანეტარულ ენად ქცევა ესახებოდათ, რის დასტურადაც ნებისმიერი მათგანის ციტირებაც შორს წაგვიყვანდა; არავითარ შემთხვევაში არ მინდა, ინგლისელ ლიტერატორთა ნაწარმოებების მხატვრული ღირსებები დავაკნინო, მაგრამ საქმე ხომ აშკარა, წინასწარდაგეგმილ ლინგვისტურ ექსპანსიასთან გვაქვს?!

**როდესაც მომავალზევე მეტად მოფიქრალი ჩემი ხალხი კუთვნილ ტახტზე მირონცხებულ მეფეს აიყვანს, როცა ტკბილად და თბილად განვაახლებ კეთილგანწყობილ საუბარს ჩემს აფხაზ და ოს ძმებთან, საუბარს, რომელიც პირადად მე არასდროს შემიწყვეტია, გავისეირნებ ჩემს საყვარელ გაგრასა და ახალ ათონში, სადაც ბავშვობა გავატარე, დაბოლოს, სწორედ იმ მომავალს, როცა ჩემი ქვეყნისა და ხალხის მეგობრად გულწრფელ, პატიოსან, ერთმორწმუნე მეზობელს დავიგულებ და არა ანგარებიან, მსოფლიო ძალაუფლების ვნებით შეპყრობილ გადამთიელს.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აქვე მინდა, გავიხსენო ფაქტი, რომელიც ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისთვის კაცობრიობის ზნეობრიობაზე ზრუნვას მისი ცხოვრების მიზნად აქცევს; დღეს ბევრს საუბრობენ თავისუფლების რაობაზე, ზოგს ის ნიჭად, ბედნიერებად ესახება, ზოგს უდიდესი ვალდებულებებით სავსე პასუხისმგებლობად; იგონებენ იმასაც, რომ ზოგიერთ ენაში (მაგ. ჩინურში) ეს სიტყვა, როგორც დეფინიცია, საერთოდაც არ არსებობდა; მაგრამ, მოდით, ჩავუკვირდეთ, საიდან აღმოცენდა თავისუფლების ის მოდელი, რომელსაც დღეს ვადევნებთ თვალს, რომელიც თვითგანვითარებადი, პროგრესირებადი გახდა და, რომელიც მას (თავისუფლებას) დაწაფებულ კაცობრიობას უზნეობისა და დეგრადაციისკენ, საბოლოო ჯამში კი თვითგანადგურების უფსკრულისკენ უბიძგებს; ერთობ საგულისხმოა, რომ ბერძნული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: სოკრატეს, პლატონს, არისტოტელესა და სხვა მრავალთ, რომელთაც თავისუფლება, სამართლიანობასა და სიკეთესთან ერთად, ადამიანის ბედნიერად ცხოვრების მხოლოდ ერთ-ერთ, და არამც და არამც ერთადერთ, თვისებად ესახებოდათ, მადლიერმა კაცობრიობამ **მამები** უწოდა, ხოლო რუსი და გერმანელი ფილოსოფოსები, რომელთა იდეების განსაკუთრებული გაფურჩქვნის ხანაც XIX საუკუნეს უკავშირდება და რომლებმაც ათასწლეულების განმავლობაში **ადამიანის** მიერ გამოვლენილი სისუსტეების გათვალისწინებით თავისუფლების რაობა უფრო დააკონკრეტეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ იგი ზოგ შემთხვევაში დიდი ბედნიერებაა, ზოგში კი უდიდესი უბედურება, **შვილების** საპატიო სახელით დააჯილდოვა.

მაგრამ იყო კიდევ ავბედითი XVIII საუკუნე, რომელმაც ე. წ. განმანათლებლები, ენციკლოპედისტები, თავისუფლების იმ სახის განმარტების ავტორები შვა, რომელთა წყალობითაც ის (თავისუფლება) დღეს ასე ბობოქარ საფრთხედ იქცა; **ისინი არიან სწორედ მასწავლებლები „დამფუძნებელ მამათა“, რომელთა იდეების გამაგრძელებელნიც დღეს ერაყსა და ავღანეთს, ეგვიპტესა და სირიას „ათავისუფლებენ“, მანამდე კი „საბჭოთა“ ხალხები და სამხრეთ სლავები „გაათავისუფლეს“. ნიშანდობლივია, რომ ბრძენი კაცობრიობა „ენციკლოპედისტების“ საკუთარ თავთან რაიმე ნათესაური კავშირის არსებობას ერიდება და მათ, ჩემი აზრით, ფრიად და უაღრესად ორაზროვანი განსაზღვრებით მოიხსენიებს — „განმანათლებლები“; განათლება ხომ ისევე სახიფათოა უზნეო ვიგინდარას ხელში, როგორც სიკეთის მომტანი, თუკი ამ თვისებით დადებითი, ზნეობრივი ადამიანი იქნება აღჭურვილი.**

სანამ ხსენებული „განმანათლებლების“ მიერ აფრიალებული, აბსოლუტურად პარადოქსული ლოზუნგი: „ძმობა! ერთობა! თავისუფლება!“ საფრანგეთის მეფეს, ბედკრულ ლუდოვიკ მეთექვსმეტეს გილიოტინამდე მიიყვანდა, თითქმის ასი წლით ადრე, ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას ჩამოშორებული კათოლიკური ეკლესიის წიაღში განვითარებულმა ანგლიკან-პროტესტანტიზმმა, მოგვიანებით ათასგვარ სექტად დაშლის გზით რომ განაგრძო ნამდვილ ქრისტიანობასთან ბრძოლა, ინგლისის კათოლიკე მეფეს — კარლ პირველს თავი მოჰკვეთა; და, თუმცა ყოველივე ამას ინგლისშიც და საფრანგეთშიც მონარქიების აღდგენა მოჰყვა და ნაპოლეონის მსოფლიო იმპერატორის გვირგვინისკენ ტრიუმფალური სვლაც სრული ფიასკოთი დასრულდა. **ბედისწერა** (თუ „თავისუფლების“ **კომერციული** მიზნებისთვის გამომყენებელი ძალა) **ევროპას და კაცობრიობას მორიგ განსაცდელს უმზადებდა — მაშინ, როდესაც რუსეთის მონარქიას Pპირველ Lმსოფლიო ომში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა, უკვე დახელოვნებულმა და გაწაფულმა ძალამ შეძლო და მოვლენები თავისთვის სასურველ კალაპოტში მოაქცია — მოკლულ იქნა ნიკოლოზ მეორე, მოხდა რევოლუცია და ე.წ. ბოლშევიკებმა როგორც ქრისტიანულ ზნეობაზე, ისე ქვეყნის შიდა სტაბილურობაზე განახორციელეს დამანგრეველი დარტყმები. რუსეთის ომიდან გამოთიშვის შემდეგ ხელმოწერილ იქნა ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც შენელებული მოქმედების ნაღმის ოსტატურად მომზადებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილი მშვიდობისკენ გულწრფელად გადადგმულ ნაბიჯს; აკი, ამოქმედდა კიდეც ჰიტლერისა და ფაშიზმის წყალობით და, რომ არა იოსებ სტალინის ფიგურა, ვინ იცის, იქნებ შედეგი, რომლისთვისაც ჯერაც ვერ მიუღწევიათ „საყოველთაო თავისუფლების“ მესვეურთ, უკვე მაშინ დადგებოდა?..**

1945 წლის დიდ გამარჯვებას მოჰყვა „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის“ შექმნა, რისი საპასუხო ნაბიჯიც „ვარშავის ხელშეკრულების“ ჩამოყალიბება იყო; პარალელურად „ცივი ომი“ „გაჩაღდა“ და ამერიკელებმა მსოფლიოში პირველად და (უფალო, შეგვეწიე!) იმედია, უკანასკნელად გამოიყენეს ატომური იარაღი... და ასე შემდეგ... და ასე დაუსრულებლად...

**ვლადიმერ ვლადიმერის ძევ,** ადამიანი ჯერ ადამიანად იბადება, შემდეგ კი უფლის ამ ქმნილების რასიულ, ნაციონალურ და ეთნიურ წარმომავლობას ექცევა ყურადღება. შემდეგ ირკვევა, თუ რომელ კონტინენტზე და ქვეყანაში, როგორ სოციალურ, მენტალურ თუ კულტურულ გარემოში აღმოჩნდა იგი, მაგრამ, უპირველესად, მასში სწორედ ის ხატება და მსგავსება უნდა ვეძიოთ, რომლითაც იგი უფალმა შექმნა, შემდეგ კი... შემდეგ იწყება **მოყვასის სიყვარული.**

რუსთაველი წერდა: **„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“, თქვენ მე მოყვარედ მესახებით და გულწრფელად მჯერა, რომ ჩვენი ხალხებიც იმავე განწყობით არიან. განსაცდელი კი, რომელიც გამოვიარეთ, კიდევ უფრო გაგვაძლიერებს და დაგვაბრძენებს, რათა მსგავსი შეცდომები აღარ გავიმეოროთ.**

ფილოსოფიურ-კულტუროლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული მოკრძალებული წიაღსვლები კი სათქმელს მიიოლებს, რადგან ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას, ვფიქრობ, ნათლად ვლინდება, რამდენად ემთხვევა ჩემი შეხედულებები თქვენსას; აქედან გამომდინარე, მოგმართავთ, როგორც რიგითი ქართველი, უბრალო ადამიანი, რომელსაც არაფერი აბადია გულწრფელობის, პატიოსნების, უფლის რწმენისა და სამართლისა და სიკეთისთვის ბრძოლის სურვილის გარდა; **მეფე-მზეს, ლუი XIV-ს სიკვდილის პირას მყოფი კარდინალ მაზარინისთვის უკითხავს: — რეგენტობისდროინდელ, საფრანგეთ-ინგლისს შორის თავდაუსხმელობის ამ დოკუმენტზე კრომველის ხელმოწერა რატომ აღმოჩნდა ჩემი ხელმოწერის ზევითო. ცულლუტ იტალიელს, სასიკვდილო სარეცელზეც რომ არ ღალატობდა გონებამახვილობა, მიუგია: — ეგ იმიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ თქვენ ახალგაზრდული გამოუცდელობით ძალიან ბევრი ადგილი დაუტოვეთ მას, კრომველი კი პატივმოყვარე კაცი გახლდათ და ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდაო. წლების შემდეგ ეკატერინე II-ს ხელმოსაწერად გეორგიევსკის ტრაქტატი მიართვეს. რომელიღაც მრჩეველს შეუბედავს: — აი, აქ, ზემოთ მოაწერეთო ხელი, თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავო, რაზეც ამ მართლაც დიდსულოვან ქალბატონს ღირსეული, მეფეთა საკადრისი პასუხი გაუცია: — მეფე ირაკლი ისეთივე ხელმწიფეა საქართველოსი, როგორიც მე — რუსეთისაო!**

მიუხედავად ჩემი სრული აპოლიტიკურობისა, ალბათ, მიმიხვდით, რაც თავი მახსოვს, გულმხურვალე მონარქისტი გახლავართ და, ასეთიც რომ არ ვყოფილიყავი, ვიქცეოდი ყოველი ქართველის და, ბუნებრივია, ჩემი სულიერი მოძღვრის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — ილია II-ის მოწოდების შემდეგ; ეს ერთადერთი სამართლიანი ფორმა მმართველობისა ჩემი სანუკვარი ოცნება და ნატვრაა, როგორც საქართველოსა და რუსეთისთვის, ისე სრულიად საქრისტიანოსთვისაც.

რაც შეეხება იმ მარტივ საკითხს, თუ როგორი სახელი დაერქმევა ჩვენი ქვეყნების ბუნებრივ მეგობრობას, პირადად ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და სწორედაც — **რატომაც არა ევრაზიული კავშირი?!** უახლოესი მეგობრის მიმართ, რომელიც ამავე დროს კარის მეზობელია ჩემი და, რაც მთავარია, ერთმორწმუნეა, მე **ნდობის, თანასწორობის, სიყვარულისა და პატივისცემის** გარდა, სხვა არაფერი შეიძლება ვიგრძნო! გაყოფა, როგორც ჩვენი უწმინდესი ბრძანებს, ეშმაკის საქმეა, უფალი აერთიანებს!

**2003 წელს სხვისი ჩაის შეხვრეპით საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ჯგუფმა საზოგადოებასა და ქვეყანაში ინტელექტუალურ-კულტურული კრიზისი გააჩინა, განავითარა და ამ კრიზისის უკიდურესობამდე მიყვანით ქვეყანას, რომელიც თავისი კულტურით, ტრადიციებით, უფროსისა და ქალის პატივისცემით, განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა, ყოველი მხრიდან წერტილოვანი დარტყმები მიაყენა;** უნდობლობის, ერთმანეთის გაუტანლობის, უზნეობის, დაბეზღების, საყოველთაო დაშინებისა და ცინიკური სიცრუისგან დაღლილი ჩემი თანამემამულეები 2012 წლის ოქტომბერში საარჩევნო ყუთებთან ეკონომიკურმა სიდუხჭირემ კი არა, საკუთარი ღირსების გრძნობამ მიიყვანა; თქვენი მონა-მორჩილიც კი, არასდროს პრინციპულად რომ არ ვმონაწილეობდი „დემოკრატიის“ ამ ყავლგასულ ფარსში, წავედი და ჩემი ხმა არა „ქართულ ოცნებას“ ან ბ-ნ ივანიშვილს, არამედ საქართველოს მომავალს მივეცი, იმ მომავალს, როდესაც მე, თუ ნებისმიერი სხვა ქართველი, ბოდიშს მოვუხდით მართლმადიდებელ სერბებს, რადგან ვიღაც შლეგიანმა „კოსოვოს“ დამოუკიდებლობა ჩვენი სახელით აღიარა, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ბინძური, დამპყრობლური ომის მწარმოებლებს საჯიშე ქართველ ბიჭებს კი არ ვაახლებ, არამედ თავაზიანი, მაგრამ შეუვალი ღიმილით შევახსენებ, რომ მათი აქ **სტუმრობის** დრო ამოიწურა, მომავალს, როდესაც დანარჩენ ქართველებთან ერთად ღრმად დავფიქრდები — ესაა ჩვენი **ნამდვილი** დროშა, ღერბი და ჰიმნი?! უნდა იდგეს დედაქალაქის შუაგულში ჩვენი მფარველი წმინდანის კერპი, როცა ჩვენივე მრწამსი წმინდანთა ყოველგვარი ბარელიეფური გამოსახულების თაყვანისცემას კრძალავს?! ცოტა მეტი ხომ არ უნდა ვიკითხოთ წიგნები, როგორც ბრძენი სულიერი მოძღვარი მიგვითითებს?! **მომავალს, როდესაც მომავალზევე მეტად მოფიქრალი ჩემი ხალხი კუთვნილ ტახტზე მირონცხებულ მეფეს აიყვანს, როცა ტკბილად და თბილად განვაახლებ კეთილგანწყობილ საუბარს ჩემს აფხაზ და ოს ძმებთან, საუბარს, რომელიც პირადად მე არასდროს შემიწყვეტია, გავისეირნებ ჩემს საყვარელ გაგრასა და ახალ ათონში, სადაც ბავშვობა გავატარე, დაბოლოს, სწორედ იმ მომავალს, როცა ჩემი ქვეყნისა და ხალხის მეგობრად გულწრფელ, პატიოსან, ერთმორწმუნე მეზობელს დავიგულებ და არა ანგარებიან, მსოფლიო ძალაუფლების ვნებით შეპყრობილ გადამთიელს.**

**ბატონო პრეზიდენტო!**

ვატყობ, სასურველზე უფრო ემოციური გამომდის ეს მოკრძალებული გზავნილი, რასაც, იმედია, მომიტევებთ, რადგან გულახდილად გეტყვით, გწერთ ამ წერილს და ვიცი, ფრიად მცირერიცხოვანი, მაგრამ უხვ ანაზღაურებას დახარბებული „თავისუფლებისა და დემოკრატიის მესვეურები“ „თბილტკბილ“ ეპითეთებს არ დაიშურებენ ჩემთვის — ნეტავ, ასევე მადარდებდეს კიდევ რამე ცხოვრებაში! მე იმას ვწუხვარ, რომ მსოფლიოპოლიტიკური პროცესების ბედუკუღმართობის გამო ჭეშმარიტი თავისუფლების, შესაძლოა, საჭიროზე მეტად მოყვარული და საკუთარი ღირსების გრძნობით, ასევე საჭიროზე მეტად გამსჭვალული ჩემი მშობელი ხალხისთვის **XIX ს. საქართველოს რუსეთის გუბერნიად ქცევა, 1921 წ. სსრკ-ში შესვლა, 1989 წ. 9 აპრილი, აფხაზეთის 1991-1992 წწ. ომი ჯერაც მოუშუშებელი იარებია, ხოლო სიკეთე, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატმა ისლამური სამყაროსგან თავდაცვისას მოგვიტანა, სსრკ, გარკვეული ზნეობრივი ფარით რომ დაიცვა თავისი სივრცე დამღუპველი, მანკიერი გავლენისგან და, განსაკუთრებით, სსრკ-ს არსებობის ბოლო წლები, როცა საქართველოს ეკონომიკა ყვაოდა, ქართული კინო, თეატრი, სპორტი და, ზოგადად, საზოგადოებრივი განვითარება არნახულ სიმაღლეებს აღწევდა, ადვილადაა დავიწყებული და ჯეროვნად არ არის შეფასებული;** სამწუხაროდ, ასეთია ადამიანის ბუნება. **ეს წერილი მხოლოდ წვეთია ზღვაში იმ უზარმაზარ შრომასთან შედარებით, რომელიც ქართველებმა და რუსებმა უნდა ვიტვირთოთ ერთმანეთის ბუნებრივი სიყვარულის ასაღორძინებლად; თუმცა ოპტიმიზმის საფუძველიც არსებობს — მსოფლიო აგრესორთა ქმედებების გაშიშვლების, მათი ჭეშმარიტი სახის სულ უფრო მკაფიოდ წარმოჩენის ფონზე ქართველები მეტს ფიქრობენ თავიანთ ადგილზე სამყაროში, თავიანთ რაობაზე, ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე, ეს კი ეხმარებათ, განასხვაონ ერთმანეთისგან სსრკ და რუსეთი — საბედნიეროდ, ჩემი ხალხი ხელახლა აღვიძებს თავის თავში ოდესღაც ასე მძაფრ თვისებას მტერმოყვრის გარჩევისა.**

2012 წლის არჩევნები ვახსენე და, კიდევ რამდენიმე სიტყვა რომ არ ვთქვა ამ მოვლენაზე, არ ვიქნები ბოლომდე პირუთვნელი; 2002 წელს გარდაიცვალა **ნუგზარ საჯაია,** საქართველოს უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი; ავი ხმა დაირხა — თავი მოიკლაო; ფაქტი ერთია — გარდაცვალების მიზეზი ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობა გახდა, ხოლო, თუკი ამ პიროვნების პროფესიონალიზმს, სამსახურის სპეციფიკას და, განსაკუთრებით, ერთ ფაქტორს — მის ერთგულებას ბ-ნი შევარდნაძისა და მისი მთავრობისადმი და, აქედან გამომდინარე, მისი ფიგურის მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, რბილად რომ ვთქვათ, არა ერთი კითხვის ნიშანი ჩნდება; მოგვიანებით კიდევ უფრო საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა პრემიერ-მინისტრი **ზურაბ ჟვანია;** ამას მოჰყვა გულმხურვალე საზოგადო მოღვაწის, ბ-ნი **გურამ შარაძის** შემზარავი მკვლელობა თბილისის ცენტრში და **ბადრი პატარკაციშვილის** საიდუმლოებით მოცული გარდაცვალება; პარალელურად, ქვეყანაში პანიკური შიშის დათესვის და საზოგადოების დათრგუნვის მიზნით, განსაკუთრებული დაუნდობლობით, სამაგალითოდ გაუსწორდნენ **რობაქიძეს, გირგვლიანს, ვაზაგაშვილს...** ვფიქრობ, ეს მკვლელობათა სერია არ საჭიროებს ზედმეტ საუბარს, პირველ რიგში, ჭირისუფალთა დაზოგვის გამო და თანაც **დარწმუნებული ვარ, ნორმალური ხელისუფლების პირობებში, ადრე თუ გვიან, სამართლიანი გამოძიება დაადგენს ჭეშმარიტებას და დამნაშავენიც დაისჯებიან.**

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე პერმანენტულ, ირიბ თუ პირდაპირ, ვერბალურ და ზოგჯერ ფიზიკურ თავდასხმებს, ქვეყნის ეკონომიკის მავნებლურ მოშლას, სამეცნიერო, საგანმანათლებლო სისტემათა გაუფასურებას, სახელოვნებო თუ სპორტულ ცხოვრებაში საბოტაჟურ ჩარევას, თავისუფალი მედიის დაწიოკების უამრავ ფაქტს, ეროვნული ფასეულობების ცინიკურ შეურაცხყოფას (დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრიდან პერიფერიაში გადატანას, ქუთაისში გამარჯვების მემორიალის ბარბაროსულ აფეთქებას, რომელსაც ორი ადამიანის, დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა! ბაგრატის ტაძრის ფასადის მიზანმიმართულ დამახინჯებასა და საპატრიარქოს რეზიდენციის ცხვირწინ ლამის საროსკიპოს აგებას ვგულისხმობ), ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის შეჩერებისა და სოფლის მეურნეობისთვის მაქსიმალურად არაკომფორტული გარემოს შექმნის გზით ქვეყანაში უმუშევართა არმიის გაჩენას, გარყვნილებისა და მამათმავლობის მეთოდურ წახალისებას, ყოველი ადგილობრივი, მუნიციპალური, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებისას ნარკოგამსაღებელთა გამოყენებას და, ვინ მოთვლის, კიდევ რა საძაგლობებს მივიღებთ მხედველობაში, ციხეებში პატიმართა წამებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ და ტოტალური მოსმენები და თვალთვალიც რომ დავივიწყოთ, დავინახავთ, ფაშიზმისა და მისი ლოგიკური აღსასრულის, ნიურნბერგის პროცესის გათვალისწინებით, რამდენად დიდსულოვანი, დამთმენი და მიმტევებელია ქართველი ხალხი.

ვიდრე 2013 წლის არჩევნებს მივუბრუნდები, შეგახსენებთ — **2006 წლიდან გონს მოსულმა ქართულმა საზოგადოებამ ორჯერ სცადა, ჩამოეშორებინა ქვეყნის მმართველობისთვის მავნებელ ბოროტმოქმედთა ეს ბანდა, მაგრამ ორსავე შემთხვევაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მმართველმა ძალამ, თავისი „დემოკრატი“ მრჩევლების მიერ „ბრძნულად“ დამოძღვრილმა, მარტივად მოახერხა, ერთი შეხედვით, ჩიხური ვითარებიდან გამოსვლა; მან, უბრალოდ, იყიდა ე. წ. პოლიტიკური ლიდერების უდიდესი ნაწილი და ხალხი, საზოგადოება, ქვეყანა, ერი თუ ბერი პირშიჩალაგამოვლებული დატოვა.** ღმერთმა ნუ ჰქნას და მესამე „გადაგდებას“ ქართველები ვეღარ გაუძლებენ!

2012 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩვენ ვითმენთ დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ „კოჰაბიტაციას“, რომელიც უფრო მითითებას, მეტიც, ბრძანებას ჰგავს. თქვენც და ჩვენც — ქართველებიც ვამბობთ: **ღმერთი სამობითაა!** მეც და უამრავი ჩემი მეგობარი, თანამოაზრე თუ უბრალო ნაცნობი, თბილისელი თუ ბათუმელი, ქალაქელი თუ სოფლელი, ქართველი თუ რუსი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ბერძენი თუ ებრაელი დიდი ნდობით და იმედით შევცქერით ბ-ნ ივანიშვილსა და მის გუნდს; მოთმინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სათნოებაა და, როგორც ქრისტიანს, წმინდად მწამს, თუკი ამქვეყნად ვერ ველირსები სანატრელ მიზანს, ადრე თუ გვიან, ზეშთასოფლიდან თვალს გადმოვავლებ სამართლიან და კეთილშობილ, დამშვიდებულ და ბედნიერ ჩემს ქვეყანას, რომლის მეგობრად და კეთილმსურველად ასეთსავე რუსეთს ვიხილავ.

დასასრულ, **ვლადიმერ ვლადიმერის ძევ,** უდიდეს წარმატებებს გისურვებთ თქვენს რთულ, მაგრამ მართალ ბრძოლაში. რუსეთსა და საქართველოს კი — გულწრფელ სიყვარულს, **მთელი გულით!**

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ჯობს ადრე, ვიდრე გვიან!

**გრიგოლ კ. რობაქიძე,**
**თბილისი. 2013. 28. 09.**

**P. S. მე „ზენიტს“ ვგულშემატკივრობ რუსეთის ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც.**

**„ზენიტი“ ჩემპიონია!**

**მთელი გულით გეპატიჟებით ჩემთან, საქართველოში, კმარა მავთულხლართები!**

**„ზენიტმა“ ისევ მოიგო — ცრურწმენების არ მჯერა, მაგრამ კარგის ნიშანი უნდა იყოს!**

**გწამდეთ საქართველოსი, როგორც მე მწამს რუსეთის! ღმერთი — თქვენკენ!**

**თქვენი გ.კ.რ.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ანგლო-საქსები ინგლისურენოვან აგრესიას ჩვენ წინააღმდეგაც მიმართავენ; გვაიძულებენ, 6 წლის ბავშვს, რომელსაც მშობლიური ქართულის ჯერ კიდევ მწირი მარაგი აქვს, ინგლისური პირველი კლასიდანვე შევასწავლოთ. ამით მსოფლიოს ამერიკულად გლობალიზების მესვეურები გვინგრევენ და მძიმე ჭრილობას აყენებენ ქართულ იდენტურობას, რამაც შეიძლება მალე სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.**

# რამდენი ხელისუფლება მართავს დღეს საქართველოს?

**ღრმად ინტელექტუალურ-ანალიტიკურმა გაზეთმა „საქართველო და მსოფლიო“ ა. წ. 32-ე ნომერში მედიცინის დოქტორ, პროფესორ გელა ლეჟავას მიერ დასმულ კითხვებზე დისკუსიის დაწყების სურვილი გამოხატა. ბატონი გელა კითხულობდა: „რით განსხვავდება ქართველი ზულუსისგან, რა მინიმალურ მონაცემებს უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდი, რომ იყოს ქართველი და არა ზულუსი?“ იქვე მას მოჰყავდა კამერუნელი მიტერან იემენის განცხადება: „ბაკურიანში 4 წლის ცხოვრების შემდეგ მე თითქმის ქართველი ვარ“. ბატონი გელა კითხულობდა: „რამდენად რეალური შეიძლება იყოს მ. იემენის გაქართველება?“ თანაც ამ მიტერანს თავისი თავისთვის მიტო ჭავჭავაძე დაურქმევია.**



**ქართველი რომ ქართველად დარჩეს, უნდა იცხოვროს ქართულ მიწაზე, ქართველთა გარემოცვაში, მედგრად იცავდეს მშობლიურ ქართულ ენას. სწორედ ასეთ პირობებში განუვითარდება მას ქართული ცნობიერება, ქართული წეს-ჩვეულება, ადათები, ტრადიციები, მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული იდენტურობა**

პროფესორ გელა ლეჟავას მიერ დასმულ კითხვებს ცნობილმა დემოგრაფმა, პროფესორმა ანზორ თოთაძემ თავის ვრცელ სტატიაში „ვინ ვართ ჩვენ და რას ნიშნავს, იყო ქართველი“ ამომწურავად უპასუხა. მეცნიერული სიღრმითა და ობიექტური ჭეშმარიტებით გამორჩეული მისი სტატიები „საქართველო და მსოფლიომ“ ა.წ. 32-ე და 33-ე ნომრებში გამოაქვეყნა. მათი შინაარსი იმდენად დამაფიქრებელი და გამოყენებითი ღირებულებისაა, რომ ვინატრე მისი ცალკე ბროშურად 100-ათასიანი ტირაჟით გამოქვეყნება, რათა ქართულ ოჯახებში შევიდეს და ქართველობა გონს მოიყვანოს, მეტადრე ჩვენი პარლამენტარები და სხვა ხელისუფალნი. იმასაც ვიტყვი, რომ ბატონი გელა დიდად ერუდირებული პიროვნებაა არამარტო მედიცინაში და შეუძლია, ნათელი მოჰფინოს მის მიერვე წამოჭრილ კითხვებს. ამაზე ღაღადებს მისი საყურადღებო წერილიც „ქართველთა სიზმრები“, რომელიც ახლახან „საქართველო და მსოფლიოს“ 35-ე ნომერში გამოქვეყნდა. ავტორი ხელისუფლებას ხაზგასმით მოუწოდებს: **„გლობალიზაციის შემოტევის პირობებში ყველაფერი ვიღონოთ ჩვენი ქართული იდენტურობის დაცვისთვის“.**

ზემოთ თქმულის მიუხედავად, ბატონი გელას მიერ დასმული აქტუალური კითხვების გარშემო სათქმელი ბევრია. კმაყოფილებით ვებმები დისკუსიაში და ვიმედოვნებ, რომ „საქართველო და მსოფლიო“ ჩემს მოსაზრებებს მწვანე გზას მისცემს.

ბატონო გელა, **ქართველი რომ ქართველად დარჩეს, უნდა იცხოვროს ქართულ მიწაზე, ქართველთა გარემოცვაში, მედგრად იცავდეს მშობლიურ ქართულ ენას. სწორედ ასეთ პირობებში განუვითარდება მას ქართული ცნობიერება, ქართული წეს-ჩვეულება, ადათები, ტრადიციები, მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული იდენტურობა.**

ნათქვამია, „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“; ჰოდა, ეს კამერუნელი მიტერან იემენი 4 წელი იყო დაბმული ქართულ გარემოცვაში და უკვე ფერი იცვალა. ასევე შეიცვლის ფერს ის ქართველი და იმ ხალხის სახეს მიიღებს, რომლის გარემოცვაში წლების მანძილზე იცხოვრებს. **შორს არ წავალ, დღეს იტალიაში მცხოვრებ ჩემს შვილიშვილზე შევჩერდები, რომელიც დედასთან ერთად, უკვე მეექვსე წელია, იტალიაში ცხოვრობს და სწავლობს. როცა ინტერნეტის საშუალებით მესაუბრება, მას ველარ ვცნობ ისე შეიცვალა; იტალიური აქცენტით საუბრობს, ენას წარმატებით დაეუფლა, იტალიური ცნობიერების მატარებელიც გახდა.** დიახ, ბატონო გელა, სავსებით რეალისტურია ვინმე მიტერან იემენის გაქართველება, თუ იგი ცხოვრებას ქართველებს შორის გააგრძელებს.

ქუთაისში სომეხი ეროვნების მეზობელი მყავს, მისი მშობლები ცოცხლები აღარ არიან; ძალიან კარგად ქართველობდნენ; ასევე ქართველობენ და ქართული ცნობიერების მატარებელნი არიან მათი შვილები და შვილიშვილები იმდენად სიღრმისეულად, რომ ხშირად ვამბობ: ნეტავ, ასეთი ქართული იდენტურობა ბევრ ქართველს გააჩნდეს. **ქართველთა გარემოცვაში ცხოვრებამ სომეხი ქართველად აქცია. სულ სხვა მდგომარეობაა საქართველოს იმ მიწებზე, კერძოდ ახალქალაქსა და მისი რაიონის სოფლებში, სადაც სომხები ჯგუფურად ცხოვრობენ და მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ; იქ ისინი სომხურ იდენტობას ინარჩუნებენ.**

უმცროსი მეგობარი მყავს სომეხი კაცი, რომელიც ქუთაისის გარეუბანში ქართველების გარემოცვაში ცხოვრობს; მოზრდილ მიწის ნაკვეთზე მეურნეობას წარმატებით უძღვება; დედა ქართველი ჰყავდა, მეუღლეც ქართველი ქალი ჰყავს; უკვე სტუდენტი ქალვაჟიც მოესწრო — ამირან და დარეჯან მარტიროსიანები. თვითონ მან, სურენ მარტიროსიანმა, ქუთაისში პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი წარმატებით დაამთავრა, სკოლაში კარგი პედაგოგის სახელიც მოიხვეჭა; ქართულად ლექსებს წერს. მას არც გვარი შეუცვლია და არც ეროვნება. იგი უსაზღვროდაა შეყვარებული ბატონი ლაშა ნადარეიშვილის პატრიოტულ პოეზიაზე და მისი მიბაძვით შესანიშნავი ლექსიც შეთხზა, აი ისიც:

**გავიღვიძოთ,**
**ქართველებო!!!**

**ჩვენი შვილი მიჰყავს**
**დუშმანს,**
**ჩვენი მიწა დუშმანს**
**მიაქვს...**
**დარდისა და ვარამისგან**
**შეაშრება ცრემლი ლიახვს.**
**ჩვენი დედა, ჩვენი ენა**
**გაგვიხადეს ძუძუ მწარე,**
**სულ ცოტა და**
**ქრისტესავით**
**გაგვაკრავენ ჯვარზე მალე.**
**გაქრა ძველი ისტორია —**
**ლეკი, ღლიღვი, დიდოელი,**
**ქართულ მიწას მოელტვიან**
**ჩინელი თუ ინდოელი.**
**ვინც სამშობლოს**
**გამოექცა,**
**ყველა ჩვენკენ იშვერს**
**ხელებს,**
**რას ვუტოვებთ ჩვენს**
**მომავალს,**
**ცისფერებს და**
**ლესბოსელებს?**
**შენ მოგძახი, ჩემო ხალხო,**
**ჩემო მთებო და ველებო:**
**გეყოთ ძილი,**
**ბრძოლის დროა,**
**გაიღვიძეთ, ქართველებო!**

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ბატონი გელა ლეჟავა კარგად გაიხსენებს, თუ როგორ გაქართველებულან არაქართული წარმოშობის ვოლსკები, ტრიპოლსკები, გერასიმოვები და ა.შ., რომლებიც წარმატებით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან დღესაც ქართულ საქმეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იაკობ ტრიპოლსკიმ განა ცოტა კვალი დაამჩნია ქართულ სამსახიობო ხელოვნებას?

**ზულუსების ეროვნება-ეთნოსის ხალხი, ბატონი გელა რომ იხსენებს, აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში ცხოვრობს, მაგალითად სვაზილენდში, მაგრამ ყველაზე მეტი, თითქმის 15 მილიონამდე, მის მეზობელ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამ მრავალრიცხოვან ხალხს ინგლისელმა კოლონიზატორებმა სახელმწიფო ენად თავს მოახვიეს ინგლისური; მხოლოდ მოგვიანებით შეძლეს ზულუსებმა თავიანთი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება გამორჩენილი მოღვაწის — ნელსონ მანდელას ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად. ამასთანავე, ინგლისური ენა მაინც რჩება პირველ სახელმწიფო ენად. ნიგერიაში კი, მოსახლეობის რიცხოვნებით აფრიკის უპირველეს — 115-მილიონიან ქვეყანაში, მკვიდრ მოსახლეობას სახელმწიფო ენის სტატუსი დღემდე არ გააჩნია; ერთადერთ სახელმწიფო ენად ყოფილი კოლონიზატორის ინგლისური რჩება.**

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ **ანგლო-საქსებმა ნიგერიელ ხალხს იდენტურობა შეუბღალეს; მისი ენა ჩრდილში დააყენეს.**

**დღეს ანგლო-საქსები ინგლისურენოვან აგრესიას ჩვენ წინააღმდეგაც მიმართავენ; გვაიძულებენ, 6 წლის ბავშვს, რომელსაც მშობლიური ქართულის ჯერ კიდევ მწირი მარაგი აქვს, ინგლისური პირველი კლასიდანვე შევასწავლოთ. ამით მსოფლიოს ამერიკულად გლობალიზების მესვეურები გვინგრევენ და მძიმე ჭრილობას აყენებენ ქართულ იდენტურობას, რამაც შეიძლება მალე სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.** უყოყმანოდ უნდა დავეთანხმოთ ცნობილ მეცნიერს, პედაგოგიკური აზროვნების მესაჭე სულმნათ ლევან ჩიქვანაიას, რომელმაც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მეცნიერული არგუმენტებით დაგმო პირველ კლასში 6 წლის ბავშვებისთვის უცხო ენის სწავლების შემოღება (იხ. „ასავალ-დასავალი“. №18, 2011 წ.).

**ანგლო-საქსები სხვისი ხელით ნარის გლეჯის დიდოსტატობით გამოირჩევიან; ჩვენი ხელით დაგვანგრევინეს განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული საქართველო და განვითარებად ქვეყნად ჩამოგვაქვეითეს. ასეთ დროს არ უნდა გაგიკვირდეთ, ერთ მშვენიერ დღეს ქართული სახელმწიფო ენა მარტო სალაპარაკო ენამდე რომ ჩამოგვიქვეითონ, ხოლო ინგლისური სახელმწიფო ენად გვიქციონ. სიფრთხილეა საჭირო, რამეთუ ამ მიმართულებით ზეწოლას ჩვენს ქვეყანაზე მზაკვრულად აძლიერებენ, ცდილობენ, ქართული იდენტურობა ჩაგვიკლან.**

ეს წერილი შემთხვევით არ დავასათაურე ასე — „რამდენი ხელისუფლება მართავს დღეს საქართველოს?“ — რადგან ყველას გვაინტერესებს, რამდენი ხელისუფლება აცხადებს პრეტენზიას საქართველოს მართვაზე, როგორ ემსახურებიან ისინი ქართულ ეროვნულ ინტერესებს, ქართულ პოლიტიკას, ქართულ ეკონომიკას, ქართულ მართლმადიდებლურ სულიერებას, ქართული ცნობიერების გაღრმავებას, ქართული ჯანსაღი ტრადიციების დაცვა-გაგრძელებას — მოკლედ ყველაფერს, რათა დავრჩეთ ქართველებად, გვქონდეს ჩვენი იდენტურობა.

უნდა გაგაწბილოთ, თანამემამულენო, რომ **არც ერთი ხელისუფლება, რომელსაც ქვემოდ ჩამოვთვლი, ქართულ ინტერესებს, ქართულ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებას არ იცავს, პირიქით, რიგი ხელისუფლებებისა ამ ინტერესებს ძირს უთხრის და ასამარებს სრულიად შეგნებულად და მიზანდასახულად.**

დღეს ხშირად გვახსენებენ, რომ საქართველოში სახეზეა ორხელისუფლებიანობა; ერთ მხარესაა სააკაშვილი თავისი „ნაციონალებით“, კუბლაშვილის სასამართლოთი, ადგილებზე საკრებულოთა მნიშვნელოვანი ნაწილით, ხოლო მეორე მხარეზე — ბიძინა ივანიშვილის მეოცნებეთა მთავრობა და მისი საპარლამენტო უმრავლესობა.

ბევრს ავიწყდება, რომ **სინამდვილეში საქართველოს გაცილებით მეტი ხელისუფლება „პატრონობს“, თანაც ისინი მბრძანებლურ და საკანონმდებლო-განმკარგულებელ ხელისუფალთა ბერკეტებს ფლობენ; მათ მე საქართველოს გარე ხელისუფლებებს ვუწოდებ. ვაშინგტონიდან, სტრასბურგიდან, ბრიუსელიდან გვმოძღვრავენ თავიანთი ვენეციური კომისიით. ამათგან დირიჟორი ხელისუფლება ვაშინგტონშია, რომელსაც ქართველი ვაიპოლიტიკოსები ხშირად სტუმრობენ, ვითარცა საყაენოში. ამ ბოლო დროს იქ დივიდენდების მოსახვეჭად პრეზიდენტობის ზოგიერთმა კანდიდატმაც შეირბინა.** ▶

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს დღეს ქვეყნის შიგნით დამოუკიდებელი კანონმდებელი ხელისუფლება არა და არ გააჩნია; ჰყავს მხოლოდ მონა-მორჩილი აღმასრულებელი როგორც „ნაციონალებიდან“, ისე „მეოცნეებიდანაც“; საქართველო, უკვე დიდი ხანია, აშშ-დასავლეთის ნეოკოლონიური რესპუბლიკაა, ხოლო აშშ-ის ელჩი რ. ნორლანდი — შეთავსებით მისი გენერალ-გუბერნატორი.

**ქართულ იდენტურობის, ქართველად დარჩენის საფუძველთასაფუძველი ღვთისმშობლის წილხვედრი ქართული მიწაა. როცა ამერიკის ელჩი ნორლანდი მის გაყიდვას გვაიძულებს, ამით ის მსოფლიოს გლობალიზების ამერიკულ დოქტრინას ემსახურება და მიზნად ქართველი ერის სახელმწიფოს გაქრობას ისახავს**

◀ **ქართველ ხელისუფალთა დასამოძღვრად და ზოგჯერ ყურის ასაწევად საქართველოსაც ხშირად სტუმრობენ დელეგაციები და ერთეული ლობისტები ვაშინგტონიდან, სტრასბურგიდან თუ ბრიუსელიდან.** ცხადია, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების კვალობაზე ისინი მოუხშირებენ თავიანთ ვოიაჟებს, რათა სასურველ დონეზე დააბალანსონ „მეოცნებეთა“ და „ნაციონალთა“ პირველი და მეორე ადგილები, ხოლო პრეზიდენტობის დანარჩენი კანდიდატები ამათგან შორს განარიდონ.

ხაზგასმით ვაცხადებ: **საქართველოს დღეს ქვეყნის შიგნით დამოუკიდებელი კანონმდებელი ხელისუფლება არა და არ გააჩნია; ჰყავს მხოლოდ მონა-მორჩილი აღმასრულებელი როგორც „ნაციონალებიდან“, ისე „მეოცნეებიდანაც“; საქართველო, უკვე დიდი ხანია, აშშ-დასავლეთის ნეოკოლონიური რესპუბლიკაა, ხოლო აშშ-ის ელჩი რ. ნორლანდი — შეთავსებით მისი გენერალ-გუბერნატორი.** ბოლო დროს იგი ხშირად ტუქსავს ქართულ აღმასრულებელ ხელისუფლებას; ახლახან, 30 სექტემბერს, ყური აგვიწია: რატომ შეაჩერეთ უცხოელებზე მიწების გაყიდვაო, ე. ი. ქართული მიწა თურმე რაც შეიძლება ინტენსიურად უნდა გავყიდოთ თურქებზე, არაბებზე, ჩინელებსა თუ ინდოელებზე და ა.შ. ვაი, ჩვენს თავს უბედურს; **დამოუკიდებელი, სუვერენული, თავმოყვარე ხელისუფლება რომ გვყავდეს, მკაცრ პროტესტს გამოთქვამდა და რ. ნორლანდის თავხედურ ჩარევას ჩვენს საშინაო თუ საგარეო საქმეებში მტკიცედ აღკვეთდა.**

**ქართული იდენტურობის, ქართველად დარჩენის საფუძველთასაფუძველი ღვთისმშობლის წილხვედრი ქართული მიწაა. როცა რ. ნორლანდი მის გაყიდვას გვაიძულებს, ამით ის მსოფლიოს გლობალიზების ამერიკულ დოქტრინას ემსახურება და მიზნად ქართველი ერის სახელმწიფოს გაქრობას ისახავს.** უცხოელთა ჭრელი მასის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დამკვიდრება ქართულ მიწაზე ნიშნავს იმას, რომ ერთი ან ორი ათეული წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით; ასეთ დროს კი საქართველოს სახელსაც კი შეუცვლიან; კაცმა არ იცის, რას დაარქმევენ: ჩრდილოეთ თურქეთს, ახალ არაბეთს თუ ჯანდაბას ინგლისური ენით. აი, რას გვიქადიან ამერიკელი იანკები. **საბჭოეთის წლებში საქართველოს ხელისუფალთ ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთიც არ გაუყიდიათ უცხო ტომელებზე, დღეს კი თურქებზე,არაბებზე, ჩინელებზე თუ ბურებზე და ა.შ. 35 ათასი ჰექტარი მიწაა გაყიდული,** — წერდა „საქართველო და მსოფლიო“ (იხ. №29, 2012, გვ. 6-7).

ჩვენ, ქართველები, საბჭოეთის წლებში უფრო დამოუკიდებლები ვიყავით და უფრო მეტად ვეკუთვნოდით საკუთარ თავს, ვიდრე დღეს მრავალი ჯურის ვაიპატრონთა ხელში; შემომედავეთ, ოპონენტებო! დაგიმტკიცებთ! ვიწვევ ცეცხლს ჩემკენ.

საჭიროდ ვთვლი, ჩემი პოზიციის განსამტკიცებლად დავესესხო პროფესორ ანზორ თოთაძეს, თუ რა დღეში იყო საქართველო XX საუკუნის დასაწყისში და თუ როგორ მეორდება იგივე დღეს — XXI საუკუნის დასაწყისში:

**„უცხოელები ჩალის ფასად ეპატრონებოდნენ არამარტო ქართულ მიწებს, არამედ ბინებს და სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ თბილისში სასახლის ქუჩასა და გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) მხოლოდ ორიოდე სახლი ეკუთვნოდათ ქართველებს. ოქტომბრის რევოლუციამ, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო“** („საქართველო და მსოფლიო“ №32, 2013).

დიახ, ოქტომბრის რევოლუციამ ქართველ ხალხს დაუბრუნა ოლდენბურგების, ჰარიმანების, ანანოვების, სომეხი ბურჟუაზიის ხელში გადასული ქართული ქონება.

ამ ამბებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, დღევანდელ საქართველოში, — აგრძელებს თხრობას ბატონი ანზორ თოთაძე, — **„არნახული მასშტაბით დაიწყო ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა. მიწის დიდ მასივებს ყიდულობენ... ინდოელები, პაკისტანელები, ჩინელები, საქართველოში საცხოვრებლად მოისწრაფვიან აფროამერიკული ხალხები და სხვ. ვინც ასეთ ანტიეროვნულ საქმეში ხელს უწყობენ უცხოელებს... მათ ქართველად ვერ მივიჩნევ“** („საქართველო და მსოფლიო“, №32, 2013 წ. გვ. 17). ასეთების შეფასებაში მე უფრო მკაცრი ვიქნები, ბატონო ანზორ, — ქართველი ხალხის უბოროტეს და დაუძინებელ მტრებად ჩავთვლი მათ.

დიახ, გაიხსენეთ, მკითხველო, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „იყიდება საქართველო“; იგი, სამწუხაროდ, აქტუალურია დღესაც, ისტორია მეორდება!

**ქართული იდენტურობის უბოროტეს მტრად მოგვევლინა იანკების მიერ გამოკვებილ-დაგეშილი სააკაშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე წამოიწყო ქადაგება, რათა საქართველოს მოქალაქეთა პირადობის დოკუმენტებში არ ჩაწერილიყო ეროვნული კუთვნილება.** 2003 წლის ივლისი იყო; სააკაშვილი მისი გუნდით ქუთაისში ხალხს შეხვდა; მას ბევრი შეკითხვა გაუგზავნეს, მაგრამ არც ერთს არ უპასუხა და შეკრება აჩქარებით დატოვა. ქალაქის ცენტრალურ ბაღში გაჭირვებით შევაჩერეთ; მე შევეკითხე, — რატომ არ უპასუხეთ ჩვენს კითხვებს-მეთქი.

კითხვაზე: **ეროვნებას, ანუ ჯიშსა და ჯილაგს ძაღლსაც კი უწერენ პასპორტში და ჩვენ, ადამიანებმა, რა დავაშავეთ?** — მან მიპასუხა: **„ჩემს ეროვნებას მე გულში ვგულისხმობ“.** ამ პასუხზე მე ლამის გადავიხარხარე; გაიღიმა იქვე მდგომმა ოქრუაშვილმაც; იგი უხმოდ გაგვშორდა.

**ქართული ეროვნულობა ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი უცილობელი ატრიბუტია; იგი აუცილებლად უნდა აღსდგეს ჩვენს ყველა დოკუმენტში. ქართველს ქართული ეროვნული კუთვნილება უნდა ჩაეწეროს, ზულუსს — ზულუსის.**

ჩამოდიან ჩვენი მბრძანებელ-კანონმდებელი ხელისუფალნი ვაშინგტონიდან, სტრასბურგიდან თუ ბრიუსელიდან და გაუთავებლად გვსაყვედურობენ, როგორ გაბედეთ და 17 მაისს პედერასტ-ცისფერებს აღლუმი ჩაუშალეთო. თურმე მათ სავალ გზაზე ხალიჩები უნდა მოგვეგო და ყვავილები მოგვეფინა. ვერ მოგართვით, ბატონო ლიბერასტებო; ქართველმა ხალხმა, მართლმადიდებელმა მღვდელმსახურებმა ღირსეულად მიაგეს უღირსოებს.

საქართველოში სტუმრობას მოუხშირეს სააკაშვილის ლობისტებმა ევროპის სახალხო პარტიიდან. ერთმა იმათგანმა, ვინმე ქალბატონმა, თავხედურად გვისაყვედურა, — გორში, სტალინის სახლმუზეუმში, რატომ არ გამოფინეთ მისი დანაშაულობათა ამსახველი მასალებიო. სტალინი მათ ხომ ყელში აქვთ გაჩხერილი.

**სტალინი, როგორც ქართველი, ქართული ეროვნული იდენტურობის, მისი განსაკუთრებულობის მაჩვენებელი სავიზიტო ბარათია.** ბატონი გელა ლეჟავა რომ კითხულობს, „რით განსხვავდება ქართველი ზულუსისგან“, მე ვეტყოდი: **არამარტო ზულუსისგან, არამედ მსოფლიოს ყველა ერისაგან განვსხვავდებით იმით, რომ ქართველმა ხალხმა ქვეყნიერებას სტალინის სახით პლანეტარული სიდიადის პიროვნება მისცა, რომლის შვილობასაც ნებისმიერი ქვეყნის ხალხი ინატრებდა.**

ამას წინათ ჟურნალისტის შეკითხვაზე სტალინის შესახებ — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ უპასუხა:

**„სტალინი წარმოშობით ქართველი იყო და შესანიშნავად იცოდა ქართული ენა, ქართული სიმღერა, გალობა. როდესაც ის გარდაიცვალა, სასულიერო სემინარიის სტუდენტი ვიყავი. მისი დაკრძალვისას ყველანი დარბაზში ვიდექით და ვტიროდით. მის შესახებ ბევრს გვესაუბრებოდა ჩვენი რექტორი, მამა კონსტანტინ რუჟიცკი, რომელმაც სტალინის შესახებ ბევრი იცოდა რუსეთის პატრიარქ ალექსი პირველისგან, რომელსაც ძალიან უყვარს სტალინი.**

**ერთ-ერთი მიღების დროს, როცა სტალინი ალექსი პირველს, მიტროპოლიტ ნიკოლაისა და პროტოპრესვიტერ ნიკოლაი კოლჩიცკის ხვდებოდა, სტალინმა იკითხა — რამ შეგაწუხათო? მათ უპასუხეს, მადლიერები ვართ თქვენი, რომ ტაძრები გავხსენითო. „არა, ეს საკმარისი არ არის, გახსენით სასულიერო სემინარიები და აკადემიებიო,“ — უპასუხა სტალინმა.**

**სტალინი გამოჩენილი პიროვნებაა. ასეთი პიროვნებები იშვიათად იბადებიან. მან იცოდა რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა“** („ასავალ-დასავალი“, 5-11 აგვისტო, 2013 წ. გვ. 21).

უწმინდესისა და უნეტარესის აღნიშნული სიტყვების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ, 4 სექტემბერს, ჟურნალისტის მსგავს შეკითხვაზე, როგორია თქვენი დამოკიდებულება ზოგადად სტალინის მიმართ, ბიძინა ივანიშვილი გამაოგნებელ პასუხს იძლევა: **„მე ძალიან ფაქიზად, ძალიან ფხიზლად, მაგრამ უარყოფითად ვაფასებ სტალინის მოღვაწეობას; ეს არის ჩემი დამოკიდებულება მისდამი“.**

**ბატონმა ბიძინამ უკადრებელი იკადრა. ასე მაინც ეთქვა: მისი მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს, — წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ლოგიკით, გამოდის, რომ სტალინის მოღვაწეობა ჰიტლერიზმის განადგურების საქმეში უარყოფითად ფასდება; სირცხვილია! თავისი განცხადებით ბატონმა ბიძინამ ჰიტლერი საფლავში გაახარა და აშშ-დასავლეთში პატრონთა გულებიც მოიგო. ასევე ისახელა თავი „ოცნების“ ვაიმინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, როცა სტალინი და ჰიტლერი ერთმანეთთან გააიგივა.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ვითომ დამოუკიდებელი გახდა; ამ მხრივ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დიდ ძალისხმევას მიმართავდა, მაგრამ დამარცხდა. ჭეშმარიტად დამოუკიდებლობას ვერც შევარდნაძის და ვერც სააკაშვილის ხელისუფლებამ მიაღწია. **გეოპოლიტიკურად დავბრმავდით, მხარი გვეცვალა და ნაცვლად იმისა, რომ სომხეთის მსგავსად ორიენტაცია რუსეთისკენ აგვეღო, რასაც ჩვენი გეოგრაფიული სივრცე მბრძანებლურად ითხოვდა, აშშ-დასავლეთს დავემონეთ.** შევარდნაძემ კი დააპირა რუსეთთან ჩარჩოხელშეკრულების დადება, მაგრამ აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა ჩაუშალა.

**დღეს ბიძინა ივანიშვილის „მეოცნებეთა“ ხელისუფლება მოვიდა, მაგრამ ისიც აშშ-ნატოს კლანჭებშია მოქცეული. ბ. ივანიშვილი არ ყოფილა დამოუკიდებელი და თავისუფალი თავის არჩევანში. მას გარედან უბრძანეს, რომელი პარტიები და პოლიტიკური ძალები მიეზიდა და რომელი არა „ქართული ოცნების“ კოალიციაში. ძირითადად, ვაითავისუფლების ინსტიტუტში გამოჩეკილი ანტიქართველები შეიერთა, სხვანაირად არ ძალუძდა. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ მან ბევრი დაპირება მოგვცა, მაგრამ ყველა ვერ განახორციელა; ცხადია, გარედან დაუშალეს.** ასე, მაგალითად, მან განაცხადა — რუსეთთან ადრინდელ სარკინიგზო მიმოსვლას აღვადგენო. ხალხი ამას მიესალმა, რამეთუ მას უაღრესად მრავალმხრივი დატვირთვა მიეცემოდა საქართველოს სასარგებლოდ, გაალღობდა სააკაშვილის მიერ წამოწყებული ცივი ომის ყინულს რუსეთთან და პერსპექტივაში მოამზადებდა პირობებს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

აშშ-მა მკაცრად დაუშალა და ივანიშვილიც დადუმდა; ამ სარკინიგზო მიმოსვლის წინააღმდეგ სააკაშვილიც აიფოფრა.

**ქ. გორში წინასაარჩევნო გამოსვლისას ხალხს შეჰპირდა, სტალინის ძეგლს ადრინდელ ადგილზე აღვადგენო, ამას ისევ აშშ-დასავლეთის განრისხება მოჰყვა და ბიძინა ივანიშვილი კვლავ დადუმდა; სანაცვლოდ სტალინის აუგად მოხსენიება წამოიწყო.**

**ახლახან გაეროს ტრიბუნიდან მიხეილ სააკაშვილმა სიტყვა წარმოთქვა, რომელიც თავისი შინაარსით გეოპოლიტიკური სიბრმავის მწვერვალია, რუსეთის წინააღმდეგ წამოწყებული ცივი ომის კულმინაციაა; მასში ამებას ტოლ დიპლომატიას მიკროსკოპითაც ვერ იპოვით; არის უაღრესად მტრული საქართველოს აწმყოსა და მომავლისთვის.** სააკაშვილმა საბოლოოდ დაგვიმტკიცა, რომ იგი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის ფიქრსაც კი გამორიცხავს. იგი ცხადში თუ სიზმარში ჩამოშლილ და დაკნინებულ რუსეთზე ოცნებობს და ვერ ჭვრეტს იმ უბედურებას, რომელიც ამ შემთხვევაში საქართველოს დაემართება. ჩვენ ნეოლეკიანობა და პანთურქიზმი დაგვემუქრება.

ვფიქრობ, ბატონი გელა ლეჟავა დამეთანხმება, თუ პარლამენტში შევალ თხოვნით, რათა საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი დებულებების პირველ მუხლში დამატებით შევიდეს შემდეგი ფორმულირება:

„საქართველო არის აშშ-დასავლეთის ნეოკოლონიური რესპუბლიკა, ნედლეულის წყარო და გასაღების ბაზარი; მისი კანონმდებელ-განმკარგულებელი ხელისუფალნი ვაშინგტონში, სტრასბურგსა და ბრიუსელში სხედან, ხოლო მორჩილი აღმასრულებლები სააკაშვილი-ივანიშვილის ხელისუფალთა სახით — თბილისსა და ქუთაისში.“

**ივანიშვილის „მეოცნებეებს“, სააკაშვილის „ნაციონალებს“, სხვებს და სხვებს რჩევას ვაძლევ: მუშტრის თვალით წაიკითხონ რუსეთის პრეზიდენტის — ვ. პუტინის ვრცელი გამოსვლა „ვალდაის კლუბის“ სხდომაზე, რომელიც ღრმად ინტელექტუალურ-ანალიტიკურმა გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა** (იხ. №35, 25 სექტემბერი, 2013 წ. გვ. 10-11). დარწმუნებული ვარ სათანადო დასკვნებს გამოიტანენ; იქნებ გეოპოლიტიკური სიბრმავიდანაც გამოვიდნენ.

**დღეს გეოპოლიტიკური სიბრმავიდან გამოსვლა ნიშნავს გაბედულად ვთქვათ უარი აშშ-ნატოსკენ სწრაფვაზე; ჩავწეროთ კონსტიტუციაში, რომ საქართველო ნატოში ან სხვა რომელიმე სამხედრო ბლოკში არ გაერთიანდება.**

თანაც გავიგოთ, ხელისუფალნო, რომ ნატოში არ გვიღებენ, მხოლოდ რიტორიკით გვკვებავენ. გ. ბარამიძემ, ი. ალასანიამ და სხვებმა მრავალი წელი იძახეს, ნატოს ასპირანტი ვართო. 2-3-წლიანი ასპირანტურა გამიგია, მაგრამ 8-10 წლიანი — არა; სასაცილოა. ცოტა ხნის წინ თვით ნატოს ორგანიზაციის თავკაცმა რასმუსენმა ყინულივით წყალი გადაასხა თავზე ნატოს მოთაყვანე თავგახურებულებს, როცა განაცხადა: ავღანეთის მისიაში მონაწილეობა არ არის საქართველოს ნატოში მიღების გარანტიო.

მხატვარი რომ ვიყო, ორცხენიან ეტლს დავხატავდი, შიგ ი. ალასანიას და გ. ბარამიძის თავებით გამოსახულ ცხენებს შევაბამდი; მათ კვიცებად ა. პეტრიაშვილსა და გ. კანდელაკს გავაყოლებდი; კოფოზე რასმუსენს დავსვამდი გრძელი კეტით ხელში, რომლის ბოლოში ჩამოკიდებლი ნატოს შტაბბინის გამოსახულებას; აი, ისე, კახელმა გლეხმა ჯიუტ ვირს ბალახი რომ ჩამოუკიდა პირით მიუწვდომელ მანძილზე. მიაქანებენ ეტლს ალასანია და ბარამიძე — ცხენები, მაგრამ ვერა და ვერ მიაღწიეს ნატომდე; ვერც მიაღწევენ.

მივმართავ პატივცემულ გელა ლეჟავას: „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ წერილში თქვენ რომ სამართლიანად მოგვიწოდეთ, „ყველაფერი ვიღონოთ ჩვენი ქართული იდენტურობის თავდადაცვისთვისო“, ამისთვის **საქართველოს ხელისუფლებას ვთავაზობ: უარი თქვას ამერიკა-დასავლეთის ორიენტაციაზე, როგორც უბედურებაზე, ანუ ქარიბდაზე და აიღოს ორიენტაცია რუსეთზე, როგორც ნაკლებ უბედურებაზე, ანუ სცილაზე. სწორედ ასეთი გზით შევინარჩუნებთ ჩვენს ქართველურ იდენტურობას, ქართულ ენას, ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ სულიერებას; პერსპექტივაში დაკარგულ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ.**

იმედს არ ვკარგავ, ოპტიმისტი ვარ; ქართველი ხალხი გამოფხიზლდება; ისეთ ხელისუფლებას მოიყვანს, როცა თითოეული ჩვენგანი დიდი აკაკისებურად შესძახებს: „ამას ველოდი, მოვესწარ, — ვიცინი აღარ ვტირი მე“.

**გივი გურეშიძე,**
**პოლიტოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქუთაისიდან**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრაზილიელი მამაკაცი საყვარელ თხაზე ქორწინდება

**74 წლის ბრაზილიელმა აპერესიდუ კასტალდუმ გადაწყვიტა, თავის საყვარელ თხაზე იქორწინოს.** ქორწინების გაფორმებაზე ეკლესიამ უარი თქვა, თუმცა მამაკაცი იხტიბარს არ იტეხს. იგი ამბობს, რომ მას თავისი რჩეული არასდროს ეკამათება და ძალიან უყვარს. საქმრო ამბობს, რომ მისი საყვარელი თხა კარმელიტა მისთვის იდეალური პარტნიორია. „ის სულ ჩუმადაა, სავაჭრო ცენტრებში არ ხარჯავს ფულს და არ შეუძლია დაფეხმძიმდეს“, — ამბობს აპერესიდუ კასტალდუ.







# დაუპატიჟებელი სტუმარი

**დაუპატიჟებელმა სტუმარმა საწოლის ქვეშ მთელი ღამე გაატარა.**

საბედნიეროდ, ზიმბაბვეში მომხდარი ეს კურიოზული შემთხვევა მსხვერპლის გარეშე დამთავრდა. თვითმხილველები ადასტურებენ, რომ საწოლის ქვეშ ნამდვილად იმალებოდა ნამდვილი „მონსტრი“.

ამ ნიანგმა შეაღწია სახლის მეპატრონეების საძინებელ ოთახში და მთელი ღამე საწოლის ქვეშ შეუმჩნევლად იმყოფებოდა. შეიძლება წარმოვიდგინოთ შეშინებული იმათი თვალები, ვინც გაიაზრა , რომ რამოდენიმე საათი, ანუ უფრო ზუსტად – მთელი ღამე გაატარეს ასეთ უჩვეულო და საშიშ კომპანიაში.

დაბნეული „საწყალი“ ქვეწარმავალი, სიგრძით 3 მეტრს აღემატებოდა, გრძელი, გვერდებიდან შებრტყელებული კუდი ჰქონდა და წაგრძელებული დინგი, ხოლო მთელი სხეული და კიდურები დაფარული ქონდა რქოვანი ფარფლებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიანგები აქტიურები არიან ღამით, მაგრამ ეს „სტუმარი“ განაბულად იწვა საწოლის ქვეშ და სახლის მფლობელებს რიგიანად გაუმართლდათ — ისინი ხომ თავს ესხმიან რქოსან პირუტყვს და ადამიანს !!!

„მონსტრი“ ნამდვილი ნიანგი იყო და არა ალიგატორი: ადგილობრივმა მობინადრეებმა დაასკვნეს, რომ ეს ჩვეულებრივი ნიანგი იყო, რადგანაც პირის დახურვისას გამოუჩნდა ქვედა ყბის მე-4 კბილი, რასაც ვერ ვიტყვით ალიგატრებზე — მათ პირის დახურვისას არ უჩანთ ქვედა ყბის კბილები... ნიანგი, რა თქმა უნდა, დაიჭირეს, გაანთავისუფლეს და ბუნებაში გაუშვეს.







## 15 დღე ჭის ფსკერზე

**ჩინეთის პროვინცია ხენანში ქალმა ჭის ფსკერზე 15 დღე გაატარა, ვიდრე მისი ყვირილი ადგილობრივმა ფერმერებმა არ გაიგეს.**

ერთ მშვენიერ დღეს 38 წლის სუ ცისიუ სამკურნალო მცენარეების შესაგროვებად წავიდა. სახლში სიმინდის ყანის გავლით ბრუნდებოდა, როდესაც 4 მეტრის სიმაღლის ჭაში ჩავარდა. სრიალა კედლებმა ქალს ზედაპირზე დამოუკიდებლად ამოსვლის საშუალება არ მისცეს.

15 დღის მანძილზე სუ წვიმის წყალს სვამდა და იმ ნედლი სიმინდით იკვებებოდა, რომელიც თან მიჰქონდა. ამასთან, დახმარების თხოვნა არ შეუწყვეტია, სანამ მისი ყვირილი ადგილობრივმა ფერმერებმა არ გაიგეს.

ქალი ადგილზე მისულმა სახანძროს თანამშრომლებმა გადაარჩინეს. იგი ძალაგამოცლილი იყო და ვერ საუბრობდა, მაგრამ სერიოზული დაზიანებები არ აღენიშნებოდა.



## ქათამი, რომელსაც შავი ხორცი აქვს

ალმოჩნდა, რომ ქათამს მხოლოდ თეთრი ხორცი არ აქვს. odditycentral-ი ქათმის იმ აზიურ ჯიშზე წერს, რომელსაც შავი კანი და ძვლები აქვს. შავია ქათმის შინაგანი ორგანოებიც. მსოფლიოში არსებული შავი ქათმის რამდენიმე ჯიშს შორის ყველაზე პოპულარულია ე.წ. ჩინური შილკიე. თუმცა, ქათამს ფუმფულა თეთრი ბუმბული აქვს, რომელიც აბრეშუმს მოგაგონებთ.

ქათამი ჩინეთში ძალიან ძვირი ღირს და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ხორცის გამო ახალნამშობიარევი ქალების შეუცვლელი რაციონია.



## ყველაზე ძვირადღირებული თხა

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული თხა 9 სექტემბერს საუდის არაბეთში გაიყიდა. ადგილობრივმა ბიზნესმენმა თავისი შინაური ცხოველი 3.46 მილიონ დოლარად გაასხვისა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად „გაბერილი“ ფასისა, ეს ცხოველი უნიკალური ჯიშისა და ხარისხისაა.**

სოციალურ ქსელებში გავრცელდა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია თხა და ქვითარი, რომლითაც ის იყიდეს. ფოტომ სოციალური ქსელის მომხმარებლები გააღიზიანა.

ისინი აღაშფოთა ფაქტმა, რომ ასეთი ასტრონომიული თანხა იხარჯება ცხოველის ყიდვაზე იმ დროს, როდესაც 2 მილიონი სირიელი ლტოლვილი თურქეთში, ლიბანსა და იორდანიაში კარვებში ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთში იშვიათი და ლამაზი თხები განსაკუთრებულ პატივში არიან. ქვეყანაში ყოველწლიურად თხების სილამაზის კონკურსიც კი იმართება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქორწინო სკანდალი

**ინტერნეტქსელში ეგვიპტურ სოფელში გადაღებული ვიდეო გავრცელდა. ჩანაწერი 11 წლის ბიჭუნასა და 9 წლის გოგონას ქორწილშია გადაღებული. ამ ვიდეოს ეგვიპტეში სკანდალი და საზოგადოებრივი უკმაყოფილება მოჰყვა.** როგორც გაირკვა, მეხუთეკლასელი ომარისა და მისი მეგობარი გოგონას ქორწილი აგვისტოს ბოლოს შედგა.





## ბაბუის ვაკანსია

**ლონდონში ბაბუის ვაკანსია გამოცხადდა. უჩვეულო განცხადება ვაკანსიის საძიებელ ერთ-ერთ ადგილობრივ საიტზე გაჩნდა.**

განცხადების თანახმად, შესაფერის კანდიდატს „სპეციალობით“ ან მსგავს „თანამდებობაზე“ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება უნდა ჰქონდეს და 6 საათზე ადგომა და ტელევიზორის წინ ჩაძინება უნდა შეეძლოს.

ბაბუის მოვალეობაში შემდეგი ფუნქციები შედის: შვილიშვილებთან ომის და მასში მისი როლის შესახებ საუბარი; ბავშვების ტკბილეულით გამასპინძლება; კბილის ტკივილის ვისკის დახმარებით მკურნალობა; გულმავიწყობა; ბაღის სამუშაოებისთვის თვალის დევნება; რჩევების გაცემა; ცუდად ხუმრობა; გამუდმებით ორცხობილასთან ერთად ჩაის სმა; მეზობლების კატებთან მეგობრობა; ხანდახან მათი კვირის სადილზე დაპატიჟება.

განცხადების ავტორები დასძენენ, რომ ეს მოვალეობების სრული ჩამონათვალი არ არის. უცნობია, გამოეხმაურა თუ არა ვინმე ვაკანსიას.




## «ჭკვიანი კბილი»

**ტაივანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა „ჭკვიანი კბილი“ გამოიგონეს. ის ადამიანს საშუალებას აძლევს, აკონტროლოს თავისი მავნე ჩვევები. ხელოვნური კბილი განსაზღვრავს, რამდენად ხშირად ეწევა სიგარეტს კბილის პატრონი ან რომელი პროდუქტები უნდა გამორიცხოს რაციონიდან.**

მოწყობილობა კბილში ან იმპლანტანტში მაგრდება. მასში ჩამაგრებულია სპეციალური გადამცემები, რომლებიც ინფორმაციას იღებენ და ამ ინფორმაციას მკურნალ ექიმს გადასცემენ.

ახალი გაჯეტი ჯერ კიდევ ტესტირების რეჟიმშია. ექსპერიმენტში მონაწილეებმა გადამცემი სხვადასხვანაირად გამოსცადეს — ღეჭავდნენ კევს, ახველებდნენ, სვამდნენ წყალს, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ... მოწყობილობამ 94%-იანი სიზუსტით დაადგინა ადამიანის მოქმედება და მიხვდა, ადამიანი ჰამბურგერს მიირთმევდა, თუ კევს ღეჭდა.

კბილის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მოწყობილობა უსაფრთხოა ადამიანისა და მისი გარშემომყოფებისთვის იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პატრონი მას შემთხვევით გადაყლაპავს. მეცნიერებს სურთ, რომ ინოვაციური მოწყობილობა ინფორმაციას ელექტრონულ მატარებლებზეც — სმარტფონებზე ან კომპიუტერზე, ბლუთუზის საშუალებით გადასცემდეს.



## 2 წლის ბავშვს წონის დასაკლები ოპერაცია გაუკეთეს

**2 წლის არაბ ბიჭუნას ჭარბი წონისგან გასათავისუფლებლად ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. ის ყველაზე პატარა პაციენტია მედიცინის ისტორიაში, რომელმაც წონის დაკლების ქირურგიულ მეთოდს მიმართა. ბიჭუნა საუდის არაბეთის მოქალაქეა. იგი 18 თვის ასაკში უკვე 33 კილოგრამს იწონიდა.**

როცა ბავშვის სხეულის მასის ინდექსმა 41-ს გადააჭარბა, ექიმებმა ქირურგიული ჩარევა გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნიეს, რადგან ჭარბი ცხიმი უკვე სუნთქვის უკმარისობას იწვევდა. ქირურგებმა ბავშვს კუჭის დიდი ნაწილი ამოკვეთეს, რათა საკვებზე ორგანიზმის მოთხოვნილება შეემცირებინათ. ოპერაციის შემდეგ მან 23 კილოგრამი დაიკლო. 2 წლის წინ ბიჭუნა სრულიად ჯანმრთელი დაიბადა და მხოლოდ 3 კილოგრამს იწონიდა.

დღემდე ყველაზე მცირეწლოვანი ბავშვი, რომელსაც ჭარბი წონისგან გათავისუფლების მიზნით ქირურგიული ოპერაცია გაუკეთეს, 5 წლის იყო და ისიც საუდის არაბეთში ცხოვრობდა.



## ჩინეთში ქუჩაში ნიღბებით დადიან

**ყოველ დილით მაკიაჟი კანს ვნებს, ხშირად გამონაყარი ყველაზე არასასურველ დროს ჩნდება,ან სულაც ასაკობრივი ნაოჭები გვაწუხებს. ამ პრობლემების მოგვარებას კოსმეტოლოგებსა და პლასტიკურ ქირურგებს ვანდობთ, მაგრამ ჩინეთში ახალი ტრენდი დამკვიდრდა — სახეზე ნიღბის გაკეთება.**

ჩინელმა დიზაინერმა ჟოუინგ ლიმ ქალებს დაუმზადა სპეციალური ნიღბები, რომელიც სახის ფორმებს ერგება: პომადით შეღებილი ტუჩები, ფერუმარილიანი ლოყები და ფანქრით მოხატული თვალები — ჩინელები სწორედ ამ ნიღაბს იკეთებენ მაშინ, როდესაც დილით ადრე სამსახურში აგვიანდებათ და მაკიაჟის გაკეთებას ველარ ასწრებენ. ნიღაბი სახის კანზე იჭიმება და ზუსტად იმავე მიმიკებს გადმოსცემს, რასაც თქვენი ბუნებრივი სახე.

ნიღაბი 399 დოლარი ღირს.



## გოგონა, რომელიც ტკივილს ვერ გრძნობს

**გერმანელი მკვლევარები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ფენომენის ამოხსნას ცდილობენ. მათ იმ გოგონას დახმარება სურთ, რომელიც ტკივილს ვერ გრძნობს.**

მშობლების თქმით, მსგავსი უჩვეულო დაავადება სანათესაოში არავის აქვს. როგორი არაადამიანური ტკივილიც არ უნდა მიაყენოთ, გოგონა ვერაფერს გრძნობს. ის მხოლოდ საგნების შეხებას გრძნობს, თუმცა ტკივილს — ვერა. სხეულის დაზიანებისას მას სისხლიც სდის, ჩალურჯებებიც აქვს, მაგრამ დაზეჟილი ადგილი არ სტკივა. ექსპერიმენტმა ისიც ცხადყო, რომ გოგონა ვერ არჩევს ცივ, ან ცხელ საგნებს. პაციენტი ფრიდრიხ შილერის საუნივერსიტეტო საავადმყოფოს ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშაა.



## ქორწილი კომაში

**ლამაზი ქორწილი და თეთრი კაბა — ამ ცერემონიალზე ყველა გოგონა ოცნებობს, მაგრამ 28 წლის ლუ ლაიმ ეს მნიშვნელოვანი დღე კომაში გაატარა.**

გუანდუნში (პროვინცია სამხრეთ-ცენტრალურ ჩინეთში) მცხოვრები ლუ ლაი კომაში 2011 წელს ჩავარდა, 2 წელი საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში იწვა და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული. ოჯახის წევრები, საქმრო და მეგობრები 2 წელი ელოდნენ მის გაღვიძებას, მაგრამ ბოლოს იმედი გადაეწურათ.

საქმრომ ოჯახის წევრებთან ერთად გადაწყვიტა, გოგონას 28-ე დაბადების დღეს საავადმყოფოს პალატაში ქორწილი გადაეხადა. პალატაში უახლოესი ნათესავები, მეგობრები და ის ექიმები და ექთნები იმყოფებოდნენ, რომლებიც 2 წლის განმავლობაში ახალგაზრდა ქალის გვერდით იყვნენ. საქორწილო ცერემონიის შემდეგ გოგონას ხელოვნური სუნთქვის აპარატი გამორთეს. გოგონას მშობლებმა გადაწყვიტეს, ქალიშვილის ორგანოები უანგაროდ აჩუქონ მათ, ვისაც დახმარება სჭირდება.

## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# ფერმერმა რომის პაპი მინდორზე ტრაქტორით დახატა

**იტალიელმა ფერმერმა დარიო გამბარინმა რომის პაპის 100-მეტრიანი „ტილო“ შექმნა. ნახატი არა ფუნჯებით და საღებავებით, არამედ ტრაქტორითა და გუთნით შეიქმნა.** პაპის გამოსახულება მინდორზეა და მის მოსახატად ფერმერს 6 საათი დასჭირდა. ამასთან, დარიოს არ გამოუყენებია ესკიზები ან ჩანახატები. სურათი სახელად „სიყვარული ათავისუფლებს“ ავტორის პირველი ნამუშევარი არ არის. მის გუთანს ეკუთვნის ასევე ბარაკ ობამას პორტრეტი და ედუარდ მუნკის „კივილის“ რეპროდუქცია.



# ჩინეთში კემპინგის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა

**ჩინეთში კემპინგის საერთაშორისო ფესტივალი (International I Camping Festival 2013) ჩატარდა. ფესტივალს 15 000 ტურისტი დაესწრო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ჭრელა-ჭრულა კარვებმა პროვინცია ცზიანის შემოგარენი, კონკრეტულად კი უდანშანის ფერდობები დაფარა.** ეს პროვინცია ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ადგილად მიიჩნევა. აქ შემოდგომა ხავერდოვანია. ფესტივალის ორგანიზატორები ფესტივალის მონაწილეებს კარგ განწყობას, სეირნობას და ფერწერულ ბუნებასთან შერწყმას პირდებოდნენ.

საღამოობით ფერდობებს ათასობით სხვადასხვა ფერის ნათურა ანათებდა და ტურისტები ერთგვარი „ფლეშმობის“ მონაწილენი ხდებოდნენ.





# ცხენი მოწყენილობისგან სახურავზე აძვრა

**ერთი მდიდარი კანადელი ბიზნესმენის ფერმაში სასწაული რამ მოხდა — ცხენი ფარეხის სახურავზე აძვრა. კანადელი ცოლ-ქმარი გაკვირვებულები დარჩნენ, როცა გაიგეს, რომ მათ ოთხფეხა ცხოველს თავში რაღაც სიგიჟე მოუვიდა და დამოუკიდებლად აძვრა ერთსართულიანი შენობის სახურავზე.**

სტივენ დაუნმა, ფერმის მეპატრონემ, განაცხადა, რომ ის და თავისი მეუღლე გაემგზავრნენ საქმიან შეხვედრაზე სხვა შტატში, ხოლო მათი ერთობ მოკრძალებული ფერმა თავიანთ ახლობელს არჩიბალდს დაუტოვეს.

ოთხშაბათ დილით ბატონი არჩიბალდი თავისი მოვალეობის შესასრულებლად გავიდა ფერმაში და ერთობ საოცარი რამ იხილა — საპატრონებლად მიბარებული ცხენი ფარეხის სახურავზე ამაყად და გაუნძრევლად იდგა.

„გაოცებისგან გავშეშდი, — განაცხადა არჩიბალდმა ინტერვიუში. — ცოტა ხანს გაკვირვებისგან თავში არაფერი მომაფიქრდა, შემდეგ გადავწყვიტე, რომ სტივენი (ფერმის მეპატრონე) არ დამიჯერებდა ამგვარ სასწაულს და სურათი გადავუღე, რათა მენახებინა ბატონისთვის“.

მართლაც, როდესაც დაუნების ოჯახმა გაიგეს თავისი ოთხფეხა მეგობრის ამბავი, არ დაუჯერეს არჩიბალდის ნათქვამს, თუმცა, როცა სურათი ნახეს, სასწრაფოდ შინ დაბრუნდნენ, ეგებ რითიმე დავეხმაროთო.

სანამ დაუნები დაბრუნდებოდნენ, არჩიმაც შეძლო, მეგობარი მუშების დახმარებით მიწაზე დაებრუნებინა ცხოველი. სტივენმა სასწრაფოდ მეგობარ ვეტერინარს დაურეკა, ვაითუ ცხოველი გაავდა და სახლში არ გაიჩერებაო. როდესაც ცხოველთა მკურნალმა გასინჯა „პაციენტი“, დაასკვნა, რომ ცხოველს არაფერი სჭირდა, უბრალოდ, მარტოობისგან გამოწვეულმა ინსტინქტმა უბიძგა ამგვარი ქმედებისკენ.

მართლაც, ჯოგში ცხოვრებას მიჩვეულმა ცხენმა ვერ მოითმინა მარტო დარჩენა, რადგან თვით დაუნები ცხენების გასაყიდად იყვნენ წასულები და ფერმაში ერთადერთი „მორბენალი“ დატოვეს, რომელმაც თავის მხრივ პროტესტი გამოუთქვა მოწყენილობას და თავისი არაორდინალური საქციელით უსაყვედურა პატრონს.

როდესაც ყურადღებით დაათვალიერეს სახურავი, დაინახეს, რომ მასში რამდენიმე ხვრელი იყო. ეს მოწმობს იმას, რომ ცხოველმა მთელი ღამე სახურავზე გაატარა, ის ბევრს მოძრაობდა, სახურავმაც ვერ გაუძლო და ჩაიმტვრა წვრილ ხვრელებად.

„ეს ცხოველები ძალზედ იმპულსურები და ცნობისმოყვარეები არიან, ამით ბავშვებს ემსგავსებიან, ამგვარმა ცნობისწადილმა ჩააგდო ეს ცხოველი ცუდ სიტუაციაში, ამგვარმა ხასიათმა აიყვანა ის სახურავზე“. — განაცხადა დევიდ პეტროლმა, ცნობილმა ამერიკელმა ვეტერინარმა, როდესაც გაიგო მომხდარის შესახებ.

„როცა ნაცნობებს ვანახე ეს სურათი, ყველას ეცინებოდა. ჩემთვისაც სასიხარულოა და სასაცილო, რომ ჩემი „პრინციპინო“ ჯანმთელი გადარჩა, — ამბობს თავად ბატონი სტივენი.

# რესტორანი ტუალეტის თემაზე

**ჩინეთში ტუალეტის თემატიკაზე მორიგი რესტორანი გაიხსნა. აზიაში ასეთი კაფეები დიდი პოპულარობით სარგებლობს და ისინი უკვე არსებობს პეკინში, შანხაისა და სხვა ქალაქებში.**

ახლადგახსნილ კაფეში მაგიდები — ხელის საბან ნიჟარებს, ხოლო სკამები უნიტაზებს ჰგავს. ყურადღებას იქცევს მისაყუდებელი ბალიშები.

ფოტოებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებში ასეთი კაფეები დიდი პოპულარობით სარგებლობს. უფრო მეტიც, ასეთ კაფეში საჭმელსაც კი ფეკალიების ფორმით არიგებენ.

კაფე-ტუალეტების ქსელი დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხრეთ კორეაში, იაპონიასა და ტაივანში. იქ ასეთი კაფეები რამდენიმე წლის წინ გაჩნდა.



# ყველაზე სასარგებლო მწვანილეული

**ყველამ ვიცით, რომ მწვანე ფერის ბოსტნეული, მათ შორის კი უპირველესად მწვანილეული და სალათები, ძალიან სასარგებლოა და ორგანიზმისთვის საჭირო უამრავ ნივთიერებას შეიცავს. მაგრამ მათ შორისაც არიან ფავორიტები — არომატით ან შემადგენლობით გამორჩეული სახეობები.**

სიის სათავეში ისპანახია. ეს დიეტოლოგების საყვარელი პროდუქტია. ისპანახში შემავალი ქლოროფილი სისხლის წითელი ბურთულების ხარისხს აუმჯობესებს და ორგანიზმის თავდაცვით ფუნქციებსაც აძლიერებს. მისი მიღება ძალიან სასარგებლოა ონკოლოგიური დაავადებების მქონეთათვის. იცავს ორგანიზმს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან. უმჯობესია, ისპანახი უმად მიირთვათ, ან მსუბუქად მოშუშოთ. ხანგრძლივი თერმული დამუშავება სასარგებლო ნივთიერებების უმეტესობას ანადგურებს. ნეიტრალური გემოს გამო, შეგიძლიათ უმად ჩაამატოთ სალათებში, გამოიყენოთ გარნირად ხორცთან, თევზთან თუ ფრინველთან.



ასევე ძალიან სასარგებლოა მჟაუნა. ის ადრე გაზაფხულზე მოდის, როცა ჩვენს ორგანიზმს განსაკუთრებით სჭირდება ვიტამინები. მჟაუნასგან უამრავი რამ შეიძლება მოამზადოთ: წვნიანი, კვერცხიანი შჩი, გულსართი ღვეზელებისთვის. გაითვალისწინეთ, რომ მჟაუნა სწრაფად იხარშება და კერძს ბოლოს უნდა დაამატოთ. შეგიძლიათ უმი ფოთლები დაამატოთ სალათში ან კარტოფილის პიურეს მწვანე ფერი და სასიამოვნო, პიკანტური არომატი შესძინოთ. სასარგებლო თვისებების მიუხედავად, ექიმების რჩევაა, კვირაში მხოლოდ 2-3-ჯერ მივიღოთ ეს ბოსტნეული, რადგან შესაძლოა, თირკმელებს შეუქმნას პრობლემები.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ევროპელებმა 100 წლის განმავლობაში სიმაღლეში 11 სმ-ით მოიმატეს

**ესექსის უნივერსიტეტის მეცნიერმა ტიმოთი ჰეტონმა საკუთარ კვლევაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ევროპელმა მამაკაცებმა ბოლო 100 წლის განმავლობაში სიმაღლეში 11 სმ-ით მოიმატეს. მკვლევარის აზრით, ამის მიზეზი სამედიცინო პროგრესია.** ჰეტონმა საშუალო სიმაღლის 21 წლის მამაკაცების მონაცემები გააანალიზა 15 ევროპული ქვეყნიდან. მონაცემები 1870-1980 წლების დოკუმენტების მიხედვით დამუშავდა. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები 11 სანტიმეტრით გაიზარდნენ. კვლევის ავტორის თქმით, მთავარი მიზეზი, რის გამოც ევროპელმა მამაკაცებმა სიმაღლეში მოიმატეს, სამედიცინო პროგრესია.




## ბიზნესმენი საცოლეს ბილბორდებით ეძებს

**ჩიკაგოელი წარმატებული ბიზნესმენი 40 წლის გორდონ ინგლი საცოლეს სარეკლამო ბილბორდებით ეძებს.**

ბიზნესმენმა ისინი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა თუ სატრანსპორტო გზებზე განათავსა. ბილბორდზე გორდონის ფოტოსურათია დაბეჭდილი და დიდი ასოებით წერია: „მე გორდონი ვარ. მოდი, ვისადილოთ“. ბილბორდზე მამაკაცის პირადი ვებგვერდია მითითებული. ნებისმიერ ქალს, რომელიც მარტოხელაა და სიყვარულს ეძებს, შეუძლია გორდონს დაუკავშირდეს.

„ათასობით დოლარი განათლებაში დავხარჯე, ნახევარი მილიონი სახლის შეძენისას, უფრო მეტი — ავტომობილებში, მაგრამ ეს ყველაფერი სიყვარულთან შედარებით არაფერია“, — ამბობს იგი.

გორდონი დიდ მნიშვნელობას ქალის სულიერ სამყაროს ანიჭებს. მისი თქმით, სასიამოვნო ღიმილისა და კარგი იუმორის მქონე ქალი მის გულს პირველივე პაემანზე მოინადირებს. სასიძო ამბობს, რომ 40 წლამდე დაუქორწინებელი იმიტომაა, რომ ქალებს მხოლოდ მისი ფული და ძალაუფლება აინტერესებთ. სასიძო აცხადებს, რომ თავდაპირველად პარტნიორთან იმეგობრებს და მცირე დროში გრანდიოზულ ქორწილს გადაიხდის.

„დარწმუნებული ვარ, მყარი ოჯახი იმ შემთხვევაში გექნება, თუ მეგობარზე დაქორწინდები“, — ამბობს იგი.

გორდონი კარგი მზარეულია, უკრავს ფორტეპიანოსა და გიტარაზე. მას ღვინის ძვირადღირებული კოლექცია აქვს. ფლობს კომპანიას ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში. ამასთან, ბიზნესი აქვს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში.



## ბრიტანელი ქალი მეჩვიდმეტე ბავშვს ელოდება

**ინგლისის საგრაფო ლანკაშირში მცხოვრები სუი რედფორდი მეჩვიდმეტე შვილზეა ფეხმძიმედ.**

სუი და მისი მეუღლე ნოელი პატარასთვის საძინებელს ამზადებენ. მათ 9 ვაჟი და 7 ქალიშვილი ჰყავთ. სუი მშობიარობას მოუთმენლად ელის. ბავშვის სქესი წყვილმა ჯერჯერობით არ იცის. ყველაზე უფროსი 24 წლის კრისია, უმცროსი კი — 11 თვის კასპერი.

**„ბავშვები ძალიან ბედნიერები არიან და დედმამიშვილის დაბადებას მოუთმენლად ელიან“,** — ამბობს სუი.

სუი რედფორდმა პირველად 14 წლის ასაკში იმშობიარა და ახლაც, 41 წლის ასაკში ჯანმრთელობა საშუალებას აძლევს, შვილებს კიდევ ერთი დედმამიშვილი აჩუქოს.



## მამაკაცმა 13 ოპერაცია გაიკეთა, რომ სუპერმენს დამსგავსებოდა

**ფილიპინელი ჰერბერტ ჩავესი სუპერმენის ფანია. თავის კერპს რომ დამსგავსებოდა, მან 13 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. 35 წლის ჩავესმა შეიცვალა ყბის და ცხვირის ფორმა, გაილიავა კანი, გაიკეთა ლიპოსაქცია და თვალებში ფერადი ლინზებიც კი ჩაისვა.**

ჰელბერტმა სუპერმენის შესახებ ფილმი 5 წლის ასაკში ნახა და დანარჩენი 30 წელი იმას მიუძღვნა, რომ მის საყვარელ გმირს დამსგავსებოდა. მამაკაცს ოპერაციები 10 000 დოლარი დაუჯდა, ეს კი ფილიპინებზე დიდი თანხაა. გარდა ამისა, ჰერბერტ ჩავესი ქალაქის ქუჩებში სუპერმენის ფორმაში ჩაცმული დადის და გამვლელებს ართობს. მას სუპერმენის სათამაშოების ყველაზე დიდი (500 ეგზემპლარი) კოლექცია აქვს.



## ავტორთა მკვლელი გამოგონებები

**ცივილიზაციის არსებობის მანძილზე ადამიანმა ასობით სხვადასხვა ნივთი გამოიგონა. მათმა ნაწილმა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა, მაგრამ იყო გამოგონებებიც, რომლებმაც საკუთარი ავტორები იმსხვერპლეს.**

### ჰენრი სმოლინსკი და მფრინავი მანქანა

ამ გაბედულმა გამომგონებელმა ავტომობილისტების სანუკვარი ოცნების ასრულება და მფრინავი ავტომობილის შექმნა განიზრახა. იდეით იმდენად იყო შეპყრობილი, რომ მრავალი წლის განმავლობაში შესაბამისი აღჭურვილობის შესაძენად საჭირო თანხას აგროვებდა. შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში შეძენილი ავტომობილებისა და თვითმფრინავების ნაწილების გამოყენებით იდეალური კონსტრუქციის შექმნაზე ფიქრობდა. 1973 წელს მისთვის დიდება უნდა მოეტანა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. აფრენის შემდეგ მისი ქმნილება ჰაერში დაიშალა და **სმოლინსკიც** იმსხვერპლა.

### მარია სკლოდოვსკაია-კიური და ყელზე ჩამოკიდებული თილისმა

მეცნიერების სფეროში ქალთა დეფიციტის მიუხედავად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც სუსტი სქესის წარმომადგენელთა აღმოჩენებმა მსოფლიო მეცნიერებაში გადატრიალება მოახდინეს. მათ შორის იყო მარია სკლოდოვსკაია-კიური. მეუღლესთან ფიზიკოს პიერ კიურისთან ერთად იგი რადიოაქტიურობას იკვლევდა და ორი ახალი ქიმიური ელემენტი — რადიუმი და პოლონიუმიც აღმოაჩინა. ფიზიკაში მიღწევებისთვის მარია სკლოდოვსკაია-კიური ნობელის პრემიით ორჯერ დაჯილდოვდა. თუმცა, მეცნიერმა ერთი ფაქტორი არ გაითვალისწინა — ჯამრთელობისთვის რადიაცია ძალზე საშიშია. იგი არანაირ თავდაცვით ზომებს არ მიმართავდა და რადიუმით სავსე ამპულა თილისმის სახით ყელზეც კი ჰქონდა ჩამოკიდებული. შედეგად განუვითარდა ლეიკემია, რომლისგანაც 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

### ჰორას ლოუსონ ჰინლის წყალქვეშა ნავი

აშშ-ში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს გამომგონებელმა მსოფლიოში პირველი მოქმედი წყალქვეშა ნავი ააგო. პირველი ორი პროტოტიპის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა — 1862 წელს ორივე მათგანი გაანადგურეს, რათა მოწინააღმდეგეს არ ჩავარდნოდა ხელში. საკუთარი მისია მხოლოდ მესამე წყალქვეშა ნავმა შეასრულა, როდესაც 1863 წელს მოწინააღმდეგის ხომალდი ჩაძირა, თუმცა ბრძოლისას დაზიანებები თავადაც მიიღო და ბორტზე მყოფ 7-კაციან ეკიპაჟთან ერთად ჩაიძირა.



### უილიამ ბალოკის საბეჭდი მანქანა

როტაციული საბეჭდი მანქანის გამოგონებით ამ ამერიკელმა წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვის საქმეში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, მაგრამ გამოგონებამ ავტორი იმსხვერპლა. 1867 წლის აპრილში იგი თავისი საბეჭდი მანქანის გაუმჯობესების მიზნით, ერთ-ერთ წნეხში ცვლილებების შეტანას ცდილობდა, როდესაც მანქანის ქვეშ უნებლიეთ დადებულ ფეხზე მძიმე წნეხი დაეცა. რამდენიმე დღეში ბალოკს ინფექცია განუვითარდა და ფეხის ამპუტაციის ოპერაციისას გარდაიცვალა.

### ალფრედ ნობელის დინამიტი

მათთან შედარებით ალფრედ ნობელს გაუმართლა — დინამიტის გამოცდისას დაშვებულმა შეცდომამ სტოკჰოლმში მდებარე მისი ლაბორატორია ნამსხვრევებად აქცია. 1864 წლის სექტემბერში აფეთქებისას მიღებული სხეულის მრავლობითი დაზიანებებისგან მისი უმცროსი ძმა ემილი და კიდევ ხუთი თანაშემწე გარდაიცვალნენ. თუმცა ალფრედს საკუთარი ცდებისთვის თავი არ გაუნებებია და სამი წლის შემდეგ დინამიტის გამოგონებისთვის შესაბამისი პატენტიც მიიღო.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს არჩეულ პრეზიდენტთან თანამშრომლობისთვის მზადაა

**სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, 27 ოქტომბრის არჩევნებმა ქართველი ხალხის ნება ნათლად წარმოაჩინა. ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს პოლიტიკურ ძალებს კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებს და ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს.**




„აშშ ულოცავს საქართველოს მოქალაქეებს მშვიდობიან საპრეზიდენტო არჩევნებს. ჩვენ მოწმენი გავხდით ყველა ქართველისთვის კიდევ ერთი ისტორიული დღისა, ასევე, მნიშვნელოვანი ნაბიჯისა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვისა. ამ არჩევნებში ნათლად წარმოჩინდა ქართველი ხალხის ნება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნები ეფექტურად ადმინისტრირებულ, გამჭვირვალე, მშვიდობიან და კონსტრუქციულ გარემოში ჩატარდა. თუმცა ასევე გამოთქმული იყო შეშფოთება იმ ბრალდებებზე, რომ ხდება პოლიტიკური ზეწოლა ადგილობრივ დონეზე. ახლა, როდესაც ხალხმა არჩევანი უკვე გააკეთა, მოვუწოდებთ ყველა კანდიდატს, იმოქმედონ დემოკრატიული ნორმების შესაბამისად და საარჩევნო დავები საარჩევნო ადმინისტრაციას წარუდგინონ. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ ხელისუფლებას, დაელოდოს საბოლოო შედეგებს და ნებისმიერი დავა გამჭვირვალედ და კანონის უზენაესობის დაცვით გადაჭრას. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, კონსტრუქციულად ითანამშრომლონ, რათა ხელი შეუწყონ საქართველოს პოლიტიკურ სტაბილიურობას, სამოქალაქო განვითარებას და ეკონომიკურ წინსვლას.

ველით თანამშრომლობას არჩეულ პრეზიდენტთან, მთავრობასთან, პარლამენტთან და ქართველ ხალხთან, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის შენებისთვის და ქართველი ხალხის ნათელი მომავლის მხარდაჭერის გაგრძელებისთვის", — აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

# უცნობი პუტინი




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი". წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.**

**ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4).**




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.**

**ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.**

**კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4)**

# რეზო ჭარბაძეს, მეგის ქარდავასა და დავით ჭაკუას ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე პატიმრობა შეეფარდათ

**რეზო ჭარბაძეს** მოეხსნა სსკ 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და ის სსკ 144-ე მუხლით იქნა დამნაშავედ ცნობილი. სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების 5 წლით აღკვეთა, დამატებით სასჯელად 3 წლის ვადით საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების აკრძალვა და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, თუმცა ამნისტიის შესახებ კანონის თანახმად, რეზო ჭარბაძეს, რომელიც იმ დროს ბაჩო ახალაიას მოადგილე იყო, სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა. ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის 2 წლით დაკავების უფლება და განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

**მეგის ქარდავას** მოეხსნა სსკ 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და ის სსკ 144-ე მუხლით იქნა დამნაშავედ ცნობილი. სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების 5 წლით აღკვეთა, დამატებით სასჯელად 3 წლის ვადით საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების აკრძალვა და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, თუმცა ამინისტიის შესახებ კანონის თანახმად, მეგის ქარდავას სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა; ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის 2 წლით დაკავების უფლება და განესაზღვრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

**დავით ჭაკუას** მოეხსნა სსკ 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და ის სსკ 144-ე მუხლით იქნა დამნაშავედ ცნობილი. სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების 5 წლით აღკვეთა, დამატებით სასჯელად 3 წლის ვადით საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების აკრძალვა და ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, თუმცა ამინისტიის შესახებ კანონის თანახმად, დავით ჭაკუას სასჯელის სახით, განესაზღვრა თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა. ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის 2 წლით დაკავების უფლება და განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

**ბაჩო ახალაიას** მოეხსნა სსკ 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული და ის სსკ 144-ე მუხლით იქნა დამნაშავედ ცნობილი. სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების 5 წლით აღკვეთა, დამატებით სასჯელად 3 წლისა და 3 თვის ვადით საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების აკრძალვა და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით, თუმცა, ამინისტიის შესახებ კანონის თანახმად, ბაჩო ახალაიას სასჯელის სახით, განესაზღვრა თავისუფლების 3 წლითა და 9 თვით აღკვეთა. ჩამოერთვა საჯარო სამსახურში თანამდებობის 2 წლით დაკავების უფლება და განესაზღვრა ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით.

სასჯელი 2013 წლის 2 მარტიდან აითვლება.


# ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩვენებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**


# ოპერისა და ბალეტის თეატრი რიხარდ ვაგნერის იუბილეს აღნიშნავს



**წლეულს, 22 მაისს შესრულდა 200 წელი უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის — რიხარდ ვაგნერის დაბადებიდან. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მსგავსად, ამ თარიღს აღვნიშნავთ საქართველოშიც — კონსერვატორიის დიდ დარბაზში 31 ოქტომბერს 19 საათზე გაიმართება საიუბილეო კონცერტი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდის, სიმფონიური ორკესტრის, წამყვანი სოლისტების — ირინე რატიანის, კახაბერ თეთვაძისა და ნიკოლოზ ლაგვილავას მონაწილეობით.**

ამ კონცერტისთვის თბილისში საგანგებოდ ჩამოდიან საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერლები — ვალერიანო გამგებელი და რამაზ ჩიკვილაძე.

რიხარდ ვაგნერის საიუბილეო კონცერტს უდირიჟორებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ჟორდანია.

კონცერტის პროგრამაშია ნაწყვეტები რიხარდ ვაგნერის ოპერებიდან „რიენცი", „მფრინავი ჰოლანდიელი", „ტანჰოიზერი", „ლოენგრინი", „ვალკირია", „ტრისტანი და იზოლდა", „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები", რომელთა ნაწილი საქართველოში პირველად შესრულდება.


# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**


**გაზეთ „ილორის" მთავარი რედაქტორი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი როლანდ ჯალაღანია იუბილარია.**

**ბატონო როლანდ, „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია გულითადად გილოცავთ! თქვენი საქმიანობა სამაგალითოა თქვენი შთამომავლებისთვის — მათთვის საამაყო მამა და ბაბუა ბრძანდებით! ასევე გვეამაყებით მეგობრებსა და კოლეგებს!**



# სირიის პრეზიდენტმა საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა

**უცხოური მედიის ცნობით, ბაშარ ასადის მიერ გამოცხადებული საყოველთაო ამნისტია 29 ოქტომბრამდე ჩადენილ დანაშაულებს შეეხება.** აღსანიშნავია, რომ „ჟენევა 2"-ის მოსამზადებელი კონფერენციის ფარგლებში სირიაში გაეროსა და არაბთა ლიგის სპეციალური წარმომადგენლები იმყოფებიან. სირიაში სამოქალაქო ომი 2011 წლიდან გრძელდება. კონფლიქტმა უკვე 100 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009